

ნაციონალური იდენტობა

ენტონი დ. სპითი

თარგმნა ლელა პატარიძემ



გამომცემლობა
«ლოგოს პრესი»

Anthony D Smith, National Identity
Copyright © Anthony D Smith, 1991
First published in the United Kingdom by Penguin Books Ltd, 1991
ავტორის მორალური უფლება დაცულია.



წიგნი გამოიცა ფონდის
“ღია საზოგადოება – საქართველო”
(OSGF) ფინანსური ხელშეწყობით.

გამომცემლობის რედაქტორი რუსუდან მახათაძე

© ლოგოს პრესი, 2008
ISBN 978-99940-64-36-6

გამომცემლობა “ლოგოს პრესი”
ილია ჭავჭავაძის გამზირი 15ა, თბილისი 0179
ტელ. 91-51-01
www.logospress.ge

Georgian edition published by Logos Press Ltd, Tbilisi, Georgia

ნაციონალური იდენტობა

ეთნონაციონალიზმი
კომპარატიულ პერსპექტივაში

შინაარსი

თავი 1 ნაციონალური და სხვა იდენტობები	1
იდენტობათა სიმრავლე	3
“ნაციონალური” იდენტობის ელემენტები	10
ნაციონალური იდენტობის ზოგიერთი ფუნქცია და პრობლემა	19
თავი 2 ნაციონალური იდენტობის ეთნიკური საფუძველი	24
ეთნი და ეთნოგენეზი	24
ეთნიკური ცვლილება, რღვევა და თვითგადარჩენა	36
“ეთნიკური ბირთვები” და ნაციების ფორმირება	47
თავი 3 ნაციების აღმოცენება	53
ნაციები ნაციონალიზმის აღმოცენებამდე?	53
ეთნიკური ერთობის ტიპები	64
ლატერალური ეთნიები და ბიუროკრატიული ინკორპორაცია	67
პირველი ნაციები?	73
“ვერტიკალური” ეთნიები და მკვიდრთა (ვერნაკულური) მობილიზაცია	76
მოდერნული და ძველი ნაციაში	84
თავი 4 ნაციონალიზმი და კულტურული იდენტობა	88
ნაციონალიზმი: იდეოლოგია, ენა, განწყობა	89
ნაციონალიზმის ტიპები	98
ნაციონალიზმის კულტურული მატრიცა	105
ინტელექტუალები და ნაციონალისტური კულტურა	114
თავი 5 დაგეგმილი ნაციები?	123
იმპერიების ნაციებად გარდაქმნა	124
კოლონიების ნაციებად გარდაქმნა	133
ნაციების “გამოგონება”?	137
ინტელიგენციის “სამოქალაქო ნაცია”	145
თავი 6 სეპარატიზმი და მულტინაციონალიზმი	154
დემოკრატიული ეთნონაციონალიზმის (დროდადრო) განმეორება	155

ეთნიკური სეპარატიზმი ძველი იმპერიებიდან	158
ეთნიკური სეპარატიზმი პოსტკოლონიურ სახელმწიფოებში	164
სეპარატიზმი და ავტონომიზმი ინდუსტრიულ საზოგადოებაში	173
თავი 7 ნაციონალური იდენტობის მიღმა?	180
სუპრანაციონალიზმი: ფედერალური და რეგიონული იდენტობები?	183
ახალი ტრანსნაციონალური ძალები	194
კოსმოპოლიტიზმი და გლობალური კულტურა?	198
"ეთნოისტორიების" გამოყენება	202
გეოპოლიტიკა და ნაციონალური კაპიტალიზმი	209
ნაციონალიზმი ნაციებს მიღმა?	215
დასკვნა	223
შენიშვნები	227
ბიბლიოგრაფია	249
საძიებელი	271

შესავალი

ამ წიგნის მიზანია ნაციონალური იდენტობის, როგორც კოლექტიური ფენომენის, ბუნების, მიზეზებისა და შედეგების უშუალო წანამძღვრების განსაზღვრა. დღევანდელი მსოფლიოს მრავალ კუთხეში – განსაკუთრებით საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში – ნაციონალიზმის მოზღვავენამ წამოჭრა ნაციონალური ფენომენის სფეროს მიმოხილვისა და კვლევის აუცილებლობა. სადღეისოდ ძალზე მცირეა ამ დარგში იმგვარი ნაშრომების რიცხვი, რომლებიც ნაციონალიზმის ისტორიული მიმოხილვის ფარგლებს სცილდება. იმავდროულად, ეთნიკური თვითშეგნების გამოღვიძებამ დასავლეთში – როგორც საზოგადოებრივ, ისე სამეცნიერო წრეებში – გამოიწვია ინტერესის გაღვიძება ნაციონალიზმის შედეგად წამოჭრილი პრობლემებისადმი, რასაც მოჰყვა ცხარე კამათი ამ სფეროში როგორც პოლიტიკური, ისე ინტელექტუალური თვალსაზრისით. ჩრდილოეთ ამერიკაში ეთნიკური კომპლექსურმა შესწავლამ სტიმული მისცა მრავალეთნიკური სახელმწიფოების პრობლემებისადმი ინტერესის აღძვრას მთელს მსოფლიოში.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ნაციონალური იდენტობის ისტორიული სოციოლოგიის კუთხით გადმოცემის მცდელობას და ეფუძნება იმ შეხედულებებს, რომლებსაც ჩემს „ნაციების დასაბამში“ (1986) ვავითარებდი, უმთავრესად, წინამოდერნული ხასიდან დაწყებული, ახალი დროის მსოფლიოს ნაციებიტა და ნაციონალიზმით დამთავრებული. მას საფუძვლად უდევს შეხედულება, რომ ჩვენ არ უნდა გავიგოთ ნაციები და ნაციონალიზმი, როგორც უბრალოდ იდეოლოგიისა ან პოლიტიკური მიმდინარეობის ნაირსახეობა, არამედ ასევე უნდა გავიაზროთ ისინი, როგორც კულტურული ფენომენები. ეს იგივეა, რომ ვთქვათ: ნაციონალიზმი – იდეოლოგია და მოძრაობა – მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ნაციონალურ იდენტობას – მრავალგანზომილებიან, ფართო ცნებას, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ ენას, განწყობილებებსა და სიმბოლიზმს.

მართალია, ანალიტიკური თვალსაზრისით აუცილებელია განვასხვავოთ ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგიური მოძრაობა, უფრო ფართო ცნებისგან, როგორც არის ნაციონალური იდენტობა. მაგრამ ჩვენ ვერ გავიგებთ ნაციონალიზმის, როგორც პოლიტიკური მოძრაობის, ძალასა და მიმზიდველობას, თუ ჩვენ

ანალიზი უფრო ფართო პერსპექტივაში არ დავაფუძნეთ ისეთ კოლექტიურ კულტურულ ფენომენზე, რომლის ფოკუსი არის ნაციონალური იდენტობა.

ასეთი მიდგომა მოითხოვს ნაციონალური იდენტობების საფუძვლებისა და წარმოქმნის პროცესის ისტორიულ-სოციოლოგიურ კვლევას. ეს იმას გულისხმობს, რომ ჩვენ ჯერ უნდა ჩავწვდეთ მოდერნული ნაციების წინამოდერნულ წანამძღვრებს და ნაციონალური იდენტობა და ნაციონალიზმი დაუკავშიროთ ეთნიკური იდენტობისა და საზოგადოებრივი ერთობის საკითხებს.

მართალია, ზოგიერთი ამ საკითხთაგანი სხვაგანაც არის განხილული, მაგრამ მე ვამჯობინე საკუთარი მოსაზრება წარმომედგინა წინამოდერნულ ეთნისა და მოდერნულ ნაციებს შორის კავშირისა და იმ საშუალებების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეიქმნა და ჩამოყალიბდა. ეთნიკურობის პრობლემის თაობაზე ურთიერთსაპირისპირო მიდგომების შემცველი დიდძალი ლიტერატურა არსებობს, რასაც აქ მხოლოდ გაკვრით შევვებები [იხილეთ, უპ. ყოვლისა, სამეცნიერო ესეები ნიგნებში: Taylor and Yapp (1979), Stack (1986), McKay (1982), A.D. Smith (1988a)].

ამ ნიგნში ყურადღებას ვამახვილებ ოთხ მთავარ საკითხზე. პირველი გახლავთ ნაციონალური იდენტობის დახასიათება სხვა კოლექტიურ კულტურულ იდენტიფიკაციებთან შეპირისპირებით. მეორეა თანამედროვე ნაციების ფორმირებაში სხვადასხვა ეთნიკური ბაზისის როლი და ადრეულ (მოდერნულ) ევროპაში მათი წარმოშობის საკითხი. მესამე არის სხვადასხვა სახის ნაციონალისტური იდეოლოგიისა და სიმბოლიზმის ბუნება და მათი გავლენა ტერიტორიული და ეთნიკური პოლიტიკური იდენტობების ჩამოყალიბებაზე. დაბოლოს, ვეხები ნაციონალურ იდენტობათა სხვადასხვაგვარობის პოლიტიკურ შედეგებსა და, აქედან გამომდინარე, ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღების შესაძლებლობას. აქვე განვიხილავ ადგილობრივი არასტაბილურობის გამაღვივებელი იდეოლოგიებისა და იდენტობებისაგან თავის დაღწევის ალბათობას.

შესაძლოა, ნაციონალიზმი წარმოადგენს ყველაზე მძლავრად ფესვგადგმულ მითს იდენტობის შესახებ თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ ის სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. ნაციონალური იდენტობის მითებში პოლიტიკური ერთობის საფუძვლად, როგორც წესი, გვევლინება ტერიტორია ან წინაპრები (ან ორივე ერთად). ეს სხვადასხვაგვარობა ხშირად არასტაბილურობისა და კონფლიქტის წყაროს წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, იმ შემთხვევაში, თუ მათი უგულვებელყოფა ხდება. შემ-

თხვევითი არ არის, რომ ბევრი ყველაზე მწვავე და ხანგრძლივი ეროვნებათაშორისი კონფლიქტი ნაციონალური იდენტობის ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნებისა და კონცეფციებისაგან მომდინარეობს. ამ აზრებისა და მოთხოვნების გაცნობიერება აუცილებელია, თუ გვინდა ოდესმე მაინც გავანელოთ, მოგვარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეს კონფლიქტები და შევქმნათ ნამდვილი ინტერნაციონალური ერთობა (ამის შესახებ იხილეთ შესანიშნავი გამოკვლევა Mayall-თან (1990)).

სწორედ ამ ინტერესებმა განაპირობა ამ წიგნის შინაარსი და გეგმა. მე ვინცებ სხვადასხვა კოლექტიური კულტურული იდენტობის ზედაპირულ განხილვას, რათა გამოვყო ნაციონალური ვინაობის სპეციფიკური ნიშნები. მეორე თავში განვიხილავ თანამედროვე ნაციების ეთნიკურ საფუძვლებს, მათ ნიშნებს, დინამიკასა და გადარჩენის პოტენციალს. მესამე თავში წარმოჩენილია ნაციების ფორმირების ორი მთავარი გზა. აქ დასმულია კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ განვითარდა დასავლეთში პირველი ნაციონალური სახელმწიფოები. ძლიერი სახელმწიფოების მიერ ქვედა ფენებისა და პერიფერიული ეთნიკური ჯგუფების ბიუროკრატიულ ინკორპორაციასა და ინტელექტუალებისა და პროფესიონალების მიერ სახალხო ეთნიკურ ერთობაში "ხალხის" მობილიზაციის პროცესებს შორის კონტრასტმა პირველად თავი იჩინა ახალი დროის ევროპაში. თუმცა ძალიან მალე იგივე პროცესი წარმართა სხვა კონტინენტებზეც და იგი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისა და კულტურის უცვლელ მოტივად იქცა.

მეოთხე თავი ეხება ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის, ენისა და გრძნობის, ცნებას. აქ ყურადღება გამახვილებულია ნაციონალური იდენტობის სიმბოლოებზე, ნეს-ჩვეულებებსა და ცერემონიებზე. ამავე დროს აქ წარმოდგენილია ის განსხვავება, რომელიც ნაციონალიზმის ტერიტორიულსა და ეთნიკურ ფორმებს შორის არსებობს. ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია და ენა, აღმოცენდა მეთვრამეტე საუკუნის ევროპაში. ამიტომაც აუცილებელია მისი კულტურული მატრიცისა და იმ როლის მოკლედ განხილვა, რომელიც მის ჩამოყალიბებაში ინტელექტუალებმა შეასრულეს.

მეხუთე და მეექვსე თავებში განხილულია ნაციონალური იდენტობის ტერიტორიული და ეთნიკური მოდელების ჩამოყალიბების პროცესი და ამ მოდელების გავლენა პოლიტიკაზე მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. მეხუთე თავში ნაჩვენებია ყოფილი იმპერიებისა და კოლონიების ადგილას ნაციონალური პოლიტიკური ერთობების შექმნა; აგრეთვე ისიც, თუ რა როლს ასრულებს ინ-

ტელიგენცია "სამოქალაქო ნაციების" ("civic nations") ჩამოყალიბებაში. მეექვსე თავში თვალი გავადევნე სახალხო "ეთნო-ნაციონალიზმის" პერიოდულ მოზღვაებას მეცხრამეტე საუკუნის აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, მეოცე საუკუნის აფრიკასა და აზიაში, ევროპასა და საბჭოთა კავშირში 1960-იანი წლებიდან. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში "ვერნაკულური მობილიზაციის" ('vernacular mobilization') მსგავსი პროცესი იჩენს თავს. ამ დროს ხდება ხალხის მობილიზაცია მშობლიური (indigenous) კულტურისა და ისტორიის წიაღში, რაც იწვევს მძლავრ ეთნიკურ მოძრაობებს, ირიდენტინიზმსა და სახელმწიფოთა არსებული სისტემის შერყევას. განსხვავებულია მხოლოდ ამ პროცესის ფორმები და ხანგრძლივობა.

უკანასკნელ თავში განხილულია პოსტნაციონალური მსოფლიოს სავარაუდო იერსახე – მსოფლიო ნაციონალიზმისა და, იქნებ, ნაციების გარეშე. თუ გავითვალისწინებთ მრავალეროვან კორპორაციებზე არსებული შეზღუდვების, სამხედრო ბლოკების ეროზიისა და გლობალური საკომუნიკაციო ქსელების ნაციონალიზაციის პროცესებს, გლობალური ზენაციონალური ერთობის პერსპექტივა ერთობ უღიმღამოდ იკვეთება. მიუხედავად ამისა, "პან" ნაციონალიზმების კულტურული მფარველობის ქვეშ რეგიონალური გაერთიანებების ნიშნები კოლექტიურ იდენტიფიკაციაში შესაძლოა ახალ საფეხურს მოასწავებდეს, თუნდაც დედამიწის ზოგიერთ ნაწილში.

ეს, ალბათ, ხანგრძლივი და გაურკვეველი პროცესი იქნება. დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ნაციონალური იდენტობა და ნაციონალიზმი საკმაოდ მძლავრობს და ძალას იკრებს სამომავლოდ. სწორედ ეს განაპირობებს ესოდენ გლობალური ვითარებისა და ფეთქებადი ძალის სასწრაფოდ გაცნობიერების საჭიროებას.

ენტონი დ. სმითი
ლონდონის ეკონომიკის სკოლა
21 მარტი 1990

ნაციონალური და სხვა იდენტობები

ძვ. ნ. 429 წელი ათენისათვის გარდატეხის ქვაკუთხედად იქცა. იმხანად ოცდაათი წლის მმართველობის შემდეგ, ათენელთა მმართველი – პერიკლე ემსხვერპლა შავი ჭირის ეპიდემიას, რომელმაც მთელი ათენი გააჩანაგა. ამ დროიდან ათენის ძლიერება საგრძნობლად შემცირდა.

იმავე წელს სოფოკლემ დადგა ტრაგედია "ოიდიპოს მეფე", რომელიც მის უდიდეს ქმნილებად ითვლება. ამ ტრაგედიას ზოგჯერ ალიქვამენ, როგორც დრამატურგისაგან თანამემამულეთა გაფრთხილებას სიამაყისა და ძალაუფლების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ უდავოა, რომ ცენტრალური თემა ამ ნაწარმოებისა იდენტობის (ვინაობის) პრობლემაა.

ტრაგედია იწყება ყამიანობით, ამჯერად თებეში და არა ათენში. მალე ვიგებთ, რომ შავი ჭირი თებეს ღმერთებმა მოუვლინეს თებეს მეფის, ლაიოსის, დიდი ხნის წინანდელი და ჯერაც გამოუძიებელი მკვლელობის გამო. დელფოს გზაზე მომხდარი ამ მკვლელობიდან სულ მალე თებეში ოიდიპოსი ჩამოვიდა. მან თებე სფინქსისაგან იხსნა იმის წყალობით, რომ ყველა მისი გამოცანა გამოიცნო. ოიდიპოსი თებეში გამეფდა და ცოლად შეირთო დაქვრივებული დედოფალი იოკასტი, რომელთანაც ოთხი შვილი – ორი ვაჟი და ორი ქალი ეყოლა.

ტრაგედიის დასაწყისშივე ოიდიპოსი პირობას დებს, რომ ყამიანობის გამომწვევ მიზეზს გამოიძიებს და ცოდვის ჩამდენს ქალაქიდან გააძევებს. იგი ბრმა მისანს ტირესიას მოუხმობს თავისთან. მაგრამ ტირესია ბუნდოვნად პასუხობს, რომ თავად ოიდიპოსშია სიბილნე და სწორედ ის არის თებედან გასაძევებელი. ოიდიპოსი ეჭვობს, რომ ტირესიას პასუხი იოკასტეს ძმის, მისდამი მტრულად განწყობილი კრეონისაგან მოდის. მაგრამ იოკასტი აცხრობს მათ დაეას და აცხადებს, რომ ლაიოსი ყაჩაღებმა მოკლეს იმ ადგილას, სადაც "სამი გზა ერთდება". ამან ოიდიპოსს ის წუთები გაახსენა, როდესაც მან გზაზე რამდენიმე უცნობი მოკლა. თუმცა ერთი ცოცხალი გადარჩა და თებეში დაბრუნების შემდეგ ითხოვა, რომ სამწყემსურში გაეშვათ. სწორედ ეს კაცი იხმო ოიდიპოსმა იმის გასაგებად, თუ რა მოუვიდა ლაიოსს.

კორინთოდან ჩამოდის მაცნე და იტყობინება, რომ გარდაიცვალა ამ ქალაქის მეფე პოლიბოსი – ოიდიპოსის მამა. ამ ამბავ-

მა გადააწყვეტინა ოიდიპოსს, გამოერკვია, თუ რამ დაატოვებინა მას დიდი ხნის წინ კორინთო სამუდამოდ. ეს ამბავი დელფოს მისნის წინასწარმეტყველების გამო მომხდარა: მისანი იტყობინებოდა, რომ ოიდიპოსი მოკლავდა საკუთარ მამას, ხოლო დედას ცოლად შეირთავდა. და აი, ახლაც, ოიდიპოსი ვერ ბრუნდება კორინთოში, რადგან ეშინია, დედამისი მეროპე არ შეირთოს ცოლად. მაგრამ კორინთოდან ჩამოსულ მაცნეს კიდევ ერთი ამბავი უნდა შეეტყობინებინა ოიდიპოსისათვის: იგი არ იყო კორინთოს მეფისა და დედოფლის ნამდვილი ვაჟი. უშვილო მეფე-დედოფალმა იშვილეს ბიჭი, რომელიც სწორედ კორინთოდან მოსულ მაცნეს ეპოვა ოდესღაც, კითერონის მთაზე მწყემსად რომ იყო. კორინთოელ მწყემსს მაშინ თებელი მწყემსისათვის ბავშვი რომ არ გამოერთმია, ოიდიპოსს სიკვდილი ემუქრებოდა; მისი პატარა ფეხები ისე მაგრად შეებოჭათ, რომ ღრმად ჩაჭერილი წნელისაგან სულ დასიებოდა (აქედან მოდის მისი სახელიც: ოიდიპოსი – დასიებული ფეხი). ვინ იყო ეს თებელი მწყემსი და საიდან ჰყავდა მას ეს ფეხებდასერილი ჩვილი? იოკასტე უმალ ჩასწვდება საშინელ სიმართლეს და ევედრება ოიდიპოსს, შეეშვას შემდგომ კვლევა-ძიებას. ოიდიპოსი უარს აცხადებს: მან უნდა გაარკვიოს, "ვინ არის ის". იოკასტე გარეთ გამოვარდება და თავს ჩამოიხრჩობს, ოიდიპოსი კი არ დრკება:

მოხდეს, რაც არის მოსახდენი, მე გადავწყვიტე, მონაც რომ დავრჩე, ჩემი გვარი შევიცნო მაინც, ის კი ქალია და თავისი ამაყი ფიქრით ალბათ რცხენია, მდაბიორი რომ გამოვდექი, მე კი აგრე ვთვლი, მე შვილი ვარ კეთილმომცემი ბედის ქალღმერთის და პატივი არა მაქვს მცირე, მან ისე მშობა, როგორც დედამ, ხოლო და-ძმებად თვეები მყავდა, მათ გამხადეს მცირეც და დიდიც. მე, აგრე შობილს, არაფერი ისე არ შემცვლის, რომ ჩემი გვარის გამოცნობა არ მოვიხდომო.¹

ახლა თებელი მწყემსი მოიყვანეს. აღმოჩნდა, რომ კაცი, რომელიც ლაიოსის მკვლელობის დროს ცოცხალი გადარჩა, სწორედ ის იყო, ვისაც დიდი ხნის წინათ კითერონის მთაზე კორინთოელი მაცნესათვის ჩვილი გადაეცა. თებელ მწყემსს ჯერ არ უნდოდა სიმართლის გამხელა, მაგრამ მერე საშინელი მუქარით შეშინებულმა აღიარა, რომ იგი იყო ლაიოსისა და იოკასტეს უახლოესი მსახური. მათ გაატანეს მას კითერონის მთაზე დასალუპავად

განწირული ბავშვი, რადგან წინასწარმეტყველების ახდენის შეუძინდათ. ბავშვი ლაიოსისა და იოკასტეს შვილი იყო...

ოიდიპოსი გარეთ გავარდება, ჭერში ჩამოკიდებულ თოქზე ჩამომხრჩვალ იოკასტეს იპოვის და თვალებს დაითხრის. მთელი მისი დარჩენილი ცხოვრება – ჯერ თებეში, შემდეგ კი ანტიგონესთან ერთად გადასახლებაში – ერთ გრძელ შეკითხვად, მისი უცნაური ბედ-იღბლის არსში ჩანვდომის მცდელობად ქცეულიყო, სანამ კოლონოში – ათენის გარეუბანში, ევმენიდების ტევრში, მასაც მიწამ არ უყო პირი. ასე განწმინდა მან ათენი სამუდამოდ. ეს იყო პოეტის უკანასკნელი აზრი, ძვ.წ. 406 წ., მისი ხანგრძლივი ცხოვრების დასასრულს.²

იდენტობათა სიმრავლე

სოფოკლეს ამ დრამაში ბევრი მოტივი და არაერთი შრეა, მაგრამ მოქმედებას თავიდან ბოლომდე გასდევს როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური იდენტობის საკითხი. "მსურს ვიცოდე, ვინა ვარ": საკუთარი თავის შეცნობა არის როგორც სპექტაკლის მამოძრავებელი ძალა, ისე მოქმედების დედაარსი. მაგრამ ოიდიპოსის მიერ გაშიშვლებული "მე" იმავდროულად გახლავთ სოციალური "მე", კატეგორია თუ როლი მაშინაც კი, როდესაც მასში სიმართლის ნიშან-წყალიც არსადაა.) მხოლოდ და მხოლოდ თავისი ვინაობის საბედისწერო გამჟღავნების შემდეგ შეძლებს ოიდიპოსი საკუთარი ბედ-იღბლისათვის წამიერად თვალის გახსნობას. ის არც ღვანლმოსილი მმართველია, არც ჩვეულებრივი მამა ან მეუღლე და არც ქალაქის მხსნელი. ის ხან ბილწ არსებად გვევლინება, ხან – მკვლელად, ხან – მდაბიო მონად, ხან – უცხო ჯურის კაცად და ხანაც – ბედის ნებიერად. როდის-როდის დაინახავს იმას, რასაც, თუმცა თვალხილული გახლდათ, ვერ ხედავდა და რასაც მხოლოდ ბრმა მისანი ტირესია ჭერებდა. ის მეორე ტირესიად იქცევა, მეორე ბრმა მისნად, რომელიც გამოვლილ ჭირთა და გამორჩეული ბედის წყალობით კურნებისა და ხსნის ნიჭს ეზიარება³.

ოიდიპოსი სოფოკლეს ამ დრამაში კატეგორიებისა და როლების მთელ წყებას გამოცდის. ეს როლები და კატეგორიები იმავდროულად კოლექტიურ იდენტობათა ის სიმრავლეა, რომელიც კარგად იყო ცნობილი მეხუთე საუკუნის ბერძნებისათვის. მათ, სამეფო ხელისუფლებისა თუ მკვლელობის გამოცდილებაც რომ არ ჰქონოდათ, კარგად ესმოდათ ამგვარი თემების სიმბოლური და მითიური მნიშვნელობა. ოიდიპოსის ტრაგედია ბედის ამ უც-

ნაურობის გამო, მის მიერ თანმიმდევრობით შესრულებული ეს ყალბი როლები ადვილად გასაგებად ესახებოდათ.

ოიდიპოსი, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი გმირები, რომელთა საქმენი ბერძენმა ტრაგიკოსებმა აღწერეს, ჩვეულებრივი ადამიანია, ოღონდ უჩვეულო პირობებში ჩაყენებული და თავისი განსაკუთრებული ბედით გამორჩეული. ის ჩვეულებრივია იმდენად, რამდენადაც ის როლები, რომლებიც მას თავისი წარმომავლობის გაგებამდე უნდა შეესრულებინა, გამოხატავენ კოლექტიურ იდენტობათა და "ადგილსამყოფელთა" მთელ ნყებას. როგორც სხვებს, ოიდიპოსსაც ჰქონდა ასეთი როლი-იდენტობები: მამა, ქმარი, მეფე და თვით გმირი. მისი ინდივიდუალური იდენტობა, მეტწილად, ამ სოციალური როლებისა და კულტურული კატეგორიებისაგანაა შექმნილი; ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა ჭეშმარიტების გამოაშკარავებამდე. მერე კი მისი სამყარო ამოტრიალდა, მისი წინანდელი იდენტობები კი ფუჭი აღმოჩნდა.

ოიდიპოსის ამბავი კარგად წარმოაჩენს იდენტობის პრობლემას. ის ცხადყოფს, რომ "მე" მრავალ იდენტობასა და როლს მოიცავს, იქნება ეს ოჯახური, ტერიტორიული, კლასობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ გენდერული. ის აგრეთვე ავლენს, თუ როგორ ეფუძნება თითოეული ეს იდენტობა იმ სოციალურ კლასიფიკაციებს, რომლებმაც შესაძლოა სახე იცვალოს ან სულაც გაქრეს. ოიდიპოსის წარმოშობის გამოაშკარავება გვასწავლის, რომ სხვა უხილავი სამყარო ეხება მატერიალურს, თავდაყირა აყენებს მის სოციალურ კატეგორიებს და ანგრევს ყველა ნაცნობ იდენტობას. /

რას წარმოადგენს ეს კატეგორიები და როლები, რომლისგანაც თითოეული ინდივიდუალური "მე" შედგება?

ყველაზე აშკარა და ფუნდამენტურია გენდერის კატეგორია. გენდერული კლასიფიკაციები უცვლელი თუ არა, უნივერსალური და ყოვლისმომცველია. მათგანვე გამომდინარებობს სხვა განსხვავებანი და დაქვემდებარებანი. სქესია, ცხადად თუ ფარულად, ჩვენი განმსაზღვრელი; ის განაპირობებს მეტწილად ჩვენს შესაძლებლობებსა თუ მიღწევებს. იმავდროულად, გენდერული განსხვავების ეს უნივერსალური და ყოვლისმომცველი ბუნება განაპირობებს იმ გარემოებას, რომ იგი უფრო სუსტ საფუძველს წარმოადგენს კოლექტიური იდენტიფიკაციისა და საზოგადოებრივი მობილიზაციის პროცესში და შემჭიდროების უნარსაც მოკლებულია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ფემინისტური მოძრაობა აღმავლობას განიცდის, გენდერული იდენტობა, რომელიც მთელ დედამიწას მოიცავს, თანამედროვე მსოფლიოს

სხვა კოლექტიურ იდენტობებთან შედარებით ფერმკრთალდება და თავისთავად მოცემულობად აღიქმება. კოლექტიური ცნობიერების ან ქმედების ინსპირირებისათვის გეოგრაფიულად, კლასებად და ეთნიკურად დაყოფილი გენდერული განშტოებანი საჭიროა დაუკავშირდეს სხვა, უფრო მეტად შემამჭიდროებელ, იდენტობებს.⁴

მეორე არის სივრცის ან ტერიტორიის კატეგორია. ლოკალური და რეგიონული იდენტობა ასევე ფართოდ გავრცელებულია, განსაკუთრებით, პრემოდერნულ ხანამდე. ლოკალიზმიც და რეგიონალიზმიც თითქოს ფლობს იმ შემაკავშირებელ თვისებას, რომელიც გენდერს ჩვეულებრივ არ გააჩნია. მაგრამ პირველი შეხედულება ხშირად მცდარია. რეგიონები ადვილად შეიძლება დანაწევრდეს და ეს ნაწილებიც, შესაძლოა, სხვადასხვა დასახლებებად დაიყოს. ძალზე იშვიათად ვხვდებით ძლიერ და შეკავშირებულ რეგიონულ მოძრაობას, როგორც იყო, მაგალითად, ვანდუაში საფრანგეთის რევოლუციის დროს. მაგრამ, როგორც ამ ცალკეულ შემთხვევაში, მის ერთიანობას შესაძლოა განაპირობებდეს როგორც იდეოლოგია, ისე ეკოლოგია. უმეტესწილად კი "რეგიონალიზმს" განსხვავებული სატკივრისა და თავისებური პრობლემების მქონე პოპულაციების მობილიზაციის უნარი არ გააჩნია. გარდა ამისა, რეგიონები გეოგრაფიულად ძნელად განსასაზღვრია, მათი ცენტრები ხშირად მრავალრიცხოვანია, საზღვრები კი – ბუნდოვანი.⁵

მესამე ტიპი კოლექტიური იდენტობისა სოციალ-ეკონომიკურია და სოციალური კლასის კატეგორიას განეკუთვნება. ოიდიპოსის შიში იმისა, რომ ის შეიძლება იყოს "მონად შობილი," აირეკლავს ძველბერძნებისეულ მონობისა და სიღარიბის შიშს. ხშირად ეს შიში განაპირობებდა პოლიტიკურ ქმედებებს მაშინაც კი, როდესაც მონობა ყმობის ინსტიტუტმა შეცვალა. მარქსის სოციოლოგიაში კლასი პირველადია, იგია ნამდვილად რელევანტური კოლექტიური იდენტობა და ისტორიის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა. გარკვეული სოციალური კლასები – სხვადასხვა ტიპის ანდისტურატია, ბურჟუაზია, პროლეტარიატი – ზოგჯერ გადამწყვეტი პოლიტიკური და სამხედრო ქმედების საფუძველს ქმნის; ზოგჯერ, მაგრამ არა ყოველთვის, მეტიც, არცთუ ძალზე ხშირად. არისტოკრატის ერთობლივი ქმედება არც ისე ხშირად იჩენს თავს, როგორც ფრაქციული კონფლიქტი თვით არისტოკრატის შიგნით. ნაციონალური ბურჟუაზიის სექტორებსა და ფრაქციებს შორის კონფლიქტი არცთუ ისე უჩვეულოა, თვით საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა-

დასხვა ერების ბუნყუაზღებს შორის დაპირისპირებაზე. ხოლო რაც შეეხება მუშათა კლასს, მართალია, პროლეტარიატის საერთაშორისო ძმობის მითი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ ასევე ფართოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანია მშრომელთა ერთობა მოცემული ნაციის ფარგლებში, რადგან მუშები იყოფიან ინდუსტრიული სექტორებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვით. მუშათა რევოლუციები თითქმის ისეთივე იშვიათობაა, როგორც გლეხთა რევოლუცია. ორივე შემთხვევაში სპორადული და ლოკალური აჯანყებები ნორმალაა მიჩნეული.⁶

სოციალური კლასი ძნელად თუ გამოდგება ხანგრძლივი კოლექტიური იდენტობის საფუძვლად, რადგან მისი ემოციური მიმზიდველობა შეზღუდულია და არც კულტურული სიღრმე გააჩნია. "კლასს" მარქსისეული წარმოების საშუალებებთან დამოკიდებულების მიხედვით განესაზღვრავთ თუ ვებერს დავესესხებით, რომლის თანახმადაც "კლასი" წარმოადგენს ბაზარზე იდენტური შანსების მქონე ერთობლიობას, ორივე შემთხვევაში ძალიან გაგვიჭირდება მისი საზოგადოებრივი ერთობის წარმოჩენა ცნობიერებისა და იდენტობის საფუძვლად. კლასები, ისევე, როგორც გენდერული განშტოებანი, ხშირად სხვადასხვა ტერიტორიაზეა მომოფანტული. კლასი მეტწილად ეკონომიკური ინტერესის კატეგორიაა და, ამდენად, ის იყოფა შემოსავლის სიდიდისა და პროფესიული უნარ-ჩვევების სხვადასხვაგვარობის მიხედვით. გარდა ამისა, ეკონომიკური ფაქტორები ძალზე სწრაფად იცვლება; აქედან გამომდინარე, კლასობრივ საზოგადოებაში სხვადასხვა ეკონომიკურ ჯგუფში ხანგრძლივად ყოფნის შანსი, ცოტა არ იყოს, საეჭვოა. პირადი ეკონომიკური ინტერესები, როგორც წესი, სტაბილური კოლექტიური იდენტობის მასალად არ გამოდგება.

კლასობრივი იდენტობის კიდევ ერთი ასპექტი არსებობს, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს და, მეორე მხრივ, ენინაღმდეგება სტაბილური საზოგადოებრივი ერთობის ფორმირებას. "კლასი" აღნიშნავს სოციალურ ურთიერთობას; მოცემულ სოციალურ ფორმაციაში ყოველთვის არსებობს ორი ან მეტი დაპირისპირებული კლასი; ეს დაპირისპირება კიდევ უფრო ამწვავებს კლასთა შორის განსხვავებას და, ამდენად, კლასობრივ იდენტობებსაც, როგორც ეს ბრიტანეთის მუშათა კლასის კულტურის შესწავლამ ცხადყო. იმავდროულად, როგორც ცნობილია, ამგვარ კლასობრივ იდენტობაში ტერიტორიულად შემოსაზღვრული პოპულაციის მხოლოდ ნაწილია ჩართული. იმ შემთხვევაში, თუ უნდა აღმოცენდეს უფრო რთული კოლექტიური იდენტობა, რო-

მელიც მთლიანად მოიცავს მთავრულ ტერიტორიაზე არსებულ პოპულაციას, იგი იქნება სრულიად განსხვავებული იმისაგან, რასაც კლასებსა და ეკონომიკურ ინტერესებზე დაფუძნებული იდენტობა ჰქვია. ასეთი, უფრო ფართო მასშტაბის, კოლექტიური იდენტობები შეიძლება დაუპირისპირდეს ისეთ, შედარებით შემოსაზღვრულ, იდენტობებს, როგორცაა კლასის იდენტობა; შესაძლოა, სულაც დაანგრიოს ისინი, ან კიდევ, დაყოს კატეგორიზაციის სრულიად სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

სწორედ ასე ხდება ყველაზე ხშირად, როგორც რელიგიური, ისე ეთნიკური იდენტობა მიიღტვის იმისაკენ, რომ მის საფუძველზე შექმნილმა საზოგადოებრივმა ერთობამ ერთზე მეტი კლასი მოიცვას. როდესაც რელიგიური გაერთიანებები ეკლესიად გარდაქმნას ლამობენ, ისინი მოცემული პოპულაციის ყველა უბანს მიმართავენ და ხშირად ეთნიკური საზღვრების გადალახვასაც ცდილობენ. მათი გზავნილი ან ნაციონალურ ელფერს ატარებს, ან უნივერსალურს. ის არასოდეს ყოფილა მიმართული მხოლოდ ცალკეული კლასისადმი მაშინაც კი, როცა ამ რელიგიას სინამდვილეში მხოლოდ ერთი კლასი განეკუთვნებოდა. სასანიანთა სპარსეთში მეხუთე საუკუნის მანდაკიზმმა, როგორც სოციალური სამართლიანობის მოძრაობა, უდავოდ დაბალი სოციალური კლასებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ მისი მოწოდება, პრინციპში, უნივერსალური იყო. ასევე, ანგლიკანიზმი მეთვრამეტე საუკუნის ინგლისში უპირატესად მაღალი და საშუალო კლასის წარმომადგენელთათვის მოიაზრებოდა, თუმცა, პრინციპში, ის ღია იყო ყველა ინგლისელისათვის. როგორც ვებერმა აღნიშნა, "კლასობრივი რელიგიების" ბევრი სხვადასხვა ფორმის არსებობა კლასობრივი და რელიგიური იდენტობების მჭიდრო კავშირსა და მათ ურთიერთისაკენ სწრაფვაზე მეტყველებს.⁷

მიუხედავად ამისა, "რელიგიური იდენტობა" "სოციალური კლასისაგან" სრულიად განსხვავებულ კრიტერიუმებს ემყარება და ადამიანური საჭიროებისა და ქმედების სრულიად განსხვავებული სფეროებიდან წარმოდგება. თუ კლასობრივი იდენტობა წარმოებისა და გაცვლის სფეროდან მომდინარეობს, რელიგიური იდენტობა კომუნიკაციისა და სოციალიზაციის სფეროს ნაყოფია. იგი დაფუძნებულია კულტურის ღერძისა და მისი ელემენტების – ღირებულებების, სიმბოლოების, მითებისა და ტრადიციების – ანაბეჭდებზე, რომლებიც ხშირად წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებშია კოდირებული. ამდენად, რელიგიური იდენტობა შიდრეკილია იქითკენ, რომ მოწინააღმდეგე ერთ ჯგუფში გააერთიანოს ყველა ის, ვისთვისაც ერთნაირადაა მისაღები გარკვეული სიმბოლური

კოდები, ღირებულებათა სისტემები, სარწმუნოებრივი თუ რიტუალური ტრადიციები, ზეემპირიული რეალობისადმი (თუნდაც უპიროვნო) მიმართებანი და სპეციალიზებული ორგანიზაციების თუნდაც ძალზე სუსტი ანარეკლი.⁸

რელიგიური ერთობა ხშირად მჭიდროდ უკავშირდება ეთნიკურ იდენტობას. მაშინ, როცა "მსოფლიო რელიგიები" ცდილობენ გადალახონ და მოშალონ ეთნიკური საზღვრები, რელიგიური ერთობების უმეტესობა თანხვედება ეთნიკურ ჯგუფებს. სომხები, ებრაელები, მონოფიზიტი ამჰარა გვთავაზობს ასეთი თანხედრის კლასიკურ შემთხვევებს; ამასვე მეტყველებს კოპტების მდგომარეობა არაბთა მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე. ეს კავშირი შეიძლება იყოს კიდევ უფრო მჭიდრო. ის, რაც თავდაპირველად შეიქმნა, როგორც წმინდად რელიგიური ერთობა, საბოლოოდ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკურ ერთობად ჩამოყალიბდეს. ამის მაგალითია დრუზები - ეგვიპტეში დაარსებული მუსლიმ სქიზმატიკოსთა სექტა. იმის გამო, რომ იდეენებოდნენ, დრუზებმა გადაინაცვლეს ლიბანის მთის ციხე-სიმაგრეებისაკენ. აქ ისინი მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში ათი წლის მანძილზე თავიანთ რიგებში იღებდნენ სპარსელებს, ქურთებსა და არაბებს. მაგრამ ახ. წ. 1031 წელს თავიანთი უკანასკნელი მოძღვრის ბაჰა'ალ დინის გარდაცვალების შემდეგ პროზელიტიზაცია შეწყდა. აღინუსხა საზოგადოების ყველა წევრი, უპირველეს ყოვლისა, გარედან რელიგიური შემოტევის შიშით. ამ საზოგადოებაში ველარც ვერავინ შევიდოდა და ვერც ველარავინ გაემიჯნებოდა მას. ძალიან მალე დრუზები იქცნენ არა მარტო რელიგიურ, არამედ შთამომავლობით და ტერიტორიულ ერთობად. იყო დრუზი დღეს ნიშნავს, იყო "ეთნო-რელიგიური" ერთობის წევრი.⁹

დღესაც კი ბევრი ეთნიკური უმცირესობა ინარჩუნებს მჭიდრო რელიგიურ კავშირებსა და ემბლემებს. ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკეები და პროტესტანტები, პოლონელები, სერბები და ხორვატები, მარონიტები, სიქჰები, სინჰალელები, კარენები და შიიტები სპარსელები იმ მრავალეთნიკურ საზოგადოებათა რიცხვს განეკუთვნებიან, რომელთა იდენტობაც დაფუძნებულია განსხვავებულ რელიგიურ კრიტერიუმზე. აქაც, როგორც ჯონ არმსტრონგმა ცხადყო, ძალიან ადვილია ერთი ტიპის იდენტობიდან მეორე ტიპის იდენტობაში "გადანაცვლება". ასევე ხშირია იდენტობათა ურთიერთგადაფარვა. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ეს ორი ტყუპი სფერო - რელიგიური და ეთნიკური - იდენტურ თუ არა, ერთობ მჭიდროდ კავშირში მანც იყო ერთიმეორესთან. ძველ დროში ყოველ ხალხს ჰყავდა

თავისი საკუთარი ღმერთები, წმინდა ტექსტები, რიტუალები და ტაძრები იქაც კი, სადაც უმცირესობა თუ მინათმოქმედთა ჯგუფები თავიანთი მმართველების დომინანტურ კულტურასაც იყენენ ნაზიარები.) როგორც ადრე შუა საუკუნეების ევროპაში, ისე შუა აზიაში ისლამური და ქრისტიანული მსოფლიო რელიგიები ზოგჯერ ეთნიკურად გამიჯნულ ეკლესიებად ან სექტებად იყოფოდნენ, რაც დასტურდება სომხების, კოპტებისა და, მოგვიანებით, შიიტი სპარსელების მაგალითით. მართალია, არ შეიძლება გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ხსენებული პროცესი ეთნიკური ფაქტორითაა განპირობებული, მაგრამ საკმაო საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ რელიგიურ იდენტობასა (მსოფლიო რელიგიების ნიაღშიაც კი) და ეთნიკურ საზღვრებსა და ერთობებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობა ვივარაუდოთ.¹⁰

და მაინც, ანალიტიკური თვალსაზრისით, კოლექტიური კულტურული იდენტობის ეს ორი სახე მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან. რელიგიურმა გაერთიანებამ, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება დაანანევროს ეთნო-ლინგვისტური-პოპულაცია, როგორც ეს მოხდა შვედებთან თუ გერმანელებთან, ან კიდევ, ეგვიპტეში. ძალიან დიდხანს რელიგიური მიჯნები ხელს უშლიდა ძლიერი და მყარი ეთნიკური ცნობიერების ჩამოყალიბებას ამ ხალხებში, სანამ საზოგადოების გაერთიანება ახალ, პოლიტიკურ საფუძველზე სწორედ ნაციონალიზმის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. თუმცა, ისეთმა მსოფლიო რელიგიებმა, როგორიცაა ბუდიზმი და ქრისტიანობა, შესაძლოა, მათი აღიარების შემდეგ, ადრე არსებული ეთნიკური საზოგადოებები გააძლიეროს, როგორც ეს შრი ლანკასა და ბირმაში მოხდა. ასევე, მსოფლიო რელიგიის მიღებამ შეიძლება შეასუსტოს ეთნიკური განსხვავებები. ასე გაერთიანდნენ მთელი რიგი ბარბაროსი ხალხები მას შემდეგ, რაც ისინი გაქრისტიანდნენ. ამის მაგალითია ანგლების, საქსებისა და იუტების გაერთიანება ინგლისში.¹¹

შემდეგ თავში განვიხილავ საკუთრივ ეთნიკური იდენტობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, გამოვყოფ მის განსხვავებას სხვა იდენტობებისაგან, რელიგიური იდენტობის ჩათვლით. ამგვარად ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობათა მსგავსებას უნდა გაესვას ხაზი. ორივეს წარმომავლობა ეფუძნება კლასიფიკაციის ერთგვარ კრიტერიუმს – კულტურულს. ისინი ხშირად მოიცავენ და აძლიერებენ ერთმანეთს, ერთად ან ცალ-ცალკე მათ შეუძლიათ ძლიერი საზოგადოებრივი ერთობების მობილიზაცია და შენარჩუნება.

“ნაციონალური” იდენტობის ელემენტები

კოლექტიური იდენტობის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც დღევანდელ დღეს ესოდენ მნიშვნელოვანი და გავრცელებულია, მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები თებეს ციკლის სოფოკლეს დრამებში. დრამები თუმც ზოგჯერ ქალაქებს შორის არსებული კონფლიქტების გარშემო ტრიალებს, მათში არასოდეს ნამოჭრილა “ნაციონალური” იდენტობის პრობლემა. ოიდიპოსს მრავალგვარი იდენტობა აქვს, მაგრამ მისი “უცხოელობა” (ანუ არაბერძნული წარმომავლობა) მათ შორის არ მოიაზრება. კოლექტიური კონფლიქტები მეტწილად ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებსა და მათ მმართველებს შორის მიმდინარე ომებში აისახება. მართლაც, განა არ ასახავს ყოველივე ეს ძვ. წ. V ს-ის საბერძნეთის ვითარებას?

ფრიდრიხ მაინეკე გახლდათ ის, ვინც 1908 წელს ერთმანეთისაგან განასხვავა *Kulturnation* (კულტურული ნაცია) ანუ, უპირატესად, პასიური კულტურული ერთობა, და *Staatsnation* (სახელმწიფო ნაცია) – აქტიური თვითდეტერმინირებული პოლიტიკური ნაცია. შესაძლოა, არ ვეთანხმებოდეთ ტერმინების, თვით ტერმინების, მისეულ გამოყენებას – თუმც მხოლოდ და მხოლოდ თვით ამ ტერმინებისა; მაგრამ განსხვავება თავისთავად საფუძვლიანია და არსებითი. პოლიტიკური თვალსაზრისით, ძველ საბერძნეთში არ არსებობდა “ნაცია”, იყო მხოლოდ ქალაქ-სახელმწიფოების ერთობა, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლობის აზრით იყო შეპყრობილი. თუმცა კულტურული თვალსაზრისით, არსებობდა ძველი ბერძნული ერთობა, ელადა, რომელიც შეიძლებოდა, მაგალითად, პერიკლეს გამოეხმო პოლიტიკურ სარბიელზე – როგორც წესი, ათენის სასარგებლოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ბერძნულ კულტურულ და ეთნიკურ ერთობაზე, მაგრამ არა ძველ ბერძნულ “ნაციაზე.”

ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რასაც “ნაციონალურ იდენტობას” ვუნოდებთ, გულისხმობს გარკვეულ, თუნდაც ერთობ უმნიშვნელო ცნებას პოლიტიკური ერთობისა. პოლიტიკური ერთობა, თავის მხრივ, ნიშნავს გარკვეული საერთო ინსტიტუციებისა და ამ ერთობის ყველა წევრისათვის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანი სისტემის არსებობას. ის აგრეთვე გულისხმობს განსაზღვრულ სოციალურ სივრცეს, მკაფიოდ შემოსაზღვრულ ტერიტორიას, რომელთანაც არსებული ერთობის წევრები იდენტიფიცირდებიან და რომელსაც თავის თავს მიაკუთვნებენ. სწორედ ამ მოსაზრებით განსაზღვრა ნაცია ზოგიერთმა ფილოსოფოსმა, როგორც იმ

ადამიანთა ერთობა, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე ერთსა და იმავე კანონებსა და ინსტიტუციებს ემორჩილებიან.¹³

ეს, რა თქმა უნდა, ნაციის პირნმინდად დასავლური კონცეფციაა. მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ სწორედ დასავლურმა გამოცდილებამ იქონია ძალზე ძლიერი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ზემოქმედება ერთობის იმ კონცეფციაზე, რომელსაც "ნაციას" ვუნოდებთ. ახლებური პოლიტიკა – რაციონალური სახელმწიფო და საზოგადოების ახალი ტიპი – ტერიტორიული ნაცია, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, პირველად დასავლეთში აღმოცენდა. მათ თავისი დალი დაასვეს უფრო გვიანდელ არადასავლურ კონცეფციებს და ეს მაშინაც შეინიშნებოდა, როდესაც ეს უკანასკნელნი ნორმიდან გადაუხვევდნენ.

მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ ნაციის ეს დასავლური ანუ "სამოქალაქო" მოდელი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სივრცული თუ ტერიტორიული კონცეფცია. ამ თვალსაზრისის თანახმად, ნაციის განკარგულებაში უნდა იყოს კომპაქტური, მისთვის განსაზღვრული ტერიტორია. ხალხი და ტერიტორია ერთმანეთს უნდა ეკუთვნოდნენ ისე, როგორც ეს პოლანდიელებთანაა. ძველ პოლანდიელებს თავი მიაჩნდათ ღია ზღვებისაგან ნაშობ ხალხად, რომელმაც საკუთარი მინა-წყალი გამოჭედა (სიტყვა-სიტყვით) და თავის სამფლობელოდ აქცია. მაგრამ ასეთი მინა-წყალი ყველგან ვერ იქნება. ის არ არის ჩვეულებრივი მინის ნაკვეთი; ის არის და უნდა იყოს "ისტორიული" მინა-წყალი, "სამშობლო", ჩვენი ხალხის "აკვანი" მაშინაც კი (როგორც ეს თურქების მაგალითიდან ჩანს), როცა ის პირველსაცხოვრისს არ წარმოადგენს. "ისტორიული მინა-წყალი" ის კუთხეა, სადაც ადგილიცა და ხალხიც საუკუნეების მანძილზე ერთმანეთზე კეთილისმყოფლად ზემოქმედებდა. სამშობლო ხდება ისტორიული მეხსიერებისა და ასოციაციების საცავი, ადგილი, სადაც "ჩვენი" ბრძენი წინაპრები, წმინდანები და გმირები ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, ღოცულობდნენ და იბრძოდნენ. ყოველივე ამის გამო მშობლიური მინა უნიკალური ხდება. მისი მდინარეები, სანაპიროები, ტბები, მთები და ქალაქები "საკრალურ" მნიშვნელობას იძენს. ამ სათაყვანო და აღმაფრთოვანებელი ადგილების მნიშვნელობას შეიძლება ჩასწვდნენ მხოლოდ განდობილნი. ანუ, ნაციონალური თვითშეგნების მქონე პირები. ასევე, ამ მინა-წყლის ბუნებრივი რესურსებიც მხოლოდ მისი ხალხის კუთვნილებაა, "უცხოელები" ვერც მოიხმარენ და ვერც იხიერებენ. ნაციონალური ტერიტორია თვითკმარად უნდა იქცეს. ავტარქია როგორც

სამშობლოს საკრალურობის დაცვის, ისე ეკონომიკური ინტერესებითაა ნაკარნახევი¹⁴.

მეორე ელემენტი *მამულის (patria)*, ერთიანი პოლიტიკური ნების, საერთო კანონებისა და ინსტიტუციების იდეა. ამის შედეგია ზოგიერთი ზოგადმარეგულირებელი ინსტიტუციის წარმოქმნა, რაც საერთო პოლიტიკურ განწყობილებებსა და ამოცანებში პოვნებს ასახვას. ზოგჯერ *პატრია* აირეკლება ძლიერად ცენტრალიზებულ და უნიტარულ ინსტიტუციებსა და კანონებში, როგორც რევოლუციის შემდგომ საფრანგეთში; თუმცა, იქაც კი, სხვადასხვა რეგიონები ინარჩუნებდნენ თავიანთ იდენტობებს მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის. მეორე უკიდურესობას წარმოადგენს იმ ცალკეული კოლონიების, პროვინციებისა და ქალაქ-სახელმწიფოების კავშირები, რომელთა ფედერალური ინსტიტუციები და კანონები ემსახურება როგორც ადგილობრივი პროვინციული თავისუფლების დაცვას, ისე საერთო ნებისა და საერთო პოლიტიკური სენტიმენტების გამოხატვას. როგორც *ამერიკის შეერთებული შტატები*, ისე ნიდერლანდების გაერთიანებული პროვინციები წარმოადგენს ამგვარი ნაციონალური კავშირის ნათელ დადასტურებას.) ბევრი თვალსაზრისით 1579 წლის უტრეხტის უნიისა და ნიდერლანდების გაერთიანებული სახელმწიფოს (Union of Utrecht in 1579 and of the Netherlands' States General) უპირველესი ამოცანა იყო, დაეცვა მასში შემავალი პროვინციების ოდინდელი თავისუფლება და პრივილეგიები, რომლებსაც ასე უხეშად ხელყოფდა კარლოს V-ისა და ფილიპე II-ის მმართველობის დროს განხორციელებული ჰაბსბურგთათვის ჩვეული ცენტრალიზაციის პოლიტიკა. თუმცა ესპანეთის წინააღმდეგ გაჩაღებული ხანგრძლივი ომის სისასტიკემ მალე გააღვივა ერთიანი მიზნისა და იდენტობის თვითშეგნება (კალვინისტური ზეგავლენისაგან სრულიად დამოუკიდებლად), რაც გამოხატავდა ჰოლანდიური ნაციონალურ-პოლიტიკური ერთიანობის აღმავლობას, თუნდაც არასრულყოფილების ნიშნით აღბეჭდილს.¹⁵

მზარდი სამართლებრივი და პოლიტიკური ცნობიერების თანამდევად შეიძლება მოვიხაზროთ საზოგადოებაში ერთობის ნევრთა შორის სამართლებრივი თანასწორობის ცნება. მისი სრული გამოვლინებაა სოციოლოგების მიერ განსაზღვრული სხვადასხვა სახე "მოქალაქეობისა", - ისეთი, როგორიცაა სამოქალაქო და სამართლებრივი თუ პოლიტიკური უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე, სოციალ-ეკონომიკური უფლებები. აი, ის სამართლებრივი და პოლიტიკური უფლებები, რომელთაც დასავლური კონცეფცია ნაციის მისეული მოდელის განუყოფელ ნაწილად მი-

იჩნევს: ეს გულისხმობს ნაცვალგებით უფლებათა და ურთიერთ-ვალდებულებათა მინიმუმის არსებობას მოცემული საზოგადოების წევრებს შორის, და, შესაბამისად, გარეშე პირთა გამორიცხვას ამ უფლება-ვალდებულებათაგან. ის აგრეთვე გულისხმობს ადგილობრივ კანონმდებლობებზე მალლა მდგომი სამართლის საერთო კოდექსისა და, მასთან ერთად, მისი ისეთი კანონალ-მასრულებელი სამსახურების არსებობას, როგორიცაა უზენაესი სასამართლო და სხვ. მნიშვნელოვანია სწორედ იმ პრინციპის მიღება, რომ ნაციის ყველა წევრი თანასწორია კანონის წინაშე და რომ მდიდარი და ძლიერი მამულის (*patria*) კანონებით არის შეზღუდული.

საბოლოოდ, პოლიტიკური ერთობის წევრთა სამართლებრივი თანასწორობა მის მშობლიურ, საზღვარშემოვლებულ მიწა-წყალზე შეიგრძნობა მისი პოპულაციისა თუ, უკიდურეს შემთხვევაში, ერთობის მთავარი, ძირეული ნაწილისათვის საერთო ღირებულებებისა და ტრადიციების წყალობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციებს უნდა ჰქონდეთ საერთო კულტურისა და სამოქალაქო იდეოლოგიის, საერთო გაგებათა და მისწრაფებათა, გრძნობათა და იდეათა საზომი, რომელიც შეაკავშირებს პოპულაციას მის მიწა-წყალზე. საერთო სახალხო მას-კულტურის უზრუნველყოფა ევალება სახალხო სოციალიზაციის დაწესებულებებს, კერძოდ, საყოველთაო განათლების სისტემასა და მას-მედიას. ნაციონალური იდენტობის დასავლურ მოდელში ნაცია გაიაზრებოდა, როგორც კულტურის ერთობა, რომლის წევრები, გაერთვაროვნებულნი თუ არა, გაერთიანებულნი მაინც იყვნენ საერთო ისტორიული მემსიერებით, მითებით, სიმბოლოებითა და ტრადიციებით. იქაც კი, სადაც ახალ, იმიგრანტულ გაერთიანებათა არსებობა სახელმწიფოს მიერ ნებადართულადაა გამოცხადებული, ისტორიული კულტურით აღჭურვილ ამ გაერთიანებებს რამდენიმე თაობის გამოცვლა დასჭირდათ იმისათვის, რომ მათი შთამომავლები "ნაციისა" და მისი ისტორიული კულტურის წევრები გამხდარიყვნენ საყოველთაო სოციალიზაციის ნაციონალური დაწესებულებების დახმარებით.¹⁶

ისტორიული ტერიტორია, სამართლებრივ-პოლიტიკური საზოგადოება და საერთო სამოქალაქო კულტურა და იდეოლოგია – ყოველივე ეს არის ნაციის სტანდარტული, დასავლური მოდელის კომპონენტები. თანამედროვე მსოფლიოზე დასავლეთის ზეგავლენის წყალობით ისინი უმთავრეს ელემენტებად რჩებიან, შესაძლოა, გარკვეული სახეცვლილებებით – ნაციონალური იდენტობის არადასავლური კონცეფციების უმრავლესობაშიაც.

იმავდროულად, დასავლეთის მიღმა, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში, აღმოცენდა ნაციის საკმაოდ განსხვავებული მოდელი. ისტორიულად ის მეტოქეობას უწევდა დასავლური მოდელის გაბატონებას და ისეთ მნიშვნელოვან, ახალ ელემენტებს ჰმატებდა მას, როგორც არადასავლური საზოგადოებების განსხვავებულ პირობებსა და ტრადიციორიებს უფრო ეხმიანებოდა.

შეგვიძლია ამ არადასავლურ მოდელს ეუნოდოთ ნაციის "ეთნიკური" კონცეფცია. მისი განმასხვავებელი ნიშნებია განსაკუთრებული აქცენტი წარმომავლობასა და მშობლიურ კულტურაზე. მაშინ, როდესაც დასავლური შეხედულებით, ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე ნაციას და, ამავე დროს, შეუძლია აირჩიოს, რომელ ნაციას მიაკუთვნოს თავი, არადასავლური მოდელი ვერ ეგუება ამგვარ თავისუფლებას: განურჩევლად იმისა, შენს საზოგადოებაში დარჩები თუ ემიგრანტად იქცევი, უცილობლად და სამუდამოდ ნიშანდებული და ორგანულად დაკავშირებული იქნები იმ საზოგადოებასთან, რომლის წევრადაც დაიბადე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნაცია არის, უპირველეს ყოვლისა, საერთო წარმომავლობის საზოგადოება.

ამ ეთნიკურ მოდელსაც აქვს რამდენიმე სახესხვაობა. პირველი, აქ აშკარად აღიარებულ წარმომავლობას მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ტერიტორიას. ნაცია განიხილება, როგორც ერთგვარი "ზეოჯახი." ის ამაყობს თავისი წინაპრებითა და გენეალოგიით, რათა გაამართლოს თავისი მოთხოვნები (პრეტენზიები), რომლებიც ხშირად ადგილობრივი ინტელექტუალების მიერაა წამოჭრილი. ასეა, კერძოდ, აღმოსავლეთი ევროპისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. აქ, ამ კონცეფციაში მთავარი ისაა, რომ ნაციას შეუძლია თვალი გაადევნოს საკუთარ ფესვებს, აღიაროს საერთო წინაპარი და ამით მთელი საზოგადოება დაძმებად ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბიძაშვილ-მამიდაშვილებად მიიჩნიოს და სხვათაგან ნათესაური კავშირებით გამოაცალკევოს.

ოჯახური კავშირის ასეთი ხაზგასმა ნაციის ეთნიკურ კონცეფციაში ძლიერი ხალხური თუ დემოკრატიული ელემენტის ახსნაში გვეხმარება. რა თქმა უნდა, "ხალხი" დასავლურ კონცეფციაშიაც ფიგურირებს, მაგრამ იქ ის განიხილება, როგორც პოლიტიკური ერთობა, რომელიც საერთო კანონებსა და ინსტიტუციებს ექვემდებარება. ეთნიკურ მოდელში კი ხალხი, რომელიც, შესაძლოა, სინამდვილეში არც იყოს მობილიზებული პოლიტიკური ქმედებისათვის, მაინც ნაციონალისტური მისწრაფებებისა და უმაღლესი სამსჯავროს რიტორიკულ ობიექტს წარმოადგენს. ლიდე-

რებს შეუძლიათ გაამართლონ თავიანთი ქმედება, გააერთიანონ ცალკეული კლასები და საზოგადოებრივი ჯგუფები მხოლოდ და მხოლოდ "ხალხის ნებაზე" აპელირებით. ეს ყოველივე ეთნოსის იდეას ზეკლასობრივსა და ხალხურ ჟღერადობას ანიჭებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ინტელიგენციას არა აქვს მიზნად დასახული მასების პოლიტიკურ არენაზე გაშვება. მაშასადამე, სახალხო მობილიზაცია, აქტუალურ თუ არა, მორალური და რიტორიკული თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეთნიკურ კონცეფციაში.¹⁷

ანალოგიურად, ის ადგილი, რომელიც დასავლურ სამოქალაქო მოდელში კანონს ეთმობა, ეთნიკურ მოდელში ადგილობრივ კულტურას, ენასა და ნეს-ჩვეულებებს უკავია. აი, რატომ ასრულებენ ლექსიკოგრაფები, ფილოლოგები და ფოლკლორისტები ცენტრალურ როლს აღმოსავლეთი ევროპისა და აზიის ადრეულ ნაციონალიზმში. მათი ლინგვისტური და ეთნოგრაფიული გამოკვლევები "ხალხის" ძველი და თანამედროვე კულტურის სფეროში "ნაციად ყოფნის" გეგმისთვის შესანიშნავ მასალას წარმოადგენს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის მაშინ იძენს, როდესაც საზოგადოებაში ნაციონალური ენის აღორძინების ცდა კრახით მთავრდება. ნაციონალური კულტურის ეს მკვლევარები საზოგადოებაში მათი მითების, ისტორიისა და ენობრივი ტრადიციების ფართოდ გავრცელებას ემსახურებიან და ამით ეთნიკური ნაციის იდეის კრისტალიზაციასა და სუბსტანციზაციას ახდენენ მის ნევრთა უმეტესობის ცნობიერებაში მაშინაც კი, როცა ძველი ენები გაქრობის პირასაა (ირლანდიისა და ნორვეგიის მაგალითი)¹⁸

გენეალოგია და სავარაუდო მემკვიდრეობითი კავშირები, ადგილობრივი ენები, სახალხო მობილიზაცია, ადათ-ნესები – ეს ყველაფერი არის ნაციის ალტერნატიული, ეთნიკური კონცეფციის ის ელემენტებია, რომლებმაც ასახეს აღმოსავლეთი ევროპისა და აზიის არაერთი საზოგადოების მიერ განვლილი სრულიად განსხვავებული გზა "ნაციის ჩამოყალიბებისა", რაც ძალზე დინამიურ პოლიტიკურ გამოწვევად წარმოჩინდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ ეს ის გამოწვევაა, რომელიც მსოფლიოს ბევრ კუთხეში დღემდე პერიოდულად თავს იჩენს და რომელშიც ყოველი ნაციონალიზმის საფუძველში ჩაბუდებული ღრმა დუალიზმი აისახება. მართლაც, ყოველი ნაციონალიზმი სხვადასხვა დოზითა და ხარისხით შეიცავს როგორც სამოქალაქო, ისე ეთნიკური მოდელის ელემენტებს. ზოგჯერ სამოქალაქო და ტერიტორიული ელემენტი ჭარბობს, ზოგჯერ კი – ეთნიკური და ადგილობრივი კულტურის კომპონენტები. იაკობინელთა მმართველობის პერი-

ოდში, მაგალითად, ფრანგული ნაციონალიზმი უმთავრესად სამოქალაქო და ტერიტორიული ნიშნით იყო აღბეჭდილი. ის ქადაგებდა რესპუბლიკური სამშობლოს (*patrie*) ერთობას და მისი მოქალაქეების ძმობას პოლიტიკურ-სამართლებრივ საზოგადოებაში. ამავდროს აღმოცენდა ლინგვისტური ნაციონალიზმი, რომელსაც ბარერი და აბატი გრეგუარი ქადაგებდნენ და რომელიც პეგემონური ფრანგული კულტურის სინმინდითა და მისი ცივილიზაციის გავრცელების მისიით აღძრულ სიამაყის გრძნობას აირეკლავდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ფრანგული კულტურული ნაციონალიზმი, უფრო მეტად, ვიდრე ფრანკული და გალური, ნაციის ეთნიკურ კონცეფციებს ავითარებდა. კლერიკალურ-მონარქისტული სამართლის უჩვეულო შერწყმამ "ორგანული" ნაციის გენეალოგიურ და ძირეულ კონცეფციებთან ეს სამართალი ნაციის რესპუბლიკურ, ტერიტორიულ და სამოქალაქო მოდელს დაუპირისპირა, სახელდობრ, დრეიფუსის საქმის მსვლელობის დროს.¹⁹

თუმცა, ყველაზე მწვავე კონფლიქტების დროსაც კი, რომლებიც ნაციის საპირისპირო მოდელებს აირეკლავდნენ, გარკვეულმა ძირეულმა წარმოდგენებმა საერთო ნაციონალისტური დისკურსის საფუძველზე განსხვავებული პარტიები ერთმანეთთან შეაკავშირა. საფრანგეთის ზემომოყვანილ მაგალითში როგორც რესპუბლიკელებმა, ისე მონარქისტებმა გაითავისეს იდეა საფრანგეთის "ბუნებრივი" და ისტორიული ტერიტორიის შესახებ (ელზასის ჩათვლით). ასევე, არ არსებობდა რეალური აზრთა სხვადასხვაობა ნაციონალური იდეალებისა და ისტორიის დანერგვის საჭიროების თაობაზე საყოველთაო, საზოგადოებრივი საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით, თუ არ ჩავთვლით შინაარსის ზოგიერთ ასპექტს (მეტადრე, კათოლიკურს). ასევე უნივერსალური იყო ფრანგული ენისადმი ერთგულება. თავად საფრანგეთისა და ფრანგი ხალხის ინდივიდუალობაც არავის მიუჩნევია საეჭვოდ. აზრთა სხვადასხვაობამაც თავი იჩინა მხოლოდ ამ უნიკალურობის ისტორიულ შინაარსთან და, შესაბამისად, იმ გაკვეთილებთან მიმართებაში, რომლებიც ამ გამოცდილებიდან უნდა გამოეყვანათ.

ეს იმაზე მიუთითებს, რომ ნაციის საპირისპირო მოდელების მიღმა იგულისხმება ზოგადი მრწამსი იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ნაცია ნებისმიერი სხვა კოლექტიური, კულტურული იდენტობისგან განსხვავებით. ისინი მოიცავენ იმ თვალსაზრისს, რომ ნაცია არის ტერიტორიულად შემოსაზღვრული პოპულაციის ერთიანობა, რომელსაც საკუთარი სამშობლო უნდა

ჰქონდეს; რომ მის წევრებს აქვთ საერთო (მას)კულტურა, საერთო ისტორიული მითები და ისტორიული მეხსიერება; რომ ნაციონის წევრებს აქვთ ერთიანი საკანონმდებლო სისტემით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი; რომ მათთვის დამახასიათებელია შრომის საერთო დანაწილება და წარმოების სისტემა მისი წევრებისათვის მობილურობის უზრუნველყოფით მოცემული ტერიტორიის ფარგლებში. ეს არის ის მოთხოვნები და მოსაზრებანი, რომლებიც საერთოა ყველა ნაციონალისტიკისათვის და ფართოდაა აღიარებული თვით მათი კრიტიკოსებისგანაც, რომლებიც, შესაძლოა, უფრო შორსაც წავიდნენ და დაგმონ ამგვარი ნაციების არსებობით განპირობებული შემდგომი გლობალური დახლეჩა და კონფლიქტების წარმოქმნა.

ამგვარი ზოგადი ვარაუდების არსებობის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ნაციონალური იდენტობის ძირითადი ნიშანთვისებები:

1. ისტორიული ტერიტორია, ანუ სამშობლო
2. საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება
3. საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა
4. ყველა წევრისათვის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი
5. საერთო ეკონომიკა მის წევრთათვის ტერიტორიული მობილურობის უზრუნველყოფით.

ამგვარად, ნაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანთა სახელდებელი პოპულაცია, რომელსაც აქვს საერთო ისტორიული ტერიტორია, საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, საზოგადოებრივი კულტურა, საერთო ეკონომიკა და საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი ყველა წევრისათვის.²⁰

ამგვარი პირობითი დეფინიცია ააშკარავებს ნაციონალური იდენტობის რთულსა და აბსტრაქტულ ბუნებას. სინამდვილეში ნაცია შეიძლება მოერგოს კოლექტიური იდენტობის სხვა სახეობებს, რითაც აიხსნება არა მარტო ის, თუ როგორ არის შესაძლებელი ნაციონალური იდენტობის სხვა ტიპის – კლასობრივ, რელიგიურ, ეთნიკურ – იდენტობებთან კომბინირება, არამედ ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის, ქამელეონისებური სახეცვლილებანიც, როდესაც ის სხვა იდეოლოგიებს – ლიბერალიზმს, ფაშიზმსა და კომუნისმს – ეხამება. ნაციონალური იდენტობა ფუნდამენტურად მრავალგანზომილებიანია. ის ნაციონალისტთა კერძო ფრაქციების ძალისხმევითაც კი ვერასოდეს შემოიფარგლება ერთი რომელიმე ელემენტით. ასევე, მას ვერ მოახვევთ თავს მოსახლეობას ხელოვნურად, სწრაფად და იოლად. ნაციო-

ნალური იდენტობის ამგვარი დეფინიცია მას აგრეთვე აშკარად განასხვავებს სახელმწიფოს ნებისმიერი კონცეფციისგან. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად ეხება საზოგადოებრივ დაწესებულებებს, რომლებიც განირჩევა სხვა სოციალური ინსტიტუტებისაგან და მათგან სრულიად დამოუკიდებელია იმავდროულად, მას აქვს მონოპოლია ძალადობასა და იძულებით გადასახლებაზე მოცემული ტერიტორიის ფარგლებში. მეორე მხრივ, ნაცია ნიშნავს კულტურულსა და პოლიტიკურ კავშირს, რომელიც ერთიან პოლიტიკურ საზოგადოებაში აერთიანებს იმათ, ვინც მშობლიური მინა-წყლითა და ისტორიული კულტურითაა შეკავშირებული. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ უარვყოფდეთ ამ ორი ცნების გარკვეულწილად თანხვედრას, გამომდინარე იქიდან, რომ მათ აერთიანებთ ისტორიულ ტერიტორიასთან მიმართება და (დემოკრატიულ სახელმწიფოებში) ნება ხალხის სუვერენიტეტისა. თუმცა თანამედროვე სახელმწიფოებმა – როგორც ცალკეულ ნაციათა სახელმწიფოებმა – თავიანთი ლეგიტიმაციისათვის ნაციონალური და ხალხისათვის მისანვდომი ტერმინები უნდა მოიშველიონ. მათი შინაარსი და ფოკუსი სრულიად განსხვავებულია.²¹

ნაციასა და სახელმწიფოს შორის ამ შეუთავსებლობის მაგალითია ბევრი დღევანდელი "მრავლობითი" სახელმწიფო. მართლაც, ვოლკერ კონერის გაანგარიშებით, 1970-ანი წლების დასაწყისში სახელმწიფოების სულ რაღაც 10 პროცენტი შეიძლებოდა მიჩნეულიყო ნამდვილ "ნაცია-სახელმწიფოებად" იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოს საზღვრები თანხვედება ნაციისას და მისი მთელი პოპულაცია ერთიანი ეთნიკური კულტურის მატარებელია. ყოველი სახელმწიფო მიელტვის ამგვარ ნაცია-სახელმწიფოებრიობას. ამიტომ ის ცდილობს, ლეგიტიმურობის პრეტენზია (მოთხოვნა) შემოფარგლოს პოლიტიკური ერთობისა და ხალხის სუვერენიტეტის მოთხოვნით. ხოლო ეს, ოდითგანვე ჩამოყალიბებულ დასავლურ სახელმწიფოებშიც კი შეიცავს რისკს იმისა, რომ სახელმწიფოს საფრთხე შეექმნას მის საზღვრებში მყოფი ეთნიკური ერთობებისაგან. ასეთი შემთხვევები, რაც საკმაოდ ხშირია, იმის მაგალითია, თუ რაოდენ ღრმად ის უფსკრული, რომელიც ნაციისა და სახელმწიფოს ცნებებს ერთმანეთისგან თიშავს და რომლის დამადასტურებელ ისტორიულ მასალას ქვემოთ წარმოგიდგენთ.²²

ნაციონალური იდენტობის ზოგიერთი ფუნქცია
და პრობლემა

მოდით, შევაჯამოთ. ნაციონალური იდენტობა და ნაცია რთული კონსტრუქციაა, რომელიც რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისაგან შედგება. ესენია: ეთნიკური, კულტურული, ტერიტორიული, ეკონომიკური და სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები. ნაციონალური იდენტობა და ნაცია გულისხმობს ერთობის წევრებს შორის სოლიდარობის ისეთი კავშირების არსებობას, როგორცაა საერთო წარსული, მითები, ტრადიციები, რაც აირეკლება ან არ აირეკლება საკუთარი სახელმწიფოს იერსახეში; თუმცა ისინი ძირეულად განსხვავდებიან სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი წმინდად სამართლებრივი და ბიუროკრატიული კავშირებისგან. კონცეპტუალურად, ნაცია არსებობს იმისათვის, რომ სხვადასხვა განზომილებაში მყოფი ორი რეალობა – ერთი მხრივ, სამოქალაქო და ტერიტორიული, მეორე მხრივ კი – ეთნიკური და გენეალოგიური – ერთმანეთს დაუკავშიროს (ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვაგვარი პროპორციულობით).

სწორედ ეს მრავალგანზომილებიანობა ანიჭებს ნაციონალურ იდენტობას ამგვარ მოქნილობასა და მდგრადობას მოდერნულ ცხოვრებასა და პოლიტიკაში; და სწორედ ის აძლევს საშუალებას ნაციონალურ იდენტობას თავისთავადობის დაკარგვის გარეშე ეფექტურად შეერწყას სხვა ძლიერ იდეოლოგიებსა და მოძრაობებს.

ნაციონალური იდენტობის ამ მრავალსახოვანი ძალის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ ისეთ ფუნქციაზე, რომელსაც ის ასრულებს ჯგუფებისა თუ ინდივიდებისათვის.

ზემოჩამოთვლილი განზომილებების გათვალისწინებით, ისინი შეიძლება “შინაგანი” და “გარეგანი” ობიექტური შედეგების მქონე ფუნქციებად დავეყოთ.

გარეგანი ფუნქციებია ტერიტორიული, ეკონომიკური და პოლიტიკური. ნაცია, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს გარკვეულ სოციალურ სივრცეს, რომლის ფარგლებშიაც უნდა იცხოვროს და იშრომონ მისმა წევრებმა; იმავდროულად, ის შემოსაზღვრავს ისტორიულ ტერიტორიას, რომელიც საზოგადოებრივ ერთობას დროსა და სივრცეში მიუჩენს ადგილს. ის (ნაცია) ადამიანებს ანოდებს ასევე “საკრალურ ცენტრებს”; სულიერ და ისტორიულ სალოცავებს, ობიექტებს, რომლებიც ამ ნაციის “მორალური გეოგრაფიის” უნიკალობას გამოხატავს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ნაციები იძლევიან ტერიტორიულ რესურსებზე, მათ შორის ადამიანის სამუშაო ძალაზე, კონტროლის დამყარების გარანტიას; ისინი შეიმუშავენ შრომის დანაწილების ერთიან სისტემას; ასევე, ხელს უწყობენ როგორც შრომით საქმიანობასა და საქონელბრუნვას, ისე მის წევრებს შორის რესურსების განაწილებას მშობლიური ტერიტორიის ფარგლებში. ნევრობის, საზღვრებისა და რესურსების განსაზღვრით ნაციონალური იდენტობა გვაზიარებს ნაციონალური ავტარქიის იდეალების პირველმიზეზს.²³

პოლიტიკური თვალსაზრისით, ნაციონალური იდენტობა ფუძეს უმაგრებს სახელმწიფოსა და მის ორგანოებს, ან მის წინაპოლიტიკურ ეკვივალენტებს ნაციებში, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფოებრიობა. პოლიტიკური პერსონალის შერჩევა, პოლიტიკური ქცევის რეგულაცია და ხელისუფლების არჩევა ნაციონალური ინტერესის კრიტერიუმებზეა დაფუძნებული. ითვლება, რომ ნაციონალური ინტერესი გამოხატავს მასში შემავალი მთელი ხალხის ნაციონალურ ნებასა და ნაციონალურ იდენტობას.

მაგრამ, ალბათ, ნაციონალური იდენტობის ყველაზე არსებითი ფუნქცია არის იმ საერთო კანონიერ უფლება-მოვალეობათა ლეგიტიმაცია, რომლებიც ნაციის სპეციფიკურ ღირებულებებს, ხასიათს განსაზღვრავენ და საუკუნოვან წეს-ჩვეულებებს გამოხატავენ. დღეს სოციალური წესრიგისა და სოლიდარობის დასამყარებლად ნაციონალური იდენტობის მოშველიება აუცილებელ პირობად იქცა.

ნაციონალური იდენტობები, აგრეთვე, ასრულებენ უფრო ინტიმურ, შინაგან ფუნქციას ერთობის წვერი ინდივიდებისათვის. ამათგან ყველაზე თვალსაჩინოა წევრების, როგორც "ნაციონალების" და "მოქალაქეების", სოციალიზაცია. დღეს ეს მიიღწევა სავალდებულო, სტანდარტიზირებული, საზოგადოებრივი, საყოველთაო განათლების სისტემის მეშვეობით, რომლის წყალობითაც სახელმწიფოს მესვეურნი იმედოვნებენ ნაციონალური ერთგულებისა და თვითმყოფი, ჰომოგენური კულტურის დანერგვას. მსგავსი საქმიანობის განსახორციელებლად მნიშვნელოვან ენერჯიას ხარჯავს სახელმწიფოთა უმეტესობა კულტურული თვითმყოფადობისა და ერთიანობის ნაციონალისტური იდეალების ზემოქმედებით.²⁴

ნაცია, აგრეთვე, მონოდებულია საერთო ღირებულებების, სიმბოლოებისა და ტრადიციების შერწყმის გზით ინდივიდებსა და კლასებს შორის განავითაროს სოციალური კავშირები. სიმბოლოების – დროშების, ფულის ნიშნების, ჰიმნების, უნიფორმების,

მონუმენტებისა და ცერემონიების მეშვეობით წევრებს შეახსენებენ მათ საერთო მემკვიდრეობას, კულტურულ ნათესაობას, აღვივებენ და ამძაფრებენ მათ გრძნობებს საერთო იდენტობისა და საერთო კუთვნილების გათავისებით. ნაცია გვევლინება "მორწმუნე მოღვაწეთა" გაერთიანებად, რომელსაც ხელენიფება წინააღმდეგობებისა და დაბრკოლებების გადალახვა.²⁵

დაბოლოს, ნაციონალური იდენტობის შეგნება კოლექტიური მეობისა და მისი თვითმყოფი კულტურის ქრილში ინდივიდუალური "მე"-ს სამყაროში თვითგანსაზღვრისა და ადგილის პოვნის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. სწორად გაზიარებული, უნიკალური კულტურის მეშვეობით ვაცნობიერებთ "ვინ ვართ" თანამედროვე სამყაროში. ამ კულტურის ხელახალი აღმოჩენა კვლავაც საკუთარ ნამდვილ "მე"-ს აღმოგვაჩენინებს, ყოველ შემთხვევაში, ასე ესახება ეს ბევრ გაორებულსა და ორიენტაციადაკარგულ პიროვნებას, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ფართომასშტაბიანი ცვლილებებისა და გაურკვევლობის პირისპირ აღმოჩნდა.

თვითგანსაზღვრისა და საკუთარი ადგილის პოვნის ეს პროცესი, ბევრნაირი თვალსაზრისით, ნაციონალური იდენტობის გასაღებია, მაგრამ ამავე დროს ეს ის ელემენტია, რომელმაც ყველაზე მეტად დათესა ეჭვი და სკეპტიციზმი. ადამიანურ დამოკიდებულებათა და აღქმის მრავალგვარობას თუ მივიღებთ მხედველობაში, არცთუ ისე გასაკვირი იქნება, ნაციონალისტები, მათი კრიტიკოსები და სხვა დანარჩენები იმ კრიტერიუმებზე თუ ვერ შეთანხმდებიან, რომლებიც ნაციონალური "მე"-ს იდენტობასა და ადგილს განსაზღვრავს. ნაციონალური "მე"-ს ძიება და პიროვნების მიმართება მასთან ნაციონალისტური პროექტის ყველაზე საეჭვო და დამაფიქრებელ ელემენტად რჩება.

ეს ეჭვები ორივე – როგორც ფილოსოფიურ, ისე პოლიტიკურ – სფეროს მოიცავს. რაკი ნაციონალური "მე" მრავალი სახითაა წარმოდგენილი რეალურ სინამდვილეში (ნაციის მრავალსახა ბუნების ბუნებრივი შედეგი), ნაციონალისტურ დოქტრინასაც მისდგნენ მისი კრიტიკოსები და არათანმიმდევრულად და შეუსაბამოდ შერაცხეს. ნაციონალისტების ნაწერებში ნაციონალური კრიტერიუმების განუსაზღვრელობამ და მათმა ბუნდოვანმა, ცვალებადმა, ხშირად თავისუფალმა ხასიათმა საეჭვო გახადა ამ იდეოლოგიის დამაჯერებლობა იქაც კი, სადაც პატივი მიეგება ადამიანის ისეთ პირადულ ნაციონალისტურ მისწრაფებებს, როგორიცაა კულტურული მრავალფეროვნების იდეა. უკეთეს შემთხვევაში ნაციის იდეა არათანამიმდევრულად და ბუნდოვნად

გვესახება, უარეს შემთხვევაში კი - აბსურდულად და წინააღმდეგობრივად.²⁶

ინტელექტუალური სკეპტიციზმი მორალური განსჯის ტოლფასია.

"ნაციონალური იდენტობის" სახელით ხალხი, ზოგიერთების მტკიცებით, მზადაა საკუთარი პრივილეგიები დათმოს, სხვებისა კი შეევეცოს. ისინი მზად არიან, ფეხქვეშ გათელონ იმ ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო და რელიგიური უფლებები, რომლებსაც ნაცია ვერ შთანთქმავს. შესაბამისად, მიძიმდება საერთაშორისო, უფრო ზუსტად კი, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები. დასავლეთის შუაგულიდან მთელ დედამიწის ზურგზე მოდებულმა ნაციის იდეალმა მოიტანა დაბნეულობა, არასტაბილურობა, მტრობა და ტერორი, განსაკუთრებით, შერეულ ეთნიკურ და რელიგიურ დასახლებებში. ნაციონალიზმმა - დოქტრინამ, რომელიც ნაციას ყველანაირი პოლიტიკური ქმედების ობიექტად, ხოლო ნაციონალურ იდენტობას ნებისმიერი ადამიანური ღირებულების საზომად სახავს - საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ერთიანი კაცობრიობის, მსოფლიო საზოგადოებისა და მისი მორალური ერთიანობის ჯანსაღი იდეა სადავო გახადა. სამაგიეროდ, ნაციონალიზმი პოლიტიკური ერთობისათვის გვთავაზობს შეზღუდულ, კონფლიქტებით გაჯერებულ ლეგიტიმაციას, რომელიც უცილობლად დააჯახებს ერთმანეთს კულტურულ ერთობებს. კულტურული განსხვავებების სიუხვე თუ მრავალფეროვნება კი მხოლოდ პოლიტიკური ქარიზმისაკენ უბიძგებს კაცობრიობას.²⁷

ეს ნაცნობი ბრალდებაა; მისი მასშტაბები და ინტენსივობა კი ნათელყოფს ემოციურ და პოლიტიკურ ძალმოსილებას იმ იდეალისა, რომელსაც იგი ასე მკაცრად განიკითხავს. მაგრამ თავად იდეალი და იდენტობა, რომელთაც ამდენი ფუნქციის შესრულება ხელენიფებათ - კოლექტიური იქნება იგი თუ ინდივიდუალური, - სრულიად სხვადასხვაგვარ სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებს მოიძიან, გამომდინარე იმ განსხვავებული გარემოებებიდან, რომლებშიაც ნაციონალისტებს უნევთ ოპერირება. ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვლით ნაციონალიზმის კეთილისმყოფელ შედეგებს: ნაციონალურ უმცირესობათა კულტურის დაცვა, "დაკარგულ" ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებზე ზრუნვა, კულტურული რენესანსის ნახალისება, "იდენტობის კრიზისის" - დაძლევა, საზოგადოებრივი ერთობისა და სოციალური სოლიდარობის ლეგიტიმაცია, ტირანიასთან დაპირისპირება, ხალხის სუვერენიტეტისა და კოლექტიური მობილიზების იდეალის დანერგვა, დამო-

უკიდებელი ეკონომიკის გაძლიერების მოტივირება. თითოეული ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი უდავოდ შეიძლება მივანეროთ ნაციონალისტურ იდეოლოგიებს, ისევე როგორც ის დამლუპველი შედეგები, რომელთაც ხაზს უსვამენ მისი კრიტიკოსები. საეჭვოა, შესაძლებელი იყოს ამაზე უფრო შთამბეჭდავი თუ მამხილებელი საბუთის მოტანა ნაციონალური იდენტობისა თუ ნაციონალიზმის არაერთმნიშვნელოვანი ძალმოსილებისა და, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დღევანდელი მსოფლიოს უმეტეს ფართობზე დასახლებულ დიდძალ ხალხთან მისი სიღრმისეული თანახმიერების დასადასტურებლად.

რატომ უნდა იყოს ასე და საით მივყავართ ნაციონალურ იდენტობათა დღევანდელი ძალმოსილების უფრო სიღრმისეულ ფესვებს? ამის გამოკვლევას ახლა შევეცდებით.

ნაციონალური იდენტობის ეთნიკური საფუძველი

იმ მოვლენის სათავეები, რომელსაც ნაციონალურ იდენტობას ვუნოდებთ, ისეთივე სირთულეებთანაა დაკავშირებული, როგორ-თანაც მისი არსი. მარტო იმას როდი ვგულისხმობ, რომ ყოველი ნაციის ნარმომობა ბევრნაირი თვალსაზრისით უნიკალური მოვლენაა და რომ დიდია სხვაობა თანამედროვე ნაციებს შორის ათვლის წერტილის, ტრაექტორიის, შეფასებისა თუ დროის შერჩევის მრავალგვარობის გათვალისწინებით. თავად შეკითხვა, "საიდან წარმოდგება ნაცია?" საჭიროებს ამ შეკითხვის შემდგომ დანაწევრებას. მაგალითად: ვინ არის ნაცია? რატომ და როგორ არსებობს (სულდგმულობს) ნაცია? როდის და სად არსებობს (მკვიდრობს) ნაცია?

მართლაც უპრიანია, თანამედროვე ნაციის ნარმომობა-განვითარების ზოგადად ასახსნელად სამი მიმართულებით დასმული შეკითხვები გამოვიყენოთ.

1. ვინ არის ნაცია? როგორია თანამედროვე ნაციების ეთნიკური საფუძვლები და მოდელები? რატომ აღმოცენდნენ, კერძოდ, ეს ნაციები?
2. რატომ და როგორ აღმოცენდება ნაცია? ანუ, რა ზოგადი მიზეზები და მექანიზმები იწვევს სხვადასხვა ეთნიკური კავშირისა და მეხსიერების წიაღიდან ნაციის ნარმომკმენელი პროცესების დაძვრას?
3. როდის და სად წარმოიშვა ნაცია? რომელი სპეციფიკური იდეა, ჯგუფი და ადგილსამყოფელი განაპირობებდა ინდივიდუალური ნაციების ნარმომობას კონკრეტულ დროსა და ადგილას?

იმედი გვქვს, რომ ამ, თუმცა ძალზე ზოგად და არასრულ კითხვებზე პასუხის გაცემით გარკვეულ ნათელს მოვფენთ ნაციის ნარმომობისა და განვითარების დიდი ხნის პრობლემას.

ეთნი და ეთნოგენეზი

თუ ისეთი მითები, როგორიც არის ოიდიპოსის მითი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც დრამატული ფორმით გადმოცემული ფართოდ გავრცელებული სარწმუნო ამბავი, რომელიც წარსულის ამბებს ეხება, მაგრამ აწმყოსა და/ან მომავლის მიზნებსა

და ამოცანებს ემსახურება, მაშინ ნაცია ახალი დროის ყველაზე პოპულარული და საყოველთაოდ ფეხმოკიდებული მითის - ნაციონალიზმის შუაგულში დგას. ამ მითის უმთავრესი იდეა ასე შეიძლება გამოიხატოს: ნაციები უხსოვარი დროიდან არსებობენ და ნაციონალისტებმა უნდა გამოაფხიზლონ ისინი ხანგრძლივი თვლემისგან, რათა კუთვნილი ადგილი მიუჩინონ ნაციებისაგან შემდგარ მსოფლიოში. როგორც შემდგომ დავინახავთ, ნაციის საფუძვლად ნანილობრივ შეიძლება მივიჩნიოთ თავად ის დრამა, ნაციონალურ ხსნას რომ გვიქადის. მაგრამ მისი ძალმოსილება ხშირად განუზომლად იზრდება ცოცხალი ტრადიციების წყალობით, რომლებიც მოსახლეობის, საზოგადოებრივი გაერთიანებისა და ამა თუ იმ მხარის მკვიდრთა ცხოვრებაში განასახიერებს ბევრად უფრო ადრეული ხანის ხსოვნას, სიმბოლოებს, მითებსა და ლირებულებებს. ამიტომ, პირველ რიგში, სწორედ ეს პრემოდერნული ეთნიკური იდენტობები და ტრადიციები უნდა განვიხილოთ.¹

უკანასკნელ წლებში "ეთნიკურობის" ცნებამ დიდი ყურადღება მიიპყრო. ზოგიერთისთვის ის "პრიმორდიალური" (პირველყოფილი) ხასიათისაა. ის არსებობს ბუნებაში და დროის მიღმა. ეს არის ადამიანური არსებობის ერთ-ერთი მზა "მოცემულობა". (ამ თვალსაზრისს უკანასკნელ ხანებში მხარი დაუჭირა სოციო-ბიოლოგიამ, სადაც ის განიხილება, როგორც გენეტიკური სელექციისა და შინაგანი შეგუების პროცესების გაერცობა). მეორე უკიდურესი თვალსაზრისით, ეთნიკურობა განიხილება როგორც "სიტუაციური" მოვლენა. ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილება დაშოკიდებულებების, აღქმისა და სენტიმენტების სფეროს მოიცავს; აქედან გამომდინარე, ცვალებადია და კონკრეტულ სიტუაციებსა და პიროვნებებს ეგუება. ინდივიდის სიტუაციის ცვლილებასთან ერთად, შეიცვლება ჯგუფის იდენტიფიკაციაც; ან, უკიდურეს შემთხვევაში, მრავალგვარი იდენტობა და დისკურსი, რომელსაც ინდივიდი თავის თავს მიაკუთვნებს, სახეს შეიცვლის იმის მიხედვით, თუ რა აღმოჩნდება ამ ინდივიდისათვის მეტი წარმატების მომტანი გარკვეულ სიტუაციაში. ამიტომ, შესაძლებელია, ეთნიკურობა გამოყენებულ იქნას "ინსტრუმენტად" ინდივიდის ან კოლექტივის ინტერესების სასარგებლოდ. მაგალითად, ეთნიკურობა შესაძლებელია ძლიერ იარაღად იქცეს იმ ელიტარული ჯგუფებისათვის, რომელთაც ძალაუფლებისთვის ბრძოლის დროს თავიანთი მიზნების მხარდასაჭერად მიმდევართა დიდი ჯგუფის მობილიზება სჭირდებათ. ამ ბრძოლაში ეთნიკურობა ძალზე სასარგებლო იარაღად იქცევა.²

ამ ორ უკიდურესობას შორისაა მოქცეული ის მოსაზრებანი, რომლებიც ეთნიკური იდენტობის ისტორიულსა და სიმბოლურ-კულტურულ ხასიათს უსვამენ ხაზს. აქ სწორედ ამგვარ ხედვას მივანიჭებთ უპირატესობას. ეთნიკური ჯგუფი კულტურული ერთობლიობის ის სახეობაა, რომელიც ხაზს უსვამს წარმომავლობის შესახებ მითებისა და ისტორიული მეხსიერების როლს და რომელიც ერთი ან მეტი კულტურული განმასხვავებელი ნიშნით ამოიცნობა. ასეთი ნიშნები შეიძლება იყოს რელიგია, ნეს-ჩვეულებები, ენა ან ინსტიტუციები. ასეთი კოლექტივები ორმაგად "ისტორიულნი" არიან: ჯერ ერთი, ისტორიული მეხსიერება მათი არსებობის გაგრძელების მთავარი პირობაა; და მეორე, ყოველი ასეთი ეთნიკური ჯგუფი სპეციფიკური ისტორიული ძალების არსებობითაა განპირობებული და, ამდენად, ვერც ისტორიულ ცვლილებებს გაექცევა და ვერც დაქუცმაცება-დანანევრებას.

ამ თვალსაზრისით, უპირანია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ეთნიკური კატეგორიები და ეთნიკური ერთობები. ეს უკანასკნელი ადამიანთა ისეთი პოპულაციაა, რომელსაც ზოგიერთი გარეშე დამკვირვებელი ისე აღიქვამს, როგორც ცალკეულ კულტურულ და ისტორიულ დაჯგუფებას. მაგრამ ამ ნიშნით აღბეჭდილ პოპულაციას ამავე დროს შეიძლება ძალზე სუსტად გამოკვეთილი თვითშეგნება და ძალზე ბუნდოვანი აღქმა ჰქონდეს იმისა, რომ ის განკერძოებულ კოლექტივს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, თურქები ანატოლიაში 1900 წლამდე უმეტესწილად არ იცნობდნენ განკერძოებულ "თურქულ" იდენტობას - ვგულისხმობ განცალკევებულს დომინანტური ოსმალური ან უფრო მრავლისმომცველი ისლამური იდენტობისაგან. გარდა ამისა, ადგილობრივი საგვარეულო, სასოფლო თუ რეგიონული იდენტობები ხშირად უფრო მნიშვნელოვანი იყო მათთვის. იგივე შეიძლება ითქვას კარპატების ხეობათა სლოვაკ მოსახლეობაზე 1850 წლამდე, მათი საერთო დიალექტისა და რელიგიის მიუხედავად. ორსავე შემთხვევაში მითი საერთო წარმომავლობაზე, ზიარი ისტორიული მეხსიერება, სოლიდარობის შეგნება ან ნიშანდებულ მშობლიურ მიწა-წყალთან ასოცირება მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის უცხო ხილი გახლდათ.³

მეორე მხრივ, ეთნიკური ერთობა შეიძლება განისაზღვროს სწორედ ამ ატრიბუტების მიხედვით მაშინაც კი, როცა მათ მყარად ითავისებს და მკაფიოდ, საჯაროდ აღიარებს აღნიშნული პოპულაციის მხოლოდ მცირე სეგმენტი. აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როცა ამ ატრიბუტებიდან მხოლოდ რამდენიმეა უფრო ინტენსიურად წარმოჩენილი, ვიდრე დანარჩენები რომელიმე მო-

ცემულ პერიოდში. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ეთნიკური ერთობის ექვსი მთავარი მახასიათებელი (ეთნიკური ერთობა ანუ ეთნი - *ethnie*, თუ მოვიშველიებთ ფრანგულ ტერმინს):

1. კოლექტიური საკუთარი სახელი
2. საერთო წინაპრის მითი
3. ზიარი ისტორიული მეხსიერება
4. საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტი
5. განსაკუთრებულ მშობლიურ მინა-წყალთან ასოცირება
6. სოლიდარობის გრძნობა პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილში.⁴

რაც უფრო მეტად განკარგავს და იზიარებს მოცემული პოპულაცია ამ მახასიათებლებს (და ამ ატრიბუტთაგან რაც უფრო მეტს განაგებს და იზიარებს), მით უფრო უახლოვდება ეთნიკური ერთობის იდეალურ ტიპს ანუ *ეთნის*. იქ, სადაც ამ ელემენტთა სინდრომი არსებობს, სრულიად აშკარად ვადასტურებთ საერთო იდენტობის მქონე ისტორიული კულტურის საზოგადოებრივი ერთობის არსებობას. ასეთი ერთობა მკაცრად უნდა განვასხვავოთ რასისაგან, როგორც ისეთი სოციალური ჯგუფისგან, რომელსაც განსაკუთრებული შთამომავლობითი ბიოლოგიური ნიშნები აქვს, რაც სავარაუდოდ განსაზღვრავს ჯგუფის მენტალურ მახასიათებლებსაც.⁵ ეთნი ხშირად ერევათ რასაში, არა მარტო სოციალური, არამედ *ჰომო საპიენსის* ისეთი ქვესახეობების ფიზიკური და ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც კი, როგორიცაა მონღოლოიდური, ნეგროიდული, ავსტრალიოიდური, კავკასიური ანუ ევროპეიდული და სხვ. ასეთი აღრევა ფართოდ გავრცელებული რასისტული იდეოლოგიებისა და დისკურსების (მათი "მეცნიერული" ცნებებით რასობრივი ბრძოლის, სოციალური ორგანიზმებისა და ევგენიკის შესახებ) ზეგავლენის შედეგია. ასი წლის მანძილზე 1850 წ-დან 1945 წ-მდე ამგვარ ცნებებს იშველიებდნენ ეთნის წმინდად კულტურულ და ისტორიულ განსხვავებათა წარმოსაჩენად როგორც ევროპაში, ისე კოლონიურ აფრიკასა და აზიაში, რამაც ყველასთვის ცნობილი ნაყოფი გამოიღო.⁶

თუმცა ზემოჩამოთვლილი ეთნიკური მახასიათებლები ცხადყოფს არა მარტო მათ ისტორიულ შინაარსს, არამედ (მე-4 ნომრის გამოკლებით) მათ მკაცრად სუბიექტურ კომპონენტებსაც. ყველაზე მნიშვნელოვანია საერთო წარმომავლობის ამსახველი მითი; მაგრამ ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის გადამწყვეტია არა წინაპრის არსებობის ნებისმიერი ფაქტ (რომელიც, როგორც წესი, ძნელი დასადგენია), არამედ მხოლოდ ფიქციური წარმო-

მავლობა და სავარაუდო წინაპარი. მართლაც, ჰოროვიცმა ეთნიკური ჯგუფები ფიქციური წარმომავლობის "სუპეროჯახებს" შეადარა, რადგან მისი წევრები საკუთარ ეთნის განიხილავენ, როგორც ურთიერთდაკავშირებულ ოჯახებს, რომლებიც საერთო წინაპრისა და დანათესავების მითიური კავშირებით შეკრულ ერთ უზარმაზარ ოჯახს წარმოადგენენ. ასეთი სიახლოვე ოჯახსა და ნაციას შორის კიდევ ერთხელ ჩნდება ნაციონალისტურ მითოლოგიებშიც, რაც ეთნიკურობის ამ ატრიბუტის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს. ძნელია მოიძებნოს ისეთი ეთნი, რომელიც ამგვარი შთამომავლობითი მითის თვინიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობდეს. შეგნება იმისა, თუ "საიდან მოვდივართ", მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმის განსაზღვრას, თუ "ვინა ვართ".⁷

ასევე შეიძლება მითის სახე მიიღოს იმან, რასაც მე "ზიარ ისტორიულ მეტსიერებას" ვუწოდებ. მართლაც, ბევრი წინა-მოდერნული ხალხისთვის საზღვარი მითსა და ისტორიას შორის ხშირად ნაშლილია ან საერთოდ არ არსებობს. დღესაც კი ეს საზღვარი არ არის ისე მკაფიო, როგორც ეს ზოგიერთს უნდა, რომ იყოს; კამათი ჰომეროსისა და ტროას ომის ისტორიულობაზე დღესაც დღის წესრიგშია. ასევეა თქმულებები სტაუფახერის, რიუტლის ფიცის, ვილჰელმ ტელისა და გესლერის შესახებ, რომლებიც ყოველი შვეიცარიელის "ისტორიულ ცნობიერებაშია" გამჯდარი. ეს არ არის მარტო საყოველთაოდ აღიარებული დრამატული ამბები წარსულზე, რომლებიც ანმყოსა და მომავლის მიზნებს ეხმიანება და მუდამ, არაერთგზის შემონმებულ მოვლენათა არსს უტრიანლებს; გარდა ამისა, მითები იმგვარ მოვლენებზე, როგორიცაა პოლიტიკური დაფუძნება, თავისუფლების მოპოვება, მიგრაცია და არჩევნები, სათავეს იღებს რომელიმე ისტორიული ფაქტიდან, რათა შემდგომში ინტერპრეტირებული და გადაამუშავებული სახით წარმოჩინდეს. მაგალითად, კიევის მთავრის ვლადიმირის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა (988 წ.) ან რომის დაარსება (ძვ. წ. 753) შეიძლება მეტწილად ისტორიულ ფაქტებად მივიჩნიოთ, ოღონდ მათი ღირსშესანიშნაობა ლეგენდებთან ასოცირდება. სწორედ ამგვარი მიმართება აკისრებს მათ სოციალურ ანუ პოლიტიკური შემჭიდროების ფუნქციას.⁸

ასევე, გარკვეულ ტერიტორიასთან ან მისსავე ფარგლებში რომელიმე ადგილთან მიმართებას შეიძლება ჰქონდეს მითიური და სუბიექტური ხასიათი. სწორედ ეს კავშირები და ასოციაციებია უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური იდენტიფიკაციისთვის, ვიდრე ამ ტერიტორიაზე ცხოვრება ან მისი განკარგვა. ეს ის ადგილია,

რომელსაც მივეკუთვნებით. ხშირად ეს არის საკრალური მინა, ჩვენს მამა-პაპათა, რჯულმდებელთა, მეფეთა, ბრძენკაცთა, პოეტთა და მღვდელმსახურთა მინა, და ამიტომ არის ის ჩვენი სამშობლო (ჩვენ ისევე ვეკუთვნივთ მას, როგორც ის ჩვენ გვეკუთვნის) გარდა ამისა, სამშობლოს საკრალური ცენტრი თავს უყრის ეთნის წევრებს, ანდა შორიდან შთააგონებს მათ, ვინც ხანგრძლივ გადასახლებაში იმყოფება. ამდენად, მძაფრი ნოსტალგია და სულიერი მიჯაჭვულობა აძლებინებს ეთნის შაშინაც, როდესაც ის ხანგრძლივადაა მოწყვეტილი თავის სამშობლოს. ასეთია მეტწილად ისეთი დიასპორული ერთობების ბედი, როგორებიც არიან ებრაელები და სომხები.⁹

მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო კულტურის ისეთი ელემენტების კვლევას შევუდგებით, ერთ პოპულაციას მეორისაგან რომ განასხვავებს, სურათზე უფრო თბიქტური მახასიათებლები აისახება: ენას, რელიგიას, წეს-ჩვეულებებს, კანის ფერს ძალიან ხშირად ვიშველიებთ-თბიქტური "კულტურული მარკერის" დახასიათებისას. ეს ისეთი განმასხვავებელი ნიშნებია, რომლებიც ინდივიდთა ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და თითქოს კიდევ ბოჭავს მათ. და მაინც, სწორედ კანის ფერსა და სარწმუნოებაზე ამახვილებს ყურადღებას ადამიანების (და ორგანიზაციების) უმეტესობა და სწორედ მათ ენიჭება უფრო მეტი მნიშვნელობა ეთნიკური იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, ვიდრე თავად ამ ნიშანთა (რელიგიის თუ კანის შეფერილობის) მდგრადობასა და დამოუკიდებელ არსებობას. ამას ადასტურებს უკანასკნელი ორი თუ სამი საუკუნის განმავლობაში ენისა და კანის ფერის მზარდი პოლიტიკური მნიშვნელობა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ამგვარი მარკერები დიაკრიტიკული მნიშვნელობით იტვირთება, ეს კულტურული ატრიბუტები თბიქტურად გვესახება, ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რამდენადაც ეს ეხება ეთნიკურ საზღვრებს.¹⁰

ყოველივე ამაში ის იგულისხმება, რომ ნაციონალისტი იდეოლოგიების რიტორიკისა და დისკურსების მიუხედავად, ეთნის, პირველქმნილობის გარდა, ყველაფერი შეგვიძლია მივანეროთ. თითოეული ამ ატრიბუტის სუბიექტური მნიშვნელობის გაზრდა თუ დაკნინება ერთობის წევრებისათვის ადექვატურად აისახება ერთობის წევრთა ერთსულოვნებასა და თვითშეგნებაზე. როცა ეს რამდენიმე ატრიბუტი თავს მოიყრის და უფრო ინტენსიურად წარმოჩინდება, ესეც აირეკლება ეთნიკურ იდენტობასა და მასთან ერთად, ეთნიკურ ერთობაზე. და, პირიქით, როდესაც თითოეული ეს ატრიბუტი სუსტდება და კნინდება, ასევე კნინდება ეთ-

ნიკურობის საყოველთაო შეგნებაც. ამის შემდეგ თავად ეთნიკ დაქუცმაცდება და სხვა ერთობაში გაითქვიფება.¹¹

როგორ ყალიბდება ეთნიკ? ამ შეკითხვას ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ რამდენიმე სავარაუდო პასუხი გავცეთ. ის ისტორიული ჩანაწერები, რომლებშიაც თვალსაჩინოდ იკვეთება ამგვარი პროცესები, ეთნიკურობის ჩამოყალიბების გარკვეულ მოდელებს გვთავაზობს. ემპირიულად, მოიაზრება მათი ორი ძირითადი სახეობა: შერწყმა და დანაწევრება) ერთი მხრივ, ეთნიკური ფორმირება შეიძლება სხვადასხვა ერთეულების გაერთიანების გზით მიმდინარეობდეს. ეს გაერთიანებაც ორგვარი პროცესის სახეს იღებს: ცალკეული ერთეულების, როგორც არის ქალაქ-სახელმწიფოები, გაერთიანება ან ერთი საზოგადოების მიერ მეორის შთანთქმა, როგორც ეს ხდება ერთი რეგიონის ან "ტომის" მიერ მეორის ასიმილაციის დროს. მეორე მხრივ, ეთნიკების გახლეჩა შემადგენელ ნაწილებად ანუ წერილ-წერილ სქიზმებად, ანდა, როგორც ჰოროვიცი ამბობს, გახლეჩა "ახლად წარმოქმნის" ("პროლიფერაციის") გზით; ამ შემთხვევაში ეთნიკურ ერთობას ტოვებს მისი ერთი ნაწილი, რათა შექმნას ახალი დაჯგუფება, რაზეც მეტყველებს ბანგლადეშის მაგალითი.¹²

ამგვარი პროცესების სიხშირე ცხადყოფს ეთნიკური საზღვრების ადგილმონაცვლეობასა და მისი წევრების კულტურული იდენტობის ცვალებადობას გარკვეულ ჩარჩოებში. ის ავლენს აგრეთვე ეთნიკური ან, უფრო ზოგადად, კოლექტიურ-კულტურული შერწყმის "კონცენტრულ" ბუნებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ლოიალური დამოკიდებულება არა მარტო თავიანთი სოფლების, კასტების, სახელმწიფოების, რეგიონების, რელიგიური ერთობებისადმი, არამედ ასევე კლასობრივი და გენდერული იდენტიფიკაციებისადმი. მათ იმავდროულად შეიძლება ჰქონდეთ ლოიალური დამოკიდებულება სხვადასხვა ეთნიკური ერთობებისადმი იდენტიფიკაციის თუნდაც სხვადასხვა ეტაპზე. ამის მაგალითად ძველი მსოფლიოდან გამოდგება ძველ ბერძენთა, როგორც პოლისის, ან "სუბ-ეთნის" წევრთა (დორიელები, იონიელები, ეოლიელები, ბეოტიელები, და სხვანი - მართლაც რეალურად ეთნიკური იდენტობანი), ან კიდევ, როგორც ელინური კულტურული ეთნის წარმომადგენელთა, დამოკიდებულება.¹³ ახალი დროის მსოფლიოში მალაების ან იორუბას სხვადასხვა კლანები, ენები და შთამომავლობითი "სუბ-ეთნიები" სწორედ ეთნიკური იდენტობისა და ერთგულების კონცენტრული რგოლების მაგალითს იძლევიან. მართალია, ნებისმიერ დროს შეიძლება ერთგულების ამ კონცენტრული რგოლებიდან ერთმა

მეორეს გაუსწროს ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან დემოგრაფიულ მიზეზთა გამო; მაგრამ ეს გარემოება ეთნიკური ერთობების პირველყოფილი ბუნების წინააღმდეგ "ინსტრუმენტალისტური" არგუმენტების გაძლიერებასა და ეთნიკური საზღვრების ცვლილებების მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება.¹⁴

ამავე დროს, ეს პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. არ უნდა გავაზვიადოთ ეთნიკური საზღვრების შეცვლისა თუ მათი კულტურული არსის ცვალებადობის შესაძლებლობა. ასე რომ მოექცეულიყავით, ველარ შევაფასებდით ეთნიკური კავშირებისა და ერთობების განმეორებადობასა (თავი რომ დავანებოთ მათ თავდაპირველ კრისტალიზაციას) და მათ თვალნათლივ მდგრადობას, იმ კერძო შემთხვევების მიუხედავად, როდესაც იცვლება საზღვრებიცა და კულტურაც. ეს მოგვისპობდა იმ იდენტობათა ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რომლებიც აღემატებოდა იდენტობის მატარებელ ინდივიდთა აღქმაში, დამოკიდებულებებსა და გრძნობებში ერთმანეთის მიჯრით სწრაფნარმავალი ნუთების სიჭარბეს. უარესი ისაა, რომ ალბათ ვერ გამოვეყოფთ ვერც ერთ კოლექტივს, ვერც ერთ დაჯგუფებას ინდივიდუალური გრძნობის, აღქმისა და ხსოვნის უთვალავი წამიდან. მაგრამ ფაქტია, რომ ისევე, როგორც კოლექტიური იდენტობის სხვა სოციალურ ფენომენებში კლასი იქნება ეს, სქესი (გენდერი) თუ ტერიტორია, ეთნიკურობაშიც ერთმანეთის გვერდით თავს იჩენს მდგრადობაცა და ცვალებადობაც, რაც დამოკიდებულია დამკვირვებლის მიზნებსა და იმ მანძილზე, შესასწავლ კოლექტიურ ფენომენს რომ აშორებს მას. ზოგიერთი ეთნის მდგრადობა, მისი დემოგრაფიული შემადგენლობის ცვლილების, ზოგიერთი კულტურული განსხვავების მოშლისა და სოციალური საზღვრების შეცვლის მიუხედავად, უნდა დაუუპირისპიროთ უფრო ინსტრუმენტალისტურ თუ ფენომენოლოგიურ თვალსაზრისს, რომელმაც ვერ განგვიმარტა იმ ადრინდელი კულტურული ნათესაობის სიახლოვის მნიშვნელობა, პერიოდულად ხელს რომ უშლის ეთნიკური იდენტობების ხელახლა განსაზღვრას.¹⁵

ამიტომ ეთნიკური იდენტობისა და ეთნოგენეზისის ნებისმიერი რეალისტური განმარტების მცდელობისას თავიდან უნდა ავიცილოთ პრიმორდიალისტურ-ინსტრუმენტალისტური დებატების უკიდურესი სიმძაფრე, რაც, ერთი მხრივ, შეეხება კულტურული მოდელების მდგრადობას, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკური განწყობილებებით "სტრატეგიული" მანიპულირების შესაძლებლობასა და დაუსრულებელ კულტურულ ფორმაცვალებადობას. ნაცვლად ამისა, ხელახლა უნდა აღვადგინოთ თავად კოლექტიურ-

რი კულტურული იდენტობის ცნება ისტორიულ, სუბიექტურ და სიმბოლურ ტერმინებში. კოლექტიური კულტურული იდენტობა გულისხმობს არა თაობიდან თაობამდე ელემენტების ერთფეროვნებას, არამედ მოცემული პოპულაციის კულტურული ერთობის შიგნით თაობათა შორის მემკვიდრეობითობის განცდას; იგი გულისხმობს, აგრეთვე, ამ ერთობის ისტორიული პერიოდებისა და გარდასული ამბების საერთო ხსოვნასა თუ მისი კოლექტიური ბედ-იღბლისა და კულტურის ცნებებს, რომელთაც თავს ეკლება ყოველი თაობა. ცვლილება კულტურულ იდენტობაში ასახავს იმას, თუ რაგვარად ცვლის მანვე გარემოებანი კულტურის იმ ელემენტების ძირეულ მოდელებს, რომლებიც ერთობის ცნობიერების შემადგენელი ნაწილებია; ესენია ზიარი მენსიერება და საერთო ბედის გაცნობიერება მოცემული პოპულაციის კულტურულ ერთობაში. საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად ანგრევს ან ცვლის ამგვარი მოვლენები მითის, სიმბოლოს, მენსიერებისა და ფასეულობის იმ ფუნდამენტურ მოდელებს, რომლებიც შემდგომ თაობებს ერთმანეთთან აკავშირებს, "გარეშეთაგან" გამოყოფს მათ და კულტურული განსხვავების იმ ხაზებს ამუქებს, რომლებიც "სასაზღვრო რეგულაციის" კულტურული მარკერების როლს ასრულებენ.¹⁶

ზემოჩამოთვლილი საკითხების საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოკლედ გაგაცნოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც კულტურის რადიკალური ცვლილება იდენტობისა და საერთო ეთნიკურობის შეგნების (როგორც ჩვენ ისინი ზემოთ განვმარტეთ) შესუსტებას კი არ იწვევდა, არამედ მის განახლებას უფრო უწყობდა ხელს. იმ ტიპურ შემთხვევებში, რომლებიც ასეთი იდენტობის კულტურის არსის ღრმა ცვლილებებს იწვევს, იგულისხმება ომი და დაპყრობა, გადასახლება და ტყვეობა, მიგრანტების მოზღვავება და სხვა სარწმუნოებაზე მოქცევა. სპარსელები, სასანური ხანიდან მოყოლებული, არაბების, თურქებისა და სხვათა შემოსევების წყალობით, თანდათან ისლამის რჯულზე მოექცნენ და იმიგრანტთა ნაკადის არაერთგზისი მოზღვავება განიცადეს. მიუხედავად ყველა ამ ცვლილებისა, რამაც გავლენა იქონია კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე, განსხვავებული ეთნიკური იდენტობის სპარსული თვითშეგნება კვლავაც არსებობდა და დროთა განმავლობაში ხელახლა ივსებოდა სასიცოცხლო ძალებით; ეს ნათლად გამოიკვეთა სპარსული ენისა და ლიტერატურის აღორძინების ხანაში, მეათე და მეთერთმეტე საუკუნეებში.¹⁷ სომხებმაც მრავალგვარი განსაცდელი გადაიტანეს, რამაც საგრძნობი კვალი დაატყო მათი ეთნიკური იდენტობის კულტურულ არსს. სომხე-

თი ჩამოყალიბდა პირველ სამეფოდ, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო. მას თავს ესხმოდა როგორც სპარსეთი, ისე ბიზანტია; ამარცხებდა, დევნიდა და დიდ ნაწილს სხვაგან ასახლებდა. მან იმიგრანტთა არაერთგზისი მოზღვავება განიცადა და, საბოლოოდ, მასიური დეპორტაციისა და გენოციდის მსხვერპლად იქცა მშობლიურ მინა-წყალზე. თუმცა სომხეთმა საუკუნეების მანძილზე სამკვიდრებელიც არაერთხელ გამოიცვალა და სხვა ცვლილებებიც განიცადა, ეკონომიკური საქმიანობის, სოციალური ორგანიზაციისა და, ნაწილობრივ, კულტურის სფეროში, საერთო სომხური იდენტობის თვითშეგნებაც შეინარჩუნა თავის დიასპორაში და წინარე კულტურის ფორმებიც, კერძოდ, რელიგიისა და ენა/დამწერლობის სფეროში, რამაც სომხები სუბიექტურად მიაჯაჭვა თავიანთ კულტურულ იდენტობას და გარემომცველთაგან გაანაპირა.¹⁸

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ხშირად არცთუ მთლად სასიკეთო გარეგანი ფაქტორებისა და მდიდარი "ეთნო"-ისტორიის კომბინაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ეთნიკური იდენტობების კრისტალიზაციასა და მათ შენარჩუნებას. მართალია, თავისთავად კულტურული დიფერენციაციის სათავეები იკარგება პრეისტორიული ხანის უკანასკნელ ეტაპებზე, მაინც შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ იმ ხშირ ძალისხმევაზე, რომელმაც სავარაუდოდ გაამთლიანა ეთნიკური იდენტიფიკაციის თვითშეგნება და უზრუნველყო მისი ხანგრძლივი არსებობა.

ამ მოვლენათაგან უმთავრესი უნდა იყოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სამხედრო მობილიზაცია და ორგანიზებული რელიგია. ეთნოსის ჩამოსაყალიბებლად და თავისთავადობის შესანარჩუნებლად პოლიტიკური ქმედების მნიშვნელობის შესახებ ვებერმა კარგა ხნის წინ გამოხატა ამგვარი თვალსაზრისი: "უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ერთობა, რაგინდ ხელოვნურადაც უნდა იყოს ის ორგანიზებული, ინვევს საერთო ეთნიკურობის რწმენის ჩამოყალიბებას."¹⁹ არსებობს საშიშროება სახელმწიფოს წარმოშობის როლის გაზვიადებისა ეთნიკურ კრისტალიზაციაში (დასაფიქრებელია ბურგუნდიის მარცხი და პრუსიის პირობითი აღზევება); თუმცა ამკარაა, რომ ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, როგორც ეს მოხდა ძველ ეგვიპტეში, ისრაელში, რომში, სასანურ სპარსეთში, იაპონიასა და ჩინეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ საფრანგეთზე, ესპანეთსა და ინგლისზე, უზარმაზარ როლს თამაშობს ეთნიკურ ერთობის ცნობიერებისა და, განსაკუთრებით, ერთ მუშტად შეკრული ნაციების ჩამოყალიბებაში.²⁰

უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა შორის ერთ-ერთი არის ომი, ტილის (Tilly) განცხადებით, "ომი ქმნის არა მარტო სახელმწიფოს (სახელმწიფო კი - ომს)", არამედ ეთნიკურ ერთობებსაც და არა მარტო დაპირისპირებულ მხარეთაგან, არამედ იმ მესამე მხარისგანაც, რომლის ტერიტორიაზეც ხშირად აჩაღებენ ასეთ ომებს. ერთობ შთამბეჭდავია ძველი ისრაელის მაგალითი - ისრაელისა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ორ უმძლავრეს სახელმწიფოს - ასირიასა და ეგვიპტეს შორისაა მომწყვდეული. სომხების, შვეიცარიელების, ჩეხების, ქურთებისა და სიქების (Sikhs) მაგალითი იმასაც ცხადყოფს, რომ ისინი სტრატეგიული თვალსაზრისით დამკვიდრებული ერთობებია, რომელთა საერთო ეთნიკურობის თვითშეგნება მაშინაც კი, როდესაც იგი მსგავსი მოვლენებით არ ყოფილა განპირობებული, დროდადრო კრისტიალიზდებოდა იმ უცხო სახელმწიფოთა შორის გაჩაღებული გაჭიანურებული ომის დროს, რომელთა შორისაც ისინი მოქცეულიყვნენ. რაც შეეხება თავად დაპირისპირებულ მხარეებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირია ანტაგონისტურად დაწყვილებული ეთნიები: ფრანგები და ინგლისელები, ბერძნები და სპარსელები, ბიზანტიელები და სასანიანები, ეგვიპტელები და ასირიელები, ქმერები და ვიეტნამელები, არაბები და ებრაელები... თუმცა ნუ გავაზვიადებთ და ნუ დავასკვნით, რომ საერთო ეთნიკურობის თვითშეგნება "უცხო" ძალისადმი შიშითა და დაწყვილებული ანტაგონიზმითაა განპირობებული; ოლონდ, ამასთანავე, ომის წამყვანი როლის უარყოფაც არ ეგების. ვერც ზიმელს [Zimmel] დავეთანხმებით, რომელიც ომს გადამწყვეტ როლს ანიჭებს ეთნიკურ შეკავშირებაში (ომს ამ კავშირის დარღვევაც შეუძლია, როგორც ეს პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში). თუმცა ომი ზემოქმედებდა ეთნიკური განწყობილებისა და ნაციონალური ცნობიერების მობილიზაციაზე; ომია ცენტრალიზაციის ბიძგის მიმცემი ერთობის ცხოვრებაში და მომავალი თაობებისთვის - მითებისა და მოგონებების წყარო. ალბათ, სწორედ ეს უკანასკნელი ფუნქცია ტოვებს ყველაზე ღრმა კვალს ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებაზე.²¹

რაც შეეხება ორგანიზებულ რელიგიას, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც სულიერი, ისე სოციალური თვალსაზრისით. ეთნიკური წარმომავლობის ამსახველი მითი ხშირად დაწყვილებულია შესაქმნის მითთან - როგორც დევკალიონი და პირა ჰესიოდეს თეოგონიაში და ნოე ბიბლიაში - ან სულაც გულისხმობს მას. ძალიან ხშირად ეთნიკური ერთობის გმირები-მთავდროულად რელიგიურ ცოდნა-ტრადიციებზე აღზრდილი გმირები არიან

და მათ "ღვთის მსახურებად" უფრო მიიჩნევენ, ვიდრე ეთნოსის დამფუძნებლებად თუ ლიდერებად. ასეთები არიან მოსკო, ზორო-ასტრი, მუჰამედი, წმ. გრიგოლი, წმ. პატრიკი და ბევრი სხვა. ეკლესიის ან მორწმუნეთა ერთობის ლიტურგია და რიტუალები გაჯერებულია ისეთი ტექსტებით, ლოცვებით, ფსალმუნებით, სა-ეკლესიო დღესასწაულებით, ცერემონიებითა და წეს-ჩვეულებე-ბით, ზოგჯერ კი - ხელნაწერებით, რომლებიც სხადასხვა ეთნი-კურ ერთობებს განეკუთვნება და მეზობლებისგან მიჯნავს მათ. კულტურული მრავალგვარობის ამ მემკვიდრეობის სადარაჯოზე დგანან "ტრადიციის მცველები": მღვდელმსახურები, მნიგნობრე-ბი და მთქმელები, ისინი იწერენ, ინახავენ და თაობებს გადას-ცემენ ეთნიკური მითების, მოგონებების, სიმბოლოებისა და ფა-სეულობების ფონდს, რომელიც იმ საკრალური ტრადიციებითაა დაცული, ტაძრისა და ეკლესიის, მონასტრისა და სკოლის მეშვე-ობით უბრალო ხალხის პატივისცემას რომ ქადაგებს ყოველ ქა-ლაქსა და სოფელში ერთი კულტურული ერთობის ფარგლებში.²²

სახელმწიფოს ჩამოყალიბებზე გაჭიანურებული ომებისა და ორგანიზებული რელიგიის წვლილი თუმც თვალნათლივ იკვეთე-ბა ისტორიულ ჩანაწერებში, რომლებიც ეთნიკური კრისტალი-ზაციისა და გამძლეობის მაგალითებს ასახავენ, მათ ასევე შე-საძლებელია ხელი შეუწყონ ეთნიკური იდენტიფიკაციის წაშლასა და გაქრობას. სწორედ ეს მოხდა, როდესაც ისეთმა იმპერიებმა, როგორიც იყო ასირია და აქემენური სპარსეთი, არამეულენოვან და სინკრეტულ ცივილიზაციაში ეთნიკური კატეგორიებისა და ერთობების განუწყვეტელი აღრევის პირობები შექმნეს, როდე-საც გაჭიანურებულმა ომებმა და დაპირისპირებამ ბოლო მოუღო ისეთ ეთნიკურ კატეგორიებსა და ერთობებს, როგორებიც იყვნენ კართაგენლები და ნორმანები (ნორმანდიაში). ეთნიკური იდენ-ტობა განვითარდა აგრეთვე, როდესაც რელიგიურმა მოძრაობებ-მა გადალახა ეთნიკური საზღვრები და დააფუძნა დიდი ზეტე-რიტორიული ორგანიზაციები - ბუდისტური, კათოლიკური თუ მართლმადიდებლური. პროცესი პირუკუ წარიმართა მაშინ, რო-დესაც სქიზმის შედეგად ეთნიკური ერთობები გაიყო, როგორც მაგალითად, შვეიცარიელები და ირლანდიელები. კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება იმ მოსაზრებების გასამყარებლად, რომ სახელმწიფოებს, ომებსა და ორგანიზებულ რელიგიას მნიშ-ვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ეთნიკური კრისტალი-ზაციის პროცესში.

ეთნიკური ცვლილება, რღვევა და თვითგადარჩენა

ამ და სხვა ფაქტორების მნიშვნელობა კიდევ ერთხელ გამოჩნდება, როდესაც დავუბრუნდებით მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს იმის თაობაზე, თუ როგორ იცვლის სახეს, ქრება ან გადარჩება ეთნი.

დავინყებ ეთნიკური ცვლილებით და ბერძნების ცნობილი მაგალითით. თანამედროვე ბერძნებს ასწავლიან, რომ ისინი არა მარტო ბიზანტიელი, არამედ ანტიკური ბერძნებისა და კლასიკური ელინური ცივილიზაციის შთამომავლები და მემკვიდრეები არიან. ორივე შემთხვევაში (ფაქტობრივად, მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, რეალურად არსებობს წარმომავლობასთან დაკავშირებული ორი-საპიანისპირო მითი) "შთამომავლობა" განიხილებოდა ან წმინდა დემოგრაფიული კუთხით, ან ბიზანტიურ და ანტიკურ საბერძნეთთან (კერძოდ ათენთან) დემოგრაფიულ შთამომავლობითობაზე დაფუძნებული კულტურული სიახლოვის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, რაც შეეხება კლასიციტურ ელინურ მითს, მისი დემოგრაფიული მონაცემები, უკეთეს შემთხვევაში, არაფრის მოქმელია, უარესში კი – საერთოდ არ არსებობს. როგორც იაკობ ფალმერეიერმა კარგა ხნის წინ დაადასტურა, ბერძნული დემოგრაფიული შთამომავლობითობა მეექვსე საუკუნის ბოლოდან მერვე საუკუნემდე უხეშად დაირღვა ავარელი, სლავი და, მოგვიანებით, ალბანელი იმიგრანტების მასიური შემოჭრის შედეგად. ამ პერიოდის საბუთები ცხადყოფს, რომ იმიგრანტებმა შეძლეს ცენტრალური საბერძნეთისა და პელოპონესის (მორეა) უდიდესი ნაწილის დაკავება, ხოლო ბერძნულენოვანი და ელინი მოსახლეობა (რომელიც, თავის მხრივ, შერეოდა მაკედონელი, რომაელი და სხვა იმიგრანტების ძველ ნაკადს) სანაპირო ზოლისა და ეგეოსის კუნძულებისაკენ გარეკეს. ამან გამოიწვია ჭეშმარიტი ელინური ცივილიზაციის ცენტრის გადაადგილება აღმოსავლეთით, ეგეოსის ზღვისაკენ, მცირე აზიის იონიის სანაპიროსა და კონსტანტინოპოლისაკენ. ეს, აგრეთვე, ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე ბერძნები ძნელად თუ ჩაითვლებიან ძველი ბერძნების შთამომავლებად, თუმც ამგვარი ვარაუდის სრული გამორიცხვა შეუძლებელია.²³

გარკვეული თვალსაზრისით, წარმოდგენილი მსჯელობა ეთანადება კიდევ ბერძნული იდენტობის თვითშეგნების გამოვლენას ახლაც და წინათაც, და არც ეთანადება. ეთანადება იმდენად, რამდენადაც ბერძნები, ახლაც და უწინაც, გრძნობდნენ, რომ მათი "ბერძნობა" მათი ძველ ბერძენთაგან (ან ბიზანტიელ

ბერძენთაგან) წარმომავლობის შედეგი იყო. ასეთი ნათესაური კავშირი მათ თავს ბერძნების დიდი "ზეოჯახის" წევრებად აგრძნობინებდა და იმის საშუალებას აძლევდა, რომ წევრობისა და მემკვიდრეობითობის საერთო შეგნებით გამსჭვალულიყვნენ, რაც ესოდენ აუცილებელია იდენტობის გრძნობის სიცოცხლისუნარიანობისათვის. არ ეთანადება იმ თვალსაზრისით, რომ *ეთნი* ყალიბდება არა ფიზიკური ჩამომავლობის, არამედ განგრძობითობის შეგნების, საერთო მეხსიერებისა და საერთო ბედის, ანუ კულტურული ნათესაობის წყალობით,, რაც ნაირგვარ მითებში, მეხსიერებაში, სიმბოლოებასა და ლირებულებებშია ხორცშესხმული მოცემული პოპულაციის კულტურული ერთობის ფარგლებში. ამ კუთხით, ანტიკური ბერძნების ძველი მემკვიდრეობიდან ბევრი რამ დაბრუნდა და აღორძინდა. მაგალითად, სლავური მიგრაციის დროსაც კი, იონიაში და, განსაკუთრებით, კონსტანტინოპოლში, დიდი ყურადღება ეთმობოდა ბერძნულ ენას, ბერძნულ ფილოსოფიას და ლიტერატურას, ასევე აზროვნებისა და მეცნიერების კლასიკურ მოდელებს. ასეთი "ბერძნული აღორძინება" მებათე და მეთოთხმეტე საუკუნეებში ხელახლა უნდა გამოკვეთილიყო, ისევე, როგორც შემდგომ, როცა მან ძლიერი ბიძგი მისცა ძველ საბერძნეთთან და კლასიკურ მემკვიდრეობითობასთან კულტურული ნათესაობის გაცნობიერებას.²⁴

ეს არ ნიშნავს იმ უზარმაზარი კულტურული ცვლილებების უარყოფას, რომლებიც ბერძნებმა განიცადეს საერთო ეთნიკურობის შეგნების მიუხედავად, ან იმ კულტურული ზეგავლენის უგულებელყოფას, ორი ათას წელზე მეტ ხანს რომ განიცდიდნენ გარშემო მყოფი ხალხისა თუ ცივილიზაციებისგან. იმავედროულად, ენისა და დამწერლობის, გარკვეული ლირებულებების, კონკრეტული გარემოსა და მისი მონატრების, ხანგრძლივი სოციალური ურთიერთობების, რელიგიური და კულტურული განმასხვავებელი ნიშნებისა თუ თვით განსაკუთრებულობის თვალსაზრისით, მოხერხდა, შეიძლება ითქვას, ბერძნული იდენტობისა და ეთნიკურობის საერთო განცდის შენარჩუნება მიუხედავად იმ მრავალი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებისა, რომელიც თავს იჩენდა ორი ათეული საუკუნის მანძილზე.²⁵

ამჯერად დავუბრუნდები ეთნიკური გადაშენების საფრთხეს ეთნიკური მდგრადობის განმტკიცების პროცესში. ამჟამად მსურს მედლის მეორე მხარეზე - ეთნიკურ გადაშენებაზე გავამახვილო ყურადღება. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეთნი დაირღვეს გახლეჩისა თუ პროლიფერაციის წყალობით. მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევებში ეთნიკური

ერთობა მაინც "იმ უბანზე" რჩება, თუმცა, შესაძლოა, შემცირებული ან გაორმაგებული სახით. შეგვიძლია კი ამ შემთხვევაში ვილაპარაკოთ ეთნიკურ გადაშენებაზე ანუ ეთნის გაუჩინარებაზე არა უნიდელი, არამედ ნებისმიერი ფორმით?

მე მგონი, შეგვიძლია, -თუ მოვიშველებთ ეთნიკური იდენტობის იმ ისტორიულ, კულტურულ და სიმბოლურ კრიტერიუმებს, რომლებსაც მე ვიყენებ. არსებობს ეთნიკური გადაშენების ორი მთავარი სახეობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: გენოციდი და ეთნოციდი, რომელსაც ზოგჯერ შეცდომით "კულტურულ გენოციდსაც" უწოდებენ. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ გენოციდი არის იშვიათი და ალბათ ახალი დროის ფენომენი. ის მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც ვიცით, რომ კულტურული ჯგუფის მასობრივი მოსპობა წინასწარ იყო გააზრებული, ხოლო მკვლევობის ერთადერთი საფუძველი გახლდათ სწორედ ამ კულტურული ჯგუფის არსებობა და მისი წევრობა. სწორედ ამ ტიპის პოლიტიკას ატარებდნენ ნაცისტები ებრაელებთან და, ნაწილობრივ, ბოშებთან მიმართებაში. ალბათ, ასევე უსწორდებოდნენ ევროპელები ტასმანიელ აბორიგენებს და თურქებიც ასევე იქცეოდნენ თურქულ სომხეთში.²⁶ სხვა შემთხვევებში, პოლიტიკა და ქმედება გენოციდურია უფრო მისი შედეგებიდან, ვიდრე მიზნებიდან გამომდინარე. ეთნიკური განადგურების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკელი თეთრკანიანების შეჯახება ამერიკელ ინდიელებთან და ესპანელი კონკისტადორების შეტაკება აცტეკებსა და სხვა ინდიელ ხალხებთან მექსიკაში (თუმცა იქ ავადმყოფობამ უფრო დიდი როლი ითამაშა). ამ შემთხვევებში ეთნიკური მოსპობა არ იყო საგანგებოდ გამიზნული. ალბათ, უნდა აღინიშნოს, ის რომ არავითარი მცდელობა არ ყოფილა, შეერბილებინათ ის პოლიტიკა, რომელსაც გენოციდური თანამდევნი ეფექტი ჰქონდა. ეს გენოციდური აქციები უნდა განეასხვავოთ ფართომასშტაბიანი მკვლევობებისგან, რაც მონღოლებმა ჩაიდინეს მეცამეტე საუკუნეში, ან კიდევ, საბჭოელებმა და ნაცისტებმა ჩვენს დროში, პოპულაციის რჩეული ნაწილი მასობრივად რომ გაულიტეს (მაგალითად, კატინის ხოცვა-ჟლეტა ან ლიდისის და ორადოურის რეპრესიები). ეს იმიტომ განხორციელდა, რომ მეამბოხის სული ჩაეკლათ მოქალაქეებში ან უწინამძღოლოდ დაეტოვებინათ ისინი.²⁷

გენოციდისა და გენოციდური აქციების შესახებ ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: ისინი ძალზე იშვიათად აღწევენ დასახულ მიზანს და გაუფაღისწინებელ შედეგებს იწვევენ. ეს განსაკუთრებით ვხედავთ ახალი დროის ისტორიას. მათ იშვიათად

მოჰყვება ეთნის ან ეთნიკური კატეგორიების გაქრობა. ფაქტიურად, შესაძლოა პირიქითაც შონდეს და გენოციდებმა გაამძაფრონ ეთნიკური ცნობიერება, გაამყარონ ერთსულოვნება და ხელი შეუწყონ ცნობიერების კრისტალიზაციას. სწორედ ასე მოხდა, მხედველობაში თუ მივიღებთ აბორიგენების მოძრაობასა და რუმინეთის ბოშების ნაციონალიზმს. შესაძლოა, არსებობდეს თანამედროვეობის ღრმად ფესვგადგმული ასპექტები, რომლებიც უბიძგებს კიდევ გენოციდისკენ და ხელსაც უშლის მის წარმატებით განხორციელებას (რაკი წარმატებად მიიჩნევენ სრულ ამოძირკვას.). ეს კი დიდწილად დაკავშირებულია ნაციონალიზმის აღმტაცებლასა და გავრცელებასთან. ალბათ, უფრო ადვილი იყო ეთნის გაქრობა წინამოდერნულ ხანაში. ყოველ შემთხვევაში, როცა რომაელებმა გადაწყვიტეს კართაგენის დამხობა ერთხელ და სამუდამოდ, მათ მიწასთან გაასწორეს ქალაქი და მოსახლეობის სამი მეოთხედი ამოხოცეს, დანარჩენი კი მონებად გაყიდეს. თუმცა პუნიკური კულტურის ნაშთები წმ. ავგუსტინეს დრომდეც კი იყო შემორჩენილი, კართაგენელები, როგორც დასავლეთ ფინიკიური ეთნი და ეთნიკური სახელმწიფო, საბოლოოდ ამოიძირკნენ.²⁸

იგივე ბედი ელოდა ძველი მსოფლიოს სხვა ხალხებსაც – ხეტებს, ფილისტიმელებს, ფინიკიელებს (ლიბანის) და ელამელებს. თითოეულ ამ შემთხვევაში პოლიტიკური ძალაუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვა მოასწავებდა ეთნიკურ გაქრობას, თუმცა, როგორც წესი, ეს ხორციელდებოდა კულტურული შერწყმისა და ეთნიკური შერევის გზით. ეს უფრო ეთნოციდის შემთხვევებია, ვიდრე გენოციდისა, პოლიტიკურ მოვლენათა დრამატული განვითარების მიუხედავად, რამაც ისინი დააჩქარა. როდესაც ასირიის მეფემ, აშურბანიპალმა, ძვ. წ. 636 წ. სუზა დაანგრია და ელამური სახელმწიფო გააუქმა, მას არც უფიქრია ყოველი ელამელის იქიდან ამოძირკვა (ასირიელები ფაქტიურად ახორციელებდნენ დაპყრობილი ხალხების ელიტის დეპორტაციას). ასეთი მასობრივი განადგურების შემდეგ ელამი ველარ აღდგა და ახალი ხალხები დასახლდნენ მის საზღვრებში. მართალია, ელამური ენა აქემენურ სპარსულ ხანაში ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ ელამური ერთობა და სახელმწიფო ველარ გაიმართა წელში საიმისოდ, რომ თავისი რელიგიისა და კულტურის მითები, მოგონებები, ფასეულობანი და სიმბოლოები დაეცვა.²⁹

თავად ასირიის ბედის ბორბალი კიდევ უფრო სწრაფად და დრამატულად დატრიალდა. წინევიძა ძვ. წ. 612 წ. დაეცა მიდიელი კოქსარისა და ბაბილონელი ნაბოფალასარის ერთობლივი თავ-

დასხმის შედეგად; ხოლო მისი უკანასკნელი უფლისწული აშურბალიტი სამი წლის შემდეგ ხარანში დამარცხდა. მას შემდეგ ძალიან ცოტა რამ გვსმენია "ასირიის" შესახებ. მისი ღმერთები კიროსმა ბაბილონის პანთეონში დააბრუნა, მაგრამ სახელმწიფოსა და ხალხის სახსენებელი გაქრა და როცა ქსენოფონტეს არმიამ ასირიის პროვინციაში ჩაიარა, ყველა მისი ქალაქი, ერბილის გარდა, ნანგრევებად იყო ქცეული. ეს გენოციდური აქციის ცალკეული გამოვლინება იყო თუ თვით გენოციდი?³⁰

ვერაფერს გეტყვით. ასირიის მტრების მიზანი გახლდათ საძულველი მმართველობის გაუქმება. ამისათვის საჭირო იყო მისი მნიშვნელოვანი ქალაქების ისე დანგრევა, რომ იქ პოლიტიკური აღორძინება შეუძლებელი გამხდარიყო. მართალია, ნაბოფალასარი ამბობდა, რომ "მტრების ქვეყანა ნანგრევებად და გროვებად უნდა ექცია", მაგრამ ეს არ ნიშნავდა ყოველი ასირიელის განადგურებას, ასეთი რამ შესაძლებელიც რომ ყოფილიყო. შესაძლოა, ასირიული ელიტა გადაასახლეს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, რელიგიისა და კულტურის თვალსაზრისით ისინი სულ უფრო და უფრო ნაკლებად განირჩეოდნენ ბაბილონური ცივილიზაციისგან, რომლისთვისაც ცდილობდნენ მიებაძათ. გარდა ამისა, ასირიის ვრცელი იმპერიის უკანასკნელი დღეები მოწმობენ სასტიკ სოციალურ უთანასწორობას როგორც არმიაში, ისე სოფლად; მნიშვნელოვან ეთნიკურ აღრევას იმპერიის შიდა რაიონებში, ასევე, არამეული lingua franca-ს ხმარებას კომერციული და ადმინისტრაციული მიზნებით, რაც არამეულთა მნიშვნელოვანი მასის მოზღვაებას მოჰყვა. ამდენად, ასირიელების ეთნიკური ინდივიდუალობა ჯერ კიდევ იმპერიის დაცემამდე ნაწილობრივ უკვე ნაშლილი იყო. კულტურულმა სინკრეტულობამ და ეთნიკურმა აღრევამ ხელი შეუწყო ასირიული ეთნიკური ერთობის დასუსტებასა და გაქრობას, მისი კულტურა კი გარშემო მყოფი ხალხების კულტურით შეიცვალა.³¹

როგორც ფინიკიელების, ელამელებისა და სხვათა შემთხვევაში, ასირიული კულტურისა და ერთობის შედარებით სწრაფი გაქრობაც უნდა განვიხილოთ, როგორც ეთნოციდის მაგალითი. ძველ მსოფლიოში საზოგადოებრივი ერთობისა თუ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ღმერთებისა და ტაძრების განადგურება განიხილებოდა, როგორც თავად ამ ერთობის განადგურების საშუალება; როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო სპარსელების მიზანი, როდესაც მათ ბაბილონის ტაძრები გაანადგურეს ძვ. წ. 482 წ. და ალბათ, რომაელებსაც იგივე ამოძრავებდა, როდესაც მათ იერუსალიმის ტაძარი დაანგრის ახ. წ. 70 წ.³² ამგვარ შემთხვევებში

მიზანი უფრო კულტურის მოსპობაა, ვიდრე თვითონ იმ ჯგუფის, რომელიც ამ კულტურის მატარებელია. ეს განზრახული ქმედება განსხვავდება კულტურული შერწყმის ბევრად უფრო ნელი, დაუგეგმავი პროცესებისაგან, რომლებმაც შიგნიდან ააფეთქეს ბევრი მცირე ეთნიკური კატეგორია და ერთობა.

ისტორია სავსეა გაუთვალისწინებელი ეთნიკური რღვევისა და კულტურული შერწყმის მაგალითებით. ენგელსი, ევროპის ეთნიკურ რუკას რომ ათვალისწინებდა 1859 წელს, ზოგიერთ სიკვდილის პირას მისულ ეთნიკურ კულტურასა თუ ერთობას მოიხსენიებდა "ეთნოგრაფიულ ძეგლებად" და იმედოვნებდა, რომ ისინი სულ მალე გაქრებოდნენ და გზას დაუთმობდნენ დიდ კაპიტალისტურ ნაცია-სახელმწიფოს. ეგაა, რომ მისი იმედები არ გამართლდა. ამავ დროს, ბევრი ყოფილი ეთნის დაკნინება, მათი განწყობილებების დასუსტება მაგალითად, ოქსიტანიის, სორბების, ვენდეზისა და სხვ. გვიჩვენებს ინკორპორაციისა და ფრაგმენტაციის გზით ეთნის თანდათანობითი გაქრობის საყოველთაოდ გავრცელებულ პროცესებს.

მაგრამ აქ ასევე გასათვალისწინებელია მედლის მეორე მხარე - ეთნიკური კავშირების გამძლეობა, მათი კულტურების ხანგრძლივობა და კოლექტიური იდენტობებისა და ერთობების სიცოცხლისუნარიანობა საუკუნეების მანძილზე. თუ ეთნიკური საზღვრები და კულტურული შინაარსი განიცდიან პერიოდულ ცვლილებას, როგორ უნდა აეხსნათ ეთნიკური თვითგადარჩენის უნარი, ზოგჯერ ათასწლეულებს რომ უძლებს?!

ისევ და ისევ, საჭიროა მოვიხმოთ კარგად ცნობილი მაგალითი. ებრაელები თავიანთ წარმომავლობას უკავშირებენ აბრაამს, ეგვიპტის ტყვეობიდან გამოხსნას, სინას მთაზე მიღებულ რჯულს, თავიანთ ოქროს ხანას (სხვადასხვაგვარად) დავითის ან სოლომონის მეფობამდე ან მეორე-ტაძრის გვიანი პერიოდის ბრძენთა ხანას. ყოველივე ეს მითია იმ აზრით, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ. ეს მითები, იმავდროულად, რელიგიურ ცხოველმყოფლობასაც ინარჩუნებენ დღევანდელ დღეს. მაგრამ მათი ძალა არა მხოლოდ რელიგიურია. ისინი სეკულარული ებრაელებისთვისაც კი მათი ეთნიკური იდენტობის პრივილეგიებად რჩებიან. აქაც, ისევე როგორც ბერძნებისა თუ სომხების, ირლანდიელებისა თუ ეთიოპელების შემთხვევაში, შორეულ წარსულთან სიახლოვისა და კულტურული ნათესაობის შეგრძნებაა მთავარი - იმ წარსულთან, რომელშიც ერთობა ჩამოყალიბდა და, ყველა შემდგომი ცვლილების მიუხედავად, ჯერ კიდევ ისე აღიქმება, როგორც

“იგივე” ერთობა. რას უნდა უმაღლოდეს მემკვიდრეობითობის, საერთო მოგონებებისა და ბედ-ილბლის ეს თვითშეგნება?

მარტივი პასუხი, რომ ხალხები როგორღაც ახერხებენ თვითგადარჩენას რადგან მათ ფესვი გაუდგამთ მშობლიურ მინა-წყალზე და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას შეჰხარიან, ამკარად არაფერს გვეუბნება ებრაელების შემთხვევაში. ებრაელები როგორც სამშობლოდან, ისე სახელმწიფოდან იდევნებოდნენ დაახლოებით ორი ათასი წლის მანძილზე. ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე მათგანი უმნიშვნელო ყოფილიყო ებრაელთა იდენტობის თვითშეგნებისათვის, მაგრამ ისინი უფრო მეტად სიმბოლოებია, ვიდრე ცოცხალი მოგონებანი. ხაზართა სამეფოს თუ არ ჩავთვლით, ხაშმონელთა სამეფო იყო უკანასკნელი ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფო. ისრაელის მინა ზოგჯერ მართლაც მესიანისტური აღორძინების სიმბოლოზე მეტს ნიშნავდა ებრაელისთვის. ისინი ჯგუფებად მიემართებოდნენ ხოლმე იქითკენ და სინაგოგებს აარსებდნენ. მაგრამ აქაც კი, სიონისაკენ სწრაფვა უფრო სულიერ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ფიზიკურს. ეს იყო აღორძინებული მინისა და ქალაქის სრულყოფილების ხილვა.³³

კიდევ ერთი ზოგადი თვალსაზრისი, რომელიც ამჯერად საგანგებოდ დიასპორას შეეხება, ამგვარია: მათი (დიასპორის ხალხის) ხსნა დამოკიდებულია მათსავე უნარზე, განსხვავებული ეკონომიკური ნიშა მოიძიონ მასპინძლის როლში მყოფ საზოგადოებებში. როგორც წესი, ისინი შუამავალი ვაჭრები ან ხელოსნები არიან სამხედრო და აგრარულ ელიტასა და გლეხობას შორის. ის, რომ ებრაელები, ბერძნები და სომხები, ისევე, როგორც ლიბანელი და ჩინელი ვაჭრები, შუა საუკუნეების ევროპასა და ადრინდელ მოდერნულ საზოგადოებებში პოულობდნენ ასეთ ნიშებს, უდაოა. ისიც ცნობილია, რომ ასეთი პროფესიული თავშესაფრის მიგნება ხელს უწყობდა მკვიდრად დასახლებასა და კულტურულ სეგრეგაციას. საქმე ისაა, თუ რა გზით ხერხდება “პროფესიული ნიშის” გამოყოფა პირობათა იმ ერთობლიობიდან, რომელიც ქმნის ტიპურ დიასპორას და აგრეთვე, რა უპირველესი, თუმცა დროებითი, მნიშვნელობა ენიჭება ამ “პროფესიულ” ნიშას ეთნოსის გადარჩენასა და სტატუსის შენარჩუნებაში. როგორც არმსტრონგი ამტკიცებს, არქეტიპული დიასპორები, რომელთა ფესვები რელიგიურ და კულტურულ თავისთავადობაში მოიძიება, უნდა განვიხილოთ, როგორც ურთიერთდაკავშირებული ასპექტებისა და განზომილებების ერთობლიობა; ამ ერთობლიობაში პროფესიული სეგრეგაცია და შუამავლის სტატუსი ემსახურება, მაგრამ არ უზრუნ-

ველყოფს, ეთნიკური თავისთავადობის შენარჩუნებას. მართლაც, მავრიტანული ესპანეთის ებრაელებს ნებისმიერ თანამდებობაზე მიუწვდებოდათ ხელი, მაგრამ მათი ეთნიკური გადარჩენა დამოკიდებული იყო უფრო ფუნდამენტურ რელიგიურ და კულტურულ თვითმყოფადობაზე, რითაც ისინი განსხვავდებოდნენ თავიანთი მეზობლებისაგან.³⁴

უფრო საფუძვლიანია მოსაზრება, რომელიც ორგანიზებულ რელიგიაზე ამახვილებს ყურადღებას. დიასპორული ერთობის შემთხვევაში ეთნიკ ქცეულ სექტებში, ისეთებში, როგორც არიან დრუზები, სამარიტელები, მარონიტები და სიქქები, რელიგიური რიტუალები, ლიტურგია და იერარქიები მნიშვნელოვან თავდაცვით როლს ასრულებენ. ისინი უზრუნველყოფენ როგორც თაობათა შორის, ისე თემებს შორის კავშირ-ურთიერთობას. ამასთან ერთად, საკრალური ენებისა და დამწერლობების, ტექსტების, კალენდრების გამთიშველი ძალა თითქოს ნათელს ჰფენს დიასპორის ათასწლოვანი არსებობის საიდუმლოს.

მაგრამ სიძნელეები აქაც თავს იჩენს. ვერაფერს ვიგებთ იმაზე, თუ რა სახითა და რა მასშტაბით შემორჩა ესა თუ ის გადარჩენილი ერთობა. მაგალითად, სამარიტელებს აქამდე სულ ეთნიკური გაქრობა ემუქრებოდა, რადგან საუკუნეების მანძილზე ფეხმოკიდებული გამანადგურებელი ენდოგამიის გამოისობით ველარ მრავლდებოდნენ. ჩრდილოეთი ეთიოპიის ბეტა ისრაელის (ან ფალაშას) შემთხვევაში, ომის შედეგად მათი რაოდენობის შემცირებასა და ხელოსანთა ფენის იზოლაციას შეიძლებოდა ეთნიკ გაქრობის პირას მიეყვანა, რომ არა ისრაელის სახელმწიფო და ებრაელთა ეთნიკური თვით-განახლების თუ სიონიზმის აღორძინების უფრო ფართომასშტაბიანი პროცესი.³⁵

ეს თეზისიც არაფერს გვეუბნება ერთობის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ. რელიგია შეიძლება გაიყინოს და ანტიკვარულ სიძველედ იქცეს, როგორც ეს ამჟღის სახელმწიფო რელიგიას დავემართა; მან ვერ უზრუნველყო ეთნოსის გადარჩენა. ასეთივე შინაგანი ლპობა შეინიშნება როგორც გვიანი რომის იმპერიის, ისე პტოლემეოსის ეგვიპტის ფარაონულ რელიგიაშიც. ეთნიკური ერთობის გადარჩენას, რომ აღარაფერი ვთქვათ ეთნიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე, ვერც ერთ მათგანში ვერ მივანერთ ტრადიციული რელიგიის ჩარჩოებში მოქცეულ რაიმე მოძრაობას.³⁶

რელიგიამ შეიძლება გარკვეული დროის მანძილზე, ასე ვთქვათ, ჭუპრში მოაქციოს და დაიცვას საერთო ეთნიკურობის განცდა, როგორც ბერძნულმა მართლმადიდებლობამ შეინახა თვითმართვადი ბერძნულ-მართლმადიდებელი მიღეთი ოსმალთა ბატონო-

ბისას. მაგრამ თუ ახალმა მოძრაობებმა და მიმდინარეობებმა არ ააფორიაქეს სული რელიგიური სტრუქტურის შიგნით, შესაძლოა, თვით რელიგიის კონსერვატიზმმა გამოიწვიოს ეთნის სიკვდილი ან სულთმობრძავი იდენტობის ნაჭუჭად აქციოს იგი.³⁷ ცხადია, ორგანიზებული რელიგია თავისთავად საკმარისი არ არის. მაშინ რა არის ეთნიკური თვითგანახლებისთვის მექანიზმები? გამოყოფოფ ოთხ ამგვარ მექანიზმს:

1. რელიგიური რეფორმა. მას შემდეგ, რაც ეთნიკური გადარჩენის პოტენციალად ორგანიზებული რელიგიის მნიშვნელობა ვალიარეთ, ისიც უნდა განვიხილოთ, თუ რა როლი ენიჭება რელიგიურ-რეფორმატორულ მოძრაობას ეთნიკური თვითგანახლების სტიმულირებაში. ებრაელთა შემთხვევაში არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება. ეს მაგალითები მოიცავს წინასწარმეტყველთა და მეორე რჯულის მოძრაობებს (ძვ წ. VIII-VII სს.), იუდასა და ეზრას რეფორმებს (ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები), ფარისევლობასა და მიწნას რაბინიზმს ახ. წ. II ს-ში, ხასიდური და ნეოორთოდოქსული მოძრაობების ჩათვლით XVIII-XIX სს-ში. თითოეულ შემთხვევაში რელიგიური რეფორმა ეთნიკურ თვითგანახლებასთან იყო გადაჯაჭვული. ერთობის თვითგანახლება რელიგიური შთაგონებით იყო განპირობებული.³⁸

ამის საპირისპიროდ, რელიგიური რეფორმის მარცხმა თუ გაქვავებულმა კონსერვატიზმმა ეთნიკური თვითგანახლება ნებისმიერი მიმართულებით შეიძლება წარმართოს. ასეთი რამ დაემართათ ბერძნებს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ბერძნული მართლმადიდებლური იერარქია კონსტანტინოპოლში სულ უფრო და უფრო მტრდებოდა სამუალო კლასისა და ხალხის სულიერ მისწრაფებებს, მათ შორის იყო იერარქიის ქვედა საფეხურზე მდგომი სამღვდელოებაც, რომელთაგან ზოგიერთი მხარს უჭერდა მორეის აჯანყებას. აქ ბერძენთა მისწრაფებებმა იდეოლოგიების განსჯა-კამათში ჰპოვა განსხეულება მზარდი სეკულარული მოზნებისათვის ხორცის შესასხმელად.³⁹

2. კულტურული ნასესხობა. კულტურის ფართო სფეროში ეთნიკურ თვითგადარჩენას ხელს უწყობს არა იზოლაცია, არამედ შერჩევითი ნასესხობა და კონტროლს დაქვემდებარებული კონტაქტის პრინციპის გამოყენება სხვა კულტურასთან მიმართებაში. ამის მაგალითიც ისევ ებრაულ ისტორიაში შეიძლება მოვიძიოთ. ალექსანდრეს დროიდან მოყოლებული, ელინისტურმა კულტურამ ბიძგი მისცა ბერძნული და ებრაული აზროვნების ცხოველყოფელ

შეხლა-შემოხლას, რამაც მართალია, ძალიან მწვავე პოლიტიკური გამოძახილი ჰქოვა, მაგრამ, ამავე დროს, მთლიანად გაამყარა და გაამდიდრა ებრაული კულტურისა და იდენტობის სფერო.⁴⁰ არსებობს ბევრი სხვა შემთხვევა, როცა გარეგანმა კულტურულმა სტიმულმა და კონტაქტებმა ეთნიკური იდენტობის გრძნობა არჩევითი კულტურული შეთვისების გზით განაახლეს. მეცხრამეტე საუკუნის იაპონია, რუსეთი და ეგვიპტე ამის კარგად ცნობილი მაგალითებია.

3. ხალხის მონანილეობა / სოციალური თვალსაზრისითაც, სოციალური კლასებისა და ფენების მოძრაობიდან შეიძლება გამოვყოთ ეთნიკური თვითგანახლების მეთოდები. ამათგან ყველაზე მეტად რელევანტურია ისეთი სახალხო მოძრაობები, რომლებიც კულტურულსა და პოლიტიკურ იერარქიაში მონანილეობის მეტი უფლებებისთვის იბრძვიან. მაზდაკიდების უდიდესმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოძრაობამ მეხუთე საუკუნის სასანურ სპარსეთში განაახლა სასანური სპარსეთის ძლიერ დაზიანებული ქსოვილი და თვით ზოროასტრული ერთობა, ამასთანავე, მან სასანური სახელმწიფოს საფუძვლების შერყევა გამოიწვია. ამას შედეგად მოჰყვა, მართალია, რეპრესიული, მაგრამ, ეთნიკური თვალსაზრისით, განმაახლებელი მოძრაობა მეექვსე საუკუნეში ხოსრო I-ის დროს. იგი მოიცავდა მეფეთა ნიგნების ბაზისის კოდიფიკაციას, ირანულ მითოლოგიასა და რიტუალთან დაბრუნებას, ეროვნულ აღორძინებას ლიტერატურაში, პროტოკოლში, განათლებასა და ხელოვნებაში.⁴¹ იუდაიზმში სახალხო მოძრაობები მოსეს ხანიდან ხასიდიზმამდე, რომლებიც ახლახანს ვახსენეთ, ასევე ინვევდნენ დემოკრატიული ეთნის განახლებას ხალხის მონანილეობის და მესიანისტური პათოსის ნყალობით. იგივე შეიძლება ითქვას მრავალგვარ ისლამურ სახალხო მოძრაობაზე. რომელთა შორის უნდა დავასახელოთ თვით ისლამის დაარსება, სუნიტური ან შიიტური მოძრაობები განმმენდისათვის, მესიანიზმი დღევანდლამდე, მათ შორის ვაჰაბიზმი, მაჰდიზმი, ირანის შიიტური რევოლუცია.⁴²

4. ეთნიკური რჩეულობის მითები. ეთნიკური თვითგანახლების, აქედან, ეთნიკური გადარჩენის, საშუალებებს შორის ძალზე მნიშვნელოვანია ეთნიკური რჩეულობის სულისკვეთებით გამსჭვალული მითები. უპირველეს ყოვლისა, შევნიშნეთ, რომ ის ეთნი, რომელიც არ ქმნის ასეთ მითს (ან ვერ ახერხებს მის დანერგვას ხალხში), სხვებისადმი მისი ეთნოცენტრიზმის მიუხედავად, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ სხვა ერთობებში გაითქვი-

ფება. ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს უსიტყვო არგუმენტი. საერთოდ, ეთნიებს, რომელთაც აქვთ ეთნიკური რჩეულობის გამომხატველი რელიგიური მითები, ჰყავთ სპეციალისტთა ფენები, რომელთა პოზიციაცა და მსოფლმხედველობაც მჭიდროდაა დაკავშირებული რჩეულობის გამომხატველი მითის პოპულარობასა და შთამბეჭდაობასთან – და ხშირად სწორედ ისინი წარმოადგენენ ჩვენს ერთადერთ ლიტერატურულ წყაროს. მიუხედავად ამისა, როდესაც ვმსჯელობთ იმ მრავალი ეთნის ბედ-იღბალზე, რომელთაც ჰყავთ ამგვარი ფენები, მაგრამ არ გააჩნიათ ეთნიკური რჩეულობის გამომხატველი მითები, როგორც ამას ასირიის, ფინიკიის, ფილისტიმელების შემთხვევები ცხადყოფს, აშკარად ვეძებთ, რომ ასეთი ეთნიების გადარჩენის შანსები საგრძნობლად არის შემცირებული.

ამის გამო ახსნა-განმარტების მთელი მიზეზი იმ ფაქტორებითაა განპირობებული, რომლებიც დასაბამს აძლევს და ასაზრდოებს ეთნიკური რჩეულობის მითებს. და მაინც, ამგვარი მეთოდი აბრკოლებს ეთნოსის თვითგადარჩენას რჩეულობის ნიშნით. ის, რასაც რჩეულობის ამსახველი მითი გვიქადას, პირობითი ხსნაა. ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება იმის გასააზრებლად, თუ რა როლი აკისრია მას თვითგადარჩენის პოტენციალის გამოყენებაში. მისი *locus classicus* მოიძიება გამოსვლათა ნიგნში: “და ახლა, თუ მოუსმენთ ჩემს ხმას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ამოგარჩევთ ჩემს საკუთრებად ყველა ხალხიდან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა. და თქვენ იქნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ და წმინდა ერად.”⁴³ პოტენციურ “წმინდა ნაციად” თავის წარმოსახვა ნიშნავს რჩეულობისა და კოლექტიური კურთხევის (სანქტიფიკაციის) მჭიდრო კავშირს. ხსნა მხოლოდ გამოსყიდვის გზით არის შესაძლებელი, რაც თავის მხრივ, მოითხოვს წინარე გამოცდილებისა და რწმენა-წარმოდგენებისაკენ, ანუ სანქტიფიკაციის წესისაკენ, მობრუნებას. აქედან გამომდინარეობს “დაბრუნების” ის განმეორებითი მოტივი ბევრ ეთნო-რელიგიურ ტრადიციაში, რომელიც როგორც რელიგიური რეფორმის, ისე კულტურული რესტავრაციის მოძრაობას უდევს საფუძვლად. ეთნიკური იდენტიფიკაციის უცილობელი სუბიექტურობა განაპირობებს იმას, რომ პოტენციური რჩეული ერის ხელახალი კურთხევის ეს მორალური მოთხოვნები ეთნიკური თვითგანახლებისა და, შესაბამისად, ხანგრძლივი თვითგადარჩენის უზრუნველყოფის ძლიერ მექანიზმს ქმნის. უთუოდ ეს გახლავთ ამდენი განსაცდელის გადამტანებრაელთა თვითგადარჩენის ერთ-ერთი გასაღები, მაგრამ მის ცხოველმყოფელ კვალს შეგვიძლია თვალი მივაღვენოთ სხვა ხალხებ-

ში; ესენი არიან: ამჰარის ეთიოპელები, სომხები, მართლმადიდებელი ბერძნები, მართლმადიდებელი რუსები, დრუზები, სიქჰები, ისევე, როგორც სხვადასხვა ევროპული ეთნიკები – პოლონელები, გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, კასტილიელები, ირლანდიელები, შოტლანდიელები, უელსელები და სხვა მრავალი. ასეთი ფართოდ გავრცელებული ფენომენი მოითხოვს უფრო დანვრით შეხსნავლას.⁴⁴

"ეთნიკური გირთქვაბი" და ნაციულის ფორმირება

რელიგიური რეფორმა, კულტურული ნასესხობა, ხალხის მონაწილეობა და ეთნიკური რჩეულობის ამსახველი მითი – ეს ის მექანიზმებია, რომელიც ადგილმდებარეობასთან, თვითმმართველობასთან, მრავალენოვნებასა და სავაჭრო უნარ-ჩვევებთან – ისევე, როგორც ორგანიზებულ რელიგიასთან – ერთად, უზრუნველყოფს გარკვეული ეთნიკური ერთობების სიცოცხლისუნარიანობას საუკუნეების მანძილზე, მიუხედავად მრავალი ცვლილებისა როგორც სოციალურ შემადგენლობაში, ისე კულტურულ შინაარსში. ეს შემთხვევები ისევე და ისევე ეთნიკურობის პარადოქსის პირისპირ გვტოვებს. ეს არის სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ პარამეტრებში ნიადაგ ცვალებად ინდივიდუალურ და კულტურულ გამოხატულებათა მუდმივი დენადობისა და მდგრადობის თანაარსებობა. ეს უკანასკნელი იღებს ერთი თაობიდან მეორეზე გარდამავალი მემკვიდრეობისა და ტრადიციის სახეს, მაგრამ მეტ-ნაკლებად შეცვლილი ფორმით. ეს კი ზღვარს უდებს ერთობის თვალსაწიერსა და კულტურულ შინაარსს. სიმბოლოების, კულტის, ნეს-ჩვეულებების, რიტუალების, არტიფაქტების გარკვეული ტრადიცია – ისევე, როგორც ზოგიერთი მოვლენა, გმირი, პეიზაჟი თუ ლირებულება – ქმნის ეთნიკური კულტურის თავისებურ საგანძურს, რომელიც მოცემული ერთობის შიგნით თაობიდან თაობას გადაეცემა, რათა შერჩევით ეზიარონ ამ საუნჯეს.

რა მანქანებით ზემოქმედებს ასეთი ტრადიციები მომდევნო თაობებზე? პრემოდერნულ ერთობებში ამგვარ ფუნქციას კისრულობდნენ მღვდელმსახურნი, მნიგნობრები და მგოსნები. ისინი, ხშირად ამქრებსა და კასტებში გაერთიანებულნი, იხსენებდნენ, აცოცხლებდნენ და სისტემურად ალაგებდნენ ამ ტრადიციებს. მღვდელმსახურები, მნიგნობრები და მგოსნები, როგორც ერთადერთი განსწავლული ფენა, რომელიც ამავე დროს ღვთაებრივ ძალებთან კავშირს ამყარებდა, საკმაო გავლენით სარგებლობ-

დნენ და სახელსაც იხვეჭდნენ სხვადასხვა ერთობაში. ისინი ორგანიზებულად ცხოვრობდნენ თავიანთ სამშობლებში, ტაძრებსა და ეკლესიებში. მათ მიერ დიდ ქალაქებსა და მათ გარემომცველ სოფლებში დანერგილი სოციალიზაციის ქსელის ზეგავლენა ამა თუ იმ ერთობის კუთვნილ ტერიტორიაზე დამოკიდებული იყო მათი ორგანიზებულობის ხარისხსა და მენტალურ მონოპოლიაზე. მართლაც, ბევრ ანტიკურსა და შუა საუკუნეების დროინდელ იმპერიაში სამღვდლოება, მისი ტაძარი და მნიგნობრული ინფრასტრუქტურა გვევლინება განუყოფელ თანამონაწილედ ხელისუფლებაში თუ სასამართლოსა და ბიუროკრატიასთან დაპირისპირებულ ძალაუფლების ცენტრებში, განსაკუთრებით, ძველ ეგვიპტესა და სასანურ სპარსეთში.⁴⁵

თვით დიასპორის ერთობებში ვხვდებით მღვდლებს, რაბინებსა და სამართლის დოქტორებს, რომლებიც ორგანიზებულნი არიან მეტ-ნაკლებად ცენტრალიზებულ სტრუქტურებად. ისინი სასამართლოებისა და საბჭოების ქსელს ქმნიან და რელიგიური, სამართლებრივი და კულტურული ერთობით უზრუნველყოფენ ვრცელ ანკლავებს, რომლებიც ხშირად მტრულ გარემოცვაშია მოქცეული. როგორც არმსტრონგმა გამოავლინა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა ებრაელებისა და სომხების მაგალითი, სადაც რელიგიის მსახურებისა და ინსტიტუციების მაღალგანვითარებულმა ქსელმა უზრუნველყო სუბიექტური ერთობის, საზოგადოებისა და მისი ისტორიული და რელიგიური ტრადიციების შენარჩუნება.⁴⁶

სწორედ ამ გამაერთიანებელი ყოვლისმომცველი მექანიზმებით თანდათანობით იგება ის, რასაც შეიძლება „ეთნიკური ბირთვები“ ვუწოდოთ. ეს არის კარგად შეკავშირებული და განსხვავებული თვითშეგნების მქონე ეთნიები, რომლებიც ისეთი სახელმწიფოებისა და სამეფოების გულისგულსა და საფუძველს შეადგენენ, როგორებიცაა: ადრე შუა საუკუნეების ბარბაროსთა *regna*. ფრანკების, ლომბარდების, საქსონების, სკოტებისა და ვისიგოტების სამეფოებში საერთო ადათ-წესებისა და ჩამომავლობის თვითშეგნება არსებით როლს ასრულებდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ მოსახლეთა დიდი ნაწილი არ მიეკუთვნებოდა დომინანტურ ეთნიკურ ერთობას. თუმცა ხალხის ცნობიერებაში ასეთ *regna*-ს ახასიათებს მზარდი ტენდენცია, გარდაიქმნას ერთობად, რომელიც საერთო კულტურულ საფუძველზე იქნება შეკავშირებული.⁴⁷ გვიანი შუა საუკუნეებისათვის ამ სუბიექტურად გაერთიანებულმა კულტურულმა ერთობებმა შექმნეს ის ბირთვი, რომლის გარშემო დიდმა და ძლიერმა სახელმწიფოებმა ააგეს თავიანთი ადმინის-

ტრაციული, სასამართლო, ფისკალური და სამხედრო მანქანები. მათ წარმატება მოიპოვეს მოსაზღვრე ტერიტორიებისა და იქ მოსახლე კულტურულად განსხვავებული ხალხების ანექსიის საქმეშიც. მაგალითად, ედუარდ I-ის მეფობის ხანაში ინგლისურმა (ანგლო-ნორმანული) სახელმწიფომ ფეხი მოიკიდა უელსში (Wales), დაანგრია უელსური (Welsh) სამეფოები და უელსელთა უმეტესობა თავისი სამეფოს ფარგლებში მოაქცია, როგორც პერიფერიული კულტურული ერთობა ინგლისური სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ. რაღაც მსგავსი მოხდა საფრანგეთში ლუი VIII-ის მეფობის ხანაში *pays d'oïl*-ის (დასავლეთის მიწები), განსაკუთრებით კი, ტულუზის საგრაფოსთან მიმართებაში ალბიგოელთა ჯვაროსნული ლაშქრობის დროს.⁴⁸

ეთნიკური ბირთვების განლაგება დროსა და სივრცეში ბევრ რამეს გვეუბნება ნაციების სავარაუდო ფორმისა და ხასიათის შესახებ, თუ (ან როცა) ასეთი ნაციები წარმოიქმნა. ის გვეხმარება იმაში, რომ თითქმის ამომწურავად ვუპასუხოთ შეკითხვას, თუ ვინ არის ნაცია? და ნაწილობრივ შეკითხვასაც, თუ – სად არის ნაცია? აქ ვგულისხმობთ შემდეგს: სახელმწიფოს ფუნქციონირების ბირთვი ხშირად ყალიბში აქცევს ნაციის ხასიათსა და საზღვრებს. თუმცა ბოლოდროინდელ ნაციათა ან, უკეთ, ნაცია-სახელმწიფოთა უმეტესობა, ფაქტიურად პოლიეთნიკურია, მრავალი მათგანი ჩამოყალიბდა, უპირველეს ყოვლისა, დომინანტური ეთნის გარშემო, რომელმაც დაიპყრო და მიიზიდა სხვა ეთნიები ან ეთნიკური წარმონაქმნები და იმ სახელმწიფოს მიუერთა, რომელსაც თავადვე განუსაზღვრა სახელიცა და კულტურული პრივილეგიებიც. რადგან, მას შემდეგ რაც ეთნიები დეფინიციის მიხედვით გაიგივებულია მოცემულ ტერიტორიასთან, ანუ, არცთუ იშვიათად, რჩეული ერი – წმინდა მიწასთან, ნაციის სავარაუდო საზღვრები დიდწილად განისაზღვრება დომინანტური ეთნის მითებითა და მეხსიერებით. იგი მოიცავს დაფუძნების უფლებას, ოქროს ხანის მითსა და მისგან გამომდინარე ტერიტორიულ პრეტენზიებს, ან კიდევ ეთნოსის სამართლებრივი ტიტულის დამადასტურებელ საბუთს. აქედან იღებს სათავეს ბევრი, თუნდაც დღევანდელი, კონფლიქტი ეთნიკური სამშობლოს გათიშულ ნაწილებს შორის, – სომხეთში, კოსოვოში, ისრაელსა და პალესტინაში, ოგადასა თუ სხვაგან.

ეთნისა და ნაციის ცნებებს შორის მჭიდრო კავშირსაც და განსხვავებასაც, ისევე, როგორც მათ ისტორიულ ურთიერთმიმართებას, შეიძლება თვალი გაადევნოთ ნაციის ჩვენეულ დეფინიციისაში. როგორც ვამტკიცებდით, ნაცია არის ადამიანთა სახელდებული

პოპულაცია, რომელსაც აქვს საერთო ისტორიული ტერიტორია, საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, საყოველთაო-სახალხო კულტურა, საერთო ეკონომიკა და საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი ყველა ნეერისათვის. ამ დეფინიციის თანახმად, ნაცია, ისევე, როგორც ეთნი, არის საერთო მითებისა და მეხსიერების ერთობა. ის ასევე არის ტერიტორიული ერთობა. მაგრამ მაშინ, როდესაც ეთნის შემთხვევაში ტერიტორიასთან დამოკიდებულება შეიძლება იყოს მხოლოდ ისტორიული და სიმბოლური, ნაციის შემთხვევაში ის არის ფიზიკური და აქტუალური: ნაციები განკარგავენ ტერიტორიებს. სხვაგვარად, ნაციებს ყოველთვის სჭირდებათ ეთნიკური "ელემენტები". რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის ხელახლა გააზრება შესაძლებელია; მაგრამ, როგორც წესი, ისინი (ეს ელემენტები) არსებობენ. წარმოუდგენელია ნაცია ტერიტორიული სამშობლოს შესახებ საერთო მითებისა და მოგონებების გარეშე.

ეს გულისხმობს გარკვეულ წრიულობას იმ არგუმენტში, რომ ნაციები ყალიბდება ეთნიკური ბირთვის საფუძველზე. ეთნისა და ნაციას შორის მართლაც არსებობს მნიშვნელოვანი ისტორიული და კონცეპტუალური თანხვედრა. თუმცა ჩვენ საქმე გვაქვს განსხვავებულ კონცეპტებსა და ისტორიულ ფორმაციებთან. ეთნიკურ ერთობებს არ გააჩნიათ ნაციებისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ატრიბუტი. მათთვის არ არის აუცილებელი მუდმივად "თავიანთ" ტერიტორიულ სამშობლოში ცხოვრება. მათი კულტურა შესაძლოა არ იყოს სახალხო და საყოველთაო მისი ყველა ნეერისათვის. მათ არ სჭირდებათ და მეტწილად, არც სჩვევიათ შრომის საერთო დანაწილება და ეკონომიკური ერთიანობა. არც საყოველთაო სამართლის კოდექსი გააჩნიათ, ყველასთვის თანაბარი უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით. როგორც შემდგომ დავინახავთ, ნაციის ეს ატრიბუტები გარკვეული სოციალური და ისტორიული პირობების ნაყოფია, რომლებიც მანამდელი ეთნიკური ბირთვებისა და ეთნიკურ უმცირესობათა საფუძველზე შემუშავდა.

სურათის უკანა მხარეს თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ არსებობს ნაციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა მისა-უშუალო წინაპარი ეთნისაგან დამოუკიდებლად. ზოგიერთ სახელმწიფოში ნაციები ყალიბდება მოზღვავებული იმიგრანტების (უმთავრესად ევროპელების) კულტურათა შერწყმის გზით – ასეა ამერიკაში, არგენტინასა თუ ავსტრალიაში. სხვა შემთხვევებში სახელმწიფოები ჩამოყალიბდა იმპერიათა იმ პრდენციებისაგან, რომელთა მოსახლეობასაც საერთო ენა და რელიგია მოახვიეს თავს, რაც

განსაკუთრებით გამოიკვეთა ლათინურ ამერიკაში. აქაც კრეოლთა ელიტაში დაიწყო ნაციად ჩამოყალიბების პროცესი ისე, რომ განსხვავებული ეთნის სახით არანაირი წინაპარი არა ჰყოლია. მართლაც, ნაციის ფორმირების პროცესში აუცილებელი შეიქნა მექსიკურ, ბოლივიურ კულტურათა ფორმირება და ყურადღების გამახვილება სპეციფიკურ თუ ჩილეს განსხვავებულ ნიშან-თვისებებზე, იქნებოდა ეს ცალკეული სიმბოლოები, ღირებულებანი, მოგონებანი თუ სხვა რამ – ყველაფერი, რაც მომავალი ნაციისათვის იქნებოდა დამახასიათებელი.⁴⁹

დილემა კიდევ უფრო მწვავეა სუბ-საჰარას აფრიკაში, სადაც სახელმწიფოები შეიქმნა ეთნის სრული უგულვებელყოფის თუ არა, მასთან ძალზე უმნიშვნელო შეხების საფუძველზე. აქ კოლონიურ სახელმწიფოებს დასაბამი უნდა მიეცათ წმინდად ტერიტორიული პატრიოტიზმისთვის და გაემყარებინათ პოლიტიკური ლოიალობის შეგნება ანლად შექმნილი სახელმწიფოებისა და მათი ემბრიონული პოლიტიკური ერთობების მიმართ. ამ ტერიტორიული ერთობებისაგან შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში პოლიტიკური რეგულაციისა და სოციალური საზღვრების მეშვეობით ერთმანეთს შეერწყა რამდენიმე ეთნი, ეთნიკური ფრაგმენტები თუ ეთნიკური კატეგორია; ამ საზღვრებს მანამდე გათიშული საზოგადოებრივი ჯგუფები პოსტკოლონიურ პოლიტიკურ სისტემაში უნდა ჩაერთოთ და, თუნდაც მათ უნებურად, მწირი რესურსებისა და პოლიტიკური ძალაუფლებისათვის გაჩაღებულ ხელახალ ბრძოლაში უნდა ჩაებათ. ასეთ ვითარებაში მმართველი ელიტა, რომელიც შესაძლოა შედგებოდეს დომინანტური ეთნისა და ეთნიკური დაჯგუფებების კოალიციისაგან, ცდილობს შექმნას ახალი პოლიტიკური მითოლოგია და სიმბოლოთა სისტემა არა მარტო იმიტომ, რომ ლეგიტიმურობა მიაინჭოს მათ, არცთუ იშვიათად, ავტორიტარულ რეჟიმს, არამედ იმიტომაც, რომ აიცდინოს ენდემური ეთნიკური კონფლიქტისა და გათიშვისაკენ მიმართული მოძრაობის საფრთხე. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მეშვეობით ყალიბდება "სამოქალაქო რელიგია", რომლის მითები, მოგონებები, სიმბოლოები და სხვა ამისთანანი არარსებული ან ნაკლები დომინანტური ეთნის ფუნქციონალურ ეკვივალენტს შექმნიდნენ. ნაციის ჩამოყალიბების პროცესი აფრიკის სუბ-საჰარაში გულისხმობს ახალი ეთნიკური იდენტობის და ცნობიერების კომპონენტების შექმნას, რომლებიც არსებული ეთნიების ლოიალობისა და კულტურის შერწყმის გზით რომელიმე კატეგორიას მიაკუთვნებდნენ მათ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ბევრი აფრიკული და აზიური ელიტის ნაციონალური "პროექტი".⁵⁰

ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ნაციების დამოკიდებულება ნებისმიერ ეთნიკურ ბირთვთან მიმართებაში პრობლემურია და გაურკვეველი. მაშ, ნაციის სათავე რად უნდა ვეძიოთ წინარემოდერნულ ეთნიკურ კავშირებში, თუ ყველა თანამედროვე ნაცია ვერ მოიძიებს თავის ეთნიკურ ფესვებს?! მგონია, საამისოდ სამი მიზეზი არსებობს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც შემდგომ დავინახავთ, პირველი ნაციები ისტორიულად ჩამოყალიბდნენ წინარემოდერნული ეთნიკური ბირთვების საფუძველზე; ეს პირველი ნაციები თავიანთი ძალმოსილებისა და კულტურული გავლენიანობის გამო დედამიწის არაერთ კუთხეში ნაციების ფორმირების მოდელებად მოგვევლინნენ.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ნაციის ეთნიკური მოდელი სულ უფრო და უფრო პოპულარული გახდა არა მარტო ზემოხსენებული მიზეზის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ის ძალიან ადვილად მოერგო ერთობის წინარემოდერნულ "დემოკრატულ" სახეობებს, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა თანამედროვე მსოფლიოს მის ბევრ კუთხეში. სხვაგვარად, ეთნიკური მოდელი, სოციოლოგიური თვალსაზრისით ნაცოფიერი გამოდგა.

და მესამე, იქაც კი, სადაც მომავალი ნაცია (ნაციად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ხალხი) ვერ დაიკვებხნის რაიმე სერიოზული მნიშვნელობის მქონე ეთნიკური წარსულით და სადაც ეთნიკური კავშირები ბუნდოვანია და ხელოვნური, ნაციონალური თვითგადარჩენისა და ერთიანობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი პირობა, ისეთი რამის გამოგონებაა, რაც შესაძლებელია კულტურული კომპონენტების მეშვეობით – იქნება ეს ერთიანი ისტორიისა და კულტურის ერთმანეთზე გადაჯაჭვული მითოლოგია და სიმბოლიზმი თუ სხვა რამ. გარკვეული ეთნიკური წარმომავლობის გარეშე ნაციად გახდომის მსურველ ერთობას დაშლა ემუქრება. ნაციების ფორმირების ეს სამი ფაქტორი გახლავთ ათვლის ნერტილი, შემდეგი ორი თავის ჩვენეული ანალიზისა.

ნაციების აღმოცენება

თუმცა ეთნიკური კავშირებისა და საერთო წარსულის რეკონსტრუქცია განსაზღვრავს, სავარაუდოდ, იმას, თუ პოპულაციის რომელი გაერთიანება უფრო შეეფერება მომავალ ნაციას (nation-to-be), მაგრამ ყოველივე ეს ბევრს არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ რატომ და როგორ ხდება ასეთი გარდაქმნები. იმისთვის, რომ ეუქსასუხოთ შეკითხვას, რა არის ნაციის წარმოშობის მთავარი მიზეზი, ეთნიკური კავშირებისა და მეხსიერების საფუძველზე დაყრდნობით, უნდა გამოვიკვლიოთ იდენტობათა ჩამოყალიბების მთავარი მოდელები და ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მათ განვითარებას უწყობს ხელს.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გამოთქმა "ნაციის ფორმირება", რომელიც მოგვაგონებს, რომ, მართალია, თავის დასამშვიდებლად, მოვხაზეთ და განვსაზღვრეთ ნაციის სპეციფიკური ცნება, სინამდვილეში დროში მიმდინარე პროცესების რთულ ერთობლიობასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე უკვე დადგენილ "არსთან". | თავში გავაშუქეთ "ნაციონალური იდენტობის" კონცეპტის რთული და აბსტრაქტული ბუნება. ნაცია – როგორც ადამიანთა სახელდებული პოპულაცია, რომელსაც აქვს საერთო ისტორიული ტერიტორია, საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, საყოველთაო-სახალხო კულტურა, საერთო ეკონომიკა და საერთო სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები ყველა ნევრისათვის – არის მრავალგანზომილებიანი ცნება, იდეალური ტიპი, რომელიც წარმოადგენს სტანდარტს ანუ სასინჯო ქვას; მისი ყოველი კონკრეტული მაგალითი სხვადასხვა ხარისხით იმეორებს მას. სავარაუდოდ, ცალკეული მაგალითები გვიჩვენებს მნიშვნელოვან ვარიაციებს იმისა, თუ როგორ წარიმართება სხვადასხვა პროცესი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით და როგორ შეერწყმება ისინი ერთმანეთს, რათა მიუახლოვდეს ნაციის იდეალურ განსახიერებას. აუცილებელია გვახსოვდეს ეს, როდესაც ვიკვლევთ ნაციის აღმოცენების მიზეზებსა და მექანიზმებს.

ნაციები ნაციონალიზმის აღმოცენებამდე?

მე-2 თავის დასაწყისში ვახსენე ნაციონალისტების რწმენა, რომლის თანახმადაც ნაციები უხსოვარი დროიდან არსებობენ, თუმ-

ცა ხშირად ხანგრძლივად უმოქმედონი არიან. არც ნაციონალისტებისა და არც მეცნიერთა ადრეული თაობისათვის არანაირი განსაკუთრებული პრობლემა არ წამოჭრილა ნაციების წარმოშობის დროსა და მიზეზებთან დაკავშირებით; არც იმის საჭიროება ყოფილა, რომ მათი ჩამოყალიბების პროცესები ეკვლიათ. ნაციები, მათი აზრით, მუდმივია, განსხვავებულია მხოლოდ მათი თვითშეგნებისა და აქტივობის ხარისხი.¹

ამ ცნობილი ძველი მოსაზრების წინააღმდეგ მეცნიერთა ახალი თაობა გამოვიდა, რომელმაც ისტორიაში ნაციებისა და ნაციონალიზმის შემთხვევითობისა და შესაბამისად, მათი ახლებურად გადაჭრის საკითხი წამოაყენა. მეცნიერთა უმეტესობისათვის ნაციონალიზმი, როგორც მოძრაობა და იდეოლოგია, შეიძლება გვიანი მეთვრამეტე საუკუნით დათარიღდეს. საფრანგეთის რევოლუციის წინა ხანებში ვხვდებით ნაციონალური განწყობილების მხოლოდ ცალკეულ გამოვლინებებსა და ნაციონალიზმის უმთავრეს იდეებზე ბუნდოვან მინიშნებებს კულტურულად განსხვავებული ერების ავტონომიურობაზე. ნაცია თუმც ნმინდად თანამედროვე კონსტრუქციაა, "მოდერნისტებს" შორის აქაც მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობაა ევროპაში მისი აღმოცენების დროის თაობაზე. მაგალითად, ზოგს მიაჩნია, რომ ნაციები აღმოცენდა მეთვრამეტე საუკუნეში ან უფრო ადრეც, სხვები უპირატესობას ანიჭებენ ამ პროცესის მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასაწყისით დათარიღებას, როცა მასები უკვე მთლიანად "ნაციონალიზებულია", ხოლო ქალები – ემანსიპირებული. ამგვარად, ამკარაა, რომ მოდერნისტებს შორის, რომელთაც ნაცია მთლიანად ახალი დროის ნაყოფად მიაჩნიათ, ნაციის იდეა სხვადასხვაგვარად იჩენს თავს.²

თუმცა მოდერნისტების თვალსაზრისი თუ მართებულია, წინამოდერნულ ხანაში ვერც ნაციები იარსებებდა და ვერც ნაციონალიზმი. ის პირობები, რომლებმაც ნაციის აღმოცენება გამოიწვია, არც ძველ დროს არსებობდა და არც შუა საუკუნეებში; ხოლო წინამოდერნულ და მოდერნულ კოლექტიურ კულტურულ იდენტობას შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ ნაციის ერთიანი ცნების ფარგლებში მათი მოქცევა შეუძლებელია. საყოველთაო "მოქალაქეთა ნაცია" შესაძლებელია მხოლოდ ინდუსტრიალიზმისა და დემოკრატიის პირობებში აღმოცენდეს.³

ეს თვალსაზრისი მეტწილად სიმართლეა, მაგრამ ის, მნიშვნელოვანი კუთხით, მეტ გარკვეულობას მოითხოვს. მასში იგულისხმება, რომ ერთადერთი კრიტერიუმი – ფართო მასებისა და ქალების ჩართვა – გადამწყვეტია ნაციის წარმოშობისა

და არსებობის განსაზღვრისას. ეს შეცდომაში შეყვანა თუ არა, უმართებულო შეზღუდვა მაინცაა. გარდა ამისა, ამ კრიტიკიკის თანახმად ადამიანთა ისეთ გაერთიანებებს, რომლებიც მობილიზდებიან მასებად სამხედრო ან პოლიტიკური მიზნით, უნდა შეედგინათ ნაცია – მაშინ შეიძლება, რომ ადრეულ შუამერულ ქალაქ-სახელმწიფოს ანდა ადრეულ შვეიცარიულ კანტონს ნაცია ვუნოდოთ? განა შეიძლება უგულვებელვყოთ ძველი ეგვიპტელებისა თუ ასირიელების ნაციად ყოფნის პრეტენზია მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მასები მონყვეტილნი იყვნენ პოლიტიკურ საქმიანობასა თუ წარმომადგენლობას?! განა ეს არ არის ნაციის სწორედ დასავლური ცნების მორგება სრულიად განსხვავებულ დროსა და სივრცეზე?⁴

ოღონდ განა შეგვიძლია, მთლიანად ავირიდოთ თავიდან ამგვარი ქმედება, თუნდაც გარკვეული ფორმითა და მცირე დოზით? მგონი, არა, მაშინაც კი, ნაციის უფრო მრავალგანზომილებიან ცნებას თუ მოვიშველიებთ – ისეთს, მე რომ ვიყენებ, პრაქტიკულად მაინც დავინყებთ კოლექტიურ კულტურულ იდენტობათა შორის განსხვავებათა შეფასებას წინამოდერნულ და თანამედროვე ხანაში მთელი რიგი პროცესებისა თუ განზომილებათა მეშვეობით. ამ ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

დავინყებ ასეთი შეკითხვით: იყო თუ არა ნაცია და ნაციონალიზმი ძველ დროში? ძველი ეგვიპტე ნათელი მაგალითია: მდინარე ნილოსმა და გარემომცველმა უდაბნომ ეგვიპტე მკაფიოდ განსაზღვრული და კომპაქტური ტერიტორიით უზრუნველყო, ალბათ, სამხრეთის გამოკლებით. ზემო და ქვემო ეგვიპტის გაერთიანებიდან გამომდინარე, დინასტიური მმართველობის ხანგრძლივმა ისტორიამ თანამედროვეებს შეუქმნა ძლიერი, ერთიანი ბიუროკრატიული სახელმწიფოს არსებობის შთაბეჭდილება. ამ სახელმწიფოს მცხოვრებლები ემორჩილებოდნენ მხოლოდ ფარაონის კანონთა კრებულს, ხოლო მდინარე იყო ერთიანი ეკონომიკური სისტემის საფუძველი. კულტურის ტერმინებიც რომ მოვიშველიოთ, ფარაონული რელიგიისა და წესების მონოპოლიური მდგომარეობა ყველა კლასის ეგვიპტელს მისთვის დამახასიათებელ კულტურულ ელფერს ანიჭებდა, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოს საბოლოო დაცემამდე მაინც.⁵

ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს სახელდებულ პოპულაციასთან, რომელსაც აქვს ისტორიული ტერიტორია, მითები, მეხსიერება, საერთო კულტურა, საერთო ეკონომიკა და სამართლის კოდექსი. განა ძველი ეგვიპტე, ყველანაირი თვალსაზრისით, ისევე – თუ

უფრო მეტად – არ უახლოვდება იდეალურ-ტიპურ ნაციას, როგორც, ასირია, სეფიანთა სპარსეთი, ან ტოკუგავას იაპონია?

ეჭვი არ არის, რომ ძველი ეგვიპტელები, ისევე, როგორც ასირიელები, სეფიანთა ხანის სპარსელები და ტოკუგავას ხანის იაპონელები წარმოადგენდნენ იმას, რასაც მე ვუნოდებ *ეთნის*, თავისი შესაბამისი ეთნოცენტრიზმით. მაგრამ ისინი რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით იყვნენ დაცილებულნი იმას, რასაც ჩვენ ნაციის იდეალურ ტიპს ვუნოდებთ. ეკონომიკის თვალსაზრისით, მიუხედავად სავაჭრო ერთიანობისა, რომელიც ნილოსის დახმარებით ხორციელდებოდა, ეგვიპტე დაყოფილი იყო რეგიონებად და უზნებად, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობაზე დამყარებული ეკონომიკის წყალობით არსებობდნენ. მართალია, სამართლებრივადაც, ყველა ეგვიპტელი ფარაონის მმართველობას ექვემდებარებოდა, მაგრამ არ არსებობდა ოდნავი ნიშანწყალიც კი იმისა, რასაც საერთო უფლებებსა და მოვალეობებს ვუნოდებთ, თავი რომ დავანებოთ მოქალაქეობის იდეას – აი, ისეთს, როგორსაც ძველ საბერძნეთში ვხვდებით. მართლაც, ყველა ამ სახელმწიფოში იყო სხვადასხვა კანონები სხვადასხვა კლასისა და ფენისათვის. სამღვდელოება გახლდათ ის კასტა, რომელიც ყოველივე ამას თავისთვის ადგენდა. ასევე, განათლებასაც კლასობრივი ხასიათი ჰქონდა: წარჩინებულ ეგვიპტელთა ვაჟები იღებდნენ განათლებას, რაც სრულიად განსხვავდებოდა ტაძრის სამწერლო სკოლებში სწავლებისაგან. ამგვარად, მართალია, არსებობდა საერთო მითები და მოგონებები, ისევე, როგორც საერთო პანთეონი და რიტუალები, რომლებიც ეგვიპტელებს სხვა ხალხებისაგან განასხვავებდა, ფარაონის სახელმწიფოს სახალხო კულტურა მოქმედებდა ძირითადად რელიგიური ინსტიტუციების მეშვეობით, რომლებიც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა დაყოფა-დანაწილებას და ამის გამო ვერ უპირისპირდებოდა რეგიონალიზმს, ესოდენ ხშირად რომ უქმნიდა საფრთხეს ეგვიპტური სახელმწიფოს მთლიანობას. უფრო გვიანდელ ხანებში ელიტასა და დაბალ ფენას (გლეხობა, ხელოსნები) შორის გათიშულობის ზრდამ გამოიწვია ძველი ფარაონული სატაძრო რელიგიის ეფექტიანობის შესუსტება. ქვედა ფენებმა მიაშურეს ახალ საიდუმლო კულტებს და საბოლოო ჯამში – ქრისტიანობას.⁶

შესაძლოა, უპრიანი იყოს ძველი ეგვიპტის უფრო როგორც ეთნიკური სახელმწიფოს, ვიდრე როგორც ძველი ნაციის (ამ ტერმინის ჩვენეული განსაზღვრებით) დახასიათება. ძველეგვიპტურმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა ფუძე მოეშალა არისტოკრატიისა და სამღვდელოებისათვის, როგორც ეს ფრანგულმა და ბრიტანულმა

სახელმწიფოებმა შეძლეს. სხვა ისეთი ეთნიკური სახელმწიფოების მსგავსად, როგორც იყო ასირია, სპარსეთი და იაპონია, ვერც ეგვიპტემ შეძლო საყოველთაო კულტურის დანერგვა საშუალო და ქვედა ფენებში. არც იმას ცდილა, რომ მოსახლეობისათვის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ერთიანი დასაქმების სისტემა შეექმნა და არც იმას, რომ სამეფოს ყველა წევრისათვის თანაბარი უფლება-მოვალეობანი განესაზღვრა. ეთნიკური სახელმწიფო ახალი დროის ნაციის წინამოდერნულ ეკვივალენტად დარჩა და საჭირო იყო რევოლუცია ამ ყალიბის დასამსხვრევად.

აქედან გამომდინარე, რამდენადაა შესაძლებელი ვილაპარაკოთ ძველეგვიპტურ ნაციონალიზმზე და არ ჩავცვივდეთ რეტროსპექტულ დეტერმინიზმში? ჩვენ ვიცნობთ ეგვიპტის მონარქებს, ეხნატონის ჩათვლით; ნათელი წარმოდგენა გვაქვს ეგვიპტეზე, როგორც სამეფოსა და, მოგვიანებით, იმპერიაზე; ვიცნობთ ეხნატონისეულ მზისადმი მიძღვნილ ჰიმნს, რომელშიაც ხაზგასმულია სხვა ხალხების ღირსებაც ("ნილოსი ზეცაში უცხო ხალხებისთვის მიედინება"). მაგრამ ამგვარი განწყობანი ელიტის ფარგლებს არ გასცდენია და მათი გაღვივება უცხოტომელთათვის წინააღმდეგობის განეხება და ძველი წესწყობილების დაცვას ისახავდა მიზნად. თებელი უფლისწული, კამოსი, რომელმაც ძვ. წ. 1580 წელს გააძევა ჰიქსოსის მეფეები, ამბობს:

მე შევერკინები მათ, დაეუფატრავ მათ მუცლებს!

მე გადავარჩენ ეგვიპტეს და გავაძევებ აზიელებს!

თუ ნაციონალიზმი გულისხმობს მხოლოდ კულტურულ და პოლიტიკურ მონინააღმდეგეებთან დაპირისპირებას, მაშინ კამოსი და მისი მიმდევრები ნაციონალისტები ყოფილან; და მაშინ თავად ნაციონალიზმიც შეიძლება ყოველ ეპოქასა და კონტინენტზე დაედასტუროთ. მაგრამ თუ ნაციონალიზმს ისეთ იდეოლოგიებსა და მოძრაობებს ვუნოდებთ, რომლებიც წინდანიწვე გულისხმობენ ნაციათა მსოფლიოს არსებობას, თითოეულ ნაციას თავისი ხასიათითა და ნაციისადმი ერთგულებას, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების წყაროსა და მსოფლიო წესრიგის საფუძველს, მაშინ ამგვარი იდეებით შთაგონებულ მოძრაობებს ვერ ვიპოვით არათუ ეგვიპტეში, არამედ მთელ ძველსა და შუა საუკუნეების მსოფლიოში.

ძველი ეგვიპტე, მაშასადამე, წარმოგვიდგენს ეთნიკური სახელმწიფოს ნათელ მაგალითს, სადაც ძალზე ახლო კავშირია დინასტიურ სახელმწიფოსა და შედარებით ჰომოგენური ისტო-

რიული კულტურის მქონე პოპულაციას შორის. მხოლოდ იაპონიას შეუძლია დაიკვეხოს ეთნიკური ჰომოგენურობის მსგავსი ხარისხით, მიუხედავად იმისა, რომ აქაც არსებობენ უმცირესობები აინუსა და კორეელთა სახით. სხვა ეთნიკურმა სახელმწიფოებმა – ასირიამ, ელამმა, ურარტუმ, სპარსეთმა, ჩინეთმა – მალევე დაიპყრეს გარე ტერიტორიები კულტურულად განსხვავებული მოსახლეობით, ან მოიწვიეს (ან გადაასახლეს) უცხოელები თავიანთ მშობლიურ ტერიტორიაზე და მისცეს დომინანტური ეთნოსის წარმომადგენლებთან დაქორწინების უფლება.

ანტიკურ სამყაროში ნაციებისა და ნაციონალიზმის ხვედრითი წილის განსაზღვრა-შეფასებას აბრკოლებს თუნდაც მცირერიცხოვანი მმართველი ფენების წყალობით შემორჩენილი ცნობების სიმწირე. იქნებ სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იმ ორ შემთხვევაში, სადაც მეტი საბუთი მოგვეპოვება, უფრო მომზადებულნი ვართ იმისთვის, რომ შესაძლებლად ვცნობ ნაციებისა და ნაციონალიზმის არსებობა.

რა თქმა უნდა, ძველ საბერძნეთსა და ისრაელს ვგულისხმობ. სად სად და, სწორედ აქ არის შესაძლებელი, ნაციონალური იდენტობის მძაფრ თვითშეგნებასა და ასეთსავე ცხოველ ნაციონალიზმს წავანყდეთ. მაგრამ აქაც საბუთი, უკეთეს შემთხვევაში, ორაზროვანია.

უკვე ვნახეთ, რომ ერთობა ძველ ბერძენთა შორის უფრო კულტურული ხასიათისა იყო, ვიდრე პოლიტიკურის. სინამდვილეში კულტურული სურათი კიდევ უფრო რთულია, რადგან ეთნიკური დაყოფა უფრო ვრცელი ელინური ეთნიკური ერთობის შიგნით (სხვაობა იონიელებს, ეოლიელებს, ბეოტიელებსა და დორიელებს შორის) აგრეთვე თამამობდა გარკვეულ როლს როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსხვავება დორიულ "სიმტიცესა" და იონიურ "დახვეწილობას" შორის, შესაძლოა, წინ წამოენიათ პარტიებს (როგორც წესი, ნეგატიური აზრით, როგორც "უხეში ძალა" და "ქალურობა") პელოპონესის ომში მოკავშირეებისა და პოლიტიკური ქმედების გამართლების ძიების მიზნით. ეს სხვადასხვაგვარობა სოციალურ და რელიგიურ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ტომობრივი დაყოფა, რელიგიური რიტუალები, კალენდრები და შემოქმედებითი ფორმები განსხვავდებოდა ყოველ ეთნიკურ კატეგორიაში. მაგრამ თვით ეს ნაწილებიც კი ვერ შეადგენდნენ ეფექტიან ერთობებს, რადგან თითოეული მათგანი იყოფოდა პოლისებად – ქალაქ-სახელმწიფოებად, რომლებიც ბერძენებისათვის უპირველესი ერთგულების ობიექტს წარმოადგენდნენ და რომლებიც,

გვიანდელი ამფიქტიონების მიუხედავად, ყოველთვის ინარჩუნებდნენ ასეთ მნიშვნელობას.⁸

სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ შეძლეს ძველმა ბერძნებმა ნაციონალიზმის ჩამოყალიბება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კიდევ ერთხელ, ისევე, როგორც ძველ ეგვიპტეში, საქმე გვაქვს ტიპურ ეთნოცენტრიზმთან, რომელსაც ავლენს ძველი დროის კულტურულ ერთობათა უმეტესობა. ეს ის ეთნოცენტრიზმია, რომელიც კრიზისის შემთხვევებში აიძულებდა ელინური კულტურული ერთობის შემადგენელ ნაწილებს (სინამდვილეში, არავითარ შემთხვევაში ყველას), გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. სპარსეთისადმი განუღმმა წარმატებულმა წინააღმდეგობამ გამოიწვია პანელინური კულტურული განწყობილებები და ააყვავა "დამონებულ" ბარბაროსებზე ბერძნების უპირატესობის იდეა, მაგრამ, პერიკლესა და კიმონის მცდელობათა მიუხედავად, მან ერთხელაც ვერ შეძლო მათი გაერთიანება სპარსეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის საწარმოებლად. სპარსული ოქრო უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე პანბერძნული განწყობა.⁹

შესაძლოა, მეტი ერთობითა და ნაციონალისტური განწყობით გამოირჩეოდნენ იუდეველი ებრაელები. ეს შედარებით უფრო გვიანი განვითარების ხანა იყო. ძველი ისრაელი უდავოდ დაფუძნებული იყო საერთო წარმომავლობის მითებზე, ზიარ მესხიერებასა და ტრადიციებზე, და საერთო რელიგიურ კულტურაზე. მაგრამ მის ერთობას ფუძეს ურყევდა ტომობრივი გათიშულობა და ჩრდილოეთისა და სამხრეთის ტომობრივ რეგიონებს შორის მდულარე კონფლიქტი. ქანაანელებთან და ფილისტიმელებთან დროდადრო წარმოებულმა ომებმა დასაბამი მისცა გარკვეულ პოლიტიკურ ერთიანობას, მაგრამ რეალურად ისრაელის კულტურულ ასიმილაციას ძვ. წ. 722 წ. გზა გადაუღობა იერუსალიმის სამღვდლოებამ და წინასწარმეტყველთა მოძრაობამ. ასევე, ეზრას რეფორმებმა და ნეემიას პოლიტიკურმა ღონისძიებებმა შეინარჩუნეს იუდას თანამეგობრობა აქემენური იმპერიისა და მისი მემკვიდრეების – პტოლემეოსების მმართველობის დროს. ამას მოჰყვა ელინიზაციის დიდი კრიზისი, რომელიც სელევკიდი ანტიოქოს ეპიფანეს მიერ მიღებულმა ზომებმა კიდევ უფრო გაამწვავა და რომლის დროსაც ეს რელიგიური ნაკადები კულტურული ასიმილაციის დინებაში მოექცნენ მაკაბელთა, ფარისეველთა, ზელოტთა და, ბოლოს, რაბინთა და ბრძენთა ხანაში.¹⁰

მაგრამ ამ შემთხვევაშიც განა შეგვიძლია ვილაპარაკოთ ებრაულ ნაციასა და ნაციონალიზმზე? მართებულია თუ არა, რომ

მაკაბელები და ზელოტები განვიხილოთ, როგორც უფრო გვიანდელი ხანის პარტიზანებისა და თავისუფლებისთვის მებრძოლთა ადრეული წარმომადგენლები?

სირთულე, რომელიც ხელს უშლის ამ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემას, შემდეგში მდგომარეობს: ებრაელთა აზროვნებასა და ცხოვრებაში ერთმანეთთან ძალზე ახლოა და თითქმის გაიგივებულია ის, რასაც ჩვენ ცალ-ცალკე მოვიაზრებთ, სახელდობრ, რელიგიური ერთობა და ნაცია თავისი რელიგიური მესიანიზმითა და ნაციონალიზმით. კერძოდ, ზელოტებისთვის ისრაელის მიწა ღმერთის კუთვნილება იყო და ამიტომაც არ შეიძლებოდა მისი გასხვისება. ყოველი ებრაელის მოვალეობა გახლდათ რომაელთა ბატონობისგან მისი გამოხსნა და ბოლო უამისათვის მომზადება. ამგვარი ესქატოლოგიური იმედები მიმართული იყო ისრაელსა და ღმერთს შორის დადებული ალთქმის რეალიზაციისაკენ. დედამიწაზე ღვთის სასუფეველის დამკვიდრების მესიანურ ალთქმას ებრაულ თეოკრატიაში ხორცი უნდა შესხმოდა ისრაელის მიწაზე. ამ კონცეფციაში არავითარი განსხვავება არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც ებრაულ ნაციასა და ისრაელის რელიგიურ ერთობასა და არც ებრაულ მესიანიზმსა და ებრაელი ხალხის მისწრაფებას შორის.¹¹

როგორც შემდეგ დავინახავთ, ნაციონალიზმი მთლიანად სეკულარული იდეოლოგიაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რელიგიური ნაციონალიზმი სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა. ნაციონალისტები ძალიან ხშირად მასების რელიგიურ განწყობილებებზე ახდენენ აპელირებას; იმავდროულად, მათ შედარებით ეიოლებათ ნაციის რელიგიურ საზოგადოებასთან გაიგივება მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი თანხვედება ეთნიკური ერთობის საზღვრებს, როგორც მაგალითად, შრი-ლანკაში, სომხეთში, პოლონეთსა და ირლანდიაში. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევებში ეთნო-რელიგიურ ერთობას გაცნობიერებულად მოუხმობდნენ ნაციონალიზმის ეპოქაში. ძველ ებრაელთა შემთხვევაში კი არ არსებობდა ნაციონალისტური იდეების ევროპული თუ მსოფლიო ტრადიცია, რომელზეც შეიძლებოდა დაყრდნობა და, ამდენად, არც ნაციონალიზმის იდეოლოგია *per se*. იქიდან, რაც ამ პერიოდის შესახებ ვიცით, ვერ ვივარაუდებთ, რომ ახ. წ. პირველი საუკუნის იუდეველი ზელოტი (ან რომელიმე სხვა ებრაელი) უშვებდა იუდაიზმისგან გათიშული ნაციის სეკულარული კონცეპტის არსებობის შესაძლებლობას; მაგრამ არგუმენტებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.¹²

იქნებ ებრაულ ნაციაზე ლაპარაკი უკვე მეორე ტაძრის ხანა-შივეა შესაძლებელი? ამ დროს, რა თქმა უნდა, არსებობდა საერთო ეთნიკურობის ცხოველი შეგრძნება, ხორცშესხმული საერთო სახელწოდებაში, წარმომავლობის ამსახველ მითებში, ზიარ ისტორიულ მეხსიერებაში, მინა-წყლისადმი მგზნებარე დამოკიდებულებაში, საერთო ენებში (ებრაულსა და არამეულში) და საერთო რელიგიურ კულტურაში. მაგრამ, სხვა მხრივ, ცნობები გაცილებით ბუნდოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის მიწის საზღვრები ტრადიციით იყო დაცული ("დანიდან ბეერშებაამდე"), რეალური ტერიტორიის სიდიდე და ერთიანობა სხვადასხვა დროს განსხვავებული იყო. მაგალითად, გალილეა და ზღვისპირა დაბლობი (და სამხრეთ ნეგევი) როგორღაც განცალკევებულნი იყვნენ იუდაური ცენტრისგან. ამ გარემოებამ, ტაძრის, როგორც სავაჭრო საქონლის შემკრების, გამაერთიანებელი როლის მიუხედავად, შესაბამისი ეკონომიკური გათიშულობა გამოიწვია, - კერძოდ, გალილეა მდიდარი გლეხობის (ვაზისა და ზეთისხილის მოშენებისათვის რომ მიეყო ხელი) ბარაქიანი სამკვიდრებელი გახლდათ, განსაკუთრებით, გვიანი მიწნას პერიოდში. ასევე, არცთუ მთლად ნათელია, თუ როგორ იყვნენ გაერთიანებული ებრაელები საერთო მოქალაქეთა უფლებებითა და მოვალეობებით ხაშმონეურ სახელმწიფოში. მაგრამ რელიგიური რიტუალები და მოვალეობები ყველა იმ ზრდასრულ მამაკაცს ეხებოდა, რომელსაც თეორიულად მაინც ჰქონდა მიღებული იგივე რელიგიური განათლება. სინაგოგისა და ფარისეველთა აღზევებისას კი ადგილობრივი რელიგიური განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომ რეალობად იქცა. თუმცა, შესაძლოა, მხოლოდ მოგვიანებით, მიცნას პერიოდში, მიიღო რიგითმა მამაკაცმა (ამ ჰა-არეც) ის, რასაც სამართლებრივ ენაზე პირადი უფლებები და მოვალეობები ეწოდება. იმ დროისათვის, რასაკვირველია, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ყოველგვარი იმედი გადანურული იყო.¹³

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ნაციის იდეალურ ტიპს გვიანი მეორე ტაძრის ხანის ებრაელები უფრო უახლოვდებიან, ვიდრე ძველი მსოფლიოს სხვა ხალხები. ამის გამო მეტი სიფრთხილე გვმართებს, როდესაც ძალზე თამამად ვაცხადებთ, რომ ნაცია, თუნდაც რელიგიური ნაციონალიზმის ფორმით, ვერ იარსებებდა ახალი დროის დადგომამდე. რჩეული ხალხის ცნების შორსმძივალე შედეგები, წმინდა მინებისა და ცენტრებისადმი მგზნებარე დამოკიდებულება, წმინდა ენისა და დამწერლობის მარადიული ანაბეჭდი წარმოადგენს იმ მყარ მემკვიდრეობას მრავალი ხალხებისათვის - ძველი დროიდან დანყებული, ახალი ეპოქით დამთავ-

რებული - რომელსაც ეყრდნობა მათი გამორჩეულობის შეგნება და რომელიც კვებავს მათი მუდმივი განახლების იმედებს.¹⁴

აქედან გამომდინარე, იქნებ ნაციონალურ განწყობილებებთან მსგავს სიახლოვეს შუა საუკუნეების ეპოქაშიც მოველოდეთ? მართლაც, შუა საუკუნეების დროინდელი სამეფოებისა და ხალხების ნაწილი თავს მიიჩნევს გვიანდელ "ისრაელანებად", რაც ნიშნავს ღვთის რჩეულობის განცდასა და რწმენას იმისა, რომ ღვთივშთაგონებული რჯული მას საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს. ეს არის საერთო წეს-ჩვეულებების და საერთო წარმომავლობის მქონე ერთობა, რომლის განკარგულებაშიცაა წმინდა მიწა და წმინდა ცენტრები.

დასავლეთში ბარბაროსთა ზოგიერთი *regna* (სამეფო), რომელიც რომის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა, პრეტენზიას აცხადებდა ტროელთა შთამომავლობასა და/ან ბიბლიურ მემკვიდრეობაზე. ხალხის წარმოდგენებში მალე მოხდა საერთო რწმენასა და წარმომავლობაზე დაფუძნებული მთელი ერთობის გაიგივება მათ ხელისუფალთა სახელოვან საგვარეულოებთან. ვისიგოთებთან, საქსონებთან, ფრანკებთან, ნორმანებთან იშვა ეთნიკური რჩეულობის მითი, რომლის თანახმად მათი მმართველები დავითის შთამომავლებად იყვნენ აღიარებულნი, ხოლო მათი ერთობები - ძველი ისრაელის მემკვიდრეებად. თუმცა სინამდვილე ღორს იყო იდეალური მოდელისაგან როგორც ნაციის იდეოლოგიის თვალსაზრისით, ისე იმ კულტურული, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, ტერიტორიული თუ ეკონომიკური პროცესის თვალთახედვითაც, რომელიც აუცილებელია ნაციის წარმოშობისთვის. მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების ხანაში გახდა შესაძლებელი იმ პროცესების განვითარება, რომლებიც საფუძვლად დაედო ნაციისა და მისი ცნობიერების ჩამოყალიბებას. ამ პროცესებს სულ მალე დაეუბრუნდები.¹⁵

ევროპის მეორე ნაწილში, პოლონეთსა და რუსეთში, მსგავსი *regna* აღმოცენდა მეთაუდან მეთორმეტე საუკუნეებში და მაშინვე დაიწყო მათი დაქუცმაცება, რუსეთში კი - "მონღოლთა ტყვეობა". ორივე სამეფოში სლავთა სიჭარბის მიუხედავად, ეთნიკური ჰომოგენურობა არასოდეს ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ეგვიპტესა თუ იუდეაში. დიდი სიმტკიცით არც ეკონომიკური თუ სამართლებრივი ერთიანობა გამოირჩეოდა, რომ აღარაფერი ეთქვათ საყოველთაო განათლების სისტემაზე. მხოლოდ და მხოლოდ მათმა ლინგვისტურმა და რელიგიურმა კულტურამ, კათოლიკურმა და მართლმადიდებლურმა, გამოიღო ნაყოფი და შეძლო საერთო და სხვათაგან განსხვავებული ეთნიკურობის შეგნების

კრისტალიზაცია. ამ პროცესს კვებავდა მათი ადრეული სახელმწიფოებრიობის (პიასტებისა და კიევის რუსეთში – რიურიკიელების მმართველობის დროს) ხსოვნა. სწორედ ამ მოგონებებს უნდა შეესრულებინათ მნიშვნელოვანი როლი მოგვიანებით – მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული და შემდგომ – რუსეთისა და პოლონეთის ნაციების ფორმირება-ჩამოყალიბებაში.¹⁶

რაკი ლამის ახ. წ. 1300 წლამდე ევროპაში ეთნიკურ სახელმწიფოებთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე ნაციებთან, განა შეგვიძლია გვიანი შუა საუკუნეების ხანამდე ნაციონალიზმზე ვილაპარაკოთ? – ალბათ არა, თუ ნაციონალიზმს განვიხილავთ, როგორც *იდეოლოგიურ მოძრაობას, რომლის მიზანია მოიპოვოს და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, ერთიანობა და იდენტობა იმ სოციალური ჯგუფისთვის, რომელიც მომავალ ნაციად მოიაზრება*. ადრეულსა და განვითარებულ შუა საუკუნეებში ძალიან ხშირად ვხვდებით ეთნოცენტრული განწყობილების გამოვლინებებს, თუმცა კი ჩვენს ხელთ არსებული წყაროები მეტწილად სასულიერო და ბიუროკრატიული ფენებიდან მომდინარეობს. მაგრამ ის იდეები და ქმედებები, რომელთაც ნაციონალიზმთან ვაიგივებთ, თითქმის არ გვხვდება ინგლის-საფრანგეთის ომებამდე და დასავლეთ საქრისტიანოს დანაწევრებამდე, რაც შედეგად მოჰყვა ძლიერი დინასტიური სახელმწიფოების მიერ ჩამოყენებულ ურთიერთსაწინააღმდეგო პრეტენზიებს. ისეთი იდეები და დოქტრინები, როგორიცაა კულტურით განსაზღვრული პოლიტიკა, თვითგამორკვევა (ავტო-ემანსიპაცია), ნაციისა და ხალხის სუვერენობის მოთხოვნა, მხოლოდ ბუნდოვან გამონათქვამებად აღიქმებოდა, სანამ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ნაციონალისტურ ქმედებებსა და მოძრაობაში არ გადაიზარდა.¹⁷ მხოლოდ ისეთ ხშირ გამონათქვამებთან და ქმედებებთან ერთად, როგორიცაა არბროთის შოტლანდიელთა 1320 წლის დეკლარაცია, ან რუიტილის შვეიცარიელთა 1291 წელს დადებული ფიცი, 1307 წელს კვლავაც რომ განმეორდა, გაისმა უფრო ომახიანი მონოდება. ეს იყო დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, რომელიც დამყარებული იყო ხალხის კულტურულ თავისებურებებზე, განსხვავებულ კანონებსა და წეს-ჩვეულებებზე. ყოველივე ეს (ბრუსთან ერთად, რომელსაც მეორე მაკაბელს ან იესო ნავეს ძეს უწოდებდნენ) მაკაბელებისა და ზელოტების ეთნიკური რჩეულობის რელიგიურ გააზრებას ეხმებოდა და თუმცა ასეთი იდეალები წინააღმდეგობის სულისკვეთებას აღვივებდნენ, საბოლოო ჯამში, მათ ვერ შეუწყვეს ხელი შოტლანდიური თუ შვეიცარიული

ნაციის, როგორც ნაციათა სამყაროს შემადგენელი ნაწილის, ჩამოყალიბებას.

ეთნიკური ერთობის ტიპები

რაც უნდა ითქვას ცალკეულ შემთხვევებზე, ცხადია, კოლექტიური კულტურული ერთობები ანტიკურ ხანაში და ადრეულ შუა საუკუნეებში ძირითადად არ შეესატყვისებიან ნაციის იდეალურ ტიპს; არც ამ ერთობების იდეალები და განწყობილებები გამოხატავენ იმ იდეებსა და რწმენას, რომელთაც შედარებით უფრო გვიანდელი ხანის ნაციონალიზმთან ვაიგივებთ. სხვა საკითხია, რამდენად ასახავს ეს სხვაობა ჩვენს სამუშაო დეფინიციებს და რამდენად ზუსტად აირეკლავს იგი მნიშვნელოვან ისტორიულ თუ სოციოლოგიურ განსხვავებას, – ეს შემდგომი განსჯის საგნად დარჩება. ერთი რამ სავსებით ცხადია: ამგვარი სხვაობა დადასტურებულია ისტორიულ ტექსტებში; ხოლო მისი შეფარდებითი მნიშვნელობა უკვე განსჯის საგანია. თავად ის ფაქტი, რომ ისტორიული ტექსტების შემონშემებისას ჩნდება სერიოზული ეჭვი, გულისხმობს მოდერნამდელ ეთნიებსა და ეთნოცენტრიზმს, თუ უფრო მოდერნულ ნაციებსა და ნაციონალიზმს შორის უფრო თანმიმდევრული კავშირის არსებობას, ვიდრე ამას ალიარებენ მავანი და მავანი მოდერნიზმები.

ამიტომ, როდესაც ვცდილობთ ავხსნათ, თუ როგორ და რატომ წარმოიქმნებიან ნაციები, უნდა დავინყოთ სწორედ ეთნიკური კავშირებითა და იდენტობებით, რომლებიც, როგორც წესი, ნაციების კულტურულ საფუძველს შეადგენენ, და რომლებიც (იმედი მაქვს, გიჩვენებთ) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თავდაპირველი და შემდგომი პერიოდის ნაციების ჩამოყალიბებაში.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ორი სხვადასხვა სახის ეთნიკური ერთობა: “ჰორიზონტალური” და “ვერტიკალური”.

დასავლეთ ევროპის ბარბაროს სამთავროებს შორის ნორმანული საჰერცოგო – ნორმანდია (Norman duchy of Normandy), რომელიც ახ. წ. 913 წელს როლომ (Rollo) დააარსა, ინარჩუნებდა ერთობის მძაფრ თვითშეგნებას, დაფუძნებულს ნარმომავლობის ამსახველ მითებსა და წეს-ჩვეულებებზე. ისინი აერთიანებდნენ ამ რეგიონის ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულ ხალხსა და ფრანგულენოვან მოსახლეობას საფრანგეთის მიერ 1204 წელს მის დაპყრობამდე. დაახლოებით სამი საუკუნის მანძილზე მათი ელიტა, როგორც მებრძოლი ერთობა, ინარჩუნებდა წამყვან პოზიციას

საზოგადოებაში, ხოლო მათი სამხედრო ექსპედიციები ირლანდიასა და სიცილიამდეც კი აღწევდა. რეალურად მხოლოდ საზოგადოების ზედა ფენა შეადგენდა ნორმანულ ეთნოს. ეს იმიტომ როდი ხდებოდა, რომ არად აგდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას; ისინი ხშირად ქორწინდებოდნენ მათ წარმომადგენლებზე, ენაც და ბევრი ჩვეულებაც შეეთვისებინათ მათგან. მთავარი ის იყო, რომ მათი ერთობის შეგნება, წარმომავლობის ამსახველი მითი და ისტორიული მეხსიერება – ეს ყველაფერი მმართველ საგვარეულოს გარემოიცავდა. ეს იყო ნორმანდიელი ჰერცოგების გენეალოგიები და საგმირო საქმეები, რასაც ხოტბა შეასხეს სანტ-კვენტინელმა ღუდომ და ორდერიკ ვიტალისმა (ისტორიული ქრონიკების ავტორების – მთარგ. შენ.) მმართველი საგვარეულო მხარს უჭერდა მეზრძოლ არისტოკრატებს, რომლებმაც დააარსეს საჰერცოგო და იქვე დასახლდნენ. სხვა კლასებს კი უბრალოდ აერთიანებდა ის საერთო მითები და წეს-ჩვეულებები, მმართველი კლასის განდიდებას რომ ისახავდა მიზნად.¹⁹

ნორმანდიის ნორმანული ერთობა, ისევე, როგორც ყველა ის გაერთიანება, სადაც ნორმანული იარაღი ბატონობდა, იმ ტიპის ეთნიკურ ერთობას წარმოადგენდა, რომელსაც “ლატერალური” (“ჰორიზონტალური” ვარიანტი) შეიძლება ვუწოდოთ. ეთნიკს ეს ტიპი ჩვეულებრივ შედგებოდა არისტოკრატებისა და უმაღლესი სამღვდელოებისაგან; ზოგჯერ, შესაძლებელია, მათ რიცხვში ყოფილიყვნენ ბიუროკრატებიც, მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები და მდიდარი ვაჭრები. მას “ლატერალურს” (“ჰორიზონტალურს”) ვუწოდებთ, რადგან სოციალურად ის საზოგადოების უმაღლესი ფენით შემოიფარგლებოდა მაშინ, როდესაც გეოგრაფიული თვალსაზრისით, ფართოდ იშლებოდა და ხშირად მჭიდრო კავშირს ამყარებდა მეზობელი ლატერალური ეთნოს უმაღლეს ეშელონებთან. ამის შედეგად მისი საზღვრები, როგორც წესი, “იფლითებოდა”, მაგრამ მას აკლდა სოციალური სიღრმე, ხოლო მისი საერთო ეთნიკურობის განმსაზღვრელი თვითშეგნება ხშირად მაღალი სტატუსის მქონე ფენისა და მმართველი კლასის სოლიდარობის გრძნობით (კასტური სულით) იფარგლებოდა.

ამის საპირისპიროდ, ეთნოს ვერტიკალური ტიპი არის უფრო კომპაქტური და პოპულარული. მისი ეთნიკური კულტურა დაწარჩენ სოციალურ ფენებსა და კლასებში შეღწევის ტენდენციით ხასიათდება. სოციალური დაყოფა ამ შემთხვევაში კულტურული ნაირგვარობით არ არის გამყარებული: პირიქით, გამორჩეული ისტორიული კულტურა ხელს უწყობს სხვადასხვა კლასების გაერთიანებას საერთო მემკვიდრეობისა და ტრადიციების გარშე-

მო, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს გარედან საფრთხე ემუქრება. ამის შედეგად ეთნიკური კავშირი უფრო ძლიერი და ექსკლუზიური (განსაკუთრებული), ხოლო ბარიერი იქ შესაღწევად – უფრო ძნელად გადასალახავი. (მაგალითად), ქანაანელებისა და ფილისტიმელების არისტოკრატიული ეთნოებით იყო გარშემორტყმული ისრაელიანთა ტომობრივი კონფედერაცია და სამეფოები, რომლებიც ავლენდნენ განსაკუთრებულ ეთნოცენტრულ ლტოლვას და ხანგრძლივი ომის წარმოებისათვის აუცილებელ, ყველა სოციალური ფენის აქტიური მობილიზაციის, უნარს. უფრო დემოკრატიული, ვერტიკალური ეთნის სხვა მაგალითებს დრუზები, სიქები, ირლანდიელები და ბასკები წარმოადგენენ. მართალია, ყველა ამ ერთობაში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი განსხვავება – და კლასობრივი კონფლიქტიც კი – საზოგადოებრივ ფენებს შორის, მაგრამ ეთნიკური კულტურა არ წარმოადგენდა მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი ფენის საცავს და არ გამორიცხავდა დანარჩენს. პირიქით, იგი მეტ-ნაკლები ხარისხით ერთობის ყველა წევრის კუთვნილება იყო.²⁰

ამგვარად, ლატერალურ და ვერტიკალურ ეთნიკურ ერთობებს შორის იდეალურ-ტიპური სახის სხვაობა არსებობს, თუმცა თითოეული კატეგორიის შიგნით განსხვავებებიც იმალება. მიუხედავად ამისა, ეს ორი ტიპი მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. შეიძლება არსებობდეს დამპყრობელ არისტოკრატთა ლატერალური ერთობები, როგორებიც იყვნენ ხეთი მხედრები (მეეტლები) და უნგრელი რაინდები. მაგრამ ასეთი ერთობები შეიძლება შედგებოდეს მკვიდრი მოსახლეობისგანაც, როგორც, მაგალითად, სასანიანი სპარსი მონარქები, დიდებულები და ზოროასტრული სამღვდლოება, რომელთაც დაუბრუნეს სპარსეთის დიდება (განსაკუთრებით, ხოსრო I დროს ახ. წ. 531-76 წწ.) საზოგადოების უმაღლეს ფენებს, მაშინ, როდესაც ვერ შეძლეს სოფლის მოსახლეობისა და ქალაქის უმცირესობების, მანიქეველების, ქრისტიანებისა და იუდეველების გაერთიანება, რასაც მეტყველებს მაზდაკისტური მოძრაობა.²¹ დემოკრატიული, ვერტიკალური ერთობა შეიძლება შეადგინოს ქალაქ-სახელმწიფოების კონფედერაციებმა, სექტებისა და დიასპორის ანკლავების ჩათვლით, ასევე, უფრო სოფლის მცხოვრებლებზე დაფუძნებულმა კონფედერაციებმა (არაბები, მონღოლები, ირლანდიელები) და ისეთმა "მესაზღვრე" მებრძოლმა ეთნიკებმა, როგორებიც არიან კატალონიელები და შვეიცარიელები. მაგრამ, როგორც ეს მაგალითები ცხადყოფს, უფრო მეტად, საქმე გვაქვს ისტორიულ და სოციალურ პროცესებთან, ვიდრე ჩამოყალიბებულ ტიპებთან.

მოცემულმა ისტორიულმა ერთობებმა შესაძლოა განიცადონ ტრანსფორმაცია ერთი პოლარული სახეობიდან მეორეში, ანდა გამოავლინონ ორივე ამ სახეობისათვის დამახასიათებელი შერეული ელემენტები. არაბები, რომელთაც თავიანთი პოლიტიკური კარიერა დაიწყეს წინასწარმეტყველის მიერ გაერთიანებულ მონღუნეთა ერთობაში შემავალი თავისუფალი ტომობრივი კონფედერაციის სახით, მალე "გაარისტოკრატიდნენ" თავიანთ მთავარ დასახლებულ პუნქტებსა და მმართველობით ცენტრებში და ან ლატერალურ, დამპყრობელ ეთნიდ მოგვევლინენ, ან შერეული ქორწინებისა და ისლამიზაციის გზით უფრო მეტად შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ ისევ და ისევ "დაფლეთილი" საზღვრებით სასულთნოებს შორის.²² სომეხი ფეოდალი დიდებულები, დამოუკიდებელ სახელმწიფოს რომ ველარ მართავდნენ, გახდნენ უფრო "დემოტურები", უფრო სწორად, საერთო სომხურმა რელიგიურ-ეთნიკურმა კულტურამ სოციალური კიბის ქვედა საფეხურებზე გადაინაცვლა. საბოლოოდ კი, ადრეული არისტოკრატიული და ლატერალური ეთნის მაგივრად დიასპორაში კიდევ უფრო ხალხური და ვერტიკალური ერთობა (ან ანკლავური ერთობების სერია) ჩამოყალიბდა.²³

ამ ორი განსხვავებული ტიპის ეთნიკური ერთობის არსებობა მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ ის ნათელს პფენს წინამოდერნულ სამყაროში ეთნიკური კონფლიქტებისა და ეთნიკური მდგრადობის მუდმივი წყაროს არსებობას, არამედ იმიტომაც, რომ ის გვიჩვენებს სხვადასხვა ტიპის ეთნიკურ ძირებს – იმ ძირებს, რომელთა გარშემოც შესაძლებელია ნაციების აღმოცენება. ის, აგრეთვე, გვიჩვენებს იმ ორ ძირითად მიმართულებას, დასაბამს რომ აძლევს ნაციების ჩამოყალიბებას. ახლა კი გვინდა, სწორედ ამ პროცესებს გავადევნოთ თვალი.

ლატერალური ეთნიკი და ბიუროკრატიული ინკორპორაცია

დავიწყოთ ლატერალური მიმართულებით. არისტოკრატიულ ეთნიკურ ერთობებს აქვთ თავის გადარჩენის უნარი. მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მასშტაბით მოახერხებენ ისინი საზოგადოების სხვა ფენების თავიანთ კულტურულ ორბიტაში მოქცევას. ხშირად ეს ერთობები თითქმის არც ცდილობენ თავიანთი კულტურის გავრცელებას სოციალური კიბის ქვედა საფეხურზე. ხეთები, ფილისტიმელები, ასირიელებიც კი, თანახმანი იყვნენ უცხო კულტურის მქონე დაპყრობილ ხალხებზე ებატო-

ნათ. ასე შეძლეს მათ საკუთარი ელიტური კულტურის შენარჩუნება რამდენიმე საუკუნის მანძილზე. მაგრამ საბოლოოდ მათი სახელმწიფოები დაიშალა, მათი კულტურა კი ჩამოსახლებულმა უცხოტომელებმა შთანთქეს. ზოგ შემთხვევაში – სპარსელები და ეგვიპტელები მაგონდება – ლატერალური ეთნიები იმან გადაარჩინა, რომ მათ “ხასიათი შეიცვალეს”, ანუ ახალი ენა ან ახალი რელიგია და/ან წეს-ჩვეულებები შეითვისეს, სამაგიეროდ, შეინარჩუნეს სახელი, საერთო წარმომავლობის ამსახველი მითი, ცხად-ნათელი მოგონებანი ისტორიული წარსულისა და მშობლიური მიწა-წყალი.²⁴

ზოგიერთმა არისტოკრატიულმა ეთნიმ შეძლო საკუთარი იდენტობის შენარჩუნება მრავალი საუკუნის, ათასწლეულის მანძილზეც კი, ნაწილობრივ იმით, რომ მკაცრად იცავდა განსხვავებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს; აგრეთვე, იმითაც, რომ მოახერხა საკუთარ პოლიტიკურ საზღვრებში სხვა ეთნიკური ჯგუფების მოქცევა და, ნაწილობრივ, საკუთარი რელიგიური კულტურის გავრცელება სოციალური კიბის ქვედა საფეხურებზე. შუა საუკუნეების “სოლომონიანთა” დინასტიის ამჰარას მეფეების მცდელობამ, გარემომცველი რეგიონები და ქვედა ფენები თავიანთ მონოფიზიტურ ეთნიკურ კულტურაში მოექციათ, მხოლოდ ნაწილობრივ გამოიღო შედეგი. მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მუსლიმური ზენოლისა და შემდგომი ევროპული აგრესიისაგან საკუთარ მიწა-წყალზე მაინც გადაეარჩინათ თავი.²⁵

ზოგიერთი დასავლეთევროპული ეთნიკური სახელმწიფოს მცდელობა ამ მიმართულებით უფრო წარმატებული აღმოჩნდა. ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, შვედეთში, ნაწილობრივ, პოლონეთსა და რუსეთში, დომინანტურმა ლატერალურმა ეთნიმ, რომელიც სახელმწიფოს ეთნიკურ ძირს წარმოადგენდა, თანდათან მოახერხა საშუალო ფენებისა და გარემომცველი რეგიონების საკუთარ დომინანტურ ეთნიკურ კულტურაში მოქცევა. ამგვარი ინკორპორაციის დროს მთავარი ძალა ახალი ბიუროკრატიული სახელმწიფო აღმოჩნდა. მისი სამხედრო, ადმინისტრაციული, ფისკალური და სასამართლო აპარატის მეშვეობით მოხერხდა დომინანტური არისტოკრატიული ეთნიკური ძირის ღირებულებების, სიმბოლოების, მითების, ტრადიციებისა და მეხსიერების ფონდის რეგულირება და გავრცელება. ამ გზით არისტოკრატიულმა ეთნიკურმა სახელმწიფომ შეძლო ახალი და უფრო ფართო კულტურული იდენტობის შექმნა თავისი მოსახლეობისათვის. თუმცა სინამდვილეში ამ პროცესს ხშირად თან სდევდა დომინანტურ და პერიფერიულ ეთნიკურ კულტურებს შორის გარკვეული

ასიმილაცია იმ საზღვრებში, რომლებიც დომინანტური ძირის მიერ იყო განსაზღვრული.²⁶

ასიმილაციის ნიშნით განვითარდა პროცესები ინგლისში ნორმანული დაპყრობების შემდეგ. მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი ლინგვისტური ნასესხობების, შერეული ქორწინებებისა და ელიტის მობილურობის პროცესები ნორმან დაპყრობლებსა და დაპყრობილი საქსების ზედა ფენებს შორის. ყოველივე ეს კი სახელმწიფოს მზარდი ცენტრალიზაციისა და ინგლისის კათოლიკური ეკლესიის ორგანიზაციის ფარგლებში – შესაძლოა, შეფერხებებით, მაგრამ მაინც – ხორციელდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დაქვემდებარებული ეთნიკური პოპულაციის ბიუროკრატიულ ინკორპორაციას შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი სოციალური კონტაქტის დამყარება და კულტურული შერწყმა ანგლო-საქსებს, დანიურ და ნორმანულ ელემენტებს შორის. მეთოთხმეტე საუკუნისათვის ენობრივი შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა ჩოსერის ინგლისური; ხოლო "ბრიტანული წარმომავლობის" საერთო მითმა, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში ჯოფრი მონმოუთელმა (Geoffrey of Monmouth) მოიძია, ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა.²⁷

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ინგლისური ნაცია აღმოცენდა მეთოთხმეტე საუკუნეში, არამედ მხოლოდ იმას, რომ ზოგიერთი პროცესი, რომელმაც ხელი შეუწყო ნაციის წარმოშობას, ამ დროისათვის უკვე გამოიკვეთა. ნაციის ეთნიკური ელემენტები უკვე კარგად იყო განვითარებული. იშვა არა მარტო საერთო სახელწოდება და საერთო წარმომავლობის ამსახველი მითი, არამედ ისტორიულ მოგონებათა მრავალფეროვნება და ტრადიცია, რომელიც მეზობელ შოტლანდიელებთან, უელსელებსა და ფრანგებთან ხანგრძლივი ომების ამბებით იკვებებოდა. ამ დროს უკვე არსებობდა საერთო კულტურის მზარდი შეგნება, რომელიც ინგლისურ ენაში პოვებდა გამოხატულებას და რომელიც, ამავე დროს, ინგლისის დიდად გავლენიან საეკლესიო ორგანიზაციაზე იყო დაფუძნებული. ყოველივე ამას დიდი დახმარება გაუწია მშობლიური კუნძულისადმი ერთგულების სულ უფრო და უფრო მზარდმა შეგნებამ, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეთ ვლინდებოდა საფრანგეთთან ხანგრძლივი ომების პერიოდში, თუმცა გაცილებით ადრეც იჩენდა თავს. ამავე დროს, სხვა ასპექტებს თუ შევხებით, ერთიანობა გვიანდებოდა. არ შეგვიძლია დაბეჯითებით ვიმსჯელოთ საერთო-სახალხო განათლების სისტემაზე შუა საუკუნეებში, თუ არ ჩავთვლით ეკლესიის შთამბეჭდავ ზემოქმედებას. განათლების სრულიად განკერძოებული სისტემის შექმნამდე

კიდევ რამდენიმე საუკუნე იყო დარჩენილი, მაგრამ ელიტური საგანმანათლებლო სისტემა მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოსათვის უკვე ჩამოყალიბებული იყო. ასევე მინიმალური იყო ეკონომიკური უნიფიკაცია, თუ არ ჩავთვლით ჰენრი II-დან დაწყებულ სახელმწიფოს მზარდ ფისკალურ და ადმინისტრაციულ ჩარევას. დიდხანს შენარჩუნდა რეგიონალიზმი იმ ადგილებში, რომლებიც მატყლით ვაჭრობაში არ იყვნენ ჩართული. სამეფოს საზღვრებიც კი სადავო იყო: გავიხსენოთ უელსის დაპყრობები, შოტლანდიასთან ხანგრძლივი სასაზღვრო ომები თუ პლანტაგენეტთა ლამანშის გადაღმა სამფლობელოები. რაც შეეხება საყოველთაო სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა "მაგნა ქარტა" (თავისუფლებათა დიდი ქარტია) და საზოგადო სამართალი (common law), მათი არეალი მხოლოდ საზოგადოების ზედა ფენებით შემოიფარგლებოდა. გაცილებით გვიან ეს უფლებები საზოგადოების უფრო ფართო ფენებს გადასწვდა და განზოგადდა, რაც ხშირად დამპყრობელ მეფეებსა და მემამულეებთან ბრძოლის შედეგად მიიღწეოდა.²⁸

მიუხედავად ამისა, ცენტრალიზებულმა ნორმანულმა სახელმწიფომ და ინგლისურმა ეკლესიამ შეძლო საკმაოდ ადრეული ხანიდან საფუძველი ჩაეყარა ნაციონალური კულტურისა და ნაციონალური იდენტობისათვის, თუმცა მათი სრულად ჩამოყალიბება მხოლოდ ტიუდორთა რენესანსისა და რეფორმაციის დროს გახდა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ წარმომავლობის ამსახველი ძველი ბრიტანული მითი ადგილს უთმობს ანგლო-საქსურ მითს, რომელიც ხაზს უსვამს ინგლისელთა წარმომავლობას გერმანული ტომებისაგან, მათ ძველ თავისუფლებებსა და "თავისუფალ" ინსტიტუციებს (დანესებულებებს). ეს იყო აგრეთვე ის მომენტი, როცა, რომისა და მისი მოკავშირის – იმპერიული ესპანეთის, უნივერსალური პრეტენზიებისგან განსხვავებით, ინგლისში ახალმა ნაციონალურმა რელიგიამ იტვირთა ინგლისელის იდენტობის განსაზღვრის ფუნქცია. მართალია, ნაციაში ჯერ კიდევ არც გლეხობა მოიაზრებოდა და არც ხელოსანთა ფენა, მაგრამ უკვე არაუგვიანეს მეთექვსმეტე საუკუნისა, ყოფილმა არისტოკრატულმა ანგლო-ნორმანულმა ლატერალურმა ეთნიკურმა ერთობამ სახელმწიფოებრიობის და ადმინისტრაციის იმდენად ძლიერი ტრადიცია შეუქმნა შთამომავლობას, რომ შესაძლებელი გახდა როგორც საშუალო კლასის ზედა ფენის ინკორპორაცია – თუმცა, ხშირად კონფლიქტის გზით, – ისე ჩრდილოეთის, დასავლეთისა და უელსის შორეული რეგიონების შემოერთება. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ წარმოიქმნე-

ბა ნაცია სახელმწიფოებრივ ქმედებათა წყალობით (და ეკლესიის მხარდაჭერით) და როგორ აღმოცენდა იგი შედარებით ჰომოგენური, თუმცა მაღალი ნოდებიდან ამოზრდილი, ეთნიკური ძირიდან.²⁹

მსგავსი პროცესი ეთნიკური ბიუროკრატიული ინკორპორაციისა დასტურდება საფრანგეთის ისტორიაშიც. თუმცა აქ განვითარებას უფრო ნელი და თანდათანობითი ხასიათი ჰქონდა. მაღალი ნოდების ფრანკული და რომანულ-გალური ეთნიკური კულტურის ერთგვარი გაერთიანება გაქრისტიანებული მეროვინგების მმართველობის დროსაც გრძელდებოდა, მაგრამ ფრანგული *regnum* (სამეფო) წარმოიქმნა მხოლოდ გვიან მეთორმეტე საუკუნეში ილ-დე-ფრანსის მიდამოში. რა თქმა უნდა, კაპეტინგმა მეფეებმა შეძლეს ძველი ფრანკული სამეფოებისა და კაროლინგების იმპერიის იდენტობის ამსახველი მითებისა და დიდების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ აღმოსავლეთ ფრანკების სამეფო წარმოიქმნა კარლოს დიდის სამფლობელოს დაშლის შემდეგ და ცნობილი იყო, როგორც *regnum Teutonicorum*, თავისი განსაკუთრებული იდენტობით.³⁰ მაგრამ ასეთივე მნიშვნელოვანი გახლდათ ის გადამწყვეტი სიმბოლური როლი, ფრანგულმა საეკლესიო იერარქიამ რომ ითამაშა, განსაკუთრებით კი, რაიმსის საარქიეპისკოპოსომ, სადაც კაპეტინგი მეფეების კურთხევის ცერემონიალი ამ მეფეებს მათი მრავალი მოქიშპის თვალში დიდ უპირატესობას ანიჭებდა და დინასტიას სინმინდის აურითა და პრესტიჟით მოსავდა, – იმაზე მეტად, ვიდრე პარიზის სამართლის სკოლები და შთამომავლობითი მეფეების სამხედრო ძალმოსილება. მეფობის ინსტიტუტის საკრალიზაცია საფრანგეთში ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც რომის პაპმა პიპინის მიერ ახ. წ. 754 წელს ტახტის უზურპაცია დააკანონა და შემდგომ კარლოს დიდის გვირგვინი აკურთხა. მეფობის საკრალური ხასიათი მულავნდება საფრანგეთის სამეფოს რჩეულობის ამსახველ მითში, რომელიც დიდი გულმოდგინებით ვრცელდებოდა და ეხმიანებოდა პაპი ბონიფაციუსის მეცამეტე საუკუნის დასასრულის ეთნო-რელიგიურ ენას, როდესაც ის აცხადებდა, რომ: "...მსგავსად ისრაელის ხალხისა... საფრანგეთის სამეფო (არის) განსაკუთრებული ხალხი, უფლის რჩეული, ზეციური წესრიგის (განგების) აღსასრულებლად"³¹

თუმცა, ეს პროცესი გაცილებით ნელი და გაჭიანურებული იყო, ვიდრე ინგლისში, მაგრამ ფაქტია, რომ კაპეტინგმა მეფეებმა შეძლეს შედარებით ეფექტიანი და ცენტრალიზებული სამეფოს დაარსება ჯერ ჩრდილოეთ და ცენტრალურ საფრანგეთში,

ხოლო შემდგომ, მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული, მოახერხეს ლანგედოკის დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის ოლქების შემოერთებაც. ამ რეგიონის კულტურული მემკვიდრეობა საგრძნობლად განსხვავდებოდა ჩრდილოეთისაგან. მას შემდეგ, რაც თანდათან განდევნეს ინგლისელები და დაიპყრეს სამხრეთის სამეფოები და ბრიტანია (დღევანდელი ბრეტანი, საფრანგეთის ერთ-ერთი პროვინცია – მთარგ. შენ.), რენესანსის დროინდელმა მეფეებმა მოახერხეს ქვეყნის თანდათანობით გაერთიანება როგორც ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ისე ფრანგული ენისათვის კომუნიკაციისა და მართვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების გზით. ტერიტორიული და ეკონომიკური შერწყმის მცდელობას გაცილებით უფრო ნელა მოჰქონდა შედეგები, ხოლო სამართლებრივი სტანდარტიზაცია რევოლუციამდე გადაიდო, მიუხედავად ბურბონებისა და მათი მინისტრების არაერთგზისი მცდელობისა, განეხორციელებინათ ცენტრალიზაცია. მართლაც, რეგიონალიზმს მყარად გაედგა ფესვი მეცხრამეტე საუკუნეში. ფრანგი გლეხების უმეტესობა ჯერ კიდევ არ იყო ინკორპორირებული ფრანგულ ნაციასთან 1900 წლამდე. ეს კი განხორციელდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მესამე რესპუბლიკის "იაკობინურმა" სახელმწიფომ შემოიღო საყოველთაო ნაციონალისტური განათლება და სამხედრო სავალდებულო სამსახური.³²

ესპანეთი ლატერალური ეთნიკური სახელმწიფოს მიერ ბიუროკრატიული ინკორპორაციის კიდევ უფრო მეტი ფრაგმენტულობისა და არასრულყოფილების დამადასტურებელ მაგალითს წარმოგვიდგენს. აქ იყო კასტილიისა და არაგონის სამეფოები, რომლებიც მუსლიმთა წინააღმდეგ კათოლიკეთა მთავარი დასაყრდენი იყო. გვიან შუა საუკუნეებში მეფეები სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ რელიგიას, როგორც ჰომოგენურობის ინსტრუმენტს. ისინი მოაქცევდნენ ხალხებს, ხოლო მათ, ვისი ასიმილაცია არ ხერხდებოდა, მაგალითად, იუდეველებსა და მავრებს – უბრალოდ აძევებდნენ. აქაც წმინდა სისხლის (*limpieza di sangre*) ცნებამ ხელი შეუწყო იბერიული კათოლიკური ლატერალური ეთნის წევრობის განსაზღვრას. ამ ეთნის მიზანი კი ის იყო, რომ ადმინისტრაციული და კულტურული რეგულაციის გზით შეეღწია როგორც სამშუალო კლასის საზღვრებში, ისე მისი საცხოვრებელი სივრცის მიღმა მყოფ ტერიტორიებზეც.³³

მაგრამ თავდაპირველად ესპანეთის ტახტს ყოველი მხრიდან უტევდნენ ისინი, ვისაც ძველი უფლებების აღდგენა და უწინდელი კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნება სურდა. პორტუგალიის გამოყოფას თუ არ ჩავთვლით, კატალონიელებმა, ბასკებმა

და გალიციელებმა მოდერნულ ხანამდე შეძლეს საკუთრივ მათი კულტურული იდენტობის შენარჩუნება იქაც კი, სადაც განხორციელდა მათ მიერ დასახლებული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ინტეგრაცია, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 1640 წლის კატალონიელთა აჯანყების შემდეგ. მეჩვიდმეტე საუკუნეში ესპანეთის სახელმწიფო და მისი იმპერია მნიშვნელოვნად დასუსტებულიყო და ველარ ახერხებდა თავისი სოციალური და პოლიტიკური შეღწევის საზღვრების გაფართოებას. ამის შედეგად მივიღეთ საფრანგეთსა თუ ინგლისზე ნაკლებად უნიფიცირებული ნაციონალური ერთობა და გაცილებით არაერთგვაროვანი სახელმწიფო. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებისათვის კატალონიურმა რენესანსმა გზა გაუკვალა ეთნიკური ნაციონალიზმების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით, კატალონიასა და ევზკადიში (Euzkadi) (ბასკეთში, – მთარგ. შენ.), რის შედეგადაც არაერთხელ დაირღვა ესპანეთის სახელმწიფოს ერთიანობა. იმავდროულად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რომელთაც ხშირად გამძაფრებული აქვთ ეთნიკური გრძნობები, საერთო და მეტად მნიშვნელოვანია ესპანური პოლიტიკური ლოიალობა. მაგრამ დღეს ეს ასევე ნორმას წარმოადგენს დასავლურ სახელმწიფოთა უმეტესობაში.³⁴

პირველი ნაციები?

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში ნაციების ჩამოყალიბებაზე სერიოზული გავლენა იქონია ინგლისის, საფრანგეთისა და ესპანეთის, ხოლო შედარებით ნაკლები – პოლანდიისა და შვედეთის მაგალითმა. ჩვეულებრივ, ამ გარემოებას, უკავშირებენ ამ ქვეყნების სამხედრო და ეკონომიკურ ძლიერებას იმ პერიოდში, როდესაც დასავლეთ ევროპაში ნაციების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების დიდი და აყვავებული ქვეყნების მსგავსად, ეს სახელმწიფოებიც მისაბამ მაგალითად წარმოედგინათ ნაკლებად ილბლიან სახელმწიფოებს, ხოლო მათი ნაციონალური ფორმატი დიდწილად აღიქმებოდა მათი წარმატების გასაღებად. ინგლისის, საფრანგეთისა და, ნაწილობრივ, ესპანეთის მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს არცთუ ისე შემთხვევითი მოვლენაა. მათი ნაციების შედარებით ადრე ჩამოყალიბება დაემთხვა ადმინისტრაციის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში წარმატებულ რევოლუციებს. მართლაც, ბევრი დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ამ და სხვა შემთხვევებში სახელმწიფო რეალურად ქმნის ნაციას, რომ მისი საგადასახადო

სისტემა, სამხედრო ბეგარა და ადმინისტრაცია მის იურისდიქციაში მყოფ ხალხს ანიჭებს საკუთარი იდენტობისა და სამოქალაქო ლოიალობის თვითშეგნებას. სახელმწიფო იყო ყალიბი და აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ მომნიჭებულიყო ნაციონალური ლოიალობის ის გრძნობა, რომელიც დღეს ესოდენ თვალსაჩინოა. სამოქალაქო უფლებების გავრცელებამ და ინფრასტრუქტურის მშენებლობამ, რომელმაც ქვეყნის შიგნით ერთმანეთს საგრძნობლად დაშორებული მხარეები ერთმანეთთან დააკავშირა და გაზარდა საკომუნიკაციო ქსელის კონცენტრაცია სახელმწიფოს საზღვრებში, სულ უფრო და უფრო მეტი სიერცე მოიცვა და მეტი საზოგადოებრივი კლასი გამოიყვანა ნაციონალურ თუ პოლიტიკურ არენაზე. ამან კი შექმნა "ინგლისის", "საფრანგეთის", "ესპანეთის" ნაციონალური ერთობების ის ხატები, რომლებიც დღეს ერთგულებისა და კუთვნილების ესოდენ მძაფრ გრძნობებს აღვივებენ.³⁵

ფაქტიურად, საზოგადოებასა და ზოგიერთ რეგიონში სახელმწიფოს ღრმად შეღწევის კრიტერიუმი რამდენიმე საუკუნით შეაყოვნებდა დასავლეთში ნაციებად ჩამოყალიბების პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ნაციების ჩამოყალიბების სხვა შემთხვევებთან შედარებით, ხსენებულ სახელმწიფოებს დროითი პრიორიტეტი აქვთ, ეს პრიორიტეტი მხოლოდ რამდენიმე ათწლეულს გულისხმობს, რადგან საზოგადოების ქვედა ფენები საფრანგეთსა და ინგლისში პოლიტიკურად ინკორპორირებულნი არ იყვნენ მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე, ხოლო ქალები – 1920 წლამდე. მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის გავლენამ უფრო ვრცელ სამყაროზე ბევრად უფრო ადრე იჩინა თავი. ასე რომ, ჩვენ საყოველთაო მობილიზაციის განმახორციელებელ სახელმწიფოს ვერ მივანერთ პირველი ნაციების არსებობისათვის დასაბამის მიცემას, ყოველ შემთხვევაში, სხვების თვალში მაინც. როგორც უკვე დავინახეთ, ძალზე მარტივია იმის მტკიცება, რომ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფომ "შექმნა" პირველი ნაციები; და თუ მან (სახელმწიფომ) მართლაც რაიმე წვლილი შეიტანა ამ საქმეში, მხოლოდ სხვა პროცესებთან კავშირსა და კონტექსტში.³⁶

ორი ასეთი პროცესი ანუ "რევოლუცია" სწორედ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს. პირველი ეკონომიკური ხასიათისაა: საბაზრო ეკონომიკისაკენ მოძრაობა დაიწყო გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთის რამდენიმე ძირითად სახელმწიფოში და შემდეგ გავრცელდა ევროპის სხვადასხვა კუთხეში, ლათინურ ამერიკაში, ამერიკაში, აზიასა და, საბოლოოდ, აფრიკაში. კაპიტალისტურმა რევოლუციამ მოიცვა ფართოდ გავრცელებული სავაჭრო ქსელი

ჯერ დასავლეთში და შემდეგ, შერჩევით, პერიფერიებშიც, რამაც თანდათან გამოიწვია კაპიტალის დაგროვება და მდიდარი ურბანული ცენტრებისა და სავაჭრო კაპიტალის აღმავლობა. ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ, თავიანთი ბურჟუაზიის წყალობით ახერხებდნენ სულ უფრო დიდი და უკეთ შეიარაღებული არმიის გამოყვანას და უფრო ეფექტიანი მმართველობის დაწესებას, რომელიც "ექსპერტებისაგან" იქნებოდა დაკომპლექტებული.³⁷

ამ "დასავლური" რევოლუციებიდან მეორე იყო საგანმანათლებლო და კულტურული. მისი არსი მდგომარეობდა საეკლესიო ავტორიტეტის შეზღუდვაში, რაც ფეხს უწყობდა რეფორმისტულ მოძრაობასა და რეფორმაციის ომებს. ამან, თავის მხრივ, გზა გაუხსნა სეკულარული ცოდნის, განსაკუთრებით, კლასიკური ჰუმანიზმისა და მეცნიერების განვითარებას, საუნივერსიტეტო სწავლებას და, ბოლოს, კომუნიკაციის უფრო ხალხურ ფორმებს – ნოველას, დრამას და ჟურნალს. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ინტელექტუალებმა, პროფესიონალებმა (თუ ინტელიგენციამ), რომელთაც მზარდი ადმინისტრაციული სახელმწიფო თავისკენ იზიდავდა იმ მიზნით, რომ ტექნიკური "ექსპერტიზისა" და რაციონალური დისკურსის საშუალებით დინასტიური და პოლიტიკური მიზნების აღსრულებაში დახმარებოდნენ. იმის გამო, რომ დასავლეთში შედარებით ადრე განვითარდა რაციონალური სახელმწიფო, მიუხედავად მისი შეზღუდული სოციალური ძალმოსილებისა, ინტელექტუალური და პროფესიული ფენები ზოგადად ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო დაწესებულებებს, მათ ბიუროკრატიულ პროცედურებსა და მოსამსახურეებს (პერსონალს). მართალია, ზოგიერთი ინტელექტუალი სახელმწიფო დაწესებულებების გარეთ მოღვაწეობდა (განსაკუთრებით, ფრანგული განმანათლებლობა), უმეტესობა მაინც დაკავშირებული იყო ძველ უნივერსიტეტებთან ან გაერთიანებული იყო სამეფო ან პარტიულ ადმინისტრაციაში. ამან საშუალება მისცა სახელმწიფოს, წამყვანი პოზიცია დაეკავებინა ნაციონალური ერთობის საზღვრების დადგენასა და მის ხასიათზე. ეს პროცესი რევოლუციურმა იაკობინურმა პატრიოტულმა რეჟიმებმა მხოლოდ გაამძაფრა.³⁸

ამ სამი – ადმინისტრაციული, ეკონომიკური და კულტურული – რევოლუციის მეშვეობით გარშემორტყმული რეგიონები და მათი ეთნიკები, საშუალო და დაბალი კლასები ჩაერთვნენ დომინანტურ ლატერალურ ეთნიკურ კულტურაში ბიუროკრატიული სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობით. სეკულარული, მასობრი-

ვი ნაციების შექმნა იყო, საბოლოო ჯამში, სახალხო მასიური განათლების სისტემის გზით პოლიტიკური სოციალიზაციის ენერჯიული პროგრამის შედეგი. ამ მოვლენას ბევრად უსწრებდა წინ უფრო თანმიმდევრული არისტოკრატიული ეთნიკური კულტურის გავრცელება და მისი ტრანსმუტაცია უფრო ნამდვილ ნაციონალურ კულტურად, ისეთად, რომელიც ერთდროულად იყო სამოქალაქო და ეთნიკურიც, აგრეთვე სოციალურად ინკლუზიური და სამოქალაქო და სამართლებრივი უფლებების სამეფოს უფრო ფართო სეგმენტში გავრცელებასთან თანხვედრილი. საბოლოო ჯამში, ამ პროცესის თვალის გადევნებამ, შესაძლოა მიგვიყვანოს პირდაპირ იმ ძირეულ ეთნიმდე, რომლის გარშემოც შეიძლება ძლიერი სახელმწიფოების აშენება, რაც სხვა საზოგადოებრივ ფენებსა და გარემომცველი რეგიონების ეთნიებს მასში ჩართვის შესაძლებლობას მისცემდა. გარკვეული მითების, მოგონებებისა და სიმბოლოების სიმყარის გამო, რომლებიც ხორცშესხმულია წესებში, ტრადიციებში, კოდექსსა თუ სტილში, ინგლისი ადრევე, ხოლო საფრანგეთი ოდნავ გვიან, შედუღაბდა, როგორც საკმაოდ ჰომოგენური (სუბიექტური თვალსაზრისით) ეთნი; იგი მათმა ძლიერმა სახელმწიფოებმა გაშალეს და გააღრმავეს, რათა რამდენიმე საუკუნის შემდეგ ნაციის შედარებით ახალი კონცეპტი შექმნილიყო.³⁹

“ვერტიკალური” ეთნიკი და მკვიდრთა (ვერნაკულური) მოპოვება

არისტოკრატიული ეთნიკური ერთობის მიერ ბიუროკრატიული ინკორპორაციის განხორციელების საპირისპიროდ, ნაციების ფორმირების პროცესი დემოტური ეთნიების ბაზაზე ბიუროკრატიული სახელმწიფოსაგან მხოლოდ არაპირდაპირ ზემოქმედებას განიცდის. ეს ძირითადად იმიტომ ხდება, რომ ვერტიკალური ეთნიები, როგორც წესი, იყვნენ დაპყრობილი ერთობები და ის კავშირი, რომელიც წევრებს ერთმანეთთან ადუღაბებდა, ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებული და ყოვლისმომცველი იყო. ორგანიზებული რელიგია და მისი წმინდა წერილი, ლიტურგია, რიტუალები და სამღვდელოება არის ეთნიკური მდგრადობის მთავარი მექანიზმი ვერტიკალურ ერთობებში. აქ რელიგია ასოცირებულია მთლიანად ცხოვრების წესთან. ხსნის რელიგიების სოციალურმა ასპექტებმა ჩამოაყალიბეს ისეთი დემოტური ერთობები, როგორიცაა ბიზანტიელი ბერძნები, ადრინდელი მართლმადიდებელი რუსები, მონოფიზიტი კოპტები და ეთიოპელები, გრიგორიანი

სომხები, კათოლიკე ირლანდიელები, პოლონელები, სიქები, ებრაელები, დრუზები. ყველა ამ ეთნიკურ რჩეულობის მითს, წმინდა ტექსტებს და წერილს, ასევე, სამღვდლოების პრესტიჟს, შეუძლია უზრუნველყოს ეთნიკური ერთობის მემკვიდრეობისა და ტრადიციის შენარჩუნება.

მაგრამ რელიგიურად ჩამოყალიბებულ ხალხებს თავიანთი სპეციფიკური პრობლემები ახასიათებთ. რაკი ხშირად მათი უმთავრესი ამოცანა არის მტრული გარემოცვისადმი მშვიდობიანი წინააღმდეგობის გაწევა, რელიგიური სიმბოლოები და ძველი რელიგიური ტრადიციები ამ ხალხებისათვის ერთგვარი დამცავი გარსის როლს ასრულებს. მაგრამ იმ მომენტში, როცა ერთობის ნაციად გარდაქმნის საკითხი წამოიჭრება, გაცილებით ძნელდება ჩვეული ეთნიკური ყალიბისა და ცხოვრების წირის შეცვლა. მეტიც, აქ არ არსებობს ის შინაგანი იძულებითი მექანიზმი, არ არის ბიუროკრატიული სახელმწიფო, რომელიც ხალხს არსებობის ახალ ჩარჩოს დაუწესებს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ ხალხს თავი მიაჩნია უკვე შემდგარ ნაციად და ჰგონია, რომ ყოველთვის ასეთი იყო. ამის დასტურად კი თვლიან ნაციის ისეთი ეთნიკური კომპონენტების არსებობას, როგორცაა საერთო სახელწოდება, წარმომავლობის ამსახველი მითები, ისტორიული მეხსიერება, მშობლიურ მიწასთან კავშირი და მისთ. ამგვარ ერთობებს ისეთი განცდა ეუფლება, რომ თუ მათ დამოუკიდებელი სახელმწიფო ექნებათ, ნებისმიერი სხვა ნაციის მსგავსად შექმნიან ნაციას.⁴⁰

მაგრამ არაბული "ნაციის" სიტუაცია ერთი შეხედვითაც ცხადყოფს, რომ ვითარება არც ისე მარტივია და რომ დემოკრატიული ეთნიკების ნაციებად გარდაქმნა ხშირად ძალზე ნელა და მტკივნეულად მიმდინარეობს. არაბები სხვადასხვა გეო-პოლიტიკური ფაქტორების პირისპირ აღმოჩნდნენ, რომელთა შორისაა მათი გეოგრაფიის ფართო არეალი, კოლონიური ძალების მიერ მათი სახელმწიფოებად დანანილება და ისტორიული და ეკონომიკური განსხვავება არაბული სამყაროს სხვადასხვა რეგიონს შორის. ძალზე განსხვავებულმა ისტორიულმა კანონმდებლობამაც არაბულ სახელმწიფოებში ძალზე გაართულა უფლებებისა და მოვალეობების ერთიანი სისტემის გააზრება, მიუხედავად იმისა, რომ შარიათი (მუსლიმური საკანონმდებლო წიგნი), შეიძლება, გამხდარიყო საერთო მოქალაქეობის ერთიანი ხედვის საფუძველი. თითქმის არ არსებობს საერთო საგანმანათლებლო მიდგომა, თავი რომ დავანებოთ ერთიან საყოველთაო განათლების სისტემას. რაც შეეხება საერთო სამოქალაქო კულტურას, ისლამის მასიური

გავლენა ერთდროულად განაპირობებს როგორც მის სისუსტეს, ასევე მის სიმტკიცეს. არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც, პრინციპში, საერთო რელიგიური კულტურა ვერ შეასრულებდა არაბი ნაციის სოციალური შემაკავშირებლის როლს, მაგრამ რეალობა სხვაგვარია: უმა – მაჰმადიან მორწმუნეთა ერთობა, განსხვავებული სულისკვეთებისა და გეოგრაფიული განფენილობის გამო უპირისპირდება მას (არაბ ნაციას). ეს უკანასკნელი ქმნის იმგვარ ერთიანობას, რომელიც, წმინდა არაბული თვალთახედვით თუ განვიხილავთ, ბუნდოვანია, თუმც მაინც ცდილობს, როგორმე გააცოცხლოს არაბული წარსული, რომელიც არც გლობალურია და არც უნივერსალისტური. "კომპაქტური" არაბული ნაციის შექმნის სირთულე არ მომდინარეობს მხოლოდ გეო-პოლიტიკური ხასიათის ფაქტორებიდან.⁴¹

გასაკვირი არ არის, რომ არაბი ინტელექტუალები არაბული თვითგანსაზღვრის პრობლემას ასე გადაუჭრელად მიიჩნევენ, – არა იმის გამო, რომ განსხვავებული არაბული კულტურა თავისი ისტორიით, ენითა და რელიგიური გამოხატულებით უკმარია, არამედ იმიტომ, რომ მას გადაფარავს ისლამური კულტურისა და ლოიალობის უფრო ფართო წრე, ხოლო არაბულ ინტელიგენციას უჭირს ამ ეთნიკური კულტურის ნამდვილად ნაციონალურ და სამოქალაქო მასობრივ კულტურად გარდაქმნა. ამიტომ სეკულარულად მოაზროვნე ინტელიგენციის უპირველესი ამოცანაა, გარდაქმნას ძირეული კავშირი რელიგიასა და ეთნიკურობას შორის, მორწმუნეთა ერთობასა და ისტორიული კულტურის ერთობას შორის.⁴² "მეცნიერული სახელმწიფოს" რაციონალიზატორული გავლენის შედეგად, არცთუ იშვიათად იმპერიული ან კოლონიური ვარიაციით, რელიგიურ ტრადიციებსა და მათ ეთნიკურ "მატარებლებს" შორის კავშირი ხშირად შესუსტებულია. იმპერიულ და კოლონიურ სახელმწიფოსა და მათში შემავალი უმცირესობების ეთნიკებს შორის არსებული შეგუების ძველი ტრადიცია უკვე მოშლილია. ვესტერნიზაციის და საბაზრო ეკონომიკის ნყალობით, რელიგიურ ხატებსა და თეოდიციებზე მეცნიერული სახელმწიფოს წნეხის შედეგად თავი იჩინა ახალმა სოციალურმა კლასებმა, რომლებსაც პროფესიონალთა და ინტელექტუალებმა ფენა წინამძღოლობს. ხოლო ამ უკანასკნელთ კი იზიდავს სხვადასხვა დასავლური იდეოლოგიები და დისკურსები, ნაციონალისტურის ჩათვლით.⁴³

ასეთ სიტუაციაში ინტელექტუალები და მათ მიმდევარ პროფესიონალები შორის თავს იჩენს სხვადასხვაგვარი ორიენტაცია: ტრადიციისაკენ ცნობიერი, მოდერნიზებული მობრუნება (ანუ

"ტრადიციონალიზმი"); არაბობის დასავლურ თანამედროვეობასთან დაახლოების მესიანისტური სურვილი ("მოდერნიზმი"); და უფრო თავდაცვითი ხასიათის მცდელობა, განახორციელონ ტრადიციისა და დასავლური მოდერნულობის ასპექტების სინთეზი და აღადგინონ ყოფილი კოლექტიური ოქროს ხანის ყაიდის წმინდა და ჭეშმარიტი ერთობა ("რეფორმისტული რევივალიზმი"). მართალია, ეს მიმართულებები ნაციების ფორმირების ლატერალურ გზასაც ახასიათებს, მაგრამ, კერძოდ, ეს ორიენტაციები ნაციების ფორმირების პროცესში უფრო ხშირი და ინტენსიურია დემოკრატული ვერტიკალურ ერთობებს შორის. ისინი ტიპურია მდიდარი ეთნო-ისტორიის, ანუ, კარგად დოკუმენტირებული და დეტალიზებული ისტორიის მქონე ერთობებს შორის.⁴⁴

ორიენტაციების სხვადასხვაგვარობა და კამათი ინტელექტუალთა შორის ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ასახავენ და გამოხატავენ იმ ფუნდამენტურად განსხვავებულ მიმართულებებს, დემოკრატული ეთნიკების პოლიტიკურ ნაციებად გარდაქმნის პროცესებს რომ ახასიათებს. იმისათვის, რომ ამ გარდაქმნის ფორმა, ტემპი, საზღვრები და ინტენსივობა დადგინდეს, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი - ტრადიციონალისტურად, მოდერნისტულად თუ რევივალისტურად განწყობილი ელიტის მფარველობით (თუ მათი გარკვეული კომბინაციით ანდა თანამიმდევრობით). ყველა ამ შემთხვევაში ინტელიგენცია ცდილობს, შეიმუშავოს ახალი საერთო თვითგანსაზღვრებანი და მიზნები, რაც გულისხმობს მანამდე პასიური ერთობების მობილიზაციას. ეს რედეფინიციები არ უნდა აღვიქვათ ინტელექტუალთა უბრალო ქმნილებებად ან გამონაგონებად. ისინი მეტწილად წარმოადგენენ ნაციების ფორმირების დასავლური გზის შეჯვარებას ეთნიკური წარსულის ხელახლა აღმოჩენის პროგრამასთან. ყოველივე ეს კი მიმართულია იქითკენ, რომ ინტელიგენციამ ძველი რელიგიური ტრადიციების გვერდის ავლით, ანდა, მათი რეინტერპრეტაციის გზით, საკუთარი ხალხი და მისი ვერნაკულური კულტურა გარკვეულ სიმაღლეებს აზიაროს. ხალხი, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ რელიგიური ხსნის რჩეულ ჭურჭლად ან ღვთაებრივი განგების პასიურ მიმღებად დარჩეს, ახლა თავად გვესახება წყაროდ, ხოლო ძველ დროთა წმინდანები და ბრძენი ადამიანები ხალხის ნაციონალური გენიის გამოხატულებებად გვევლინებიან.⁴⁵

მაშასადამე, ეთნიკური ინტელიგენციის უმთავრესი ამოცანაა: ყოფილი პასიური ერთობის მობილიზება და ნაციის ფორმირება იმ ახალი ვერნაკულური ისტორიული კულტურის გარშემო,

რომელსაც იგი ხელახლა აღმოაჩენს. ეესტერნიზაციის თაობაზე სხვადასხვაგვარ პასუხებს საფუძვლად უდევს მორალური და პოლიტიკური რევოლუციის იმპერატივი, რომელიც მოითხოვს ხალხის გათავისუფლებას საუკუნეების მანძილზე დაგროვილი დანაღვლისაგან და მის გარდაქმნას თანასწორუფლებიან მოქალაქეთა პოლიტიკურ ერთობად (ემანსიპირებას). ეს რევოლუცია მოიცავს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ პროცესს; კერძოდ:

1. ერთობის პასიური დაქვემდებარებიდან აქტიური პოლიტიკური თვითდამკვიდრებისაკენ მიმართული მოძრაობა
2. ერთობის მის მშობლიურ მიწაზე – დაცულ და მისთვის განსაზღვრულ კომპაქტურ ტერიტორიაზე – დასახლები-საკენ მიმართული მოძრაობა
3. ტერიტორიული ერთობისათვის ეკონომიკური ერთიანობის მინიჭებისაკენ სწრაფვა
4. მოძრაობა, რომლის მიზანია ხალხის ყურადღების ცენტრში მოქცევა და ამ ხალხის ხელახალი განათლება – ნაციონალურ ღირებულებებთან, მოგონებებსა და მითებთან ზიარება
5. მოძრაობა, რომლის მიზანია ეთნოსის წევრების კანონიერ "მოქალაქეებად" გარდაქმნა მათთვის სამოქალაქო, სოციალური და პოლიტიკური უფლებების მინიჭების გზით.

ყოველივე ეს კი ურთულესი წამოწყება იყო, რომელსაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ არა მარტო იმპერიული ან კოლონიური ძალები, არამედ ტრადიციის დამცველნიც, რომელთა ღირებულებებსა და წინამძღოლთა სტატუსსაც საფრთხეს უქმნიდა ინტელიგენციის მიერ შემოთავაზებული ერთობის ახალი დეფინიციები. ამ წამოწყებების წარმატება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ შეძლებდა ინტელიგენცია ცოცხალ, ხალხის გრძნობებითა და ტრადიციებით ნასაზრდოებ, წარსულთან დაბრუნებას, რომელიც აღარ იქნებოდა მხოლოდ ანტიკვარული ძიებების საგანი. ეს პროცესი გულისხმობდა ერთობის, მისი ისტორიის, ბედ-იღბლისა და სხვა ნაციათა შორის მისი ადგილის "რუკების" შედგენის ორმაგ სტრატეგიას და, კიდევ, შექმნილი ერთობისათვის "ზნეობის" მიწოდებას – ზნეობისა, რომლის მიერ შთაგონებულ კეთილშობილურ საქმეებს ხალხი თავისი ნაციონალური ხასიათის გამოვლინებად მიიჩნევდა. აი, ასე შეიძლებოდა ახალი ნაციისათვის კოგნიტიური საფუძვლის შექმნა და ზნეობრივი დანიშნულების მინიჭება, რაც უზრუნველყოფდა მისი გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობისა და თავისებური ხედვის მუდმივ განახლებას.⁴⁶

ცოცხალი ეთნიკური წარსულის საფუძველზე ამგვარი რუკების შედგენა და ზნეობის ჩამოყალიბება ორი ძირითადი მიმართულებით უნდა განხორციელდებულყო. განმანათლებელ-ინტელექტუალები ორივეს ხალხის ცხოვრებაში, სიმბოლიზმსა და პოპულარულ ისტორიულ ტრადიციებში პოულობდნენ. პირველი გზა იყო "ბუნებასთან" და მის "პოეტურ ადგილებთან" დაბრუნება. ბუნებაც და ეს ადგილებიც საკმაოდ სპეციფიკურია. ისინი ქმნიან ხალხის ისტორიულ კერას, მისი მეხსიერების წმინდა საცავს. მათ, ვის სულსაც ისინი ეხმიანებიან, აქეთ თავიანთი ისტორიული პოეზია. სამშობლო ნაციონალური დრამის დეკორაცია კი არა, უმთავრესი პროტაგონისტია. მისი ბუნება ხალხისთვის ისტორიულ მნიშვნელობას იძენს. ამიტომ ტბები, მთები, მდინარეები, ხეობები შეიძლება ხალხის სიქველეთა და "ავთენტური" (ნამდვილი) ნაციონალური გამოცდილების სიმბოლოებად გადაიქცნენ. ასე იქცა იუნგფრაუ (Jungfrau) შვეიცარიელთა სინმინდისა და ბუნებრივი სილამაზის ღირსების გამომხატველ სიმბოლოდ. ხოლო ფირვალშტატერზეე (Vierwaldstättersee) გახდა იმ ისტორიული დრამის თეატრი, რომელიც 1291 წ. Eidgenossenschaft-ის დაფუძნებისას გათამაშდა. ამ პოეტურ ისტორიაში ფაქტი და ლეგენდა ერთმანეთს გადაჯაჭვია, რათა სული შთაბეროს მითს, ხოტბას რომ ასხამს სულის სინმინდეს, ტირანიას კი უპირისპირდება.⁴⁷

ზოგჯერ პირიქითაა, ხორციელდება მშობლიური ისტორიული მოვლენებისა და ძეგლების "ნატურალიზაცია". ციხეები, ტაძრები, დოლმენები და თქმულებები ინტეგრირებულია ბუნებაში და მათ ისე ეპყრობიან, როგორც მის ნაწილს. მეტვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში სტოუნჰენჯი – როგორც ნაწილი ისტორიის რომანტიკული განახლებისა – იქცა ბრიტანული სიძველის "ბუნებრივ" სიმბოლოდ, და, მართლაც, ისე შეერწყა "ბრიტანულ" (Briton) პეიზაჟს, რომ უიმისოდ მას ველარავინ წარმოიდგენდა. ვერავინ იტყოდა, რომ სტოუნჰენჯი არ იყო ბრიტანული ეთნიკური ხასიათის ისეთივე ბუნებრივი და ორგანული ნაწილი, როგორც ვესექსის დაბლობები და გარემომცველი ბორცვები – მისი ბუნების ნაწილი. ამგვარად იქცა "ბუნებად" გარკვეულ დროსა და კონტექსტთან დაკავშირებული წმინდა ისტორიული ხასიათის ძეგლი.⁴⁸

ახალი თაობისათვის რუკებით და ზნეობრივი სწავლებით აღჭურვის მეორე გზა გადიოდა ისტორიაზე და, განსაკუთრებით, ოქროს ხანის კულტზე. ნაციონალისტ განმანათლებელ-ინტელექტუალებს ამოძრავებთ სოციალ-პოლიტიკური, და არა აკადემიური ხასიათის, მიზნები. მათი მიზანია ადამიანის განწმენდა და

ამოქმედება. ამისათვის კი ეთნიკური წარსულიდან იმ ზნეობრივი მაგალითების მოხმობაა საჭირო, რომლებიც მოცემული ერთობის დიდებული წარსულის აშკარა ხორცშესხმას წარმოადგენს. ამ წარსულთან დაბრუნება კი მითების საშუალებით ხორციელდება. ესენია დაბადებისა და წარმომავლობის, განთავისუფლებისა და მიგრაციის, ოქროს ხანის, მისი გამირებისა და ბრძენი ადამიანების, შესაძლოა, ხანგრძლივ ძილს მიცემული და ლპობაშემოპარული რჩეული ერის გამოღვიძების ამსახველი მითები. მთლიანობაში ეს მითი-მოტივები ნაციონალისტურ მითოლოგიად და ხსნის დრამად ყალიბდებიან.⁴⁹

ისტორიის ნაციონალისტური თვალსაზრისით გამოყენებასა და ოქროს ხანაში დაბრუნების სურვილს ცხადყოფს გელური აღორძინება 1890-იან წლებში. აქ იყო როგორც წარმართული, ისე კათოლიკური ხედვა. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ნაციონალისტები ირლანდიის წმინდა პატრიკის დროინდელ ოქროს ხანას სხვადასხვა ასპექტებით წარმოაჩენდნენ. ზოგიერთებისათვის, როგორებიც იყვნენ ო'გრადი და ლედი გრეგორი, ეს იყო კუხულაინისა და ფინ მაკ კოილის ლეგენდები თარას უზენაესი მეფეების ოქროს ხანაში, რომლებიც მათ ოლსტერულ ციკლში ხელახლა აღმოაჩინეს და ცდილობდნენ მათ პროპაგანდას. აქ იყო არისტოკრატიული მებრძოლი საზოგადოება, ოღონდ მცხოვრები სოფლად, თავისუფალი და სულიერი სიბრძნით აღსავსე, თავისი *fianna*-ს (მოხეტიალე მეომრები ირლანდიურ მითოლოგიაში – მთარგ. შენ.) ჯგუფებით და *filid*-ის (პოეტები, ბარდები ირლანდიურ მითოლოგიაში – მთარგ. შენ.) ბარდების გილდიებით. სხვებისათვის ეს იყო წმინდა პატრიკის მიერ ირლანდიის გაქრისტიანების შემდგომი ხანა მისი სახელგანთქმული მონასტრებით, კელტური ხელოვნებით, ქრისტიანული სიტყვიერებითა და ლიტერატურით, როდესაც ირლანდიაში, ლამის ერთადერთმა მთელს ბარბაროსულ დასავლეთში, შემოინახა ცივილიზაციისა და ცოდნის ლამპარი. კელტი გამირებისა და ქრისტიანი მნიგნობარ-მისიონრების ორმხრივი კულტი ირლანდიური ინტელიგენციის წარმოსახვაში ეხმიანებოდა თავისუფალი ირლანდიის იდეას – თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო იგი, მისი ბუნებრივი განვითარება ჯერ ნორმანულ შემოსევებს, შემდეგ კი პროტესტანტ ინგლისელთა დამპყრობლურ ლაშქრობებს უხეშად რომ არ დაერღვია. ეთნიკური ოქროს ხანის სურათი ეუბნება თანამედროვე ირლანდიელ ქალებსა და მამაკაცებს, თუ რა არის "ნამდვილად მათი" და როგორ უნდა შეინარჩუნონ მათ "თავისთავადობა" კიდევ ერთხელ თავისუფალ ირლანდიაში.⁵⁰

ასევე ფინეთში წარსული და მისი გმირები ნაციონალისტური მიზნებისათვის გამოიყენეს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ფინელებმა შექმნეს დაქვემდებარებული ვერტიკალური ეთნიკური ერთობა, რომელიც განსხვავდებოდა როგორც შვედური კულტურული ელიტისაგან, ასევე, მოგვიანებით, რუსული პოლიტიკური ბატონობისაგან. ეს კი უკვე იყო ნაციონალური რეკონსტრუქციისათვის გამზადებული ბაზისი ისეთი განმანათლებელ-ინტელექტუალებისათვის, როგორებიც, 1830-იანი წლებიდან მოყოლებული, იყვნენ ლონროტი, რუნებერგი და შნელმანი. კერძოდ, დოქტორი ელიას ლონროტი ფინელი ინტელიგენციის და შემდგომ მთელი ფინელი ხალხის წარმოსახვას იპყრობდა კარელიის პროვინციაში წარმოშობილი ბალადებისა და ლექსების აღორძინებით, რომელთა საფუძველზე 1835 წ. შექმნა "კალევალა" (უფრო სრული გამოცემა კი 1849 წ.). "გმირთა მიწის" ეს ეპოსი პირველი ათასწლეულის ადრინდელ ფინურ საზოგადოებას მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს (თუ შემორჩენილი მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ). მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ახალი დროის ფინელებისათვის გმირების – ვეინემეინენისა და ლემინკაინენის ოქროს ხანის ის კულტი შეექმნა, რომელიც ხალხური ხელოვნებისა და სიბელეუსისა და გალენ-კალელას გენიის შთაგონების წყაროდ იქცეოდა.⁵¹ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს აღორძინებული ფინეთისათვის ეს იყო თვითგანსაზღვრის იდეალი და შვედური კულტურისა და რუსული პოლიტიკური ბატონობის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის მაგალითი. ფინეთის ისტორიისა და კულტურის ამ ძველი, მაგრამ აშკარად "მივიწყებული" პერიოდის გახსენება ფინელებში აღვივებდა ერთიანობისა და ღირსების გრძნობას, რაც ესოდენ აუცილებელი იყო მცირერიცხოვანი, შედარებით ღარიბი და დაჩაგრული, საზოგადოებისათვის, რომელიც "მაღალ" კულტურათა შორის საკუთარი ადგილის მოპოვებისათვის იბრძოდა.⁵²

არსებობს ბევრი სხვა მაგალითი, თუ როგორ იყენებენ ისტორიასა და ოქროს ხანას განმანათლებელ-ინტელექტუალები, რათა ხელი შეუწყონ ნაციონალურ აღორძინებას. მდიდარი ეთნოკულტურის ძარღვის მოხელთება ის ნაღმია, რომელიც "კულტურული ომების" დასაწყისს მოასწავებს. ეს "კულტურული ომები", ჩვეულებრივ, ორი სახისაა: პირველი არის იმპერიული კოსმოპოლიტიზმის ან მისი კოლონიური სხვადასხვაობისადმი კულტურული რეზისტენტობა. შესაძლოა, აქვე ვიგულისხმოთ ძლიერი მეზობლისადმი წინააღმდეგობაც. ასეთი იყო, მაგალითად, სლოვაკების წინააღმდეგობა დომინანტური ჩეხური, ხოლო უკრაინელებისა –

რუსული კულტურისადმი. მეორეა "მამათა და შვილთა ბრძოლა". ამ დროს სეკულარული ინტელიგენცია უპირისპირდება ტრადიციის დამცველთა ძველ თაობას. მისი მიზანია დემოკრატიული ეთნის მობილიზება და მისი პოლიტიკურ ნაციად გარდაქმნა. ეს მიიღწევა უცხოური (როგორც წესი, "დასავლური") ელემენტების შერჩევითი ასიმილაციის გზით. ასეთი იყო თათართა განათლების რეფორმები, რომელიც ისმაილ ბეი გასპრინსკიმ განახორციელა, და იაპონელი მეიძის რეფორმატორთა პოლიტიკა. მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია მშობლიური ეთნიკური ბაზისის გამყარება, რაც გულისხმობს ბრძოლას ახალი თაობების სოციალიზაციისა და ერთობის ხელახლა აღმოჩენილ ეთნოისტორიასა და გაცოცხლებულ ენაში ჩასართავად. ამ პროცესების კვალდაკვალ ხორციელდება ერთობის ახლებური თვითგანსაზღვრა (ხშირად ძველი თაობის ტრადიციების დამცველთა ეთნო-რელიგიური თვითგანსაზღვრის საპირისპიროდ), რათა საფუძველი ჩაეყაროს ნაციათა სამყაროსთან ზიარებას.⁵³

მოდერნული და ძველი ნაციები

მე განვიხილე ორი გზა, რომლის საშუალებითაც სხვადასხვა ტიპის ეთნიკური ერთობა გარდაიქმნება ნაციად. პირველი მათგანი არის სახელმწიფოებრივი გზა. ის აღმოცენდება ეთნიკური სახელმწიფოს ლატერალური ეთნიდან. როცა ასეთი სახელმწიფო უფრო ცენტრალიზებულ და ბიუროკრატიულ ელფერს იძენდა, იგი საშუალო კლასებისა და სასაზღვრო (განაკიდა) რეგიონების ინკორპორირებას ცდილობდა სამხედრო, ფისკალური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ღონისძიებების მეშვეობით. წარმატების შემთხვევაში ის ხშირად განცალკევებულ პოპულაციებს ადუღებდა ერთ პოლიტიკურ ერთობად, რომელიც დაფუძნებული იყო დომინანტური ეთნიკური ბირთვის კულტურულ მემკვიდრეობაზე. ინტელიგენცია ამ პროცესში საერთოდ მონაწილეობას თუ იღებდა, მისი როლი ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს მეორეხარისხოვანია. მთავარი მოქმედი პირები კი იყვნენ მეფეები, მინისტრები, ბიუროკრატები და უფრო მოგვიანებით აღმოცენებული საშუალო კლასი. არისტოკრატია და სამღვდელთა ხშირად სანინააღმდეგო პოზიციას იკავებდა (ამბივალენტური იყო), რადგან ეს იყო, გარკვეული აზრით, მათი მემკვიდრეობა და კულტურა, რომელსაც სახელმწიფო ისაკუთრებდა და ავრცელებდა, რასაც შედეგად არისტოკრატისა და სამღვდელთა მარგინალიზაცია მოჰყვებოდა. მათი კულტურა და მემკვიდრეობა, პრინციპში, სა-

ყოველთაო კუთვნილება გახდა. ამიტომაც ახალ პოლიტიკურ ნაციაში ისინი ხშირად განზე რჩებოდნენ.⁴

მეორე გზა უფრო გავრცელებული იყო. ის იწყებოდა შედარებით მცირე დემოტური ერთობებიდან, რომელთა ეთნო-რელიგიური თვითგანსაზღვრანი უფრო აქტივისტური პოლიტიკური კონცეფციებით უნდა შეცვლილიყო. ამ ტრანსფორმაციების გასაღები იყო ვერნაკულური მობილიზაციის პროცესი. განმანათლებელ-ინტელექტუალთა პატარა წრეები, მიუხედავად მათი განსხვავებული დამოკიდებულებისა ვესტერნიზაციისა და მოდერნულობისადმი, მოჩვენებით ეთნიკურ წარსულზე დაყრდნობით "ხალხის" მობილიზაციისა და განმენდისაკენ მიისწრაფოდნენ. ამისათვის კი მათ ახალი თაობებისათვის უნდა მიეწოდებინათ შემეცნებითი რუკები და ზნეობრივ-აღმზრდელობითი ისტორია, რასაც ამ ერთობის პოეტურ სივრცესა და ოქროს ხანაში მოიძიებდნენ. ამ გზით იმედოვნებდნენ ყოფილი ტრადიციული ეთნიკური ერთობის თუმც ვერნაკულურ, მაგრამ დინამიკურ პოლიტიკურ ნაციად გარდაქმნას.

მეცხრამეტე საუკუნეში დროის მსვლელობის კვალდაკვალ, ერთობის ორთავ სახეობაში ნაცია ნაციონალისტთა მიერ ორმხრივად აღიქმება – მათი თვალსაზრისით, ნაცია თანამედროვეცაა და პირველქმნილიც, ახალ ინდუსტრიულ ხანაზე მორგებულიც და ქვეყნიერების დასაბამისაკენ მიდრეკილიც. ეს ორმხრივი ორიენტაცია, როგორც უკვე დავინახეთ, კიდევ ერთი საფუძველია იმ განსჯა-კამათისა, რომელიც უკანასკნელ ხანს სამეცნიერო წრეებში იმართება ნაციებისა და ნაციონალიზმის მოდერნულობის შესახებ. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ნაციები მართლაც მოდერნული ფენომენია, რამდენადაც:

1. მათ სჭირდებათ უნიფიცირებული კანონმდებლობა საყოველთაო უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მოქალაქეობის უფლებებით, სადაც ნაცია დამოუკიდებელია
2. ნაციები ეფუძნებიან ერთიან ეკონომიკას, აქვთ შრომის ერთიანი დანაწილება, უზრუნველყოფილია ნაწარმისა და პირთა მობილურობა ნაციონალური ტერიტორიის ფარგლებში
3. მათ სჭირდებათ საკმაოდ კომპაქტური ტერიტორია, სასურველია "ბუნებრივად" დაცული საზღვრებით, ასეთსავე კომპაქტურ ნაციათა სამყაროში
4. მათ სჭირდებათ ერთიანი "პოლიტიკური კულტურა" და საზოგადო, საყოველთაო-საგანმანათლებლო და მედია-

სისტემა, რათა მომავალი თაობები სოციალიზაციის გზით ახალი ნაციის "მოქალაქეებად" ჩამოაყალიბოს.

როგორც დავინახეთ, რაც უნდა ძლიერი იყოს პრემოდერნული ეთნიკური სახელმწიფო, მაინც ჭირს მასში ამ ელემენტთა უდიდესი ნაწილის მოძებნა. ორმხრივი სწრაფვა უნიფიკაციისა და უნიკალურობისაკენ, როგორც ტექნოლოგიის, ასევე პოლიტიკური ნებისა და თვითგაზრების თვალსაზრისით, ასეთ სახელმწიფოებში არ შეინიშნება. რადგან არც წვდომა ამ ელემენტებისა და არც საბაზი ამგვარი პირობების შესაქმნელად არ არსებობდა.

თუ კიდევაც არსებობდა ამგვარი მოტივაცია, მას ჩრდილავდა უფრო ლოკალური ან უფრო ყოვლისმომცველი საჭიროებები და შეხედულებები; ისე რომ, როგორც სოფელი, ისე ეკლესია ნაციას პოლიტიკურად უსარგებლოდ წარმოაჩენდა.⁵⁵

მაგრამ ამ სურათს მეორე მხარეც აქვს. თუ ნაცია ბევრი თვალსაზრისით მოდერნულად გვეჩვენება, იმავდროულად, მას ღრმად აქვს ფესვი გადგმული. ნაციონალისტები შეიძლება დავადანაშაულოთ ისტორიის უზომოდ განდიდებაში, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ძალიან ცდებიან. ისინი მიხვდნენ, რომ, მართალია, ნაცია თავისთავად მოდერნულია, მაგრამ იმისათვის, რომ თავი გაიტანოს თანამედროვე სამყაროში, ეს უნდა მოახერხოს ორივე დონეზე – სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ-ფსიქოლოგიურზე. ბოლოს და ბოლოს, რა არის ყოველი ნაციის *raison d'être* (სახელმწიფოსგან განსხვავებით), თუ არ საკუთარი უნიკალური (ან უნიკალობაზე პრეტენზიის მქონე) კულტურული ღირებულებების კულტივირება?! ეთნიკური განსხვავებულობა რჩება როგორც *sine qua non*-ად ნაციისათვის, ეს კი ნიშნავს მითს საერთო წინაპარზე, საერთო ისტორიულ მოგონებებს, უნიკალურ კულტურულ მარკერებს და, რჩეულობის თუ არა, განსხვავებულობის შეგნებას მაინც – ანუ, ყველა იმ ელემენტს, რომლითაც იყვნენ ნიშნულნი წინამოდერნული ხანის ეთნიკური ერთობები. მოდერნულმა ნაციამ უნდა შეინარჩუნოს ისინი კულტივირების გზით, თუ არ სურს, გაქრეს.

მოდერნულ ნაციებს ანტიკურობის კიდევ ერთი ნახნავი (ასპექტი) მოსდგამთ – მათი ადგილმდებარეობა. ითვლება, რომ ისინი იქ არიან, სადაც ხანგრძლივი კავშირი ჰქონდათ კონკრეტულ ტერიტორიასთან. "ნაციები ღრმად ფესვგადგმულნი არიან". მაშინაც კი, როცა ეს ფესვები არც ისე ღრმაა, ასეთი პრეტენზია მაინც უნდა გაცხადდეს არა მარტო საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად, არამედ გაცილებით უფრო ფუნდამენტური მიზნის ხორცშესახმელად: ეს არის ერთობლივი შინა უსაფრთხოება

და რეგენერაცია.⁵⁶ ნაციონალიზმის მკაცრად პრაქტიკული ასპექტები აქ გადაჯაჭვულია წმინდად სიმბოლურთან. ნაციონალიზმი გულისხმობს როგორც "მინა-წყლის" ბატონ-პატრონობას, ისე (სიტყვასიტყვით) აღმშენებლობას; გულისხმობს, აგრეთვე, მინას, სადაც ცხოვრობდნენ წინაპრები და სადაც ისტორიამ მონიშნა "სამშობლოს" საზღვრები. ამიტომ, სუბიექტურად, ნაციის ღერძი ემყარება ეთნიკური ისტორიის ცოდნას, ეს კი იმას მეტყველებს, რომ დედამინის რომელიღაც კონკრეტულ ადგილას საერთო ისტორიისა და ბედ-იღბლის ერთიანობაში თაობათა შორის უწყვეტი კავშირი ხორციელდება. ეს არ ნიშნავს ნაციის დაბერებას; ეს სუბიექტურად, მხოლოდ წინამოდერნული ელემენტების არსებობას გულისხმობს ბევრი ნაციის ფარგლებში.

ნაციონალიზმი და კულტურული იდენტობა

ნაციის "მოდერნისტულ" ხედვაში ნაციონალიზმი ქმნის ნაციონალურ იდენტობას. გელნერი მოკლედ და არსობრივად აცხადებს: "ნაციონალიზმი არ არის ნაციების თვითცნობიერების გამოვლილება; ის თავად იგონებს ნაციებს, როცა ისინი არ არსებობენ. მაგრამ მას საშენ მასალად მაინც სჭირდება რაღაც წინასწარი განმასხვავებელი ნიშნები იმ შემთხვევაშიც კი, როცა, როგორც ცხადვყავი, ისინი პირნმინდად ნეგატიურია..."¹. კედური (Kedourie) იმავე მიმართულებით ავითარებს აზრს და ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმი თავისთავად არის "გამოგონილი დოქტრინა": "ნაციონალიზმი არის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ევროპაში გამოგონილი დოქტრინა". თუმცა საკითხავია, როგორ ავხსნათ ასეთი "გამოგონება"? რისთვის იგონებს ან ქმნის ნაციონალიზმი ნაციებს "იქ, სადაც ისინი არ არსებობენ"?

მეორე თავში უკვე დავინახეთ, რომ როდესაც გვსურს, დავადგინოთ, თუ რომელ ერთობებს შეეძლოთ გამხდარიყვნენ ნაციები (თუ ან როცა მათ ეს მოახერხეს), უნდა შევამოწმოთ მათი ეთნიკური კავშირები და სენტიმენტები. ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც უფრო ძლიერი და გამძლე იყო ადრე არსებული ეთნიკური იდენტობა, მით უფრო საეჭვო ჩანდა ამ იდენტობაზე დაფუძნებული ნაციის აღმოცენება. მესამე თავში, სადაც ნაციების ფორმირების გზები და პროცესები განვიხილეთ, ასევე ცხადი შეიქნა, რომ წინამოდერნული ეთნიკური იდენტობა არის ის საფუძველი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ რატომ და როგორ წარმოიშვნენ ნაციები, ყოველ შემთხვევაში, ევროპაში.

ამჯერად ვეცდები იგივე დავასაბუთო ნაციონალიზმთან მიმართებაშიც. ნაციონალიზმი მართლაც ხელს უწყობს ნაციების შექმნას, რომელთა შორის ბევრია "ახალი" – ზოგი გამოკვეთილად, ზოგიც – თავისი მისწრაფებით. ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია და ენა, შედარებით ახალი დროის მოვლენაა და პოლიტიკურ არენაზე დაახლოებით მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გამოჩნდა. მაგრამ ნაციები და ნაციონალიზმი იმაზე მეტად "გამოგონილი" როდია, ვიდრე სხვა სახის რომელიმე კულტურა, სოციალური ორგანიზაცია თუ იდეოლოგია. თუ ნაციონალიზმი არის "ეპოქის სულის" ნაწილი, ის, ამავე დროს,

დამოკიდებულია უფრო ადრეულ მოტივებზე, ხედვასა და იდეალებზე, რადგან რასაც ნაციონალიზმს ვუნოდებთ, სხვადასხვა დონეზე ავლენს თავს და ამიტომ ნაციონალიზმი ერთნაირად შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კულტურის ფორმა, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ნაირსახეობა და როგორც სოციალური მოძრაობა. რაკი ნაციონალიზმის აღმოცენებასთან ერთად ახალი ხანა დგება, შეუძლებელია ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაზე მისი ზემოქმედების განსაზღვრა, თუ წინასწარ არ განვიხილეთ ნაციონალიზმის სოციალური და კულტურული მატრიცა, რომელიც, თავის მხრივ, ბევრ რამეს დაესესხა წინამოდერნული ეთნიკების არსებობასა და დასავლეთში ნაციონალური სახელმწიფოების თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ნაციონალიზმი ჯერ განვიხილოთ, როგორც კულტურისა და იდენტობის ფორმა, ხოლო შემდეგ თავში შევუდგეთ მისი პოლიტიკური გავლენის საკითხის განხილვას. მაშასადამე, კითხვა - "სად და როდის წარმოიშვნენ ნაციები?" - უნდა დაისვას ჯერ იმ ზეგავლენის კონტექსტში, რომელიც ნაციონალიზმმა და მისმა მიმდევრებმა იქონიეს, ხოლო შემდგომ იმ პროცესის კონტექსტში, რომლის დროსაც ეთნიკური ჯაჭვებიდან ნაციების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა. ეს უკანასკნელი საკითხი განხილული იქნება ბოლო ორ თავში.

ნაციონალიზმი: იდეოლოგია, ენა, განწყობა

ტერმინი ნაციონალიზმი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ის შეიძლება აღნიშნავდეს:

1. ნაციებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების ერთიან პროცესს
2. ნაციისადმი კუთვნილების გაცნობიერებასა და, მასთან ერთად, ნაციის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისაკენ მიმართულ განწყობილებებსა თუ მისწრაფებებს
3. "ნაციის" ენასა და სიმბოლიზმს და მის როლს
4. იდეოლოგიას, რომელიც მოიცავს ნაციათა და ნაციონალური ნების კულტურულ დოქტრინასა და, აგრეთვე, მინიშნებებს მათი რეალიზაციის თაობაზე
5. სოციალურსა და პოლიტიკურ მოძრაობას, მიმართულს ნაციის მიზნების აღსრულებისა და ნაციონალური ნების რეალიზაციისაკენ.

ჩემი აზრით, პირველის შესახებ მსჯელობას ამჯერად შეიძლება

თავი ავარიდოთ, რადგან იგი სხვებზე გაცილებით უფრო მრავლისმომცველია და მის შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

ამ ტერმინის მეორე მნიშვნელობა – ნაციონალური ცნობიერება თუ განწყობა, სხვებისგან უნდა განვასხვავოთ. სრულიად შესაძლებელია, არსებობდეს მოსახლეობა, რომელშიც ნაციონალური ცნობიერება ძალზე მკაფიოდაა გამოვლენილი, თუმცა ბევრი არაფერი გაუკეთებია ნაციის იდეოლოგიისა თუ დოქტრინის წინ წამოწევის მიმართულებით, თავი რომ დავენებოთ ნაციონალისტურ მოძრაობას. ინგლისი ამის კარგი მაგალითია. თუმცა აქაც კი ნაციონალისტური იდეოლოგია დროდადრო იჩენს ხოლმე თავს, როგორც ეს კრომველისა და მილტონის პერიოდში, ანდა ბერკისა და ბლეიკის დროს იყო.

ამის საპირისპიროდ, ნაციონალისტურ მოძრაობას და იდეოლოგიას ვხვდებით იმ ხალხებში, რომელთაც ძალზე მცირედ აქვთ გამოხატული ან სრულიად არ გააჩნიათ ნაციონალური ცნობიერება. ამან, შესაძლოა, მოსახლეობის მხოლოდ მცირე სეგმენტში იჩინოს თავი, მაგრამ არანაირი გამოხმაურება არ პოვოს ხალხის უმეტესობაში. ასეთი რამ მოხდა დასავლეთ აფრიკის არაერთ კუთხეში, ოქროს ნაპირისა და ნიგერიის ჩათვლით. ეთნიკური და რეგიონული ნიშნით დაყოფაზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც სრულიად უცხო ხილი იყო იქაური მოსახლეობისათვის, ამ კოლონიების სიახლე იმას გულისხმობდა, რომ ამ ახლად დაარსებული ბრიტანული კოლონიების მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არაფერი გაეგებოდა ოქროს ნაპირის, გვიანდელი განასა თუ ნიგერიის ნაციონალიზმისა, რომელთაც, სავარაუდოდ, ისინი მიეკუთვნებოდნენ. ასევე, არაბებისა და პაკისტანლების დიდი უმრავლესობა თავს მიიჩნევდა, უბრალოდ, მუსლიმად და არა არაბად თუ პაკისტანლად, თუ არ ჩავთვლით ნაციონალისტთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელსაც ხმაურიანი კამპანია გაეჩალებინა.³

იგივე შეიძლება ითქვას ნაციონალიზმზე, როგორც ენასა და სიმბოლიზმზე. როგორც შემდეგ დავინახავთ, ის იწყება როგორც ელიტური ფენომენი, სადაც ინტელექტუალები გადამწყვეტ როლს ასრულებენ. თუმცა ამ ფენომენის გაიგივება არ ეგების არც ნაციონალისტურ მოძრაობასა და არც ნაციონალურ თვითშეგნებასთან. ნაციონალისტური ენა და სიმბოლიზმი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე იდეოლოგია თუ იდეოლოგიური მოძრაობა. ხშირად იგი ამ იდეოლოგიას აღნიშნული მოსახლეობის უფრო ფართო სეგმენტების "მასების განწყობილებებს" უკავშირებს და ამას ლოზუნგების, იდეების, სიმბოლოებისა და ცერემონიების მეშვეობით ახორციელებს. ამავე დროს, ნაციონალისტურ ენასა

და სიმბოლიზმში ურთიერთგადახლართულია როგორც კოგნიტური, ისე ექსპრესიული განზომილება; ამავე დროს, ის ელიტისა და ფართო ფენების უფრო ზოგად მისწრაფებებსა და გრძნობებს ეხმიანება. ავტონომიისა და ავტენტურობის ცნებები, საკუთარი ძალების რწმენისა და ბუნებრივი ერთიანობის სიმბოლოები (მაგალითად, ახალი კანონმდებლობის შემოღება წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში, ან პეიზაჟისა და ისტორიული მონუმენტებისა თუ ადგილობრივი პროდუქტის, ხელობისა და სპორტის სიმბოლოები) წარმოადგენს კოგნიტური და ექსპრესიული ფუნქციების შერწყმისა და უფრო მრავლისმომცველ გრძნობებსა და მისწრაფებებთან მათი კავშირის მაგალითს. გვიანი მეცხრამეტე საუკუნის ირლანდიაში გელური აღორძინება (Gaelic Revival) მთელი თავისი აქცენტებით ადგილობრივ სპორტზე, ბუნებაზე, ხელობასა თუ ძველ წარმართულ გმირებზე ირლანდიური ნაციონალიზმის ახალი ენისა და სიმბოლიზმის გავრცელების მაგალითს წარმოადგენს.⁴

დაბოლოს, ნაციონალიზმის ბოლო მნიშვნელობა ანუ ნაციონალისტური მოძრაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაციონალისტურ იდეოლოგიასთან. ერთი წარმოუდგენელია მეორის გარეშე და ამიტომ მათ ერთად განვიხილავ. რადგან ვიცი, რომ შესაძლებელია არსებობდეს და განიხილებოდეს ნაციონალისტური იდეოლოგია ნაციონალური მოძრაობის არარსებობის შემთხვევაშიც კი, ამიტომ ნაციონალიზმს განემარტავ, როგორც იდეოლოგიურ მოძრაობას იმ მოსახლეობის დამოუკიდებლობის, ერთობისა და იდენტობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად, რომელიც ამ პოპულაციის ზოგიერთი წევრის მიერ მოიზრება არსებულ თუ პოტენციურ "ნაციად". სინამდვილეში ამ დეფინიციამ შერწყმულია ორივე ელემენტი ნაციონალიზმის გააზრებისა: იდეოლოგია და ენა (სიმბოლიზმის ჩათვლით) მისეული მიმართებით აზროვნებისა და მისწრაფებების უფრო ფართო არეალთან.

დავიწყებ ნაციონალიზმის იდეოლოგიით. ძირითადი დებულებები ნაციონალიზმის იდეოლოგიისა ანუ მისი არსებითი დოქტრინა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. მსოფლიო დაყოფილია ნაციებად, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი საკუთარი ინდივიდუალობა, ისტორია და ბედ-იღბალი.
2. ნაცია არის ყოველგვარი სოციალური თუ პოლიტიკური ძალის წყარო და ნაციისადმი ერთგულება აღემატება ყველა სხვა ერთგულებას.

3. ადამიანებმა, თუ სურთ, რომ იყვნენ თავისუფალნი და შეძლონ საკუთარი თავის რეალიზება, თავი უნდა გააიგივონ ნაციასთან.
4. ნაციები უნდა იყვნენ თავისუფალნი და დაცულნი, რათა მშვიდობა და სამართლიანობა ბატონობდეს მთელს მსოფლიოში.⁶

ნაციონალიზმის ძირეული დოქტრინის ამ ჩამონათვალში საგანგებოდ გამოტოვებულია სახელმწიფო; იგი იგულისხმება მეორე და მეოთხე მუხლებში. საზოგადოდ, ნაციონალიზმი არის ნაციის, და არა სახელმწიფოს, იდეოლოგია. ნაციონალიზმის უმთავრესი საზრუნავი სწორედ ნაციაა; მისი სამყარო, მისი მითითებები გარკვეული კოლექტიური ქმედებებისკენ ეხება მხოლოდ და მხოლოდ ნაციას და მის წევრებს. ის აზრი, რომ ნაციები თავისუფალნი არიან მხოლოდ მაშინ, თუ მათ აქვთ სუვერენული სახელმწიფო, არც უეჭველია და არც უნივერსალური. ადრინდელი – ისევე, როგორც უფრო გვიანდელი კულტურული ნაციონალისტები (როგორებიც არიან რუსო, ჰერდერი, ახად ჰა ყამი, აურობინდო) – მაინცდამაინც არც ზოგადად ესწრაფოდნენ სახელმწიფოებრიობის მოპოვებას და არც, კერძოდ, იმ ნაციისთვის, ვის მისწრაფებებსაც გამოხატავდნენ. ყველა ნაციონალისტური მოძრაობა როდი მიიჩნევს თავის პრიორიტეტად სახელმწიფოებრიობის მოპოვებას. მაგალითად, კატალონიელი, შოტლანდიელი და ფლამანდიელი ნაციონალისტები ბევრად უფრო დაკავებულნი იყვნენ შინაური მმართველობისა და კულტურული თანასწორობის პრობლემებით მრავალეროვან სახელმწიფოში, ვიდრე სრული დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხით (თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სრული დამოუკიდებლობის მიღწევა სურდათ). თეზისი, რომ ყოველ ნაციას უნდა ჰქონდეს თავისი სახელმწიფო, ნაციონალიზმის ძირითადი დოქტრინიდან გამომდინარე ზოგადი, მაგრამ არცთუ აუცილებელი პირობაა. იგი გვეუბნება, რომ ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის კულტურული დოქტრინა ან, უფრო ზუსტად, პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის ღეძიკაა კულტურული დოქტრინა.⁷

ეს კულტურული დოქტრინა დამოკიდებულია საზოგადოებაში ახალი იდეების, ენისა და სიმბოლოების თანმიმდევრულ შემოტანაზე და დამკვიდრებაზე. როგორც ითქვა, ნაციონალიზმი არის იდეოლოგიური მოძრაობა ნაციის ავტონომიის, ერთობისა და იდენტობის მოსაპოვებლად. თითოეული ეს იდეა მომდინარეობს ახალი ფილოსოფიური, ისტორიული და ანთროპოლოგიური ენიდან და დისკურსიდან, რომელიც წარმოიშვა მეჩვიდმეტე-მეთ-

ვრამეტე საუკუნეების ევროპაში. მაგალითად, ასეთია "იდენტობის", როგორც "იგივეობის", ცნების პირდაპირი აღქმა: რომელიმე ერთი ჯგუფის წევრები მსგავსნი არიან სწორედ იმ თვალსაზრისით, რომლითაც ისინი განსხვავდებიან იმათგან, ვინც არ არის ამ ჯგუფის წევრი. წევრები იცვამენ და ჭამენ ერთნაირად, ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე. ამდენად, ისინი განსხვავდებიან მათგან, ვინც სხვაგვარად ჭამს, იცვამს და ლაპარაკობს. მსგავსება-განსხვავების ეს მოდელი ერთ-ერთი მნიშვნელობათაგანია ნაციონალური "იდენტობისა".⁸

მაგრამ არსებობს აგრეთვე "იდენტობის" ფილოსოფიური და ანთროპოლოგიური ცნება, რომელიც ჩამოყალიბდა მეთვრამეტე საუკუნეში. იგი მომდინარეობს ნაციონალური გენიის იდეიდან. სხვათა შორის, მას ვხვდებით ლორდ შეფტსბერის (Lord Shaftesbury) ნაწერებში. ის ლაპარაკობს ბრიტანეთზე, როგორც "ჩვენი ნაციის ამომავალ გენიაზე" და წინასწარმეტყველებს, რომ ის იქნება "ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უმთავრესი ცენტრი".⁹ ნაციონალური იდენტობის იდეა ან, უფრო ხშირად, "ნაციონალური ხასიათი" საერთოა მეთვრამეტე საუკუნის მწერლებისათვის, განსაკუთრებით, მონტესკიესა და რუსოსათვის. ეს უკანასკნელი, მართლაც, აცხადებდა: "პირველი წესი, რომელიც უნდა დავიცვათ, ნაციონალური ხასიათიდან გამომდინარეობს. ყველა ხალხს აქვს ან უნდა ჰქონდეს ნაციონალური ხასიათი; და თუ არა აქვს, ჩვენ უნდა შევუდგეთ მის აღჭურვას."¹⁰

ჰერდერმა ეს პრინციპი თავისი კულტურული პოპულიზმის ქვაკუთხედად აქცია. ჰერდერისთვის ყოველ ნაციონალურ მისთვის დამახასიათებელი გენია, მისი საკუთარი აზროვნების, მოქმედებისა და ურთიერთობის წესი; ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ეს უნიკალური გენია და განსაკუთრებული იდენტობა მაშინაც კი, როცა იგი დალექილია ან დაკარგული: "მოდით, საკუთარი გზებით ვიაროთ; მოდით, ყველამ, ავად თუ კარგად, ვისაუბროთ ჩვენს ნაციაზე, ჩვენს ლიტერატურასა თუ ენაზე; ისინი ჩვენია, ისინი თავად ჩვენა ვართ, და მოდით, ეს ვიკმაროთ!" – წერს ჰერდერი.¹¹ აქედან იკვეთება "კოლექტიური მე"-ს აღმოჩენის ღირსმნიშვნელობა ფილოლოგიის, ისტორიისა და არქეოლოგიის მეშვეობით, ეთნიკური წარსულის ძიება იმისათვის, რომ დამკვიდრდეს ავთენტური იდენტობა საუკუნეთა მანძილზე გაჩენილ უცხო გამოზარდებს შორის.

ერთიანობის იდეასაც აქვს მარტივი და შედარებით უფრო რთული ეზოთერული ნაციონალისტური მნიშვნელობა. უმარტივეს დონეზე ის მიმართულია ნაციონალური ტერიტორიის ან

სამშობლოს უნიფიკაციისა (თუ იგი დაყოფილია) და სამშობლოში ნაციის ყველა წევრის შეკრებისაკენ. აქაც ნაციონალისტები წარმოგვიდგენენ უფრო ფილოსოფიურ იდეას: სამშობლოს გარეთ მყოფი ერისშვილები (*nationals*) მიიჩნევიან "დაკარგულებად", ხოლო მინა, რომელზეც ისინი ცხოვრობენ (განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ის სამშობლოს ტერიტორიას ემიჯნება), – "გამოუსყიდველად", ამ მინის დაბრუნება და "გამოსყიდვა" კი (*irredenta*) აუცილებელია. ამგვარი წარმოდგენები ხშირად წარმოშობს ნაციონალური მოძრაობის ისეთ ტიპს, რომელსაც ირედენტიზმს ვუნოდებთ. ასეთია გვიანი მეცხრამეტე და ადრეული მეოცე საუკუნის იტალიური, ბერძნული და პანგერმანული მოძრაობები. ამგვარი მოძრაობები კვლავაც თვალსაჩინოა, რასაც მეტყველებს არგენტინელების პრეტენზიები მალვინის ანუ ფოლკლენდის კუნძულებზე, სომალის პრეტენზიები ოგადენზე და ირლანდიის რესპუბლიკური არმიის პრეტენზიები ოლსტერზე.¹²

"ერთიანობის" ნაციონალისტური იდეალი კიდევ უფრო მრავალისმომცველია. ნაციონალისტურ ენაზე "ერთიანობა" ნიშნავს სოციალურ ერთსულოვნებას, ნაციის ყველა წევრის "ძმობას", იმას, რასაც ფრანგი პატრიოტები რევოლუციის დროს *fraternité*-ს უწოდებდნენ. ეს ოჯახური მეტაფორა, რომელსაც სარჩულად უდევს ნაციის გენეალოგიური იდეა, ნაციონალისტურ კონტექსტში ხელახლა წარმოჩინდება სეკულარულ-პოლიტიკურნიღბაფარებული – როგორც მოძმე თანამოქალაქეთა კავშირი, სიმბოლოდ ქცეული დავიდის ცნობილ "ჰორაციუსის ფიცში": სამი ძმა მამის ხმაზე იფიცებს, რომ ან გაიმარჯვებს ან დაიღუპება მამულისათვის (პატრია).¹³

ერთობის ნაციონალისტურმა იდეამ შორსმიმავალი შედეგები გამოიღო. მან ბიძგი მისცა ნაციის განუყოფლობის იდეას (*la république une et indivisible*) და კულტურული და პოლიტიკური ჰომოგენურობის ინტერესებიდან გამომდინარე, გამართლება მოუნახა ყველა შუალედური რგოლისა და ლოკალური თავისებურების ამოძირკვას, ხშირად, ძალის გამოყენებითაც კი. ყოველივე ეს გადაიზარდა ისეთ პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც ემსახურებოდა მასების მობილიზაციას სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაციის მიზნით. ამ დროს სახელმწიფო ხდება მამოძრავებელი ძალა იმისა, რაც "ნაციად უნდა იქცეს" (*nation-to-be*), და თავადვეა "პოლიტიკური ერთობისა" და "პოლიტიკური კულტურის" შემქმნელი. ეს ის რეალობებია, რომლებსაც უნდა დაეკავებინა ჰეტეროგენული პოპულაციის სხვადასხვა ეთნოკულტურის ადგილი. აქ ერთობის ნაციონალისტური იდეა უბრუნდება მის ეთნი-

კურ ფესვებს და ეძიებს ერთსახოვნებას, რათა მომავალ ნაციას კულტურული განსხვავებანი ჩამოაცილოს.¹⁴

დაბოლოს, ავტონომიის (autonomy) იდეას "თვითგანსაზღვრის" კონტისეულ სამყაროში შევყავართ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი ევროპული ფილოსოფიური ტრადიციის დამკვიდრებამდე არ არსებობდა პოლიტიკური თავისუფლების იდეა: თუკიდიდეს თუ არა, იოსებ ფლავიუსის დროს უკვე ელტიკოდნენ თავისუფლებას უცხოელ დამპყრობთაგან წინაპართა მიერ დანატოვარი ცხოვრების წესის გადასარჩენად. მაგრამ კანტის კვალდაკვალ თავისუფლება ინდივიდისათვის იქცა ეთიკურ იმპერატივად, მისი ყოფიერების საზრისად და არა მარტო პოლიტიკურ იდეალად, საშიშროების ჟამს რომ უნდა გამძაფრებულიყო. ფიხტე, შლეგელი და სხვა გერმანელი რომანტიკოსები თავისუფლების იდეალს არა იმდენად ინდივიდებს, რამდენადაც ჯგუფებს მიუსადაგებდნენ. ამის შემდგომ თავისუფლების იდეალმა დასაბამი მისცა ნაციონალურ თვითგამორკვევას და ერთობლივ ბრძოლას ავთენტური ნაციონალური ნების რეალიზაციისთვის. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებდა საზოგადოება საკუთარი "შინაგანი რიტმის" აყოლას, თავისი "შინაგანი ხმის" გაგონებას და წმინდა, შეურყვნილი და პირვანდელი მდგომარეობის დაბრუნებას. აი, რატომ უთმობენ ნაციონალისტები ამდენ დროსა და ენერგიას წმინდა ნაციონალური ნების გაღვივებას, ნაციის წევრების გათავისუფლებას უცხო აზრებისა და ჩვევებისაგან, რათა მათ ბოლო არ მოეღოთ მისი წევრებისა თუ მთელი საზოგადოების განვითარებისათვის ან არ შეეფერხებინათ იგი. ნაციონალიზმი გულისხმობს ნაციისა და მისი წევრების, თვითშეგნების გაღვიძებას და მის ნამდვილ "კოლექტიური მესთან" დაბრუნებას ისე, რომ ნაცია და მისი წევრები მისდევდნენ საკუთარი განწმენდილი ერთობის "შინაგან ხმას". ამგვარად, ავთენტური გამოცდილება და ავთენტური საზოგადოება არის სრული ავტონომიის წინაპირობა, რადგან მხოლოდ ავტონომიას შეუძლია საშუალება მისცეს ნაციას და მის წევრებს, თავისი თავი ავთენტური სახით განახორციელონ.

ეს იდეები – დამოუკიდებლობა (ავტონომია), იდენტობა, ნაციონალური გენია, ავთენტურობა, ერთობა, ძმობა – აყალიბებს შინაგან კავშირში მყოფ ენასა თუ დისკურსს, რომლის გამოხატვის საშუალებაც არის ცერემონიები და სიმბოლოები. ეს უკანასკნელნი იმდენად იქცა ჩვენი სამყაროს ნაწილად, რომ უმეტეს შემთხვევაში მათ თავისთავად არსებულ რეალობებად აღვიქვამთ. ამ სიმბოლოებსა და ცერემონიებში მოიაზრება ნაციების ამკარა ატრიბუტები – დროშა, ჰიმნი, ალლუმი, ფულის ნიშნები, დედაქა-

ლაქები, ფიცი, ხალხური წეს-ჩვეულებები, ფოლკლორის მუზეუმები, საბრძოლო მემორიალები, ნაციონალური საგმირო საქმეებისადმი მიძღვნილი ცერემონიები, პასპორტი, საზღვრები, ისევე, როგორც უფრო ფარული ასპექტები, როგორცაა ნაციონალური დასვენების წეს-ჩვეულება, სოფლის გარემო, პოპულარული გმირები, ზღაპრები, ეტიკეტი, არქიტექტურის სტილი, ხელოვნება, ხელოსნობა, ქალაქების დაგეგმარება, საჯარო პროცედურები, საგანმანათლებლო პრაქტიკა, სამხედრო კოდექსები – ანუ ყველა ის განსხვავებული წეს-ჩვეულება, ღირებულება, სტილის, მოქმედებისა და გრძნობის თავისებურება, რომელიც აერთიანებს ისტორიული კულტურის მქონე საზოგადოების წევრების.¹⁷

ბევრნაირი თვალსაზრისით, ნაციონალური სიმბოლოები, წეს-ჩვეულებები და ცერემონიები ნაციონალიზმის ყველაზე მძლავრი და მდგრადი ასპექტებია. მათში ხორცშესხმულია ნაციონალიზმის ძირითადი იდეები. მათი მეშვეობით ეს იდეები ხილული და ხელშესახები ხდება ნაციის ყველა წევრისათვის. ამ გასაგები და ადვილად მისაწვდომი ენით გადმოცემული აბსტრაქტული იდეოლოგიის დოქტრინა მყისიერ და ძლიერ ემოციურ გამოძახილს ჰპოვებს საზოგადოების ყველა ფენაში. როგორც ეს ღურკემმა აღწერა, სიმბოლოები და ცერემონიები ყოველთვის მძლავრი ემოციურობით ზემოქმედებენ კოლექტივზე და ეს არსად ისე ცხადად არ ჩანს, როგორც ნაციონალისტური სიმბოლოებისა და ცერემონიების მაგალითზე. მართლაც, ბევრი რამ ისეთი, რასაც ღურკემი მიაწერს არუნტასა და სხვა ავსტრალიელი ტომების ტოტემურ წესებსა და სიმბოლოებს, გაცილებით უფრო მეტად მისადაგება ნაციონალისტურ წეს-ჩვეულებებსა და ცერემონიებს, რადგან ნაციონალიზმი არ საჭიროებს რაიმე შუალედურ რგოლს, იქნება ეს ტოტემი თუ ღვთაება. მისი ღვთაება თავად ნაციაა. ამ მოზღვავებული ემოციების ნაკადს საზოგადოება საკუთარი თავისაკენ მიმართავს და შეგნებულად განადიდებს თავის თავს. ყოველივე, რასაც ის განადიდებს, უთუოდ “ნაციონალური მე“-ს გამოხატულებაა; ხოლო რასაც უარყოფს და ძრახავს, ამ “ნაციონალურ მე“-ს გახლეჩით ემუქრება. ცერემონიების, წესებისა და სიმბოლოების მეშვეობით საზოგადოების ყველა წევრი ამ საზოგადოების ცხოვრებაში, ემოციურ ქმედებებსა და საქველმოქმედო საქმიანობაში მონაწილეობს და მათივე საშუალებით ხელახლა იზიარებს მის ბედს. წესები და სიმბოლიზმი, რომლის მეშვეობითაც ნაციონალიზმის ძირითადი დებულებები ხელშესახები ხდება, ნაციის წევრებს ისტორიისა და განგების აბსტრაქტულ ერთიანობაში არწმუნებს.¹⁸

რა არის ის ძირეული ემოციები და მისწრაფებები, რომელსაც ნაციონალისტური იდეოლოგია და ენა-სიმბოლოები აღვივებს? ის უკავშირდება სამ ძირითად მაჩვენებელს: ტერიტორიას, ისტორიასა და საზოგადოებას. წინა თავში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს დემოტიური "ეთნი" "სახალხო მობილიზაციას", როგორ ცდილობს ინტელიგენცია, შექმნას ნაციების სამყაროს კოგნიტური რუკა და ჩამოაყალიბოს დადნერგოს საყოველთაოდ მისაბადი შთამბეჭდავი ზნეობის საფუძვლები. ამ მიზნისათვის ისინი იყენებდნენ ორ ძირითად სტრატეგიას; ესენია: პეიზაჟისა და ბუნების პოეტური წარმოსახვა და ერის ისტორიისა და მისი ოქროს ხანის მოშველიება. სინამდვილეში ამ სტრატეგიებს ღრმად აქვს ფესვი გადგმული ყველასათვის ცნობილ შეხედულებებში დროისა და სივრცის შესახებ და კერისა თუ მამა-პაპათადმი მათ დამოკიდებულებაში. სწორედ ეს უძველესი რწმენა-წარმოდგენები და ვალდებულებანი წინაპართა მშობლიური მიწისა და მამების თაობათა წინაშე უფრო რთული აბსტრაქციის – ნაციონალური იდენტობის ახალი იდეოლოგიის შესაქმნელად გამოიყენეს ნაციონალისტებმა. ნაციის ახალი ცნება იმისათვის შეიქმნა, რომ შეესრულებინა დრო-სივრცის ჩარჩოს დანიშნულება, რათა მოენესრიგებინა ქაოსი და სამყაროსათვის აზრი მიენიჭებინა. და ეს შესაძლებელი გახდა სწორედ ადგილისა და ოჯახისადმი მიჯაჭვულობის ამ პრემოდერნული და საყოველთაო განცდებისა და მისწრაფებების მეშვეობით. ძირითადად, ეს არის არსებითად. მიზეზი, ამ სხვა მხრივ ძნელად გასაგები იდეოლოგიისა და ენის ფართოდ გამოყენებისა.¹⁹

პარადოქსულია, მაგრამ ნაციონალიზმით ნასაზრდოები ყველაზე ღრმა განცდები სწორედ ოჯახის თემას უკავშირდება. პარადოქსულია, რადგან რეალურად ოჯახი წინააღმდეგობრივ კავშირშია ჰომოგენური ნაციის იდეალთან მისი უკიდურესი გამოხატულებით. კიდევ ეს აზრი იყო გატარებული ზემოხსენებულ დავიდის "ჰორაციუსების ფიცშიც". სურათის მარჯვენა მხარეს გამოსახული ქალები გლოვობენ თავიანთი საყვარელი ადამიანების დაკარგვას და ოჯახურ ურთიერთობათა უთუო მოშლას. ამავე დროს, ოჯახის მეტაფორა ნაციონალიზმისგან განუყოფელია. ნაცია წარმოდგენილია, როგორც ერთი დიდი ოჯახი; მისი წევრები დედასამშობლოს ან მამულის შვილები, დები და ძმები არიან, რომლებიც დედაენაზე ლაპარაკობენ. აი ამგვარად, ნაციის ოჯახი ჩრდილავს ინდივიდის ოჯახს და მის ადგილს იკავებს, მაგრამ მასავით ურყევი ერთგულებისა და მიჯაჭვულობის მძაფრ შეგრძნებას აღვივებს. იქაც კი, სადაც არცთუ მკაცრად

ითხოვენ კანონმორჩილებას და ნამდვილ ოჯახებსაც საკადრის მიუზღავენ, ნაციის ენასა და სიმბოლიზმს აშკარა უპირატესობა ენიჭება და იგი, ნაცია, სახელმწიფო თუ მოქალაქეობის ინსტიტუტების მეშვეობით, სამართლებრივ და ბიუროკრატიულ ზეწოლას ახორცილებს ოჯახზე, რისთვისაც, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, მსგავს, ნათესაობის გამომხატველ მეტაფორებს იშველიებს.²⁰

ნაციონალიზმის ტიპები

აქამდე ნაციონალიზმს განვიხილავდი, როგორც ერთ მთლიანობას, გამომდინარე მისი იდეოლოგიიდან თუ ძირეული დოქტრინიდან, მისი ენა-სიმბოლიზმიდან და მისი განწყობა-მისწრაფებებიდან. როდესაც ვინყებთ ნაციონალიზმის მიმდინარეობების განხილვას, ვაცნობიერებთ, რომ მათი მიზნები აშკარად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამ განსხვავებებს კი ისევ იმ ძირეულ კონცეპტუალურ დაპირისპირებამდე მივყავართ, რომელიც თავს იჩენს ნაციის სამოქალაქო-ტერიტორიულ მოდელსა და ეთნიკენეალოგიურ მოდელს შორის და რომელიც | თავშია აღწერილი.

ეს განსხვავებები იმდენად სიღრმისეულია, ხოლო ნაციონალიზმის სხვადასხვა ვარიანტები, რომლებსაც ეს ალტერნატიული მოდელები ასაზრდოებს, იმდენად მრავალფეროვანი, რომ მავანნი და მავანნი უიმედოდ უყურებენ ნაციონალიზმის საერთო კონცეპტის რაიმე სახით არსებობასაც კი. ქამელეონისებური ნაციონალიზმი თავის შეფერილობას საკუთარი კონტექსტიდან იძენს. ნაციონალიზმი, რომელსაც შეუძლია უსასრულოდ მანიპულირება, წარმოადგენს რწმენა-წარმოდგენების, გრძნობებისა და სიმბოლოების უკიდურესად დამყოლ (ფორმაცვალებად) სისტემას, და მისი შეცნობა შესაძლებელია ყოველ წამს, ძალზე სპეციფიკურ მომენტში. ნაციონალიზმი ზოგადად არის მხოლოდ ზარმაცი ისტორიკოსის თავშესაფარი, მუდამ რომ ცდილობს, თავიდან აიცილოს მძიმე შრომა, რომელიც მდგომარეობს იმის განმარტებაში, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამა თუ იმ ნაციონალისტურმა იდეამ, არგუმენტმა თუ განწყობამ, თუკი მას განვიხილავთ ძალზე სპეციფიკურ კონტექსტში. თუმც ცოტანი ახერხებენ ისეთი სიღრმისეული კვლევა-ძიების ჩატარებას, როგორსაც საჭიროება მოითხოვს, ზოგიერთი ისტორიკოსი მაინც ეთანხმება ამ ძირითად "კონტექსტუალისტურ" არგუმენტს და სპეციფიკურ ნაციონალიზმებს შორის განსხვავებას ბევრნაირი

თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევეს, ვიდრე ნებისმიერ ზედაპირულ მსგავსებას.²¹

ამ არგუმენტთან დაკავშირებით რამდენიმე სირთულე წამოიჭრება. ვერაინ უაყოფს რომელიმე კონკრეტული ნაციონალიზმის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და მიმდინარეობის სოციალური და კულტურული კონტექსტის მნიშვნელობას. მაგრამ იმისათვის, რომ ის განვიხილოთ, როგორც ნაციონალიზმის მაგალითი, წინასწარ უნდა ვივარაუდოთ უფრო ზოგადი ოჯახის არსებობა, რომელსაც ეს შემთხვევა განეკუთვნება ან რომლის მაგალითსაც ის წარმოადგენს, თუნდაც მასში შერეული იყოს სხვადასხვა ელემენტები. ამიტომ ძნელია, გაექცე ნაციისა და ნაციონალიზმის ზოგადი ცნებისაკენ მობრუნებას, მიუხედავად იმისა, რომ ვალდარებთ ყოველი ცალკეული შემთხვევის უნიკალობასა და მნიშვნელობას – განაცხადს, რომელსაც, ირონიით რომ შევნიშნოთ, ნაციონალისტები სიამოვნებით დაუჭერენ მხარს.

მეორე: "ზოგადნაციონალიზმის" ცნების ლეგიტიმურობის უარყოფა თავიდან აგვარიდებდა ისეთი ზოგადსოციოლოგიური საკითხების წამოჭრას, როგორიცაა ნაციების მოდერნულობა, ნაციონალიზმის მოთხოვნათა საყოველთაოდ გაერცელება დღევანდელ დღეს; აგრეთვე, თავიდან აგვარიდებდა ისტორიულ შედარებებს, რომლებიც თავს იჩენს სხვადასხვა ნაციონალისტურ იდეოლოგიებს, სიმბოლოებსა და მოძრაობებს შორის. სინამდვილეში, ის ისტორიკოსები, რომლებიც დღეს ყოველი შემთხვევის სპეციფიკურ კონტექსტზე მიუთითებენ, ამ ზოგად კითხვებს მაინც სვამენ და ისტორიულ შედარებებსაც ახორციელებენ. ეს მართლაც სასურველია, თუ გვინდა რომ გარკვეულობა შევიტანოთ ისეთი მოუხელთებელი და რთული ფენომენის აღქმაში, როგორიც არის ნაციონალიზმი.

მესამე: "კონტექსტუალისტური" არგუმენტი გვერდს უვლის კომპლექსურ ფენომენტთა (ნაციონალიზმი სწორედ ასეთი რთული ფენომენია) შესწავლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ამოცანას. ეს ამოცანა მდგომარეობს ნაციონალისტური იდეოლოგიების და/ან მოძრაობების ტიპოლოგიის შექმნაში. ამგვარ ტიპოლოგიებში აღიარებულია განსხვავებული კონტექსტების დიდი მრავალფეროვნების მნიშვნელობა, თუმცა ისე, რომ ამ მრავალფეროვნებას არ შეეწიროს განმაზოგადებელი შედარებების შესაძლებლობა. როცა ამტკიცებენ, რომ ნაციონალიზმი წარმოაჩენს მრავალფეროვნებას ერთიანობაში, ისინი ამაზე უფრო შორსაც მიდიან და ზუსტად უთითებენ იდეოლოგიებისა და მოძრაობების უმთავრეს ტიპებს და განიხილავენ მათ ისტორიული პერიოდების, გეოგრა-

ფიული არეალების, ეკონომიკური განვითარების დონის, ფილო-სოფიური ვარაუდების, კლასობრივი კონტექსტის, კულტურული გარემოს და პოლიტიკური მისწრაფებების მიხედვით. ეს სწორედ ის სტრატეგიაა, რომელსაც ამ შემთხვევაში შემოგთავაზებთ.

აქ არ არის მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა ტიპოლოგიათა განხილვის ადგილი. მე მხოლოდ ერთ-ორ მათგანს შემოგთავაზებთ და მოკლედ ჩამოვაცალიებ საკუთარ ტიპოლოგიას, როგორც ევროპაში ნაციონალიზმის გავლენისა და მისი კულტურული მატრიცის ანალიზის შესავალს. სხვა ტიპოლოგიები ჩამოთვლილია ჩემს უფრო ადრინდელ შრომებში.²²

უეჭველია, რომ ყველაზე გავლენიანი ტიპოლოგია ჰანს კონს (Hans Kohn) ეკუთვნის. ის განასხვავებს ნაციონალიზმის "დასავლურ" რაციონალურსა და შემაკავშირებელ (ასოციაციურ) ვერსიას ორგანიკული და მისტიკური "აღმოსავლურისაგან". მისი მტკიცებით, ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ამერიკაში წარმოიშვა ნაციის რაციონალური ცნება. თავად ნაციას კი ის განიხილავს, როგორც ადამიანთა ისეთ გაერთიანებას, რომელიც საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობს და რომელსაც ერთი და იგივე მთავრობა და კანონმდებლობა განაგებს. დიდწილად ეს არის მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ამ სახელმწიფოების ხელისუფლებაში მოსული საშუალო კლასის წარმონაქმნი. ამის საპირისპიროდ, აღმოსავლეთ ევროპამ (რაინის აღმოსავლეთით) ვერ წარმოშვა მნიშვნელოვანი საშუალო კლასი. ამის სანაცვლოდ, მცირე რაოდენობის ინტელიგენცია სათავეში ჩაუდგა ნაპოლეონის წინააღმდეგობის მოძრაობას და, აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმსაც. რაკი ინტელიგენცია მცირერიცხოვანი და ძალაუფლებას მოკლებული იყო, ნაციონალიზმის მისეული ვერსიაც უცილობლად მკვეთრი და ავტორიტარული აღმოჩნდა. იმავე მიზეზით, ინტელიგენცია ნაციას უყურებდა, როგორც მონოლითურ, ორგანულ ერთიანობას მისტიური "სულით" და "მისიით", რომელსაც მხოლოდ ვერნაკულური ინტელიგენცია თუ გააცნობიერებს. აქედან მომდინარეობს მისი ხშირად წარმართველი როლი ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში, ისევე, როგორც აზიაში.²³

ეს ტიპოლოგია, შესაძლოა, რამდენიმე თვალსაზრისით გავაკრიტიკოთ. მისი გეოპოლიტიკური განზომილების გამო აუხსნელი რჩება ორივე ტიპის იდეოლოგიური ნაციონალიზმის გავლენა სხვადასხვა ევროპულ საზოგადოებებში – ორგანული ვერსიისა ირლანდიაში და გვიანდელი მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთში, ხოლო რაციონალური იდეალისა ჩეხური, უნგრული და სიო-

ნისტური ნაციონალიზმის ზოგიერთ ვერსიაში, ისევე, როგორც ადრეულ დასავლეთაფრიკულ ნაციონალიზმებში.²⁴

არც ისაა სავსებით დამაჯერებელი, რომ დასავლური ტიპის ნაციონალიზმი ბურჟუაზიის პროდუქტია. როგორც დავინახეთ, ის დიდად არის დავალებული ადრეული მონარქიული და არისტოკრატიული კულტურისა და მოღვაწეობისაგან. ასევე, საეჭვოდ მეჩვენება მოსაზრება ბურჟუაზიის მონანილეობის შესახებ ნაციონალიზმის რაციონალური ვერსიის შემუშავებაში; ამას მონობს გერმანული ინდუსტრიული ბურჟუაზიის ხშირად მისტიური პანგერმანული სენტიმენტები, ანდა მდიდარი რუსი ვაჭრების ორგანული და "პრიმიტივისტული" რუსული ნაციონალიზმი მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს.²⁵

პლამენაცმა (Plamenatz) ერთმანეთისგან გამიჯნა კულტურულად გაცილებით უფრო განვითარებული იტალიური და გერმანული ნაციონალიზმი და შედარებით ნაკლებგანვითარებული ბალკანური და აღმოსავლეთევროპული ნაციონალიზმები. ეს უკანასკნელნი კულტურული და საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობით გამოირჩევიან და ამით განსხვავდებიან პირველთაგან, რაც ამცირებს მათ შანსებს და უფრო სუსტ, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო მკვეთრ მოძრაობებს აძლევს გასაქანს.²⁶

წარმოდგენილი კრიტიკის მიუხედავად, კონის ფილოსოფიური განსხვავება ნაციონალიზმის უფრო რაციონალურსა და შედარებით ორგანულ ვერსიებს შორის თავის ღირებულებას და მნიშვნელობას უდავოდ ინარჩუნებს. ის იგულისხმება | თავში მოცემულ განსხვავებაში ნაციის "დასავლურ" სამოქალაქო-ტერიტორიულ მოდელსა და "აღმოსავლურ" ეთნიკურ-გენეალოგიურ მოდელს შორის. აქაც ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ გეოპოლიტიკური იარაღების მიკერებას. ორივე მოდელი შეიძლება მოიძებნოს "აღმოსავლეთშიც" და "დასავლეთშიც", აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, ისევე, როგორც ბევრ ნაციონალისტურ მოძრაობაში.

კონცეპტუალური განსხვავება მნიშვნელოვანია თავისი შედეგებით. ნაციის სამოქალაქო და ტერიტორიული მოდელები წარმოშობენ გარკვეული ტიპის ნაციონალისტურ მოძრაობებს: "ანტიკოლონიურს" დამოუკიდებლობის მიღწევამდე და "ინტეგრაციულს" დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ. ნაციის ეთნიკური და გენეალოგიური მოდელი, მეორე მხრივ, მიდრეკილებას ამაყლავნებს სეცესიონისტური (გამოყოფისკენ სწრაფვა) და დიასპორული მოძრაობებისაკენ დამოუკიდებლობის მიღწევამდე და ირედენტისტული (გამოხსნის) და "პან" მოძრაობებისაკენ დამო-

უკიდებლობის მიღწევის შემდგომ. ეს სქემა არ ითვალისწინებს რიგ ქვე-ვარიანტებსა და შერეულ ტიპებს. მაგრამ, ჩემი აზრით, მასში მრავალგვარი ნაციონალიზმის ძირითადი ლოგიკა სწორად არის დაჭერილი.

აი, ამ საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ნაციონალიზმების წინასწარი ტიპოლოგია, რომელიც ძირითადად შეეხება ეთნიკურ და ტერიტორიულ ნაციონალიზმებს შორის განსხვავებას; იგი მოიცავს იმ საერთო სურათს, რომლის შიგნითაც კონკრეტული ერთობები და მოძრაობები ავლენენ საკუთარ თავს როგორც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ისე მის შემდგომ ხანაში. ეს გარემოებანი ძირითად ორიენტაციასთან ერთად დიდწილად განსაზღვრავენ ყოველი ნაციონალიზმის პოლიტიკურ მიზნებს. ამგვარად, ტიპოლოგიას ასეთი სახე ექნება:

1. ტერიტორიული ნაციონალიზმები

(ა) *დამოუკიდებლობამდელი მოძრაობები*, რომელთა ნაციის ცნება უმთავრესად სამოქალაქო და ტერიტორიული ხასიათისაა. ისინი ესწრაფვიან, უპირველეს ყოვლისა, უცხოელ მმართველთა განდევნას და ძველი კოლონიური ტერიტორიის ახალი ნაცია-სახელმწიფოთი შეცვლას; მათ ანტიკოლონიურ ნაციონალიზმებს ვუნოდებ.

(ბ) *დამოუკიდებლობის შემდგომი მოძრაობები*, რომელთა ნაციის ცნება ძირითადად სამოქალაქო და ტერიტორიული ხასიათისაა. ისინი ესწრაფვიან ხშირად განსხვავებული ეთნიკური პოპულაციების გაერთიანებასა და მათ ახალ პოლიტიკურ ერთობაში ინტეგრაციას, რათა ძველი კოლონიური სახელმწიფოსგან შექმნან ახალი "ტერიტორიული" ნაცია. ესენია *ინტეგრაციული* ნაციონალიზმები.

2. ეთნიკური ნაციონალიზმები

(ა) *დამოუკიდებლობამდელი მოძრაობები*, რომელთა ნაციის ცნება ძირითადად ეთნიკური და გენეალოგიურია. ისინი ესწრაფვიან უფრო დიდი პოლიტიკური ერთობიდან გამოყოფას (ან გამოყოფასა და მონიშნულ ეთნიკურ სამშობლოში თავმოყრას) და ახალი პოლიტიკური "ეთნონაციის" შექმნას; ესენია *სეცესიური* და *დიასპორული* ნაციონალიზმები.

(ბ) *დამოუკიდებლობის შემდგომი მოძრაობები*, რომელთა ნაციის ცნება ძირითადად ეთნიკური და გენეალოგიური ხასიათისაა. ისინი ესწრაფვიან გავრცობა-გაფართოებას იმის წყალობით, რომ "ეთნონაციის" საზღვრებს მიღმა

“მონათესავე” ეთნიკური ჯგუფები და მათი საცხოვრებელი მიწები შეიერთონ ან შექმნან გაცილებით უფრო ვრცელი “ეთნონაციონალური” სახელმწიფო კულტურულად და ეთნიკურად მსგავსი ეთნონაციონალური სახელმწიფოების შეკავშირების გზით; ესენია ირედენტისტული და “პან” ნაციონალიზმები.²⁷

ამ ტიპოლოგიას არა აქვს პრეტენზია, იყოს ამომწურავი. აქ გამოტოვებულია რამდენიმე, ყველასათვის ცნობილი, სახეობის ნაციონალიზმი, კერძოდ, პროტექციონისტული ეკონომიკური, “ინტეგრალური” ფაშისტური და რასიული ნაციონალიზმები. თუმცა შეიძლება იმაზე კამათი, რომ ეს უკანასკნელნი არიან დამოუკიდებლობის შემდგომი ინტეგრაციული ან ირედენტისტული ნაციონალიზმების ქვევარიანტები, რომლებთანაც ისინი ისტორიულადაც ასოცირდებიან; მაგალითად, ელზას-ლოტარინგიისადმი (Alsace-Lorraine) მიმართული ფრანგული ირედენტისტული ნაციონალიზმის პერიოდის მაურასის (Mauras) “ინტეგრალური” ნაციონალიზმი, ანდა არგენტინის, ბრაზილიისა და ჩილეს პოპულისტური ინტეგრაციული ნაციონალიზმების დროინდელი ლათინურ ამერიკული პროტექციონიზმი.²⁸

ასეთი ბაზისური ტიპოლოგია ხელს შეუწყობს თითოეული კატეგორიის შიგნით ნაციონალიზმის სახეობების შედარებასა და მათთვის ადგილის მიჩენას ფართო კონტექსტში, რაც იძლევა შედარების საშუალებას; ეს, ასევე, უფრო ზოგადი ახსნა-განმარტებების მოძებნის საშუალებას მოგვცემს. ამით სრულიადაც არ უარეყოფთ თითოეული ნაციონალიზმის კონკრეტული გამოვლინების უნიკალურ მახასიათებლებს. პირიქით: თვით ის ფაქტი, რომ აუცილებლად მივიჩნიეთ ნაციონალიზმის “ძირეული დოქტრინის”, ძირითადი ცნებებისა და სიმბოლოების შემოხაზვა, გულისხმობს ყოველი ცალკეული ნაციონალიზმისთვის უნიკალური ნიშან-თვისებებისა და მათი მნიშვნელოვნების აღიარებას. ეს სპეციფიკური დოქტრინები და ცნებები (“სპეციფიკური” უკეთესი ტერმინია, ვიდრე “მეორადი” ან “დამატებითი”) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განმსაზღვრელ, და არა მხოლოდ დამხმარე, როლს ასრულებენ, რადგან სწორედ ეს სპეციფიკური დოქტრინები და იდეები ამარაგებენ იმ სიმბოლიზმსა და ცერემონიებს, რომლებიც ხალხის ყველაზე ღრმა ემოციებსა და მისწრაფებებს აღვივებს – განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი (ეს სპეციფიკური დოქტრინები და იდეები) გადახლართულია ბევრად უფრო ძველ სიმბოლოებთან და ცერემონიებთან. პოლონელთა დიდი პოეტის, მიცკევიჩის, პოეზია აღსავსეა ხსნის მესიანური ხატით –

პოლონეთი არის "ტანჯული ქრისტე". თავისთავად ეს იდეა უკავშირდება ძველ რწმენას იასნა გორას ღვთისმშობლის მფარველი ძალისადმი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს სახალხო თაყვანისცემის ობიექტის მნიშვნელობას. იმისათვის, რომ ჩაენვდეთ პოლონური ნაციონალიზმის იდეოლოგიას, ენასა და სიმბოლიზმს, აუცილებელია გავაცნობიეროთ წამებისა და გამობხსნის ამ ეთნორელიგიური კათოლიკური ხატის მნიშვნელობა.²⁹ ასევე, როდესაც თილაქმა და მისმა მიმდევრებმა ჰინდუიზმის ისეთი გმირები და ღვთაებები გამოიხმეს, როგორცაა შივაჯი, ქალღმერთი კალი, რომლებიც ძალზე შორს დგანან ზოგადად ნაციონალიზმის სეკულარული იდეოლოგიისაგან, ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა ჰინდუისტურ ინდურ ნაციონალიზმში და ნამდვილად ინდური ნაციის უნიკალური და შეუდარებელი ელემენტები გამოავლინა. აი ამგვარი განმასხვავებელი და, იმავდროულად, შემაკავშირებელი თავისებურებების გარეშე წარმოუდგენელია ნაციის არსებობა.³⁰

ნაციონალიზმის სპეციფიკური დოქტრინებისა და სიმბოლოების მნიშვნელობა მიუთითებს ნაციონალიზმის სიღრმისეულ მნიშვნელობაზე – ეს არის იდეოლოგია, ენა და ცნობიერება. ნაციების სამყაროში ყოველი ნაცია უნიკალურია, ყოველი მათგანი "რჩეულია". ნაციონალიზმი არის სეკულარული, მოდერნული ეკვივალენტი ეთნიკური რჩეულობის პრემოდერნული, საკრალური მითისა. ეს არის პოლიცენტრული უნიკალურობის დოქტრინა, რომელიც "კულტურის უცვლელი ღირებულებების" უნივერსალურობას ქადაგებს. მას შემდეგ რაც თითოეული ეთნიკური ერთობა ოდესღაც გარდაიქმნა სამყაროდ თავის თავში, სამყაროს ცენტრად, უკუნეთის შუაგულში დაბადებულ სინათლედ, მემკვიდრეობითი და კულტურული ღირებულებები ამავე ერთობის საგანძურადან, შერჩეული, ხელახლა აღქმული და განახლებული, ქმნის უნიკალურ, უსაზომო ნაციონალურ იდენტობას სხვა, ასევე უნიკალურ, კულტურულ იდენტობათა შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი კულტურა, ყველაზე ნაკლებგანვითარებული და დაუხვეწავიც კი, იტევს რაღაც "ღირებულებას", რომელიც შეუცვლელია და, ამდენად, კაცობრიობის კულტურული ღირებულებების საერთო საგანძურში მასაც თავისი წვლილის შეტანა შეუძლია. ნაციონალიზმი როგორც იდეოლოგია და სიმბოლიზმი, ნებისმიერ კულტურულ კონფიგურაციას ლეგიტიმურობას ანიჭებს, შემოიკრებს თავის გარშემო ინტელექტუალებს, რათა "დაბალი" კულტურა "მაღალ" კულტურად აქციოს, ზეპირი – წერილობითად, შექმნას ლიტერატურული ტრადიცია, რათა შთამომავლობას შემოუნახოს კულტურული ღირებულებების

მეუცვლელი საგანძური. უნინ რჩეულ ხალხებს მათი ღვთაებები ირჩევდნენ; დღეს მათ ირჩევს მათივე იდეოლოგია და სიმბოლიზმი, რომელიც ცალკეულსა და ინდივიდუალურს ალაშქრებს და გლობალურ რეალობებად აქცევს. წინათ ხალხები რჩეულნი იყვნენ იმ ღირსებათა გამო, რომლებიც მათ მიეწერებოდათ. დღეს მათ ნაციებს უწოდებენ, მათი კულტურული მემკვიდრეობიდან გამომდინარე.

ნაციონალიზმის კულტურული მატრიცა

კულტურათა მრავალფეროვნების, ბევრი "რჩეული კულტურის" სამყარო, იმავდროულად, არის ეთნიკური ისტორიზმის სამყარო. ერთი შეხედვით, ასეთი სამყარო შორსაა იმ ტერიტორიული აბსოლუტიზმისაგან, რომელიც ნაციონალისტური იდეოლოგიების, სიმბოლიზმისა და მოძრაობის დაბადებას მოესწრო. მიუხედავად ამისა, ნაციონალისტური იდეალები, მოტივები და სიმბოლოები პირველად სწორედ მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოსა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა დასავლეთ ევროპაში. ამავე დროს, მეთექვსმეტე საუკუნესა და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ევროპა გახდა მრავალგვარი მესიანური რელიგიური ნაციონალიზმის მძლავრი მოძრაობის მოსმე. თუმცა, კიდევ გარკვეულ ხანს უნდა გაეგლო, რომ პოლანდიასა და ინგლისში, აგრეთვე, ბოჰემიასა და პოლონეთში, ნაციის, როგორც თავისივე თავში საბოლოო მიზნის დამტყვის, კონცეპტები, იდეალები, სიმბოლოები და მითები ჩამოყალიბებულიყო და შეექმნა იდეოლოგიური მოძრაობა თავისი "ძირეული დოქტრინით".³¹

რა თქმა უნდა, ვცდილობთ, თვალი გავადევნოთ რთულ პროცესს, რომლის არამც თუ დათარიღება, პერიოდიზაციაც კი ძალზე ძნელ საქმეს წარმოადგენს. არ არსებობს მყარი საფეხური, მით უმეტეს, არც რაიმე მომენტი, საიდანაც შეიძლებოდა ნამდვილი ნაციონალიზმის წარმოშობაზე ლაპარაკი. ისტორიკოსთა დავის საგანია, თუ როდის წარმოიშვა ნაციონალიზმი – პოლონეთის ადრეული დაყოფის დროს (ლორდი ექტონი), თუ ამერიკული რევოლუციის ხანაში (ბენედიქტ ანდერსონი), თუ ინგლისის რევოლუციის პერიოდში (ჰანს კონი), თუ 1807 წელს, როცა ფიხტემ გამოაქვეყნა *მიმართვა გერმანელი ნაციისადმი*. თვალსაზრისთა ასეთი მრავალფეროვნება უფრო მეტს გვეუბნება მათ ავტორთა მიერ ნაციონალიზმის დეფინიციის სხვადასხვაობაზე, ვიდრე საკუთრივ ნაციონალიზმის წარმოშობაზე. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამგვარი დავის დროს უგულვებლყოფილია უფრო

ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც ხდებოდა ნაციონალიზმის, როგორც ენისა და სიმბოლიზმის, ცნობიერებისა და მისწრაფების, მომნიჭება. ვინაიდან უკიდურესად ძნელია ცნობიერებისა და მისწრაფებების ზუსტი შეფასება, მხოლოდ არაპირდაპირი გზით შემოძლია ყურადღება გავამახვილო ნაციონალისტური ცნებების, ენის, მითებისა და სიმბოლოების წარმოშობაზე, თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი წყაროები მხოლოდ და მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის საზოგადოების განათლებული ნაწილის ცნობიერებას წარმოგვიჩენს.³²

უკვე მეჩვიდმეტე საუკუნეში შეინიშნება "ნაციონალური ხასიათისა" და "ნაციონალური" სულისადმი ინტერესის ზრდა. ეს უკანასკნელი თავს იჩენს ლორდ შეფთსბერის თვალსაზრისში ბრიტანეთის მიღწევებზე, რომელთა შესახებაც ის ძალზე მალალი აზრისა გახლდათ. შეგვიძლია გავიხსენოთ, ასევე, ჯონათან რიჩარდსონის მიერ ინგლისელებისა და ბერძენ-რომაელების შედარება. ავტორი აცხადებს: "ჩვენშია დიდი ვაჟაკობა, ამაღლებული აზრი, დახვეწილი გემოვნება, თავისუფლების სიყვარული, უბრალოება და კეთილსინდისიერება; ეს ყოველივე ჩვენი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გადმოგვეცა და ჩვენ, ანუ ინგლისელებს, გვეკუთვნის; და "ეს არის ის, რაც ქმნის მსგავსებას."³³ მსგავსი განწყობილებები გვხვდება მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის საფრანგეთში. მამა დანიელი საფრანგეთის დიდებას მის მონარქიას უკავშირებს და აცხადებს, რომ "თვით ანტიკური სამყარო აღფრთოვანდებოდა ხელოვნების უთვალავი ნიმუშითა და ათასნაირი საოცრებით, საფრანგეთმა რომ შექმნა ჩვენს დროში"-ო; ამავე დროს ჰენრი-ფრანსუა დაგესო (Daguesseau) თავის მიმართვაში საფრანგეთის პარლამენტისადმი 1715 წელს ქებას ასხამდა "მამულის (*patrie*) სიყვარულს" და ამბობდა, რომ "მოქალაქეებმა იპოვეს თვისი მამული და მამულმაც იპოვა თვისი მოქალაქეები".³⁴

მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებისათვის "ნაციონალური ხასიათის" ცნება უკვე ფართოდ იყო გავრცელებული. გლა ფონ დე სენტ იენი (La Font de Saint-Yenne), გავლენიანი ხელოვნებათმცოდნე, სიამაყით იგონებდა ლუი XIV-ის დიდებულ საუკუნეს, კოლბერტსა და ლე ბრუნის და წინასწარმეტყველებდა აღორძინებას "საფრანგეთის გენიისა", როგორც თავად ამბობდა, შთაგონებულს "le zele ardent et courageux d'un Citoyen, a exposer les abus qui deshonnorent sa Nation, et a contribuer a sa gloire"-ით. (მოქალაქის მხურვალე და თავგანწირული მისწრაფებით, რომ ამხილოს ბოროტება, რომელმაც სახელი გაუტეხა ნაციას და წვლილი შეიტანოს მის დიდებაში).³⁵ ამავე

დროს ლამანშის გაღმიდან რეინოლდსი ლაპარაკობდა ისტორიული მხატვრობის ისეთი ნაციონალური სკოლის აუცილებლობაზე, როგორც ნაციის საკადრისი იქნებოდა. 1775 წელს ჯეიმს ბარი (James Barry) აცხადებს: "ისტორიული მხატვრობა და ქანდაკება უნდა იყოს მთავარი საზრუნავი იმ ხალხებისათვის, ვისაც სურს, რომ ხელოვნების საშუალებით სახელი მოიხვეჭოს. ეს არის გამოცდა, რომლის მიხედვით განსჯიან ნაციონალურ ხასიათს საუკუნეთა შემდგომ, განსჯიდნენ აქამდე და განსჯიან ახლაც სხვა ქვეყნების მკვიდრნი."³⁶

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამგვარმა ენამ გავრცელება ჰპოვა ამერიკაში (ნოა ვებსტერი Noah Webster), გერმანიაში (მოზერი, ჰერდერი), შვეიცარიაში (ციმერმანი, ფუზელი Fuseli), იტალიასა (ვიკო, ალფიერი) და ჰოლანდიაში, შვედეთში, პოლონეთსა და რუსეთში. ისინი სხვადასხვა კონცეპტუალური წყაროებიდან იღებდნენ სათავეს, რომელთა შორის იყვნენ შეფთსბერი, ბოლინბროკი, მონტესკიე და ფილოსოფოსები. ისინი ასევე თვალს ადევნებდნენ განათლებული დესპოტიზმის პრაქტიკას, რომელიც სულ უფრო მეტად აიგივებდა თავის სახელმწიფოებს თავისივე ხალხთან და ამ ხალხს, ყოველ შემთხვევაში, მის განათლებულ კლასებს, განიხილავდა, როგორც ნაციას. ამ დროისათვის დასავლეთში უკვე აღარ იყო იმის შესაძლებლობა, რომ ნაციის წევრობა მხოლოდ მისი ორი ნოდებით შემოფარგლულიყო, როგორც ჯერ კიდევ ხდებოდა აღმოსავლეთ ევროპის კუთხეებში. მეთვრამეტე საუკუნის ნახევრისათვის განათლებული დესპოტები გრძნობდნენ იმის აუცილებლობას, რომ ანგარიში გაენიათ უფრო მდიდარი და განათლებული კლასების განწყობილებებისა და შეხედულებებისათვის, რომელთა "ექსპერტულ" მომსახურებასაც ისინი უფრო და უფრო მეტად საჭიროებდნენ.³⁷

განათლებული და ერთმანეთის მოქიშპე სახელმწიფოების ევროპაში ჩამოყალიბდა ახალი მსოფლხედვა და ახალი ენა, რომელთა საჭირო და აუცილებელ ელემენტებად იქცნენ ნაციონალური ხასიათის ცნება და ნაციონალური გენიის იდეა. არანაკლები მნიშვნელობა შეიძინა ისტორიითა და სოციალური განვითარებით დაინტერესებამ, რაც რამდენიმე წყაროზე იყო დაფუძნებული. შესაძლოა, ამ კონტექსტში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო ის საერთო პრაქტიკა, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს საფრანგეთში ძველებისა და ახლების ბრძოლის დროს ევროპისა და კლასიკური ცივილიზაციის შედარებისას ჩამოყალიბდა. ამავე დროს, მეთვრამეტე საუკუნის მეცნიერთა და მოგზაურთა მიერ ახალი მინებისა და კულტურების აღმოჩენის კვალდაკვალ შემუ-

შავდა სივრცისა და სივრცითი შედარების ახალი ხედვა; ხოლო კლასიკური აზროვნებისა და ხელოვნების აღორძინებამ ხელი შეუწყო დროის ახლებურ აღქმას და ბიძგი მისცა ძველი ცივილიზაციებისა და თანამედროვეობის ისტორიულ შედარებას.

ამ ხნის მანძილზე ძლიერდებოდა რაციონალური სახელმწიფო, რათა საზოგადოების ცხოვრებაში ჩარეულიყო და ისეთი პრობლემები გადაეჭრა, როგორცაა ავადმყოფობა, შიმშილი, დანაშაული და უცოდინრობაც კი. მზარდი თვითდაჯერებულობა (რომელსაც კაპიტალიზმის ეკონომიკური რევოლუცია კვებავდა), პროფესიონალ სახელმწიფო მოხელეთა ადმინისტრაციული რევოლუცია და სეკულარული, ჰუმანისტური განათლებისა და მეცნიერების კულტურული რევოლუცია ხელს უწყობდა პროგრესისადმი რწმენას (პროგრესისა, რომელიც მეტოქეობას გაუწევდა კლასიკური საბერძნეთისა და რომის მიღწევებს). იგივე პროცესები ასაზრდოებდა ევოლუციური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასაც, რომლის თანახმად, სახელმწიფოები და ცივილიზაციები შეიძლება დახარისხებულიყო ნაციონალური გენის კულტურული იერარქიის მიხედვით. "ისტორიზმი" – რწმენა იმისა, რომ ხალხები და კულტურები იბადებიან, იზრდებიან, ყვავიან და ბოლოს იშლებიან – სულ უფრო და უფრო მიმზიდველი გახდა, როგორც წარსულისა და ამჟამინდელი შესწავლის ჩარჩო და როგორც წარსულისა და აწმყოს მოვლენების მნიშვნელობის განმარტებისა და გაცნობიერების პრინციპი. პიროვნებებისა და მოვლენების მათთვის შესაფერის ისტორიულ კონტექსტში მოთავსება და მცდელობა, რომ ისტორიული პერიოდი და მოვლენა გამოისახოს ისე, "როგორც ის სინამდვილეში მოხდა", შესაძლებლობას იძლეოდა შეეგრძნოთ ისტორიული მოვლენა და პროცესი და, აქედან გამომდინარე, გაეგოთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა თანამედროვე სინამდვილე. ამიტომ ბრიტანეთსა და საფრანგეთში მეთვრამეტე საუკუნის კვალდაკვალ გაიზარდა როგორც კლასიკური, ისე ნაციონალური ისტორიების რიცხვი და მათი საკვლევი სფეროც გაფართოვდა. ამ ისტორიული შრომების ავტორთა შორის არიან როლინი, რაპინი, პიუმეი, გიბონი, ბუჩანანი, კემპდენი, აბატი ველი (Velly), ვილარეტი და მებლი. ამავე დროს, გაიზარდა ინტერესი ხალხების, მათი კულტურული განსხვავებულობისა და ისტორიული ხასიათის წარმოშობისა და წარმომავლობისადმი.³¹

ამ მომენტიდან შეინიშნება განვითარების ორი პარალელური ხაზი, თუმცა სინამდვილეში ისინი, შესაძლოა, დროდადრო კვეთდნენ და ეხლართებოდნენ ერთმანეთს.

ადრიანი 1760-იანი წლებიდან დასაველეთ ევროპულ საზოგადოებაში თავი იჩინა კვაზიბერძნულმა გემოვნებამ. თავიდან ეს ელევანტური და ზედაპირული ხასიათისა იყო – პომპეის ფრესკების სტილში, მაგრამ მალე მან უფრო ღრმა პეროიკული მიმართულება შეიძინა. ადამისა და ვიენის მოკრძალებული დახვეწილობა ფუზელის, კანოვასა და დავიდის მეომრული ხილვებით, გლუკისა და ჰაიდნის კლასიკური უბრალოებითა და ბულეს, ლედუს, სოანესა და ჯეფერსონის მონუმენტური კლასიციზმით შეიცვალა. ნეო-კლასიკურ მოძრაობას ჰქონდა როგორც პრიმიტივისტული, ისე კლასიკურ-ურბანული ასპექტები: ერთის მხრივ დაბრუნება პრიმიტიულ ფორმებთან და მდგომარეობასთან (ლოჟიეს ქოხი, რუსოს კეთილშობილი ველური), მეორე მხრივ, შთაგონების ძიება ძველი სპარტისა და ათენის პოლისის საზოგადოებასა და რესპუბლიკურ რომში.³⁹

ეს უკანასკნელი ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნაციონალიზმის – იდეოლოგიისა და ენის განვითარებისათვის. ისევე და ისევე რუსო იყო ის, ვინც წინასწარ იგრძნო და ხელს უწყობდა კიდევ მის გავრცელებას, თუმცა მას ჰყავდა წინამორბედნიც – შეფთსბერი, ბოლინბროკი და, განსაკუთრებით, მონტესკიე მისიული ნაციის "სულის" ფუძემდებლური ცნებით. მაგრამ რუსომ "ნაციონალური ხასიათის" იდეა საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებისათვის ცენტრალური მნიშვნელობის მოვლენად აქცია. ის ცდილობდა, რომ ეს იდეა ნაციის გადარჩენისა და განახლების პრაქტიკულ პოლიტიკურ პროგრამად ექცია. თავის ორსავე ნაშრომში *Projet Corse* და *Gouvernement de la Pologne* რუსო დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ნაციონალური ინდივიდუალობა, ხოლო ამ ინდივიდუალობის შენარჩუნებისათვის კი ნაციის ჩვეულებებისა და წესების კულტივირება და დაცვა. "Ce ne sont ni les murs, ni les hommes qui font la patrie; ce sont les lois, les moeurs, les coutumes, le gouvernement, la constitution, la maniere d'etre qui resulte de tout cela. La patrie est dans les relations de l'etat a ses membres: quand ses relations changent ou s'aneantissent, la patrie s'evanouit." (კედლები და ადამიანები არ ქმნიან მამულს (patrie); არამედ კანონები, ზნეობანი, წეს-ჩვეულებანი, მმართველობა, კონსტიტუცია – ეს ყველაფერი ქმნის მამულს. მამული სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მოიაზრება. როცა ეს ურთიერთობები იცვლება ან წყდება, მამულიც წყვეტს არსებობას.)⁴⁰ რუსოსათვის, რომლის გული ყენევის რესპუბლიკის გაიდებულ ბავშვობას ეკუთვნოდა, ნაციონალური სოლიდარობის მოდელი კლასიკური ანტიკურობის ქალაქ-სახელმწიფოები იყო. ის არამც და არამც მარტო არ იყო თავის მორალურ თუ

პოლიტიკურ გატაცებებში. იაკობინელ პატრიოტ ლიდერთა უმეტესობა საკუთარ თავს ახალი დროის რომაელად თუ სპარტელად სახავდა და თავის როლსაც ასე აღიქვამდა. მათი გმირები იყვნენ კატონი, ბრუტუსი, სცევოლა, ფოკიონი, სოკრატე და ტიმოლეონი, ხოლო მათ იდეალურ რელიგიას კი პოლისის სამოქალაქო კულტები წარმოადგენდნენ.⁴¹

მაგრამ ზუსტად იმავე ხანაში (1760-1800) პარალელურმა მიმართულებამ გზა გაუხსნა სრულიად განსხვავებულ ხედვას. ის "ისტორია", რომელსაც ნეოკლასიკური მოძრაობა ეგზომ აფასებდა, ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკური ელფერისა იყო. ეს ხედვა ეფუძნებოდა კლასიკური ანტიკურობისადმი შემდეგნაირ დამოკიდებულებას: ანტიკურობას აღიქვამდნენ, როგორც ცივილიზაციის საფუძველს, რომელიც კვლავ ხორცს ისხამდა თანამედროვე ევროპაში, ოღონდ, უფრო მაღალ დონეზე. ამ უნივერსალური ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალებად კი მიაჩნდათ ქალაქ-სახელმწიფოები და მათი სამოქალაქო სოლიდარობა თუ პატრიოტიზმი. ამ თვალთახედვით, არსებობდა ხარვეზი კლასიკურ მოდელსა და მის ახლებურ რეალიზაციას შორის, რაც გამოიხატებოდა ბარბაროსული სოფლის (ფეოდალური) საზოგადოებისაკენ მიბრუნებით. სწორედ კლასიკურ და თანამედროვე ეპოქებს შორის მოქცეული "შუა საუკუნეების დროინდელი" ეს სოფლის საზოგადოება იქცა ევროპის წარმოშობისა და განვითარების სრულიად განსხვავებული გააზრების შთაგონების წყაროდ.

"ლიტერატურული მედიევალიზმი", შუა საუკუნეების ლიტერატურის საშუალებით ევროპის სოფლის წარსულში დაბრუნება, თავდაპირველად გაცილებით უფრო პარტიკულარისტული იყო, ვიდრე შემდგომ ხანებში. თავისი კვლევის მეთოდითა და წერილობითი მონაცემებით ის ეყრდნობოდა სპეციფიკური ადამიანებისა და გარემოს მონაცემებს, რათა ეთნიკური ერთობის ისტორია და კულტურის ადრეული პერიოდები აღედგინა თავისი ქვემარტივი სახით. ეს მოძრაობა დაიწყო პოეზიაში, უპირატესად, ბრიტანეთში, ძველი ბრიტანული პოეზიის კულტით, ოსიანით და ედათი (*Edda*), და მალე – 1770-იან წლებში გავრცელდა გერმანიაში, სადაც მოზერი, ჰერდერი და ახალგაზრდა გოეთე შუა საუკუნეების გერმანიის რომანტიკულ კულტს *Sturm und Drang*-ის პერიოდში წინასწარმეტყველებდნენ. გოთურ ტაძრებს, შუა საუკუნეების მინიატურებს, ვიტრაჟებს, ქრისტიანულ რომანებს, არისტოკრატთა გენეალოგიებს პირველად დაუბრუნდათ თავისთავადობა. ამიერიდან ახლად ფეხზე დამდგარი ნაციის ინტელექტუალებმა ისინი "ხელახლა აღმოაჩინეს" და თითოეული მათგანი გაიაზრეს,

როგორც ამ ნაციის კულტურისა და მისი ძირეული ღირებულებების ხორცშესხმა, მისი უნიკალური "სულის" გამოხატულება. აქედან გამომდინარე, ლიტერატურული მედიევალიზმის კულტმა მნიშვნელოვნად გაამყარა თითოეული ამ ნაციის ეთნიკური წარსულის მზარდი ცნობიერება და, ამდენად, მისი ეთნიკური ნაციონალიზმიც.⁴²

ბრიტანეთი და საფრანგეთი თუმცა კი მზად იყვნენ, გაეთავისებინათ როგორც ნეოკლასიკური, ისე მედიევალისტური ტენდენციები, გარკვეული ხნის მანძილზე მაინც სხვადასხვა მიმართულებისაკენ იხრებოდნენ. საფრანგეთში, როგორც პოლიტიკაში, ისე ჰუმანიტარულ სფეროში, ისტორიული კლასიციზმის ძლიერ მოძრაობას მიეცა დასაბამი; ამ დროს ბრიტანეთი სწრაფად მიდიოდა ლიტერატურული მედიევალიზმის მიმართულებით. ეს მიმართულება დიდადაა დავალებული შექსპირის, სპენსერისა და მილტონისაგან, ისევე, როგორც "ბუნების პოეტის" - ჰომეროსისაგან.⁴³

რევოლუციის ზეგავლენით, საფრანგეთის ლტოლვა მორალური დრამისა და ისტორიული სიმართლისაკენ, რომელიც კლასიკური ჰეროიკული პატრიოტიზმის მისეული აღქმიდან მომდინარეობდა, ნაპოლეონის ძლევამოსილი არმიის ფეხდაფეხ მთელს ევროპას მოედო და ყოველ ქალაქში თავისი კლასიკური გამარჯვებების აღსანიშნავად არქიტექტურულსა თუ სკულპტურულ ნიშნებს ტოვებდა. მაგრამ მალე კლასიკური ტაძრების, თაღებისა და კომერციული ნაგებობების გვერდით გაჩნდა სხვა ძეგლებიც, რომლებიც მშობლიურ კერასთან უფრო დაახლოებულ წარსულზე მეტყველებდნენ და ეთნიკური ერთობის ისტორიის შორეულ წარსულს იხსენებდნენ. შუა საუკუნეების ბრძოლებისა და ნაციონალური გმირების გამოსახულებებით შემკული გოთური ტაძრები, თაღოვანი საფლავის ძეგლები, მუზეუმები და საბჭოს შენობები ნაციის კოლექტიური მეხსიერების ხარვეზებს ავსებდა. პატარა ბავშვებს ასწავლიდნენ არტურისა და ვერცინგეტორიქსის, ზიგფრიდისა და ლემინკაინენის, ალექსანდრე ნეველისა და შტეფან დუშანის პატივისცემას ისევე (თუ უფრო მეტად არა), როგორც სოკრატეს, კატონისა და ბრუტუსისას. ნაციონალიზმის - ახალი ენისა და იდეოლოგიის - საყრდენს ისტორიზმის იდეა წარმოადგენდა, ხოლო ამ უკანასკნელს უკეთ შეეთვისებინა სწორედ შუა საუკუნეები და მისი ეთნიკური გმირების ოქროს ხანა. და ასე, ევროპის ყოველ კუთხე-კუნჭულში, ერთიმეორის მიყოლებით, ნაციონალურმა სულის ზეიმმა მოულოდნელად იჩინა თავი. ყოველი მათგანის შთაგონების წყარო იყო თავისი ეთნიკური

ერთობის ოქროს ხანა და ბუნების პოეტური სურათები. მედიევალური ლიტერატურული ისტორიზმი ავრცელებდა ნაციონალური განსხვავებულობის კულტს ევროპის მოსახლეობის ყველაზე უფრო განუვითარებელ ერთობებსა თუ კულტურულ კატეგორიებს შორისაც კი.

რა თქმა უნდა, ამ ერთობებს მხოლოდ ლიტერატურული მედიევალიზმი როდი ამოძრავებდა და აიძულებდა, დარაზმულიყო და ნაციონალური სტატუსი მოეთხოვა. ამ პროცესში მრავალი ფაქტორი იყო ჩართული, რომელთა შორის არც თუ უკანასკნელ როლს ასრულებდა რაციონალიზებული სახელმწიფოების გავლენა გარემომცველ რეგიონებზე და საბაზრო კავშირებისა – საარსებო ეკონომიკაზე. მაგრამ მედიევალური ლიტერატურული ისტორიზმი ეთნიებს აწვდიდა ცნებებს, სიმბოლოებს და ენას დემოტური ვერნაკულური მობილიზაციისათვის და სთავაზობდა, აგრეთვე, იმ სარკეს, რომელშიც მისი წევრები დაინახავდნენ დასავლური "რევილუციების" ქარცეცხლში გამონრთობილ საკუთარ მისწრაფებებს. აქ ისინი თავის თავს გააცნობიერებდნენ, როგორც უნიკალურ ერთობას "საკუთარი სულითა" და სხვათაგან განსხვავებული კულტურით. აქ შეიცნობდნენ ისინი თავიანთ "ნაციონალურ ხასიათს", რომელსაც სჭირდებოდა დამოუკიდებლობა, რათა საკუთარი ნამდვილი ცხოვრებით ეცხოვრა. ყოველი კულტურული ერთობის წევრებს შეეძლოთ აქ აღმოეჩინათ, თუ რატომ იყო აუცილებელი ნაციონალური ერთიანობა ნამდვილი ნაციონალური იდენტობის "რეალიზაციისათვის" და რატომ შეეძლო ამ ერთობას თავისი "ნამდვილი ყოფიერება" ეპოვა, ხოლო მის მოქალაქეებს თვითმმართველობისა და სოლიდარობისათვის მიეღწიათ მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ სამშობლოში. ამ ენამ და სიმბოლიზმმა, რომელიც ისტორიზმის ცნებიდან სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობდა, ლიტერატურული მედიევალიზმის საშუალებით ხორცი შეისხა და მთელ ევროპაში გავრცელდა.⁴⁴

ეს ენა და ეს სიმბოლიზმი სწრაფად გავრცელდა ჯერ აღმოსავლეთ ევროპაში, შემდეგ – ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში და, ბოლოს, აფრიკაში, შეერთებულ შტატებში, სადაც უკვე მობილიზებული იყვნენ განათლებული საზოგადოებრივი კლასები, და ლათინურ ამერიკაში. თითოეულ ამ შემთხვევაში შეგვიძლია თვალი გავადევნოთ გარკვეული კულტურული პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას (მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი დროით, გავრცელების არეალითა და ინტენსივობით დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება). უპირველეს ყოვლისა, ამ

კულტურულ პროცესს ახასიათებს "ნაციონალური ხასიათით" დაინტერესება და ამ ხასიათის თავისუფალი განვითარებისაკენ მისწრაფება. შემდეგ სწრაფად ვითარდება ისტორიზმის იდეა, რომლის მიხედვით "ნაციონალური სული" თავად ამ ნაციის ისტორიული განვითარების კანონზომიერებებით აიხსნება. შემდეგ შეინიშნება ორი კულტურული მოდელის ჩამოყალიბება. პირველს შეგვიძლია ვუწოდოთ "ნეოკლასიკური". იგი შთაგონებულია დასავლური რაციონალიზმითა და განმანათლებლობით. ევროპის გარეთ თავდაპირველი კლასიკური წყაროები სწორედ ამ მიმდინარეობებით არის გაშუალებული. ასეთი დასავლური ნეოკლასიციზმი ხშირად ასოცირდება რესპუბლიკანიზმთან და მის ღირსებებთან. იმავდროულად, იზრდება ინტერესი მკვიდრი ხალხების ვერნაკულური წარსულისა თუ შუა საუკუნეების (ან წინაპართა) მემკვიდრეობისადმი. ზოგჯერ ეს ნატივიზმი (ნატივიზმი – აკულტურაციის საპირისპიროდ, ხალხური კულტურის ნიშნების ხელახლა დანერგვა. – მთარგმნ. შენ.) თუ მედიევალიზმი უპირისპირდება დასავლურ ნეოკლასიციზმს, ზოგჯერ კი შეხმატკბილებულია მასთან. ნეოკლასიციზმისა და მედიევალიზმის შეთავსება დასაშვებია ისეთ "ოფიციალურ" ნაციონალიზმში, რომელსაც გარკვეული იდეოლოგიური რეჟიმი უწევს. პროპაგანდას (როგორც, მაგალითად, ვილჰელმის გერმანიასა თუ მეიძის იაპონიაში). ამგვარი კომბინაციების შესაძლებლობა გვაფიქრებინებს, რომ ამ კულტურულ მოდელებს ერთდროულად ფორმაცვალებადობა და მდგრადობა ახასიათებს. ორივე – ნეოკლასიციზმიცა და მედიევალიზმიც (თუ ნატივიზმი), არის უფრო ფართო მოვლენის – რომანტიზმის სხვადასხვა ვარიანტები. რომანტიზმი იდეალიზებული ოქროს ხანისა და გმირული წარსულის სევდით არის შეპყრობილი, რადგან სწამს, რომ ამ წარსულს ანმყოსთვის კოლექტიური აღორძინების მაგალითის ძალა აქვს. თუმცაღა დაპირისპირება განმანათლებლობასა და რომანტიზმს შორის მაინც არსებობს და ის ასახავს ორ სხვადასხვა ეთნიკურ საფუძველს შორის არსებულ ღრმა კულტურულ და სოციალურ ბზარს. ამ განსხვავებას ნაციების ფორმირების პროცესში ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი და მისი წყალობით წარმოიშვა ნაციის ორი რადიკალურად განსხვავებული ცნება.⁴⁵

ინტელექტუალები და ნაციონალისტური კულტურა

მეთვრამეტე საუკუნის ევროპაში ნაციონალიზმის მომნიშვნის შესახებ მსჯელობის შემდეგ დავიწყებთ მისი ქმედითუნარიანობის სხვადასხვა დონეების დახარისხებას.

პირველი მკაცრად განსაზღვრული პოლიტიკური დონეა. ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებების დოქტრინასა და ხელისუფალთადმი მათ ბუნება-ხასიათთან დაკავშირებულ შემოთავაზებათა ნუსხას წარმოადგენს. ეს ასევე არის დოქტრინა ამგვარი გაერთიანებების ლეგიტიმური გლობალური ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ. არსებობს ასევე ნაციონალისტური აქტივობის ეკონომიკური დონე. ნაციონალიზმის მოთხოვნა იდეალურ შემთხვევაში არის რესურსების თვითკმარობა, ცხოვრების წესის სინამდინდე ნაციის ავტონომიისა და ავთენტურობისადმი ერთგულების თვალსაზრისით. როდესაც ასეთი რამ განუხორციელებელია, ნაციონალისტები იბრძვიან, რათა თავიანთ მშობლიურ მიწა-წყალზე და მის რესურსებზე მაქსიმალური კონტროლი დაანესონ. გარდა ამისა, ნაციონალიზმი მოქმედებს სოციალურ დონეზე, როცა მოითხოვს "ხალხის" მობილიზაციას, მათი, როგორც მოქალაქეების, სამართლებრივ თანასწორობასა და მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში "ნაციონალური სიქველის" მიზნით. რაკი ნაციონალიზმი ნაციას განიხილავს, როგორც დიდ ოჯახურ ვალდებულებას, ის ცდილობს ნაციონალური სოლიდარობისა და ძმობის სული შთააგონოს ნაციის წევრებს; ამდენად, ის ქადაგებს თითოეული ნაციის სოციალურ ერთობას.

მაგრამ ყველაზე ფართო დონეზე ნაციონალიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც ისტორიციისტული კულტურისა და სამოქალაქო განათლების ფორმა, ის, რაც ჩრდილავს ან ცვლის წინანდელ ფორმებს, როგორცაა, რელიგიური კულტურა და ოჯახური განათლება. პოლიტიკის სტილსა და დოქტრინაზე მეტად ნაციონალიზმი არის კულტურის ფორმა – იდეოლოგია, ენა, მითოლოგია, სიმბოლიზმი და ცნობიერება, რომელმაც გლობალური გამომხაურება ჰპოვა; ნაციონალიზმი არის იდენტობის ტიპი, რომლის მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა (უპირატესობა) თავად ამ ფორმის კულტურაშია ნაგულისხმევი. ამ აზრით ნაცია და ნაციონალური იდენტობა, უპრიანია, ნაციონალიზმისა და მისი დამცველების ქმნილებად განვიხილოთ, ისევე, როგორც მისი მნიშვნელობაცა და განდიდებაც ნაციონალისტების მეცადინეობის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ.

ეს საშუალებას გვაძლევს, განემარტოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჰუმანიტარულ დარგებს ნაციონალიზმისათვის. ნაციონალისტებს, რომლებიც მიისწრაფიან ნაციის განდიდებისა და დღესასწაულების წყალობით მისი მუდმივად მოგონებისაკენ, იზიდავს არტისტული მედიის დრამატული და შემოქმედებითი უნარი, მხატვრობის, ქანდაკების, არქიტექტურის, მუსიკის, ოპერის, ბალეტისა და კინოს ჟანრები როგორც ხელოვნების, ისე ხელოსნობის დარგებში. ამ ჟანრების საშუალებით ნაციონალისტ ხელოვანს შეუძლია, პირდაპირ ან მინიშნებით, "ალადგინოს" გარეგნული, ხმოვანი და სახოვანი ნაცია მთელი თავისი კონკრეტული თავისებურებებითა და "არქეოლოგიური" დამაჯერებლობით. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ნაციონალიზმის აყვავების ხანაში, გვიანდელ მეთვრამეტე საუკუნეში, დასავლეთის ხელოვანებს ძველი რომისა და სპარტის მხატვრული სახეებით შექმნილი "არქეოლოგიური დრამა" იზიდავდა, ან შუა საუკუნეების საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია და მისი "მორალური ისტორიზმის" პოლიტიკური გზავნილები იტაცებდა. ეს იყო წარსულის საზოგადოებრივ ღირსებათა მაგალითების მხატვრული ხორცშესხმა იმისათვის, რომ ამჟამინდელ თაობებს მათთვის მიებაძათ. წარსულის "ოქროს ხანის", იდეალიზებული გმირებისა და ბრძენი ხალხის სურათების წყალობით მათ შეეძლოთ შეექმნათ ცხოვრების ცოცხალი პანორამა *ჭეშმარიტი სახით (wie es eigentlich war)*, რაც გულისხმობდა ნაციის სიძველესა და სიმტკიცეს, მის წარჩინებულ მემკვიდრეობას და ძველი დიდებისა და განახლების დრამას. პოეტებზე, მუსიკოსებზე, მხატვრებსა და მოქანდაკეებზე უკეთ ვის შეეძლო ნაციონალური იდეალების გაცოცხლება და ხალხში მათი გავრცელება?! ამ თვალსაზრისით, რომელიმე დავიდი, მიცკევიჩი თუ სიბელიუსი მეტს იმსახურებდნენ, ვიდრე მამა იანის *Tumenschaften*-ის ბატალიონები, და რომელიმე იეტსი – იმასვე, რასაც გელური ასოციაციის მსროლელთა საზოგადოებები.⁴⁶

მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. ბევრი მხატვარი ევროპაში და მის გარეთ ჩათრეული იყო ნაციონალიზმის სამყაროში, მის ენასა და სიმბოლიზმში. მხოლოდ კომპოზიტორთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ ლისტი, შოპენი, დვორჟაკი და სმეტანა, ბოროდინი და მუსორგსკი, კოდალი და ბარტოკი, ელგარი და ვოონ-უილიამსი (Vaughan-Williams), ვერდი და ვაგნერი, დე ფალია, გრიგი და სიბელიუსი; მხატვართა შორის შეგვიძლია გამოვყოთ დავიდი და ინგრესი, ფუზელი და ვესტი, გროსი, ჰაიეზი, მაკლანიზი, დელაროში, გალენ-კალელა, ვასნეცოვი და სურვიკოვი, ასევე უმრავი პეიზაჟისტი თუ ჟანრული მხატვარი, რომელთაც თავი-

ანთი წვლილი შეიტანეს პოპულისტურ ნაციონალიზმში თავისი სტილით, ეს სტილი კი, შესაძლოა, ემოციების აღმძვრელი უფრო იყო, ვიდრე გააზრებული. ნაციონალიზმის ენა და სიმბოლიკა ეხმარებოდა ხელოვანს, ახალ მოტივებში, ჟანრებსა თუ ფორმებში ეპოვა ხორცშესხმა თავისი ჩანაფიქრისათვის, განსხვავებული ტრადიციული და კლასიკური ჟანრებისგან, იქნებოდა ეს სიმფონიურ პოემა, ისტორიული ოპერა, ეთნიკური ცეკვები, ისტორიული რომანები, ლოკალური ბუნების სურათები, ბალადები, დრამატული პოემები, გუნდური დრამა თუ სხვა მისთანანი. ეს ფორმები, ასევე ნოკტიურნები, პოეტური ფანტაზიები, რაფსოდები, ბალადები, პრელუდიები და ცეკვები ხასიათდება გაძლიერებული ექსპრესიული სუბიექტურობით, რაც კარგად ეხამება ეთნიკური ნაციონალიზმის კონცეპტუალურ ენასა და სტილს, "შინაგანი მე"-ს მიგნებას; ეს კი ეთნიკური ისტორიზმის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.⁴⁷

ექსპრესიული ენისა და სუბიექტურობის გაფართოება-გამძაფრებასთან ერთად (ეს ეხება როგორც გავრცელების სფეროს, ისე ინტენსივობას), შეიმჩნევა ისტორიზმის მიმდევარ ინტელექტუალთა წრეების მომძლავრება. ისინი შეპყრობილნი იყვნენ კოლექტიური იდენტობების ისტორიული ფესვების აღმოჩენითა და ეთნიკური განსხვავებულობის სიღრმისეული მნიშვნელობის ძიებით მოდერნულ მსოფლიოში. აქ მე განვასხვავებ საკუთრივ ინტელექტუალებს პროფესიონალების გაცილებით უფრო ფართო ფენისაგან და კიდევ უფრო ფართო განათლებული საზოგადოებრივი წრისაგან. ჩვენ შეგვიძლია ანალიტიკურად ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ინტელექტუალები, რომლებიც ქმნიან ხელოვნების ნიმუშებს და დასაბამს აძლევენ იდეებს იმათგან, ვინც გადასცემს და ავრცელებს ამ იდეებსა და ქმნილებებს. ესენი არიან ინტელიგენციისა და პროფესიონალთა ფართო წრეები. და ბოლოს, ისინი, ვინც "მოიხმარს" იდეებსა და ხელოვნების ნიმუშებს, არიან განათლებული საზოგადოების კიდევ უფრო ფართო ფენის წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, პრაქტიკაში, ერთმა და იგივე ადამიანმა, შესაძლოა, შექმნას, გაავრცელოს და გამოიყენოს იდეები სხვადასხვა როლში ყოფნისას, – იქნება ეს როლი ხელოვანის/ინტელექტუალის, პროფესიონალის/თარჯიმნისა თუ მსმენელის/მაყურებლისა. თუმცა, ამ სამ ნაწილად დაყოფამ, შესაძლოა, დახმარება გაგვინიოს ინტელექტუალთა, როგორც ფუძემდებელთა, როლის განსაზღვრაში ევროპულსა და მოგვიანებით არაევროპულ ნაციონალიზმში.⁴⁸

ინტელექტუალები – პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, მოქანდაკეები, მწერლები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, დრამატურგები, ფილოლოგები, ანთროპოლოგები და ფოლკლორისტიები არიან ის ადამიანები, რომლებმაც შეიმუშავეს და საზოგადოებას შესთავაზეს ნაციისა და ნაციონალიზმის ცნებები და თავისი მედიტაციებისა და გამოკვლევების მეშვეობით გამოეხმაურნენ უფრო ფართო მისწრაფებებს, შესაბამისი სახეებით, მითებითა და სიმბოლოებით რომ გამოხატეს. ნაციონალიზმის იდეოლოგია და კულტურის ძირეული დოქტრინა, შესაძლოა, ასევე მიენერებოდეს სოციოლოგ-ფილოსოფოსებს, ორატორებსა და ისტორიკოსებს (რუსო, ვიკო, ჰერდერი, ბერკი, ფიხტე, მაზინი, მიშლე, პალაცკი, კარამზინი); ყოველი მათგანი ხვეწდა ელემენტებს, მორგებულს იმ კონკრეტული ერთობის გარემოზე, რომლისთვისაც იგი საუბრობდა.⁴⁹

ნაციონალიზმის კრიტიკოსები სწორედ ინტელექტუალთა, როგორც ფუძემდებელთა, როლით ხსნიან ამ იდეოლოგიის შეცდომებსა და პოლიტიკური რეალიზმის ნაკლებობას. ისინი ამტკიცებენ, რომ ნაციონალური ნების დოქტრინა ან იძულებით ფანატიზმს აღვივებს, ან სამყაროს სრულყოფილების შესახებ თავისი მცდარი ილუზიების გამოისობით ანარქიაში ვარდება. სხვა მეცნიერები, ვისთვისაც ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების ერთგვარი პოლიტიკური არგუმენტი, ასევე კრიტიკულად აფასებენ ნაციონალიზმის მიერ შემოთავაზებულ “ფსევდოგადანწყვეტილებებს” და მიიჩნევენ, რომ ინტელექტუალთა როლი აქ გადაჭარბებულადაა შეფასებული, თუმცა აღიარებენ მოდერნულ მსოფლიო პოლიტიკაში აბსტრაქტული იდეოლოგიის მნიშვნელობას.⁵⁰

ინტელექტუალთა უპირატესი როლის დამადასტურებელი უამრავი საბუთი არსებობს როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური, ნაციონალიზმის იდეოლოგიის შექმნაში, რომ არაფერი ვთქვათ ამ უკანასკნელის უნინდელი ლიდერობის შესახებ. ევროპის რომელ ნაწილსაც უნდა მივმართოთ, სრულიად აშკარად ჩანს მათი (ინტელექტუალების) – როგორც ფუძემდებლების – მნიშვნელობა ნაციონალიზმის ცნებების, მითების, სიმბოლოებისა და იდეოლოგიის წარმოქმნასა და გაანალიზებაში. ეს ეხება ნაციონალური ხასიათის, ნაციის გენიისა და ნაციონალური ნების ძირეული დოქტრინისა და წინამორბედი ცნებების თავდაპირველ გამოჩენას. ეს ეხება, აგრეთვე, სოციალური თვალსაზრისის სხვა ტრადიციასაც, კერძოდ, კოლექტიური თავისუფლებისა და ხალხური დემოკრატიის იდეას. აქაც სოციოლოგ-ფილოსოფოსები

უმთავრეს როლს ასრულებენ, – კერძოდ რუსო, სიესი, პენი, ჯე-ფერსონი და ფიხტე (ყოველ შემთხვევაში მის ადრეულ ნაწერებში მაინც). კანტის გავლენა არ უნდა უგულებელვყოთ, თუმცა მისი უმთავრესი ღვაწლი – იდეა, რომლის თანახმად, კეთილი ნება თავისუფალი ნებაა – ჯგუფებზე მეტად პიროვნებებს შეეხო.⁵¹

სწორედ ამ ორი ტრადიციის შერწყმამ (ესენია ნაციონალური ხასიათის კულტურის ენა და კოლექტიური თავისუფლებისა და ხალხის დამოუკიდებლობის პოლიტიკური დისკურსი) გამოიწვია 1792-94 წწ. იაკობინელი პატრიოტების სიშმაგე და გადაჭარბებული შემართება. მაგრამ იგივე კულტურული და პოლიტიკური ტრადიციები ედო საფუძვლად ლიბერალურ “ბურჟუაზიულ” რევოლუციასაც 1789-91 წწ-ში და მის ნაწილობრივ განახლებასაც დირექტორიის მმართველობის პერიოდში.

ამ დროს ერთ-ერთი ნამყვანი ძალა იყო სწორედ ნაციონალიზმის იდეოლოგია, რომელმაც თავი იჩინა როგორც სიესის კარგად ცნობილ პამფლეტში *Qu'est-ce que le Tiers Etat?* (რა არის მესამე ნობე-ბა?), ისე 1789 წლის დასაწყისის *cahiers de doléances*-ში. 1789 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში გამოცხადდა “სამოქალაქო ნაცია” და ახალი სოციალური და პოლიტიკური წესრიგის დამყარების მიზნით დაიწყო ყველა ფრანგის მობილიზაცია და გაერთიანება; სწორედ ეს იყო “ნაციონალიზმიდან, როგორც კულტურის ფორმიდან” (რომელსაც ვიხილავდი აქამდე) “ნაციონალიზმზე, როგორც პოლიტიკის ფორმაზე” (რომელსაც შემდეგ თავში შევებებ) გადასვლის საკვანძო მომენტი.⁵²

ამყამად საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ინტელექტუალებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ ნაციონალიზმის ორივე ფორმის სანყის სტადიაზე. მაგრამ ასევე სიფრთხილე გემართებს, რათა არ გავაზვიადოთ ამ როლის მნიშვნელობა, როგორც ნაციონალიზმის უფრო გვიანდელ საფეხურებზე, ისე უფრო რეგულარული ნაციონალისტური მოძრაობების ორგანიზების საქმეში.

როგორ უნდა ავხსნათ ინტელექტუალთა – როგორც ფუძემდებელთა – როლი ადრეულ ნაციონალიზმში? არის ეს უბრალოდ ინტელექტუალიზმის ფუნქცია, რომ ყველგან ნებისმიერ იდეოლოგიურ მოძრაობას სჭირდებოდეს ინტელექტუალები, იმ შთამბეჭდავი, აბსტრაქტული დოქტრინის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე ჯგუფებს ერთი მოძრაობის მხარდასაჭერად შემოიკრებს? არის აქ ლაპარაკი აუცილებელ უნარ-ჩვევებსა და იმაზე, რომ ნებისმიერი პოლიტიკური მოძრაობის წარმატებისათვის აუცილებე-

ღია კარგად განსწავლული ადვოკატების, კონსტიტუციონალური ექსპერტების, პროპაგანდისტების, ორატორების და მისთანების ყოლა?! თუ ნაციონალიზმი უნდა დაეახასიათოთ, როგორც ძალაუფლებაჩამოცილებულ იმ "ინტელექტუალთა მოძრაობა", სიგუემდე რომ ესწრაფვიან ძალაუფლებას და ამის განხორციელებას "ხალხის" წინამძღოლობის მეოხებით ლამობენ, – იმ ხალხისა, რომლის კულტურული დეფინიციაც თავად შეიმუშავეს?!

ყველა ამ დახასიათებაში არის სიმართლის მარცვალე. ინტელექტუალები და ინტელექტუალიზმი ნამდვილად საჭიროა მოდერნული მოძრაობების უმეტესობის ნაწილის (მაგრამ არა ყველასი) იდეოლოგიების შემუშავებისა და შეთავაზებისათვის. მათი უნარი – თუ მართლაც აქვთ საჭირო უნარ-ჩვევები – ხელს შეუწყობს წინსვლას ამ მოძრაობის გამომწვევი პრობლემის გადანყვებაში. მაგრამ ნაციონალიზმისათვის არავითარი სპეციფიკური საკითხი არ არის დაკავშირებული ასეთ უნარ-ჩვევებთან თუ ინტელექტუალიზმთან. როგორც შემდგომ დავინახავთ, შესაფერისი უნარ-ჩვევები უპირატესად პროფესიონალთა (ინტელიგენციის) – და არა ინტელექტუალთა – ხვედრია. ეს უნარები დამატებითი შენაძენია, ხოლო პირველადი ფუნქციაა კულტურული შემოქმედება და ანალიზი.⁵³

რაც შეეხება იმ თვალსაზრისს, რომ ნაციონალიზმი არის "ძალაუფლების მაძიებელი" ინტელექტუალების მოძრაობა, შესაძლოა, ვინმემ მოიყვანოს დევნილ და განანყენებულ ინტელექტუალთა მაგალითი, განსაკუთრებით, რასისტული კოლონიალიზმის პირობებში, მაგრამ მაინც არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებანი ზოგადი მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად ნაციონალისტ ინტელექტუალთა მოტივებთან დაკავშირებით. საპირისპირო მტკიცებულებები კი საკმაოდ ბევრია, კერძოდ, იმის დამადასტურებელი, რომ საკუთრივ ინტელექტუალები იშვიათად ხდებიან ნაციონალისტი ლიდერები, თუმცა დროდადრო შეუძლიათ შეასრულონ მრჩეველთა როლი. რუსო, ფიხტე, კორაისი, ობრადოვიჩი, კარაჯიჩი, გოკალპი, ახად ჰაყამი, ალ-კავაკიბი, ბანერჯეა, ლი'ანგ ჩ'ი ჩ'აო, ბლაიდენი, შეიხ ანტა დიოპი, გასპრინსკი – ნაციონალიზმის სხვადასხვა სახეობების ეს ყველაზე ადრეული წარმომადგენლები, შესაძლოა, ფარულად განანყენებულნიც ყოფილიყვნენ და, ამდენად, მოტივირებულნიც, მაგრამ მათ არანაირი პოლიტიკური საზღაური არ მოუმიკიათ. სინამდვილეში, ისინი ხშირად იგნორირებულნი და დროებით დავინწყებულნიც კი იყვნენ თანამედროვეთა მიერ, როგორც, მაგალითად, მარქსის თანამედროვე მოსე ჰესი.⁵⁴

მაშ, როგორ ავხსნათ ის, რომ ნაციონალიზმი ბევრ ინტელექტუალს იზიდავდა? ყველაზე პოპულარული თეზისი ამბობს, რომ ნაციონალიზმი არის ინტელექტუალების "იდენტობის კრიზისის" გადანყვება. და ამაში, მნიშვნელოვანწილად, არის სიმართლე, თუ თეზისი სწორად იქნება ფორმულირებული. მისი საფუძვლიანობა შემოიფარგლება საკუთრივ ინტელექტუალთა წრით და არავითარ შემთხვევაში მისი განზოგადება არ შეიძლება სხვა ფუნებსა თუ კლასებზე, თვით ინტელიგენციაზეც კი. გარდა ამისა, ნაციონალიზმის წარმატება და მისი ხასიათი ვერ აიხსნება ამ ზედმეტად მარტივი ცნებებით. მომნიშვნელოვანი ნაციონალიზმი სრულიად სხვადასხვა გარემოებებიდან იღებს მისთვის დამახასიათებელ თვისებებს, რომელთაგან აღსანიშნავია ინტელექტუალთა – როგორც ფუძემდებელთა – ზემოქმედება. ეს თეზისი ვერ განმარტავს ვერც ინტელექტუალების სოციალურ აზრთა წყობასა და ვერც პოლიტიკურ ქმედებებს; ბოლოს და ბოლოს, ბევრი ინტელექტუალი არ გამხდარა ნაციონალისტი ან თუ გახდა, ისიც, ზედაპირულად და დროებით. ეს თეზისი, უბრალოდ, მცდელობაა, ახსნა მოეძებნოს იმას, თუ რატომ იზიდავდა ნაციონალიზმი ინტელექტუალებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და რატომ დატოვეს მათ ესოდენ მნიშვნელოვანი კვალი ნაციონალიზმის იდეოლოგიასა თუ ენაზე.⁵⁵

ინტელექტუალების იდენტობის კრიზისი, საბოლოო ჯამში, გამომდინარეობს იმ გამოწვევებიდან, რომლებიც ტრადიციულ რელიგიასა და საზოგადოებას წაუყენეს "მეცნიერულმა სახელმწიფომ" და დასავლურმა "რევოლუციებმა". ყველგან, სადაც კი მათი ზეგავლენა იგრძნობა, ხელი შეეწყო ამ კრიზისის განვითარებას. მე უკვე აღვწერე ის განსხვავებული რეაქციები, რომლებიც ინტელექტუალებს ჰქონდათ ამ "ორმაგ ლეგიტიმაციაზე": ლეგიტიმაცია მიღებული რელიგიისა და ტრადიციის ფარგლებში და, ამის საპირისპიროდ, ლეგიტიმაცია, დამყარებული მიზეზსა და ცოდნაზე, რომელიც სახელმწიფოს წიაღიდან იყო ამოზრდილი და რომელიც სულ უფრო აქტიურად იყენებდა "მეცნიერულ" მეთოდებსა და შეხედულებებს. ეს არის სწორედ ის ცნობილი გამოწვევა, რომელიც ტრადიციულ კოსმიურ ხატებს, სიმბოლოებსა და თეოდოციებს დაუპირისპირდა. ეს გამოწვევა ყველაზე ადრე და ყველაზე მძაფრად შეიგრძნეს მათ, ვინც რაციონალისტური და მეცნიერული აზრის და აქტივობის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რაც ბევრ ინტელექტუალს აიძულებდა ალტერნატიული პრინციპები და ცნებები, ახალი მითოლოგია და სიმბოლიზმი აღმოეჩინა იმისათვის, რომ ლეგიტიმაცია მოეხდინა და საფუძველი

მოქმდნა საკაცობრიო აზრისა და ქმედებისათვის. შესაძლოა, ამ პრინციპებსა და მითებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია "ისტორიზმის" პრინციპი. მისი მომხიბლაობის მიზეზი იყო შემდეგი: ისტორიზმის საშუალებით შესაძლებელი გახდა სამყაროს ისეთივე სრული სურათის წარმოდგენა, როგორც ძველი რელიგიური მსოფლმხედველობის მიხედვით, მაგრამ სამყაროს გარეთ არსებული შემოქმედებითი ძალის ჩაურევლად. ამავე დროს "ისტორიზმის" პრინციპის მეშვეობით შესაძლებელი გახდა წარსულის (ტრადიციის), ანმყოს (მიზეზის) და მომავლის (სრულყოფის) ინტეგრაცია. ამის შემდეგ წამოიჭრა კითხვა: ვისი წარსული და ვისი მომავალი? კაცობრიობის, როგორც მთლიანობის, თუ მისი ცალკეული ან კოლექტიური ნაწილების? ამ შეკითხვებზე პასუხებმა ინტელექტუალთა რიგებში დიდი დაპირისპირება და, საბოლოოდ, ალტერნატიული, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთდამჩრდილავი, სოციალური და პოლიტიკური ტრადიციებისა და მოძრაობების ჩამოყალიბება გამოიწვია. ეს იყო, ერთი მხრივ, ლიბერალიზმი და მარქსიზმი, ხოლო მეორე მხრივ, ნაციონალიზმი და რასისტული ფაშიზმი.⁵⁶

ორმხრივი ლეგიტიმაციის ამ ფართო კრიზისთან ერთად დაიწყო ინტელექტუალთა უფრო სპეციფიკური კრიზისი. იგი შეეხებოდა მათ იდენტობას იმ სამყაროში, რომელიც ნაფლეთებად აქცია მათსავე კოსმიურ ტრადიციებთან დაპირისპირებამ. ამიტომ ასეთი კითხვები წამოიჭრა: ვინ ვარ მე? ვინ ვართ ჩვენ? რა არის ჩვენი დანიშნულება და როლი ცხოვრებაში და საზოგადოებაში? პასუხები ამ შეკითხვებზე, როგორც თავად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მრავალგვარი იყო. და უმეტეს მათგანს განაპირობებდა სპეციფიკური გარემოებები და ინდივიდუალური არჩევანი. მიუხედავად ამისა, თავად ის ფაქტი, რომ პასუხთა მთელი სპექტრი არც შეუზღუდავი იყო და არც (სრულიად) შემთხვევითი, წარმოშობს კვლევის გარკვეულ მიმართულებებს; კერძოდ, ჩნდება ასეთი კითხვა: იდენტობის ამ კრიზისთან დაკავშირებით განსაკუთრებით რატომ იმარჯვებდნენ გარკვეული ტიპის პასუხებს? ერთი ამ პასუხთაგანი ნამდვილად იყო და არის საკითხის ნაციონალისტური თვალსაზრისით გადაწყვეტა, რომლის თანახმად, დაბლა ეშვება და "რეალობად" იქცევა ინდივიდუალური იდენტობა ახალი კოლექტიური კულტურული იდენტობის – ნაციის ფარგლებში. ადამიანი, ამ გადაწყვეტილების (ნაციონალიზმის) მიხედვით, თავის იდენტობას იღებს კულტურული კოლექტიურობიდან. ის ხდება მოქალაქე, მაშასადამე, აღიარებული და სრულყოფილი ნეერი ისეთი პოლიტიკური გაერთიანებისა, რომელიც იმავდრო-

ულად არის კულტურული "ისტორიისა და ბედ-იღბლის ერთიანობა". საბოლოოდ, იდენტობის საკითხთან დაკავშირებით ასეთი პასუხი გაიცემა: "ჩვენ ვართ ისინი, ვინც ვართ", ჩვენი ისტორიული კულტურიდან გამომდინარე.

ამგვარად, დაეუბრუნდით ნაციონალიზმს, როგორც ისტორიციისტული კულტურის ფორმას, რომელიც წარმოიშვა ადრეული კულტურის რელიგიური ფორმების ნანგრევებზე. ისტორიზმი იყო და რჩება როგორც ნაციონალიზმის, ისე ნაციონალური იდენტობის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ნიშნად, ანუ ის წარმოადგენს ნაციონალიზმის მიერ შემოთავაზებული იდენტობის საკითხის გადაჭრას. მაგრამ თუ დავინტერესდებით, მაინც საიდან მომდინარეობს, კერძოდ, ესა თუ ის ისტორიციისტული გადაწყვეტა, მარტივად ვერ ვუპასუხებთ ასეთ შეკითხვას და ვერ დაეკმაყოფილდებით მხოლოდ იმით, რომ მიუუთითოთ ნაციონალისტების მიერ შექმნილ სახეებსა თუ დღესასწაულებზე. უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ მათი ცნებებისა და სახეების პირველწყაროში. გთავაზობთ, მოვიძიოთ ეს წყაროები სხვადასხვა სახის ეთნიკურ ბაზისებსა და პოლიტიკურ პროცესებში გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრემოდერნულ ევროპაში, ისევე, როგორც იმ კულტურულ ერთობებში (ამ სიტყვის უფრო ფართო გაგებით), რომლებიც დღესაც არსებობენ სხვადასხვა სახით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. აქ ყოველ მათგანში მოიძებნება კოლექტიური იდენტობის მოდელები და მაგალითები, რომელთაც შესწევთ უნარი, მოემსახურონ როგორც ინტელექტუალებს ("იდენტობის გადანყვეტილებისთვის" საჭირო კერძო საკითხების გადანყვეტაში), ისე სხვადასხვა საქმიანობისა და ინტერესების მქონე საზოგადოების უფრო ფართო ფენებს.

არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაციონალისტური გადანყვეტილება მიიღო არა მარტო ბევრმა, საკუთარი ფესვების მაძიებელმა, ინტელექტუალმა, არამედ სხვა უამრავმა ადამიანმაც, რომლებიც ასევე დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი ფესვების ძიებით (თუმც, შესაძლოა, სხვა მიზნით). და აი, ამ ადამიანებისათვის ეს გადანყვეტილება – ნაცია – ისევე პირველხარისხოვანი, აუცილებელი და მიმზიდველი გახდა, როგორც ინტელექტუალებისათვის. ახლა სწორედ ამ სხვებს, მათ ნაციონალურ იდენტობას, მინდა მიუბრუნდე.

დაგეგმილი ნაციები?

ნაციონალიზმის, როგორც კულტურის დოქტრინის, სიმბოლური ენისა და ცნობიერების, უპირველესი მიზანია შექმნას კოლექტიური კულტურული იდენტობებისა და კულტურულ ნაციათა სამყარო. მართალია, ის არ განსაზღვრავს, თუ ადამიანთა რომელ ერთობებს აქვთ უფლება გახდნენ ნაცია და რატომ უნდა გახდნენ, სამაგიეროდ, ნაციონალიზმს უდიდესი როლი ენიჭება იმის განსაზღვრაში, თუ როდის და სად შეიქმნება ნაციები. სწორედ ამ თვალსაზრისით, ნაციონალიზმი შედის პოლიტიკის სფეროში. ნაციონალიზმი, როგორც პოლიცენტრული უნიკალურობის ენა და დოქტრინა, როგორც "რჩეული ერის" ძველი იდეის მოდერნული, სეკულარული ეკვივალენტი, შეიძლება დარჩენილიყო წმინდა კულტურულ და სოციალურ ხედვად თუ ცნებად, რომელიც სრულიად დაცილებული იქნებოდა პოლიტიკის სამყაროს (და ასეც იყო ბევრი ეთნიკური ერთობის შემთხვევაში წინამოდერნულ ხანებში). თავად ის ფაქტი, რომ ნაციონალიზმი ხშირად ვერ ახერხებს მკაფიო საზღვრის გავლებას კულტურის კერძო სამყაროსა და პოლიტიკის საზოგადო სფეროს შორის, გვაფიქრებინებს, რომ ნაციონალიზმის სხვა კომპონენტებს (რომლებიც მე-4 თავში იყო განხილული) და, ასევე, მოდერნული სამყაროს ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს, აქვს პირდაპირი პოლიტიკური ზემოქმედება იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორია კონკრეტული ჯგუფური ინტერესები თუ ნაციონალიზმის ვერსიები.

სხვაგვარად, ნაციონალური იდენტობის სახელით ცნობილი მოვლენა თავის თავში მოიცავს როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ იდენტობას და მას ადგილი დამკვიდრებული აქვს როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ერთობაში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების ნებისმიერი მცდელობა არის იმავდროულად პოლიტიკური ქმედება თავისი პოლიტიკური შედეგებით – ისეთივე, როგორიც გეოპოლიტიკური რუკის ან პოლიტიკური რეჟიმებისა თუ სახელმწიფოების წყობის შეცვლა.

ნაციონალური იდენტობის პოლიტიკა გართულებულია ნაციის ცნების ორბუნებოვანების გამო. აქ იგულისხმება ნაციის ეთნიკური და ტერიტორიული მოდელები, რომლებიც | თავში იყო აღწერილი. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ორი სრულიად

განსხვავებული ტიპის ნაციონალური პოლიტიკური იდენტობისა და ერთობის შექმნის მცდელობა. პირველი (როგორც წესი, ისტორიული თანმიმდევრობა ასეთია) იყო პოლიტიკური ნაციონის ტერიტორიული ტიპი; მეორე პოლიტიკური ნაციონის ეთნიკური ტიპი. თითოეულ ამ შემთხვევაში შეინიშნება პოლიტიკური იდენტობისა და ერთობის საკმაოდ განსხვავებული მოდელი. ისინი, როგორც წინა თავში იყო განხილული, განსხვავებული კულტურული წყაროებით საზრდოობენ (ნეო-კლასიკური/რაციონალური და ინდიგენური/რომანტიკული). ამ თავში ვისაუბრებ უმთავრესად ტერიტორიული პოლიტიკური იდენტობებისა და ერთობების შექმნის მცდელობათა შესახებ, მომდევნო თავში კი შევეხები ამ მცდელობების შედეგად წარმოქმნილ ეთნიკურ რეაქციებსა და პოლიეთნიკური სახელმწიფოს პრობლემებს.

იმპერიების ნაციებად ბარდაქმნა

ისტორიკოსები, ჩვეულებრივ, ერთმანეთისგან განასხვავებენ დასავლეთის "ძველი ნაციების" ბუნებრივი წარმოშობის პროცესსა და ნაციონის მიზანმიმართულ ფორმირებას აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში. მეთვრამეტე საუკუნის დასავლეთ ევროპაში ნაციებს ყველანაირი თვალსაზრისით ჰქონდათ თავისი კუთვნილი ადგილი, სანამ დაიწყებოდა ნაციონალიზმის, იდეოლოგიის, ენისა და მისწრაფებათა გამოკვეთის პროცესი. დასავლეთის გარე სამყაროში ნაციების ჩამოყალიბება მოჰყვა ნაციონალიზმის შესატყვის გარემოში დიფუზიას. დასავლეთ ევროპაში ნაციების წარმოქმნა მეტწილად დაუგეგმავი იყო. დასავლეთს მიღმა კი მათი შექმნა ძირითადად ნაციონალისტური მიზანდასახულობისა და მოძრაობების შედეგი გახლდათ. დასავლეთში თითქმის შემთხვევით იშვა ნაციები, დედამიწის სხვა კუთხეებში კი გეგმაზომიერად შეიქმნა.¹

დასავლური თვალთახედვით ეს განსხვავება სავსებით იმსახურებს ყურადღებას. მესამე თავში ვამტკიცებდი, რომ დასავლეთის – ანუ, პირველი – ნაციები უფრო ადრეული ხანით თარიღდებიან, ვიდრე თავად ნაციონალიზმი. აქედან გამომდინარე, ნაციების წარმოშობა იყო არისტოკრატიული ლატერალური ეთნის მიერ ბიუროკრატიული ინკორპორაციის პროცესის დაუგეგმავი შედეგი. ამ ეთნის მმართველ კლასს, რაგინდ მდიდარი წარმოსახვის პატრონები ვიყოთ, მაინც ვერ დავარქმევთ "ნაციონალისტურს". მაგრამ აქაც კი სიფრთხილე გვმართებს. პასუხისმგებელ შეკითხვად რჩება ის, თუ რა წილი უდევს XV ს-ში დაწყებულ, იაკობინურ და

მისგან გამომდინარე ნაციონალიზმებთან დაპირისპირებულ, სამეფო ცენტრალიზაციისა და ჰომოგენიზაციის პროცესს ფრანგი ნაციის ჩამოყალიბებაში. "ჩანაფიქრის" ელემენტის სრული უგულებელყოფა არც ინგლისისა და, მოგვიანებით, არც ბრიტანეთის შემთხვევაში არ ეგების. ამას მონაწილეობს ტიუდორებისა და სტიუარტების მიერ ქვეყნის ცენტრალიზაცია და რომის პაპსა და ესპანეთთან დაპირისპირება, ისევე როგორც, პურიტანული ეთნიკური "ნაციონალიზმის" გავლენის განმტკიცება და ბრიტანეთში ნაციონალური გრძნობების აზვირთება 1770-1820 წლებში.²

მიუხედავად ზემოთქმულისა, სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ დებულება, რომ არადასავლურ მაგალითებთან შედარებით, ნაციონალიზმისა და იმ მოძრაობის ხვედრითი წილი, რომელიც დასაბამს აძლევდა ნაციების წარმოქმნას იქ, სადაც მათი ნასახივ არ იყო, გაცილებით ნაკლებია დასავლური ნაციების მომდევარების პროცესში. არადასავლურ მაგალითებში ნაციების ჩამოყალიბების პროცესში საკუთრივ ნაციონალისტური ელემენტი, როგორც იდეოლოგიური მოძრაობა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ნაციონალური იდენტობის "გამოგონებასა" და "აგებაში" ნაციონალიზმის როლი სხვადასხვაგვარია. ეს დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იყო ლოკალური ეთნოსის კონფიგურაცია ნაციის შექმნამდე. ამ პროცესზე გავლენას ახდენს ასევე წინამავალი პოლიტიკური სისტემისა და ინსტიტუციების ხასიათი და ქმედითუნარიანობა.

მე-3 თავში ერთმანეთისგან გავმიჯნეთ ნაციის ფორმირების ორი გზა. ერთი არის ბიუროკრატიული ინკორპორაციის პროცესი, რომელსაც ტერიტორიული და სამოქალაქო პოლიტიკური ნაციის ჩამოყალიბებამდე მივყავართ, მეორე კი - ვერნაკულური მობილიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც იქმნება ეთნიკური და გენეალოგიურ-პოლიტიკური ნაციების მოდელი. ამჯერად თუ პირველით შემოვიფარგლებით, დასავლეთის ფარგლებს გარეთ იგი უნდა დავყოთ "იმპერიულ" და "კოლონიურ" მიმართულებებად. ამ დაყოფის საფუძველი კი უნდა იყოს ნაციების ფორმირების წინა პერიოდის პოლიტიკური სისტემის ხასიათი და ქმედებანი. პირველ შემთხვევაში შესწავლის ობიექტად ქცეული ერთობა ფორმალურად სუვერენული და დამოუკიდებელია; მას სჭირდება არა უცხო მმართველობისაგან განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ თავისი პოლიტიკური სისტემის და კულტურული თვითდენიციის გარდაქმნა. მეორე შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს არა მარტო ახალი კულტურული იდენტობა, არამედ არსებული პოლიტიკური ერთეული უცხო ძალისაგან უნდა გა-

თავისუფლდეს და დამოუკიდებელ და სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულად გარდაიქმნას.

დავინყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებით და "იმპერიული" მიმართულებით. როგორ ყალიბდება ამ შემთხვევებში ნაციონალური პოლიტიკური იდენტობა? როგორ იყო ან არის შესაძლებელი "კომპაქტურ" პოლიტიკურ ერთობებად, "ტერიტორიულ ნაციებად" გარდაქმნა ისეთი სახელმწიფოების ან იმპერიებისა, როგორიცაა, მაგალითად, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია, სპარსეთი, ოსმალეთი და ეთიოპია?!

ის პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც დასაბამს აძლევენ ნაციის შექმნის პროცესს და განსაზღვრავენ მიმართულებას და სახული მიზნის მისაღწევად, მოიცავდა შემდეგ მახასიათებელ ნიშან-თვისებებს:

1. მათ "ლატერალურ" ეთნის აქვს არისტოკრატიული საფუძველი. მათში თუმცა შესაძლებელია იყოს დემოკრატიული ელემენტებიც (როგორც რუსეთის, ეთიოპიის, თურქეთის, იაპონიის შემთხვევაში), სახელმწიფო მაინც მთლიანად გაჯერებულია არისტოკრატიული კულტურითა და ტრადიციებით, რომელთაც ხშირად ატყვიან რელიგიისა და სამღვდელოების კვალი.
2. ისინი მოიცავენ მნიშვნელოვან ეთნიკურ უმცირესობებს. ამ თვალსაზრისით, თავს იჩენდა მნიშვნელოვანი განსხვავებანი: ზოგიერთი იმპერია შეიცავდა ბევრ და მრავალრიცხოვან ნაციონალურ უმცირესობას (მაგალითად, რუსეთი, ეთიოპია, ოსმალეთი), ზოგიერთი – მხოლოდ მცირეოდენს (იაპონია).
3. მათ ბიუროკრატიულ სახელმწიფოებში ხორციელდება "მოდერნიზაცია". ამ შემთხვევაშიც არის განსხვავება ხარისხში (შეადარეთ იაპონია ოსმალეთს ან ეთიოპიას). მოდერნიზაციის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეთნიკური ბირთვისა და მმართველი კლასის კონსოლიდაციის ხარისხი და რამდენად დიდი გავლენა აქვთ მათ დაქვემდებარებულ ეთნიებსა და კლასებზე.
4. "ოფიციალური" და ინსტიტუციური ნაციონალიზმის ხშირი გამოყენება. იმისათვის, რომ შეძლოს თავისი სამფლობელოს კონსოლიდაცია და მოსახლეობა ჰომოგენურ და კომპაქტურ ნაციად გარდაქმნას, მმართველი კლასი ცდილობს ეთნიკური უმცირესობების ასიმილირებას ნაციონალიზმის საგანმანათლებლო პროგრამით, რომელ-

საც ზურგს უმაგრებს ძირითადი ინსტიტუტები. ამ მიზნის განსახორციელებლად ისინი ხელს უწყობენ ნაციის იმ ოფიციალური, სახელმწიფოებრივი იდეებისა და სახეების წინ წამოწევას, რომლებიც ყველამ უნდა მიიღოს და რომლებიც ყველა სხვა იდეის, სიმბოლოსა თუ გამოხატულების სანიღდარია.

რამდენად წარმატებული აღმოჩნდა იმპერიული გზა, რომელსაც ოფიციალური ნაციონალიზმის პროგრამა სახავდა? როგორ მოახერხა მან ეთნიკური სახელმწიფოებისა და იმპერიების კომპაქტურ ტერიტორიულ პოლიტიკურ ნაციებად გარდაქმნა?

წარმატება ამ სფეროში დამოკიდებულია როგორც გეოპოლიტიკურ, ისე სოციალურ ცვლილებებზე. თემა უფრო რომ გავშალოთ, მოძრაობა, რომელიც ნაცია-სახელმწიფოს შექმნას ისახავს მიზნად, მით უფრო წარმატებულია, რაც უფრო სწაფად ახერხებენ დომინანტური ეთნი და მისი მმართველები იმპერიული მემკვიდრეობისაგან გათავისუფლებას. ეს ხდება, როგორც წესი, საზღვრების შეკვეცის გზით, როგორც მოხდა თურქეთის შემთხვევაში; ანდა, როდესაც იმპერია არ მოიცავს არც მომიჯნავე და არც ზღვის გადაღმა სხვა ტერიტორიებს და მათ ეთნიკურად განსხვავებულ მცხოვრებთ, როგორც, მაგალითად, იაპონიაში.

სოციალურად, ნაცია-სახელმწიფოს შექმნისაკენ მიმართული მოძრაობა მით უფრო სწრაფია, რაც უფრო სწრაფად და ეფექტიანად ხდება ძველი მმართველი არისტოკრატიის შეცვლა (არა აუცილებლად ძალადობის გზით) საშუალო და დაბალი კლასების მიერ, რომლებიც იმავდროულად ითავისებენ და ინარჩუნებენ მათ ეთნიკურ კულტურულ მემკვიდრეობას. ამ კულტურული და პოლიტიკური მემკვიდრეობის ძალიან კატეგორიული უარყოფა იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს ალტერნატიული ქმედითი დემოკრატიული ერთობა, რომელიც დომინანტური ეთნიკური ბირთვის ფუნქციას იკისრებს, სამომავლოდ იდენტობის პრობლემებს შექმნის.

ამ კრიტიკურობით თუ ვიმსჯელებთ, ტერიტორიული პოლიტიკური ნაციის ჩამოყალიბების იმპერიულ მიმართულებას მხოლოდ ნაწილობრივი წარმატება აქვს. ამის დანახვა შესაძლებელია რამდენიმე მაგალითის გათვალისწინებით.

1. რუსეთში ცარიტული მმართველობის უკანასკნელი საუკუნე აღინიშნა ორი მნიშვნელოვანი პროცესით: ერთი, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუციების მოდერნიზაცია (რომელიც ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა) და, მეორე, ოფიციალური

ნაციონალიზმის საშუალებით იმპერიის მოსახლეობის დიდი ნაწილის გარუსება და რუსული კულტურისა და მართლმადიდებლობის დანერგვის გზით მათი ასიმილაცია. ამავე დროს, თავად რუსული დომინანტური ეთნიკური ბირთვის შიგნით მმართველთა და მართულთა შორის არსებული ბზარი თანდათან ფართოვდებოდა (1861 წ. ბატონყმობის გაუქმების მიუხედავად); არისტოკრატიის ვესტერნიზებული კულტურა და ორთოდოქსული რწმენა და რიტუალები გლეხთა მასებში გამოხატავდნენ ურთიერთასპირისპირო ხედვას "რუსეთისა".³

ოქტომბრის რევოლუციამ უარყო ორივე ეს თვალთახედვა მარქსისტული "პროლეტარული" ალტერნატივის სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი იღვწოდა, რათა რუსეთის იმპერია ყველაზე მნიშვნელოვანი პერიფერიული ეთნიკების საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციად ექცია. მაგრამ სამოქალაქო ომმა, "სოციალიზმის აშენებამ ერთ ქვეყანაში" და, განსაკუთრებით, ნაციისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის საშიშროებამ დიდი რუსული ნაციონალიზმის ტრადიციული, რელიგიურიც კი, მემკვიდრეობისაკენ ნაწილობრივი შემობრუნება გამოიწვია. დღეს ეს მემკვიდრეობა უფრო აშკარა სამიზნედ არის ქცეული, თუ ინსტიტუციურ დონეზე არა, კულტურულ დონეზე მაინც. ამავე დროს, ისეთმა ნაწილობრივმა უკანდახევაამაც კი, როგორც იყო *პერესტროიკა*, არარუსი დემოტური ეთნიკების ნაციონალისტური მოთხოვნების გაზრდა გამოიწვია, რამაც საფრთხე შეუქმნა როგორც სოციალისტურ ხედვას, ისე მის ფედერალურ გამოხატულებას.⁴

ამ გარემოებათა გამო აუცილებელი შეიქმნა საბჭოთა კავშირის სოციალისტური ნაციების უფრო ძლიერი კოოპერირების პროგრამისათვის ხელის შეშლა და მათი შერწყმის, *sine die* შეფერხება. ადვილად ველარ ვინინასწარმეტყველებთ საბჭოური ნაციონალური იდენტობის ანდა საბჭოეთის პოლიტიკური ერთობის ზრდას. ახლა ისინი მხოლოდ და მხოლოდ ისე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც განცალკევებული ნაციონალური იდენტობებისა და პოლიტიკური ერთობების ჭეშმარიტად ფედერალური თანამეგობრობა.⁵

2. *თურქეთი*. ოსმალთა მმართველობის უკანასკნელი სამოცდაათი წელიწადი წარმოადგენს იმპერიის (Tanzimat) საფუძვლის რეფორმირების წარმატებულ ცდას. მათ შორის იყო "ოსმანიზმი" თანასწორობის და მოქალაქეობის მინიჭების გზით ყველა დაპყრობილი ხალხებისათვის და "ისლამიზმი" აბღულ შამიდის დროს.

ეს უკანასკნელი ზრუნავდა ისლამური მოსახლეობის კეთილდღეობისათვის და, ამავე დროს, არ კრძალავდა მოქალაქეობის უფლებას დანარჩენებისათვის.

არისტოკრატიული ისლამური ელიტის მიერ იმპერიის მოდერნიზაციის ცდები ჯერ იმპერიის ქრისტიანული და, შემდეგ, მუსლიმური ნაწილის ჩამოცილებისთანავე მარცხით დამთავრდა. ამ დროს ინტელექტუალთა წრეებში ახალი პან-თურქისტული იდეოლოგია წარმოიშვა, რომელიც 1908 წლის აჯანყების შემდეგ პროფესიონალთა და სამხედროთა ნაწილმაც აიტაცა. ამ პროცესმა იმპერიისაგან არაბული და სხვა არათურქული ნაწილის გამოყოფა გამოიწვია.⁶

ეს ის თურქული იდეალი იყო, რომლის მეტისმეტი ანატოლიური ირედენტიზმი შეიზღუდა და რომელიც ქემალ ათათურქმა თავისი სეკულარული დასავლური ნაციონალიზმის საფუძვლად აქცია, რის წყალობითაც თურქული მიწები თანდათან ჩამოაცილა ოსმალურ იმპერიასა და ხალიფატს. მან უარყო ოსმანიზმი და ისლამი, ქალაქებში კი სოციალური და კულტურული მოდერნიზაციისათვის აუცილებელი რეფორმები გაატარა. ამის შედეგად მას სურდა იმპერიისათვის მიენიჭებინა ახალი აზრი – შეექმნა კომპაქტური პოლიტიკური ერთობა, რომელიც ანატოლიელი თურქების ეთნიკურ ნაციასთან იქნებოდა გათანაბრებული. მაგრამ ნაციის ამ ტერიტორიული და სამოქალაქო ცნებების რეალიზაციას ესაჭიროება ნაციონალური კულტურული იდენტობის სოლიდური ბაზისი. ქემალისტებმა ეს გარემოება კარგად გაიაზრეს და შეეცადნენ, ზემოხსენებული პროცესი გაემდიდრებინათ სათანადო ეთნიკური მითებით, მოგონებებით, ღირებულებებითა და სიმბოლოებით. მათ გამოიყენეს თურქების ცენტრალურაზიური წარმომავლობის, ოგუზ ხანიდან წარმომდგარი მათი უწყვეტი შთამომავლობისა და თავდაპირველი (დანმენდილი) ენის სიძველის (მზის ენის თეორია) თეორიები.⁷

მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულ ცნებას სრულიად აშკარა წარმატება ხვდა წილად, მისი ეთნიკური სარჩული სერიოზულ პრობლემებს წააწყდა. პატარა ქალაქებსა და სოფლებში ჯერ კიდევ ძალიან მძლავრი იყო ისლამური ლოიალობა და განწყობილებები. თურქულმა თეორიებმა და სიმბოლიზმმა ვერ აღმოფხვრა ეს მტკიცე ერთგულება თვით ვაჭართა შორისაც კი. პანთურქიზმმა შეინარჩუნა ხმაურიანი მიმდევრები. ამავე დროს, ალაგ-ალაგ მარქსიზმსაც თავისი მიმდევრები გაუჩნდა. კიდევ ერთხელ თურქული ნაციონალური იდენტობის შინაარსი, და არა ფორმა, ილუზიური აღმოჩნდა.⁸

3. ეთიოპია. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, მენელიკის მმართველობის დროს, გადაიქცა ეთიოპიის სახელმწიფო იმპერიად, რომელმაც მოიცვა დიდი რაოდენობით მუსლიმი მოსახლეობა, რამდენიმე ეთნიკური ერთობა და კატეგორია, როგორიც იყო გალა, სომალი, ოგადენი და სხვადასხვა ჯგუფები ერთორეაში. საუკუნეების მანძილზე აბისინიის პლატოს დომინანტური ეთნი იყო ქრისტიანი მონოფიზიტი ამჰარა; მაგრამ მხოლოდ მეოცე საუკუნეში გახდნენ ეთიოპიის მმართველები ოფიციალური ამჰარული ნაციონალიზმის მიმდევრები. ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ამჰარიზებული "ტერიტორიული ნაცია". პოლიტიკის მოდერნიზაცია დაიწყო იმპერატორ ჰაილე სელასიეს მმართველობის დროს 1960-იან წლებში. მაგრამ მისი ნაბიჯები ძალზე დაგვიანებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ იმპერატორს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები გადაელახა და ინტელიგენციის შემოტევისაგან თავი დაეღწია. 1974 წელს საშინელი შიმშილის შედეგად მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ გადაადგო იუდას ლომის მთავრობა [იუდას ლომი – ისრაელის მეფეთა სიმბოლო – იყო ასევე ეთიოპიის სამეფო დინასტიის სიმბოლოც, რადგან ეთიოპიური ტრადიციით, რომელიც მე-13 საუკუნეში შემუშავდა და ჩაინერა ისტორიულ წიგნში "კებრე ნეგესტი" (მეფეთა დიდება), ეთიოპიის სამეფო დინასტიის ფუძემდებელი მენელიკ I იყო ისრაელის მეფის სოლომონისა და დედოფალ შებას შვილი – მთარგმნ. შენ.], მაგრამ ამ მთავრობის მოდერნიზაციისა და ცენტრალიზაციის პოლიტიკა გაგრძელდა. ეს პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით უპირისპირდებოდა ტიგრეელთა, გალას, სომალისა და ერთორეას ეთნიკურ სეპარატიზმს და, საზღვრების დაცვის თვალსაზრისით, კიდევ უფრო სასტიკ ხასიათს იღებდა. რაც შეეხება მათ მარქსისტულ ანტიქრისტიანულ და მინის რეფორმის პროგრამებს, ისინი მჭიდროდ უკავშირდებოდა ხელახალი ეთნიკური განსახლების პოლიტიკას; ეს პოლიტიკა კი მიზნად ისახავდა სოციალისტური აფრიკული ტერიტორიული ნაციის ჩამოყალიბებას დერგისეული თვალსაზრისის საფუძველზე. [დერგი ეწოდებოდა სამხედრო ხუნტას, რომელიც ეთიოპიას მართავდა ჰაილე სელასიეს გადაგდების შემდეგ 1974-1987 წწ. – მთარგმნ. შენ.] აქაც იდენტობის პრობლემები იყო ჩართული. მონოფიზიტურ ეკლესიაზე შეტევის მიუხედავად, ამჰარა დომინანტურ ერთობად დარჩა. მენგისტუს რეჟიმმა მოახდინა მარქსისტული და ამჰარული ქრისტიანული სიმბოლიკის შერწყმა. [მენგისტუ ჰაილე მარიამი (დაბ. 1937) იყო ეთიოპიის სახელმწიფოს მეთაური 1977–1991 წწ. ამ ხნის მანძილზე ეთიოპიაში მმართველი პარტია

იყო "ეთიოპიის მუშათა პარტია", რომელიც მენგისტუს უჭერდა მხარს. – მთარგმნ. შენ.] ეთიოპიის საზღვრების შენარჩუნება უფრო მენელიკის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე მარქსის. არისტოკრატიულ-კლერიკალური წარსულის გადამეტებულ უარყოფას, შესაძლოა, ეთიოპიის არსებობისათვის აზრი დაეკარგა, ამისათვის კი საჭირო იყო ახალი საზღვრების გავლება.⁹

4. იაპონია უდავოდ ნაციონალიზმის გზით იმპერიის მოდერნიზაციის ყველაზე წარმატებული მაგალითია, მაგრამ აქაც კი მწვავედ დგას იდენტობის პრობლემები როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ დონეზე.

ყველა სხვაზე მეტად ჰომოგენური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე მყარი იაპონელთა ეთნიკური ერთობაა. ის ადრე შუა საუკუნეებში ჰეიანისა და ნარას იმპერიების მემკვიდრეობის საფუძველზე წარმოიშვა და, ფეოდალი მინათმფლობელების ხანგრძლივი სამოქალაქო ომების მიუხედავად, გაერთიანდა. ასე წარმოიშვა კამაკურას, აშიკაგას და ტოკუგავას შოგუნატები – ფეოდალური სახელმწიფოები, რომლებშიც ერთმანეთის მიყოლებით სამი სხვადასხვა ფეოდალური გვარი ბატონობდა. [კამაკურა (1185-1333), აშიკაგა (1336-1573), ტოკუგავა (1603-1868) – მთარგმნ. შენ.] მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში იაპონია განვითარდა, როგორც ეთნიკური სახელმწიფო, სადაც მხოლოდ ერთი მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობა აინუ (მოგვიანებით მათ შედარებით უფრო ჩრდილოეთით მცხოვრები კორეელები შეემატნენ) ცხოვრობდა. ტოკუგავას ფეოდალურმა აბსოლუტიზმმა სახელმწიფო და ეთნი ერთ მთლიანობად შეადუღა იმით, რომ მკაცრად დააკანონა საზღვრები, რომლებიც იაპონიას გარე სამყაროსაგან გამოყოფდა.¹⁰

1868 წლის მეიძის რესტავრაციამ სამურაების დაჯგუფებების ხელმძღვანელობით, შოგუნალური სისტემა მოდერნიზებული იმპერიით შეცვალა, რომელიც, მართალია, საგარეო ფაქტორთა ზეგავლენისათვის უფრო ღია იყო, მაგრამ გამალებით ეშურებოდა იმპერიის მფარველობით პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის გატარებასა და ამით დასავლეთთან პოლიტიკური თანასწორობის მიღწევას.

ამ მიზნისათვის მეიძის ელიტამ გამოიყენა კონფუციანიზმისა და ადგილობრივ გლეხთა ტრადიციები. ეს ტრადიციები მდგომარეობდა ბატონის ერთგულებაში, ოჯახის კულტსა (ie) და სასოფლო თემში (mura). მათი შეშვებით გაძლიერდა მმართველობის იმპერიული სისტემა; პოლიტიკურად პასიური და ეკონომიკურად

დანანევრებული ეთნიკური ერთობა გარდაიქმნა უფრო მჭიდრო, ეკონომიკურად ცენტრალიზებულ და მობილიზებულ პოლიტიკურ ერთობად და ამგვარად შეიქმნა იაპონიის ნაციონალური და პოლიტიკური იდენტობა. ასე რომ, მეიძის პოლიტიკურმა ნაციონალიზმმა შექმნა თანამედროვე იაპონიის ნაცია არისტოკრატიული (სამურაების) კულტურისა და ეთნიკური სახელმწიფოს საფუძველზე; მან, ამავე დროს, გამოიყენა გლეხების დემოკრატიული ტრადიციები, რომელთა ინტეგრაციაც შესაძლებელი იყო მაშინდელ იმპერიულ სისტემაში.¹¹

თუმცა იაპონელთა ნაციონალური იდენტობა ძლიერ ეთნიკურ ბაზისს ემყარება, ამ შედეგებმა პრობლემები შეუქმნა თანამედროვე იაპონელ ნაციას. იმპერიული სისტემა (tennousei) აგრესიული ნაციონალიზმისა და ფაშიზმის თავშესაფარი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს. მაგრამ შემდგომ იაპონელთა ნაციონალურმა იდენტობამ დაკარგა ყოფილი მისტიკურობა და პოზიცია და გარკვეული დროით მაინც ჩრდილში მოექცა. ამ ლოიალობის დათმობის საფასური იაპონიის ნაციონალური პოლიტიკური იდენტობის საფუძვლების შერყევა იყო, თუმცა ზოგიერთი ფრთხილად, მაგრამ მაინც ესარჩლებოდნენ "რევივალისტურ" პოლიტიკურ ნაციონალიზმს. პოლიტიკური ნაციონალიზმის ადგილს იაპონური ნაციონალური განსხვავებულობის განცდა იკავებს. კერძოდ, ნაციონალური განსხვავებულობის ეს იდეა ლიტერატურაში ცნობილია, როგორც nihonjinron (ნიჰონძინრონ – დისკუსიები იაპონურობის შესახებ). ამგვარი იდეა ნაციონალური კულტურული იდენტობის გადაფასებით დაკავებული ნებისმიერი კულტურული ნაციონალიზმის არსებითი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ ნიჰონძინრონ-ის იდეა ჩამოაყალიბეს სხვადასხვა ფენიდან გამოსულმა ინტელექტუალებმა, ის სწრაფად აიტაცა იაპონიის მსხვილი კომპანიების ბიზნეს-ელიტამ, რომელიც ამგვარად იაპონიის განსხვავებული სოციალური და პოლისტიკური (ერთიანი) კულტურის არსებობას უსვამდა ხაზს. მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება, რამდენად მოხერხდება იაპონური ნაციონალური იდენტობისათვის მყარი და გამოკვეთილი კულტურული თუ პოლიტიკური საფუძვლის შექმნა.¹²

ამ მაგალითებში გამოჩნდა, თუ როგორ ხდება ნაციონალიზმის – იდეოლოგიისა და სიმბოლიზმის მეშვეობით ნაციონალური პოლიტიკური იდენტობის ახალი ცნების დამყნობა "ლატერალური" ეთნის წარმოშობამდე არსებულ იდენტობაზე. ეს პროცესი მხოლოდ ნაწილობრივ იყო წარმატებული, რადგან დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად ჰომოგენური იყო სახელმწიფოს მო-

სახლეობა კულტურული თვალსაზრისით და რამდენად შეეძლო მას იმპერიისაგან ანუ კულტურულად განსხვავებული ერთობებისაგან გათავისუფლება, თუ ეთნიკურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. სადაც ეს პროცესი შედარებით წარმატებით წარიმართა, ნაციონალისტურმა იდეალებმა და სიმბოლოებმა ხელი შეუწყეს იმპერიული სახელმწიფოს ხელახალ გააზრებას და საკმაოდ კომპაქტურ ნაციად და პოლიტიკურ ერთობად მის ჩამოყალიბებას.

კოლონიების ნაციებად გარდაქმნა

არადასავლური სახელმწიფოების უმეტესობას დასაბამი მიეცა როგორც გარეშე, უფრო ხშირად კი ზღვის გადაღმა არსებული ევროპული სახელმწიფოების კოლონიებს. ასეთ შემთხვევებში მეტწილად შეინიშნება როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური იდენტობის არარსებობა. ნებისმიერი იდენტობა თუ სოლიდარობა, რომელიც კოლონიურ მოსახლეობას ჰქონდა, თავდაპირველად კოლონიური ხელისუფლების მიერ განხორციელებული შეერთების თუ სხვა ცვლილებების შედეგი იყო. რამდენიმე მაგალითი რომ ავიღოთ, თუნდაც ოქროს ნაპირი, ნიგერია, სპილოს ძეღის ნაპირი, ბელგიის კონგო, კენია, ეგვიპტე, ერაყი,

ინდოეთი, ბირმა თუ ინდონეზია, აქ ნაციები თავისი საზღვრებითა და ხასიათით, როგორც წესი, ხელოვნურად იქმნებოდა (და ახლაც იქმნება) კოლონიური სახელმწიფოების მიერ.

არსებობს ვრცელი ლიტერატურა კოლონიური სახელმწიფოს შესახებ. თუ გავითვალისწინებთ ევროპული კოლონიური პოლიტიკის – ფრანგული, ბელგიური, პორტუგალიური, ბრიტანული, იტალიური, გერმანული და რუსული (ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში) – მრავალფეროვნებას, კოლონიალიზმის გავლენის შესახებ ნებისმიერი განზოგადება სახიფათოა. მაგრამ ზოგიერთი ასპექტი, რომელიც, შესაძლოა, ყოველთვის მართებულად არ მიგვაჩნია, მაინც ფართოდ არის გავრცელებული.

ამაში იგულისხმება შემდეგი:

1. კოლონიური სახელმწიფოსა და მისი ადმინისტრაციული ელიტისათვის უცხო ეთნიკური ბაზისი. როგორც ალავიმ (Alavi) გაარკვია, კოლონიური სახელმწიფო ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ნიალიდან არ ამოზრდილა; არამედ ეს იყო მეტროპოლიის საზოგადოების ნაზავი მმართველობის ისეთ განსაკუთრებულ ფორმებთან, რომლებსაც არ შეინყნარებდნენ მეტროპოლიაში. სხვაგვარად, კოლონიური სახელმწიფო იყო კულტურულად გან-

- სხვავებული პოლიტიკური ერთობისა და მისთვის უცხო აღმასრულებელი ინსტრუმენტის ჰიბრიდი.¹³
2. პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და მოლაპარაკებების ადმინისტრაციული საზღვრების ისეთი გზებით შექმნა, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს ეთნიკურ საზღვრებს. ასეთ პირობებში ბიუროკრატიის მეშვეობით ხდება ადრე ცალ-ცალკე არსებული ეთნიკური ერთობებისა და კატეგორიების ერთ პოლიტიკურ სისტემად გაერთიანება. კოლონიური სახელმწიფო არა მარტო აფართოვებს თითოეული გაერთიანების მასშტაბებს (ეს ეხება ინდოეთსაც, რომელიც მხოლოდ ცოტა ხნით, მაურის მმართველობის დროს, იყო გაერთიანებული), არამედ პირველად ახერხებს არსებული პოპულაციის ურთიერთქმედებისა და ლოიალობისათვის აუცილებელი ტერიტორიული სივრცის განსაზღვრას.¹⁴
 3. ამ სივრცეზე დაფუძნებული და შემოსაზღვრული ტერიტორიული პატრიოტიზმის ზრდა. ამ მთლიანად ახლებურ ტერიტორიულ პატრიოტიზმს უშუალოდ ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა ნერგავდა (უფრო ნაკლებად ეს ეხება ფრანგულ დასავლეთ აფრიკას, სადაც აფრიკელი ელიტა ატარებდა საფრანგეთთან "იდენტურობის" პოლიტიკას); ტერიტორიულ პატრიოტიზმს ასევე კვებავდა ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლა და ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულაცია, რომელსაც კოლონიური რეჟიმი ახორციელებდა თითოეული ასეთი ტერიტორიის შიგნით. საბოლოო შედეგი იყო ელიტაში "ნიგერიის", "კენიის", "ბირმისადმი" ერთგულების გრძნობის გაღვივება.¹⁵
 4. თითოეულ კოლონიაში პროფესიონალთა და განათლებულთა ფენის აღზევება, რაც ან უშუალოდ კოლონიური პოლიტიკის შედეგია, ანდა უმალლესი განათლების მონაპოვარი (როგორც ბელგიურ კონგოში). ეს "ინტელიგენცია", როგორც ნესი, გადამწყვეტ როლს თამაშობს შემდგომ ნაციონალისტურ მოძრაობაში.¹⁶
 5. მისიონერების და სამისიონერო განათლების და კიდევ სხვათა მიერ ნაკარნახევი, ემანსიპაციისა და კოლონიური მმართველობისაგან გათავისუფლების იდეალები. აი, აქ ყველაზე აშკარად იგრძნობა კავშირი ინტელიგენციასთან. სწორედ ეს ფენა იყო ყველაზე მეტად შთაგონებული

ამგვარი იდეალებით და ცხოვრებაში ამ იდეალების რეალიზაციის გზებს ეძებდა.

6. ინდიგენური (ადგილობრივი) ხალხების და მათი კულტურების გაუფასურება მაშინაც კი, როცა ისინი კოლონიურმა ბიუროკრატებმა, ვაჭრებმა და ჯარისკაცებმა შემოინახეს – ზოგჯერ შერჩევის საფუძველზე – და ხშირად მკაცრი რასობრივი მოტივებით.¹⁷

იმ ნაციონალიზმებს, რომლებიც კოლონიური გარემოსთვისაა ნიშანდობლივი, ბევრი მწერალი განსაზღვრავს, როგორც "ანტიკოლონიურს". აქ იგულისხმება, რომ ამ მოძრაობის პროტენციული ამონურულია მას შემდეგ, რაც მიიღწევა მათ მიერ დასახული მიზანი – დამოუკიდებლობა. ეს არ არის "ნამდვილი" ნაციონალისტური მოძრაობები, რადგან მათი შედეგი არ არის არც რეალური და არც პროტენციური ნაციის წარმოშობა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როგორც არის სომალთა). არსებობს ამ ანტიკოლონიალიზმის კიდევ ერთი ასპექტი: მისი დასავლური (ვესტერნიზებული) ორიენტაცია, რისი თანამდევიცაა მისი მხარდაჭერი ინტელიგენციის უგულბელებოება. ეს ნაციონალიზმები არის ანტიკოლონიური, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და იმ თვალსაზრისით, რომ მათ დასაბამს აძლევს ინტელიგენციის ბიუროკრატებიდან გამოთიშვა და რომ ისინი მიმართულნი არიან ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. დაუბრუნდეთ ინტელექტუალების – ახლა უკვე ინტელიგენციის – აღშფოთებას, განრისხებასა და იმედგაცრუებას, გამონვეულს მათი ამ დაუშახურებელი უგულბელებოებით. ამ განწყობას ამძაფრებს ინტელიგენციის დიდი ნაწილის დასავლეთისა და მისი ღირებულებებისადმი გამოვლენილი ცალმხრივი სიყვარული. სინამდვილეში, კოლონიური ნაციონალიზმები მკვდრადშობილია. ისინი იმიტაციური "ინტელიგენციის ნაციონალიზმებია", რომლებსაც არ ძალუძთ ნამდვილი ნაციის ფორმირება.¹⁸

ექვს არ იწვევს ის, რომ ინტელიგენცია მართლაც იყო გამოთიშული ბევრნაირი კოლონიური ბიუროკრატის მალალი ემელონებიდან. ამ გამოთიშვას ჰქონდა სტრუქტურული და კულტურული ხასიათი: კოლონიური ბიუროკრატის თანამდებობებისთვის შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანებისა და განათლებული პერსონალის სიჭარბე, რაც ხშირად შეხამებული (კომბინირებული) იყო თუნდაც მალალი კვალიფიკაციის მქონე შავკანიანი ან შერეული წარმოშობის კანდიდატების რასობრივ დისკრიმინაციასთან, განსაკუთრებით, ინდოეთსა და ბრიტანულ აფრიკაში, გაცილებით ნაკლებად კი – ფრანგულ დასავლეთ აფრიკაში.¹⁹ ეს

გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ განხორციელდა უფრო ადრე და უფრო დაჟინებით ბრიტანულ კოლონიებში ინტელიგენციის ნაწილის პოლიტიზაცია. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ შავკანიანთა მძლავრი კულტურული მოძრაობა საფრანგეთის ტერიტორიებზე ვესტ ინდში [კარიბის ზღვის კუნძულები - მთარგმნ. შენ.] და დასავლეთ აფრიკაში უფრო გვიან დაიწყო, იმას გულისხმობს, რომ ინტელიგენციის ბიუროკრატიული გამოთიშვა არის კოლონიური ნაციონალიზმების გენეზისის მხოლოდ ერთი, თუმც მნიშვნელოვანი, ფაქტორი. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პროცესში გარკვეული წვლილი მიუძღვის ინდიგენური კულტურების გაუფასურებასაც, ისევე, როგორც ნაწილობრივ ვესტერნიზებული ინტელიგენციის გლახთა მასებთან "დაბრუნების" მცდელობას.²⁰

ფაქტობრივად, კოლონიური ნაციონალიზმები არ დაიყვანება ერთ რომელიმე მამოძრავებელ ძალაზე, რარიც მნიშვნელოვანი და გავრცელებულიც უნდა იყოს იგი. ნაციონალიზმების მრავალფეროვნება ასახავს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს როგორც მათ საფუძველში, ისე გარეშე, ზემოქმედების მქონე ძალებში, როგორცაა კოლონიისა თუ რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონე, ინდიგენურ სოციალურ სტრუქტურებში კაპიტალიზმის შეღწევის ხარისხი, ადგილობრივი რესურსებისა და ინფრასტრუქტურის (პორტები, გზები) ხასიათი, მკვიდრი მოსახლეობის არსებობა, კოლონიური ეკონომიკის და პოლიტიკური გავლენის წნეხი თითოეულ ტერიტორიაზე, ასევე, ქალაქების ზრდის ტემპი, განათლებით უზრუნველყოფა. ყოველივე ეს იმ მრავალრიცხოვან ფაქტორთა შორისაა, რომელნიც განსაზღვრავენ ყოველი ცალკეული ნაციონალიზმის ვადებს, გავრცელების საზღვრებს, მიმართულებას და ინტენსივობას. ასევე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა კულტურულ ზემოქმედებას განიცდიდა ინტელიგენცია და ბურჟუაზია კონკრეტულ კოლონიაში. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბრიტანულ და ფრანგულ დასავლეთ აფრიკაში (*West Africa*), მაგალითად, რუსოსა და მილის გავლენამ ხელი შეუწყო ნაციონალური მოძრაობების მისწრაფებების, ენისა და იდეოლოგიის ჩამოყალიბებას ამ რეგიონში, მაშინ როდესაც ინდოეთში ამ გავლენას შემდგომ ზედ დაერთო ჰერდერისა და გერმანელი რომანტიკოსების, კერძოდ, აურობინდოსა და ტილაკის, ნააზრევის ზემოქმედება.²¹ ასევე, არაბი ნაციონალისტები ენის, ნაციონალური სულისა და მისიის - გერმანული რომანტიზმის ამ ცნებებით იყვნენ შთაგონებულნი მაშინ, როდესაც სიონიზმი რუსულმა პო-

პულიზმმა და დასავლურმა ლიბერალიზმმა ჩამოაყალიბა (პერკლის ფორმულირების თანახმად).²²

კოლონიური ნაციონალიზმების დასაბამის მიმცემი ფაქტორების ეს მოკლე მონახაზიც კი საკმარისია იმისათვის, რომ გამოაშკარავოს ტერმინ "ანტიკოლონიალიზმის", პირდაპირი მნიშვნელობით, მასშტაბები. მაგრამ განა ეს ელემენტარული მნიშვნელობაც კი არ ადასტურებს მათ საფუძველშივე "იმიტაციურ" და "რეაქციულ" ხასიათს?! განა აფრიკული და აზიური ინტელიგენცია თავის ნაციონალიზმს გარედან არ შეინოვდა და მას იმისათვის არ იყენებდა, რომ "შეექმნა ნაცია იქ, სადაც ის მანამდე არ არსებულა"?

ისევ და ისევ, უდავოა, რომ კოლონიური ინტელიგენციის მრავალი ნევრი თავის ნაციონალისტურ აზროვნებაში ევროპული წყაროების გავლენას განიცდიდა. ამ წყაროებს ის ენაფებოდა საზღვარგარეთ მიღებული განათლების ან მოგზაურობის შედეგად, ანდა ბიბლიოთეკებისა და შინ ნაკითხული წიგნების მეშვეობით. ძლიერი იყო დასავლური სამეცნიერო ლიტერატურის გავლენაც. სწორედ ჯონსის, მიულერის, რენანის, კაპუნის, არმინიუს ვამბერის, ციმმერის, რაისის (*Rhys*) და სხვების გამოკვლევების დახმარებით გახდა შესაძლებელი მოცემული რეგიონისათუ ერთობის ხასიათში, საზღვრებსა და პრობლემებში გარკვევა. მათივე დახმარებით გავრცელდა, შესაძლოა, ძალაუწებურადაც, არაევროპულ რეგიონებში ნაციონალიზმის ენა და ცნებები.²³

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გამოკვლევებს ნოყიერი ნიადაგი დაუხვდა. "იდეების გავრცელების" თეზისი მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის ნაციონალიზმის აღმოცენებას. ეს თეზისი სამართლიანია, როგორც შემდგომ დავინახავთ, მეტწილად, დემოტური ნაციონალიზმის შემთხვევაში. დემოტური ნაციონალიზმი კი, როგორც ვიცით, ემყარება "ვერტიკალურ" ეთნის და არა ტერიტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ იდენტობებს. ფაქტია, რომ აფრიკული, ლათინურამერიკული და აზიური ინტელიგენციის საკმაო ნაწილი გარკვეულ ვითარებაში ევროპულ რომანტიკულ და ნაციონალისტურ ზეგავლენას განიცდიდა, რაც ცალკე ახსნას მოითხოვს. ამ საკითხს შემდეგ თავში დავუბრუნდები.

ნაციების "გამომონება"?

აქ ჩვენ ვეხებით სამოქალაქო და ტერიტორიულ ნაციონალიზმებს, რომლებიც კოლონიური გარემოცვიდან ამოიზარდა, რათა გზა გაეკვლია ახალი პოლიტიკური იდენტობების შექმნისათვის

ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში. იყო თუ არა ეს იდენტობები მართლაც კოლონიური ინტელიგენციისა და მისი შთამომავლების გამონაგონი? როგორ შეიქმნა სინამდვილეში აფრიკის, აზიის და თუნდაც ლათინური ამერიკის ახალი ნაციები?

ევროპის გარეთ სამოქალაქო ტერიტორიული ნაციის შექმნის ორი მთავარი გზა არსებობს. პირველი არის "დომინანტური ეთნის" მოდელი, რომელშიც ახალი სახელმწიფოს ეთნიკური ბირთვის კულტურა იქცევა ახალი ნაციონალური პოლიტიკური იდენტობისა და ერთობის მთავარ ღერძად, განსაკუთრებით იქ, სადაც მოცემული კულტურა ამ ერთობის წიაღში წარმოისახება, როგორც "ისტორიული" და "ცოცხალი", როგორც, მაგალითად, ინდონეზიაში იავური კულტურა. მართალია, სხვა კულტურები განაგრძობენ აყვავებას, მაგრამ აღმოცენებული პოლიტიკური ერთობა დომინანტური ეთნის ისტორიულ კულტურაზეა დაფუძნებული.

ეგვიპტე ამის ნათელ მაგალითს წარმოგვიდგენს. მართალია, კოპტური უმცირესობა თავისუფლად განაგრძობს არსებობას, მაგრამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ენას – არაბულს და კულტურას – ისლამურს უპირატესობა ენიჭება, როგორც ოფიციალურ ნაციონალურ იდენტობას. ერთ დონეზე ეგვიპტე წარმოგვიდგენს კომპაქტური ტერიტორიული ნაციის საუკეთესო მაგალითს, მაგრამ მისი კულტურული იდენტობა ავლენს განსხვავებულ ისტორიულ პლასტებს, ისე რომ, ამ საუკუნეში წმინდად ეგვიპტური "ფარაონიზმი" შეიძლება თანაარსებობდეს უფრო ფართო, დომინანტურ ისლამურ არაბიზმთან. ეს კულტურული განსხვავებები პერიოდულად პოლიტიკურ სივრცეში გადაიღვრება ხოლმე: ადრეულმა პოლიტიკურმა სენტიმენტმა "ეგვიპტე ეგვიპტელებისათვის" ნასერის დროს გზა გაუხსნა ექსპანსიონისტურ დემოკრატულ არაბიზმს, მაგრამ მისი მემკვიდრეების დროს შესუსტდა და უფრო ვიწრო ეგვიპტურ ფოკუსში მოექცა. რამდენად შეიძლება ეგვიპტელი ლიდერები, რომ მათი სამოქალაქო, ტერიტორიული მოდელი უმრავლესობის ისლამურ სახალხო განწყობილებებს შეუხამონ, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. მაგრამ პრაქტიკულად ეგვიპტური ნაციის "გამოგონება" ერთობ გაძნელებულია ეთნო-რელიგიური თანაცხოვრების საბელებისა (კომუნალური ჯაჭვებისა) და სენტიმენტების წყალობით.²⁴

ბირმაშიც, მიუხედავად კონფლიქტის მაღალი დონისა, დომინანტური ბირმული კულტურის ცოცხალი და ისტორიული ხასიათი ზღუდავს ბირმული ნაციის ტერიტორიული "გამოგონების" ფარგლებს. სწორედ ბირმელები და მათი ისტორიული კულტურა

რა განსაზღვრავს ნებისმიერი ბირმული პოლიტიკური იდენტობის ხასიათს, და არა მხოლოდ დემოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით. საკმაოდ ხანგრძლივი კონფლიქტები არსებობს კარენის, შანის, მონისა და სხვა ეთნისთან ბირმული ეთნიკურობისა და ისტორიული კულტურის ქმედითუნარიანობის გამო მაშინაც კი, როცა მას ახშობს არსებული რეჟიმის იდეოლოგია და ასეთივე მძაფრი ეთნიკურობის განცდა უმცირესობათა ერთობებში.²⁵

კენიაშიც სრულიად აშკარაა კიკუიზაციის პროცესი. აქაც, სხვათა შორის, დომინანტური ეთნიკური ერთობა პერიოდულად განიცდის გამონევეას სხვა ერთობების, განსაკუთრებით, ლუოს მხრიდან. მიუხედავად ამისა, "კენიის" ტერიტორიული ნაციის ხასიათი დომინანტური კიკუიუს ერთობის მისწრაფებების, საჭიროებისა და კულტურის ძლიერ ზეგავლენას განიცდის. ასევე ზიმბაბვეში სწორედ შონას კულტურა და ისტორიული მეხსიერება განსაზღვრავს ზიმბაბვეს იდენტობის ნებისმიერ ცნობიერებას, თუმცა კი აქ არის საჭიროება იმისა, რომ დაკმაყოფილდეს ნდებელეს მნიშვნელოვანი უმცირესობის ერთობის მისწრაფებები.²⁶

ამ შემთხვევებში ნაციის აგების პროცესი უფრო ჰგავს ეთნიკური ბირთვის "რეკონსტრუქციას" და მისი კულტურის თანამედროვე სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობათა მისწრაფებებთან ინტეგრაციას, ვიდრე "გამოგონებას". ამ თვალსაზრისით, ეს პროცესი, გარკვეულწილად, ჰგავს გვიანი შუა საუკუნეების ევროპის სამეფოების სიტუაციას. ეს სამეფოებიც, როგორც დავინახეთ, ეთნიკური ბირთვების გარშემო იქმნებოდნენ, შემდგომ ფართოვდებოდნენ და მოსაზღვრე მიწებსა და აქ მცხოვრებ ეთნიკურ ერთობებს იერთებდნენ; ამის შემდეგ კი საჭიროება მოითხოვდა, შემოერთებული ერთობები დაეთრგუნათ ან შეეთვისებინათ. თუმცა აფრიკულ და აზიურ შემთხვევებში სრულიად განსხვავებულია როგორც ამ პროცესის ხანგრძლივობა, ისე მისი იდეოლოგიური კონტექსტი. მოცემულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში ახალი სახელმწიფოების მმართველობითი სისტემა, რომელიც საკმაოდ ძლიერი და უშუალო წნეხის ქვეშ არის მოქცეული, იძულებულია შექმნას ისეთი ტიპის ნაციები, როგორებიცაა ევროპასა და ამერიკაში, თუ ისინი გაუძლებენ კონკურენციას საერთაშორისო არენაზე. გარდა ამისა, იდეოლოგიურად ისინი "ნაციის აღმშენებლობის" ვალდებულებას იღებენ. ეს პრაქტიკულად ნიშნავს სახელმწიფოს აღმშენებლობას, რაც ნაციონალურ ინტეგრაციასა და მობილიზაციასთან არის კომბინირებული; ეს კი მოითხოვს ისეთი ნაციონალური პოლიტიკური და კულტურუ-

ლი იდენტობის ფორმირებას, რომელიც მოცემულ ერთობას აშკარად გამოარჩევს მისი მეზობლებისგან. ასეთ ვითარებაში დიდი საცდურია, გამოყენებულ იქნას სწორედ დომინანტური ეთნის კულტურული განსხვავებულობა იმისათვის, რომ ახალი ნაციის პოლიტიკური და კულტურული იდენტობა ჩამოაყალიბოს და, ამავე დროს, სახალხო, მასიური მობილიზაციის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანის გზით პოსტკოლონიურ სივრცეში შექმნას "ახალი" ნაცია.

კოლონიურ გარემოში სამოქალაქო ტერიტორიული ნაციის შექმნის მეორე გზა არის ახალი პოლიტიკური ერთობისთვის სუპრათნიკური "პოლიტიკური კულტურის" შექმნა. ამ შემთხვევებში არ არსებობს აღიარებული დომინანტური ეთნი. ახალი სახელმწიფო შედგება ან რამდენიმე თანაბრად მცირერიცხოვანი ეთნიკური ერთობისა და კატეგორიისაგან, რომელთაგან არც ერთს არ შეუძლია უპირატესობა მოიპოვოს სახელმწიფოში (ასეთია, მაგალითად, ტანზანია), ანდა რამდენიმე დაპირისპირებული ეთნისაგან, როგორც ეს ნიგერიაში, უგანდაში, ზაირსა და სირიაში გვხვდება.

ნიგერია წარმოგვიდგენს კლასიკურ მაგალითს. დაახლოებით ორასი და ორმოცდაათი ეთნიკური ერთობა და კატეგორია და სამი ყველაზე დიდი რეგიონული ეთნი, რომელიც მთელი პოპულაციის დაახლოებით ნი პროცენტს შეადგენს, ჩაბმულია პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონკურენციაში. ნიგერიის კოლონიურმა ტერიტორიამ, რომელიც შედარებით ახლო წარსულში შექმნეს ბრიტანელებმა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ არაერთგზის შექმნა საფუძველი ნაციის ჩამოსაყალიბებლად. დაახლოებით თანაბარი და ერთმანეთის კონკურენტი სამი მთავარი ეთნიკური ერთობის – ჰაუსა-ფულანის, იორუბასა და იბოს – თანარსებობის პირობებში ნიგერიის პოლიტიკური და კულტურული იდენტობის შექმნა ურთულესი ამოცანის გადაჭრასთან იყო დაკავშირებული. ამ შემთხვევაში საჭირო გახდა ორი სახელმწიფო გადატრიალება, იბოს მასიური ყლევტა და დამანგრეველი სამოქალაქო ომი იმისათვის, რომ დაწყებულიყო მოძრაობა ნიგერიის სამოქალაქო ტერიტორიული ნაციის იდეის ხორცშესასხმელად. ჰაუსა-ფულანის ნებისმიერი ეთნიკური კოალიციის პოლიტიკური ბატონობისთვის გამუდმებული მღელვარება უდაოდ პანნიგერიული იდენტობის პოლიტიკური გზით გამოწრთობის მცდელობას უნდა წარმოადგენდეს. ამრიგად, სახეზეა კულტურული და რელიგიური განსხვავებები, ზოგიერთი მოზრდილი ეთნის (ეფიკები, ტივი, იბიბიო) უმცირესობათა "ხაფანგში მოქცეული" სტატუსი

და სამი ყველაზე დიდი ერთობის უნარი, "შეაქუროს" მთავრობის მძიერ შექმნილი ახალი ადმინისტრაციული პოლიტიკური ერთეულები (ფედერალური მონყოების უპირატესობათა უფრო დიდი წილის შესანარჩუნებლად). ამიტომაც, კოლონიური გამოცდილებებისა და ნაციონალისტური ბრძოლის საფუძველზე ყოფილი დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე საერთო "პოლიტიკური კულტურის" შექმნის შანსები ჯერ კიდევ პრობლემატური ჩანს.²⁷

სხვა შემთხვევებში პოსტკოლონიური რეჟიმები ეცადნენ, შეგნებულად გამოენართოთ სუპრა-ეთნიკური "სამოქალაქო რელიგიები". ზაირი და სირია ამგვარი სტრატეგიის მაგალითებს გვანვიდნენ. ზაირში მობუტუს რეჟიმმა საგანგებოდ დანერგა და გავრცელა საერთო "ზაირული" სიმბოლოზში და რელიგია, რათა შეედუღებინა ცალკეული ეთნიკები და ეთნიკური კატეგორიები ზაირის ახალ ნაციაში. ეს ნაცია თავისუფალი უნდა ყოფილიყო ეთნიკური დაპირისპირებისაგან, რამაც ბიძგი მისცა ბელგიური კოლონიური ხელისუფლების სასწრაფო გადაყენებასა და კატანგას გამოყოფას.²⁸ სირიაში ასადის რეჟიმი ცდილობს ახალი სირიული სოციალისტური პოლიტიკური იდენტობის შეკავშირებას ორმაგ საფუძველზე: არმიაზე და ბა'ათის პარტიის იდეოლოგიაზე. მაგრამ ეს იდეოლოგია თავისი ხასიათით ძლიერ პანარაბულ და ისლამურ იდეოლოგიად რჩება, რომელიც ომაიადების ხანის ადრეარაბული დიდების ხსოვნასა და სიმბოლოებზეა დამყარებული და რომელიც ცდილობს, ააღორძინოს დამასკო, როგორც განახლებული არაბი ნაციის სატახტო ქალაქი; ამის საშუალებით კი გადალახოს ეთნიკური და სექტური განსხვავებები სირიის ფარგლებში.²⁹

გაცილებით უფრო რთული სიტუაციაა ინდოეთის სუბკონტინენტზე. მართალია, პენჯაბი დომინანტური ეთნიკური ერთობაა პაკისტანში, მის გარდა იქ არის რამდენიმე კონკურენტი ეთნიკული ისლამი, მართალია, ქმნის საფუძველს უფრო ფართო პოლიტიკური კულტურისა და შესაძლო ნაციონალური იდენტობის შესაქმნელად, მაგრამ ეს რელიგიაც მეტისმეტად პენჯაბურია თავისი ხასიათით. ასეთივე ფუნქცია აქვს ინდოეთში ჰინდუიზმს; მიუხედავად იმისა, რომ აქ არის დიდი რელიგიური უმცირესობები და კიდევ უფრო დაპირისპირებული ეთნიკები და რეგიონები. მოდერნული ბიუროკრატიული სახელმწიფო, რომელიც აქ ბრიტანელებმა შექმნეს, ძალით დაიკავა ჩრდილოეთისა და ცენტრალური რეგიონის ჰინდუ-ენოვანმა და ჰინდუ ელიტამ. ისინი ეცადნენ, შეერწყათ ინდოეთის მრავალი რეგიონი და ეთნიკური ერთობა ერთიან სეკულარულ ტერიტორიულ ნაციაში ურთიერთგადახ-

ლართული ინსტიტუციების წყების, ურთიერთგადასაყვითი ბმებისა და ჰინდუს მითების, სიმბოლოებისა თუ წეს-ჩვეულებების საშუალებით. პარადოქსულია, მაგრამ სოციალური რელიგია ქმნის ხოლმე კულტურული ჰომოგენურობის განზომილებას კასტების, რეგიონების, ენების და ეთნიკური ჯგუფების დასაშვებ (ურთიერთმისაღებ) მრავალფეროვნებაში. მასების მობილიზაციის უნარის მქონე ნაციონალისტების მიერ ჰინდუს მითოლოგიისა და ლიბულებების აღორძინება გახდა საერთო სტრატეგიის ნაწილი. ამ სტრატეგიის მიზანი კი იყო ისეთი ტერიტორიული პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ბრიტანული მმართველობის მიღწევებსა და საზღვრებზე, ასევე, საერთოინდურ სამოქალაქო სამსახურზე.³⁰

ინდური მაგალითი ააშკარავებს ორივეს: პოლიტიკური იდეოლოგიისა და იდენტობის ფაბრიკაციასა და მანამდე არსებულ ეთნო-რელიგიურ კავშირებსა და სიმბოლოებს, რომლებისგანაც ასეთი იდენტობა შეიძლება ჩამოყალიბდეს. ეს პროცესი შეიცავს იდენტობის როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ დონეს. ერთი მხრივ, "ინდოეთის" ახალი კულტურული ცნება, რომელიც დაფუძნებულია გმირული ინდოარიული წარსულისა და მისი ვედური და ჰინდური მემკვიდრეობის ხელახლა აღმოჩენაზე და რომელიც უნდა ფორმულირდეს და გავრცელდეს. მეორე მხრივ, ეს "ინდური" პოპულაცია უნდა მობილიზებულიყო, როგორც ერთიანი პოლიტიკური ძალა არა მარტო ბრიტანელთა, არამედ დარჩენილი ლოკალური კასტების, რეგიონული და ლინგვისტურ-ეთნიკური იდენტობების წინააღმდეგაც. სამოქალაქო და ტერიტორიულ ნაციონალიზმს უნდა შეექმნა ისეთი ჩარჩო, რომელიც წაახლისებდა უფრო დემოკრატიული ვერნაკულური ჰინდუს მასების მობილიზაციას. აქ, ზოგჯერ შეუთავსებლად, თანაარსებობს ნაციების ფორმირების ხსენებული ორი გზა, ზოგჯერ უშედეგო, რომელიც წარმოშობს "ინდოეთის" შთაგონებისა და ხედვის ალტერნატიულ მოდელს.³¹

მამ, რამდენად სამართლიანი იქნება ჩვენი მსჯელობა ინტელიგენციის მიერ კოლონიებიდან "ნაციების გამოგონების" თაობაზე? ამ შემთხვევათა უმრავლესობაში "გამოგონების" ელემენტი ორმაგად არის შეზღუდული: ჯერ ერთი, მას ზღუდავს კოლონიური ერთობებისა და საზღვრების "სინმიხდე" როგორც ახალი სამოქალაქო ტერიტორიული ნაციის საფუძველი; და, მეორე - დომინანტური ეთნის არსებობა, რომლის კულტურა და პოლიტიკური იდენტობა აუცილებლად განსაზღვრავს სახელმწიფოს, რეჟიმს და, ამდენად, ქმნადი ნაციის ხასიათს.

ეს მოდელი გვხვდება ინდონეზიაში, ფილიპინებზე, მალაიზიაში, ბირმაში, შრი ლანკაზე, გარკვეული ხარისხით, ინდოეთში, პაკისტანში, ერაყში, ეგვიპტეში, ალჟირში, სუდანში, კენიაში, გვინეასა და ზიმბაბვეში... ფაქტია, რომ ამ დომინანტური ეთნის სახელმწიფოების უმეტესობა სასტიკ ნინააღმდეგობას ხვდება ეთნიკური უმცირესობებისაგან. ეს ფაქტი ააშკარავებს იმას, რომ ახალი პოლიტიკური კულტურისა და მითოლოგიის "გამოგონება", როგორც საშუალება, რომელსაც შეუძლია ეთნიკურ იდენტობები გარემოცვას ან ამალღდეს მათზე (ეს შეეხება როგორც დომინანტურ, ისე უმცირესობის ეთნის), კრახს განიცდის. რადგან ამ პროცესის პარალელურად მიმდინარეობს საპირისპიროც - ეთნიკური ნაციონალიზმი ახორციელებს პერიფერიული, დემოტური ერთობების მობილიზაციას და ანიჭებს მათ ახალი პოლიტიკური თვითრწმენის განცდას.

დომინანტური ეთნიკების - და ნაციების - მცდელობა, მოდერნული სახელმწიფო გამოიყენონ იმისათვის, რომ მოახერხონ სხვა ეთნიკური ერთობების ინკორპორაცია დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისა და ნაციების შექმნის კვალდაკვალ, ხშირად იწვევს ბევრი დემოტური ეთნიდან მტკიცე ოპოზიციის ჩამოყალიბებას, რასაც ჯერ კიდევ სუსტი ახალი სახელმწიფო არა მარტო ვერ იმორჩილებს, არამედ, უბრალოდ, ვერ ითავსებს.²² სადღეისოდ არსებული მონაცემები მხარს ვერ უმაგრებს იმ თვალსაზრისს, რომ ამგვარ ტერიტორიულ "შესაქმეს" აქვს საკმაო რესურსები და გარანტირებული სტაბილურობა. მით უმეტეს, მას არ გააჩნია უნარი აღიჭურვოს ისეთი მისაღები პოლიტიკური კულტურით, რომელიც ეთნიკურობას გასცდებდა. ასევე, არ შესწევს იმის ძალა, რომ პოლიტიკური ბატონობისა და გაბატონებამდე არსებული ეთნიკური ერთობის კულტურის ლეგიტიმაცია მოახერხოს.

ახლა, რაც შეეხება ახალ სახელმწიფოებს, რომლებშიც ერთი ეთნი არის გაბატონებული. სად არის დიდი ალბათობა იმისა, რომ უფრო მისაღები პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური ერთობა შეიქმნება ასეთ შემთხვევებში?

სადღეისოდ არსებული მონაცემები საიმედოს არაფერს გვიქაღდის. ზოგჯერ ყოფილა მცდელობა, რომ ინდივიდებში ჩაეხმოთ უწინდელი ლოიალობა ეთნიკური ერთობისადმი იმდენად მაინც, რომ იგი უფრო ვრცელი, საერთო "ნაცია-სახელმწიფოსაკენ" მიემართათ; მაგრამ ამ ცდებს სხვადასხვაგვარი შედეგი მოჰყოლია. ტანზანიაში, სადაც არ იყო სხვა უფრო დიდი ეთნიკური ერთობა, რომელსაც შეეძლო ბრძოლა ბატონობისათვის, ტანზანიური ნა-

ციონალური იდენტობის დანერგვა უფრო წარმატებით წარიმართა. ამ პროცესს ეხმარებოდა აგრარული სოციალიზმის კერძო ვერსია თუ ერთპარტიული მმართველობა და მისი დიდი ნდობით აღჭურვილი ლიდერი. სხვა სახელმწიფოებში, როგორცაა ნიგერია და უგანდა, ეთნიკური წინააღმდეგობები გაგრძელდა, მკაცრი ცენტრალიზატორული პოლიტიკისა და მთავარი მონინააღმდეგე ეთნიკების დეპოლიტიზაციისკენ მიმართული ადმინისტრაციული ზომების მიუხედავად. პროგრესს მიაღწიეს იმაში, რომ სკოლებში პოლიტიკური სიმბოლიზმის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფოს ჩანაფიქრისამებრ გამოყენების წყალობით პოსტკოლონიურ ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყვეს უფრო განათლებული საშუალო ფენის საქმეში ჩაბმა. იმავდროულად, ზოგიერთი ადრეული პოსტკოლონიური რეჟიმი ცდილობდა თავისი პოლიეთნიკური მოსახლეობის მობილიზებას ერთობლივი მსხვერპლშენიშვნისათვის "პოლიტიკური რელიგიის" მეშვეობით. ამ "პოლიტიკურ რელიგიებში" ნაცია წარმოდგენილი იყო, როგორც უცოდველი და მონოლითური, ხოლო სახელმწიფო (და მისი ლიდერი) – როგორც მისი (ამ ნაციის) პოლიტიკური გამობატულება. ასე იყო ნკრუმას დროინდელ განაში და ნასერის ეგვიპტეში. მასების მობილიზაციის ამ გზას ჰქონდა შედარებით ახალი ცნების, ტერიტორიული ნაციისა და მისი თანამხლები მოვლენის – პოლიტიკური იდენტობის ლეგიტიმაციის ეფექტი; მას აძლიერებდა ის მტკიცე პოზიცია, რომელიც შეიმუშავეს ისეთმა კონტინენტურმა ორგანიზაციებმა, როგორიც არის ეაო (ერთიანი აფრიკის ორგანიზაცია) (1964 წ.) არსებულ კოლონიურ საზღვრებში კოლონიური აფრიკის გამოყოფის მხარდასაჭერად.³³

ეს ვალდებულება კოლონიური საზღვრების სინმინდისადმი დღემდე ძალაშია, მიუხედავად უნიტარული ტერიტორიული სახელმწიფოს ცნების ნაკლებად რიგიდული გააზრებისა, თუნდაც, ამ სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში. ეს გამომჟღავნდა ნიგერიის კონსტიტუციის ცხრამეტი შტატისა და სუდანის 1980 წლის ექსპერიმენტში ექვსი მთავარი რეგიონით, თუმცა ამან ვერ გააქარწყლა სამხრეთის ეჭვები ჩრდილო ისლამური ჰეგემონობის შესახებ.³⁴

ასეთი ფაქტები, ისევე როგორც ეთნიკური გამოყოფის შედარებით უშედეგო მოძრაობა, საპირისპიროზე მიუთითებს. ეს ფაქტები ყველაზე მეტად მეტყველებს სახელმწიფოს სიმძლავრესა და ეკონომიკურ სიძლიერეზე და მის, როგორც უმთავრესი დამჭირავებლისა და ფისკალური მენეჯერის, როლზე. ის ცოტა რამეს თუ გვეუბნება ნამდვილ კულტურულ და პოლიტიკურ ტე-

რიტორიულ იდენტობაზე მოსახლეობაში. როგორც დავინახავთ, მოსახლეობის უფრო აქტიური მონაწილეობისათვის მობილიზაციის მცდელობები ეთნიკური ფრაგმენტაციის მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს, კერძოდ, იქ, სადაც სახელმწიფო აპარატი არ შეესაბამება შეკავშირების დასახულ ამოცანას.

იმ სახელმწიფოებშიც კი, რომლებმაც ეთიკურობის აღზევებისთვის სოციალისტური და მარქსისტული გზა აირჩიეს, მასიური "პოლიტიკური კულტურა" მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეიქმნა დღევანდლამდე. მოზამბიკში უნიტარული, ტერიტორიული ცნება შეიქმნა ყოველგვარი დომინანტური ეთნის გარეშე, როცა 1960-იან წლებში პორტუგალიური მმართველობის წინააღმდეგ წამოწყებული მოძრაობა პოლიტიკურ მოძრაობასთან გაიგივდა. მაგრამ ანგოლაში (ისევე როგორც ეთიოპიასა და ბირმაში) ეთნიკურობამ პოლიტიკური დანაწევრების საფუძველი შექმნა, რამაც სამოქალაქო ომი გამოიწვია. პორტუგალიური მმართველობის წინააღმდეგობის ამ ურთიერთდაპირისპირებულმა მოძრაობებმა, რომელშიც ძირითადად ჩართული იყვნენ ბაკონგო, ოვიმბუნდუ და აკვამბუნდუ (ეთნიკური ჯგუფების სახელწოდებებია), თავიანთი პარტიზანული ბრძოლის გაერთიანება ვერ მოახერხეს. ამგვარად, ანგოლის ძირითადი პოლიტიკური ტერიტორიული იდენტობის შექმნა აუცილებლად წელი და მერყევი პროცესი იქნება.³⁵

უფრო ზოგადად, პერიოდული ეთნიკური მოძრაობების აღმავლობა არადასავლურ სახელმწიფოებში – იქნება ეს ძველი იმპერიის ყოფილი შემადგენელი ნაწილები თუ კოლონიები – ნიშნავს ძველი ეთნიკური კავშირების გაცოცხლებას დემოტურ ერთობებში და ეთნიკური კატეგორიების ეთნიკურ პოლიტიზაციას. ეს ორივე პროცესი წინ ეღობება ტერიტორიული ნაციის "შეთხზვის" მცდელობას იქ, სადაც ისინი ადრე არ არსებობდნენ. პარადოქსია, მაგრამ სადაც დომინანტური ეთნის გარშემო ახალი სახელმწიფო შეიქმნა, როგორც ეს თავად დასავლეთში მოხდა, სწორედ იქ არის "ტერიტორიული ნაციის" და პოლიტიკური ერთობის შექმნის საუკეთესო შანსი.

ინტელიგენციის "სამოქალაქო ნაცია"

შეგვიძლია თუ არა, უფრო სრულად ავსახოთ იმ ტერიტორიულ-პოლიტიკური იდენტობის ბუნება, რომლის შექმნისთვისაც იბრძოდნენ არადასავლელი ნაციონალისტები? რა ტიპის ერთობაა ის, რომლის წარმოსახვასაც ცდილობდა ნაციონალიზმი?

ასეთ კითხვებზე გაცემული პასუხი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება დეტალებში და ის არ უნდა ავერიოს იმ რეალობაში, რომელიც ხშირად წარმოადგენს ნაციონალისტური მისწრაფებების გროტესკულ კარიკატურას. მიუხედავად ამისა, მე მგონი, შეგვიძლია გამოვყოთ ამ ტერიტორიული ნაციონალიზმებისა და მათ მიერ წარმოსახული პოლიტიკური იდენტობების განმეორებითი ნიშნები. ეს შეიცავს შემდეგს:

1. *ტერიტორიალიზმი*. ამაში ვგულისხმობ არა უბრალოდ რომელიმე კონკრეტული საზღვრებისადმი პოლიტიკურ ერთგულებას, განურჩევლად მათი წარმომავლობისა, არამედ კონკრეტულ სივრცობრივ და სოციალურ ადგილმდებარეობას სხვა ტერიტორიულ ნაციებს შორის. ამ ერთგულების საფუძველია რწმენა, რომელიც ემყარება საცხოვრისისა და სიახლოვის მნიშვნელობას, რაც უპირისპირდება წარმომავლობასა და გენეალოგიას. "ერთად ცხოვრება", "ფესვის გადგმა" ამა თუ იმ ნიადაგსა თუ ტერიტორიაზე მოქალაქეობის კრიტერიუმად და პოლიტიკური ერთობის ბაზისად გვევლინება. ხშირად ასეთი კრიტერიუმები გადაჯაჭვულია აგრარული სიმარტივის, თვითკმარობის, ქალაქური ფუფუნებიდან სოფლური ცხოვრების სიკეთისაკენ მიბრუნების ცნებებთან. ნაცია ასეთ შემთხვევაში ესმით როგორც ტერიტორიული *patria* (მამული), დაბადებისა და ბავშვობის ადგილი, სახლი და კერა. ეს არის აგრეთვე ადამიანის წინაპრების, გმირებისა და კულტურული სიძველის ადგილსამყოფელი. თუმცა ტერიტორიული ნაციონალისტის თვალსაზრისით, სრულიად ლეგიტიმურია იმავე ადგილზე არსებული უფრო ადრეული ცივილიზაციების არტიფაქტებისა და მონუმენტების მითვისება. იგი ითვისებს მათ კულტურულ მიღწევებს, რათა განასხვავოს და განადიდოს ტერიტორიული ნაცია, რომელიც დღესდღეობით წარმატებებით ვერ მონიშნებს თავს. თანამედროვე ერაყს თუ შეუძლია ჰამურაბიდან ნაბუქოდონოსორამდე შექმნილი ძველი ბაბილონური კულტურა მიითვისოს, განელები, ალბათ, ჩრდილოეთით კარგა მანძილით დაშორებული განას შუა საუკუნეების იმპერიის დიდებას დაიჩემებენ, ზიმბაბველები კი შეეცდებიან საკუთარი პოლიტიკური იმიჯი დიდი ზიმბაბვეს ცივილიზაციითა და იდუმალებით მოცული მონუმენტით შეიქმნან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *patria* (მამული) უნდა იქცეს ისტორიულ ტერიტორიად.³⁶

2. *მონაწილეობა*. რა თქმა უნდა, ყველანაირი ნაციონალიზმი მოქალაქეთა ქმედით თანამშრომლობას ყველაზე დიდ მნიშვნელო-

ბას ანიჭებს, თეორიულად მაინც. ტერიტორიული ნაციონალისტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქის ტერიტორიულ და სამოქალაქო საფუძველზე დამყარებული ქმედითი თანამშრომლობა. ეს არის ტერიტორიული პოპულიზმის ნაირსახეობა, რომელიც ხშირად გამოიყენება და რომლისკენაც ხშირად მოუწოდებენ ბელადები, უხუცესები, რელიგიური ლიდერები, სოფლის თავკაცები ნაციის (ან "მომავალი ნაციის") ყოველ პოტენციურ მოქალაქეს. ოქროს ნაპირის ნკრუმას სახალხო თანხმობის პარტია (Convention People's Party (CPP)) თავისი ადგილობრივი განტოტებების მეშვეობით მიმართავდა სხვადასხვა ეთნიკური ერთობების და კატეგორიების წევრებს, რომ ჩამოეყალიბებინათ სახალხო მოძრაობა, რომელიც პარტიასა და მის ლიდერს დაუჭერდა მხარს. ამ მიმართვის საფუძველი იყო არა ეთნიკური, რელიგიური თუ ოჯახური ხასიათისა, არამედ ეს იყო მიმართვა თითოეული ადამიანისადმი, როგორც მოცემული ტერიტორიის მკვიდრისა და, ამდენად, მომავალი მოქალაქისა თუ ნაციისადმი.³⁷

ამგვარადვე, ერთპარტიული სისტემა, რომელიც დასაშვებად თვლიდა ორგანიზაციის შიგნით დებატებს, ორგანიზებული იყო ტერიტორიულ საფუძველზე და იქითკენ იყო მიმართული, რომ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ყოველი მოქალაქე ჩაერთო თავის საქმიანობაში. (არსებობს ზოგიერთი გამონაკლისი ამ წესიდან და მათ მომდევნო თავში დავუბრუნდებით.)

3. მოქალაქეობა არ არის ტერიტორიული ნაციის განსაკუთრებული თვისება (კანონიერი მოქალაქეობა ყოველი ნაციის თანამდევნი მოვლენაა), მაგრამ ის განსაკუთრებით თვალსაჩინო როლს ასრულებს ტერიტორიულ ნაციასა და ნაციონალიზმში, რადგან აქ მოქალაქეობა გამოიყენება არა მარტო იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას ნაციის წევრობას და "ჩვენ" განასხვავოს "მათგან", არამედ იმისათვისაც, რომ დაძლიოს დაპირისპირების გამომწვევი მიჯაჭვულობისა თუ იდენტობის, განსაკუთრებით კი, ეთნიკურის – გამოვლინებანი. ვინაიდან ყველაზე ხშირად სწორედ ეთნიკური ერთგულება გამოიკვეთება, კანონიერი მოქალაქეობა მას მორალური და ეკონომიკური ქვეტექსტით უპირისპირდება და ეთნიკური ერთობიდან გასვლის მთავარი მექანიზმი ხდება, მაგრამ, ამავე დროს, ერთობაში ჩართვისა და შეღავათების მოპოვების (სამსახურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროებში) უმთავრეს მექანიზმადაც იქცევა, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა.

და კიდევ, ეს კონცეფცია უგულვებლყოფილი უფრო ხშირადაა, ვიდრე გაზიარებული. მაგრამ ის რჩება საჯილდაო ქვად პროგრესისათვის, რომელიც მიმართულია სამოქალაქო-ტერიტორიული ნაციის ნაციონალისტური იდეალის განხორციელებისაკენ; რჩება იმ საფუძვლად, რომელზე დაყრდნობითაც ადამიანებს შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ სამართლებრივ უფლებებზე პოლიტიკურ ერთობაში.

4. *სამოქალაქო განათლება*. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნიშანია როგორც ტერიტორიული ნაციონალიზმის, ისე იმ იდენტობისა, რომლის შექმნასაც ის ცდილობს. ის, ვინც თვალყურს ადევნებს ხსენებულ პროცესს, ხშირად შენიშნავს, თუ როგორი სერიოზულობით იწყებენ ახალი სახელმწიფოების რეჟიმები ბრძოლას მთელ მოსახლეობაში პირველადი, და ზოგჯერ მეორადი, განათლების შესატანად. ასევე მნიშვნელოვანია ამ განათლების შინაარსი ტერიტორიულ ნაციებში. თუ კურიკულუმი სეკულარულია და ვესტერნული (გამონაკლისია ზოგიერთი ისლამური სახელმწიფო), მას აქვს გამოკვეთილად "სამოქალაქო" ხასიათი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობაში განათლების შეტანა განზრახულია როგორც ნაციონალური ერთობის, ისე ცალკეული ინდივიდის, საკეთილდღეოდ. კიდევ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა იმ სამსახურს, რომელიც ცალკეულმა ადამიანმა უნდა გაუწიოს მთელს ერთობას და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აკისრია ამ ერთობის წინაშე. შესაძლებელია, ეს იდეები პირდაპირ არ გაცხადდეს, ანუ არ იყოს დოქტრინალური სწავლება, მაგრამ, სამაგიეროდ, არსებობდეს სოციალური კეთილგანწყობა მათ დასაწერად.³⁸

საგანმანათლებლო სისტემაში "სამოქალაქო" აქცენტი არ შემოიფარგლება არავესტერნული თუ ტერიტორიული ნაციონალიზმებით. მას ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის იაკობინური პატრიოტების ეპოქამდე მივყავართ. ის ასევე საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის დამახასიათებელი ნიშანი გახლდათ. ასეთივეა საგანმანათლებლო სისტემა დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქმე მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ როდესაც ყურადღება არ მახვილდება ეთნოსის წევრების ვერნაკულურ განათლებაზე, სამოქალაქო ელემენტი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწორედ იმიტომ, რომ სწავლების ძირითადი სიძიმე გადადის ტერიტორიული ნაციის სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე. ამტკიცებენ, რომ თუ ეთნიკურ განსხვავებებს გაქრობა უწერია დროთა განმავლობაში, ამის განხორციელება

შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო თანასწორობისა და ძმობის სულისკვეთებაზე დამყარებული სოციალური ზნეობის დაწერგვის გზით. თუ ნანილობრივ მაინც ამგვარად არის აგებული განათლების სისტემა, მას, შესაძლებელია, სამოქალაქო ვუნოდოთ. განათლების ამგვარი სისტემის წყალობით, ენის (შეიძლება ეს იყოს *lingua franca*), ისტორიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის საშუალებით შესაძლებელია გავეცნოთ ახალი ნაციის (შესაძლოა "ჯერ არ შემდგარის") პოლიტიკურ მითოლოგიასა და სიმბოლიზმს, რომლებიც შეიძლება ახალი, შესაძლოა, რევოლუციური მიმართულებების ლეგიტიმაციას ამ ნაციის მითებში, მებსიერებაში, ღირებულებებსა და სიმბოლოებში, რადგან დღეს სწორედ ნაციის ანტიკოლონიური ბრძოლის, მისი სოციალური და პოლიტიკური გათავისუფლების, შორეული წარსულის გმირებისა და მისი "ოქროს ხანის" თვალთახედვის დაწერგვის გზით შესაძლებელია თავგანწირვის სულისკვეთების გაღვივება.³⁹

Cui bono? ვის ინტერესებს ემსახურება ტერიტორიული ნაციონალისტების ყველა ეს მისწრაფება და იდეალები? დიდია ცდუნება იმისა, რომ ვუპასუხოთ: ბურჟუაზიის, საშუალო ფენების, თუნდაც ინტელიგენციის ინტერესებს. შესაძლოა, ჭეშმარიტების მარცვალი მართლაც იყოს ამ პასუხებში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა განმარტებას მივცემთ თითოეულ სოციალურ კატეგორიას, მაგრამ საბოლოო ჯამში ის შეცდომაში შეგვიყვანს. შესაძლოა, კულტურულ დონეზე ნაციონალიზმი, იდეოლოგია და ენა მართლაც ინტელექტუალების ქმნილება იყოს და თავად მათაც იზიდავდეს მისი პერსპექტივა. თუმცა პოლიტიკურ დონეზე საკუთრივ ინტელექტუალები ნაკლებად გამოდგებიან ამის დამდასტურებლად. მათ ადგილს სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ჯგუფი იკავებს. და, თუ გავართულებთ ვითარებას, "ერთსა და იმავე" სოციალურ კატეგორიას შეიძლება სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა ადგილი ეჭიროს.

ეს შედარებით ცხადად ჩანს ბურჟუაზიის შემთხვევაში. ეს ტერმინი (ბურჟუაზია), რა თქმა უნდა, ზუსტად შეიძლება განისაზღვროს მარქსისტული თეორიის კონტექსტში. მაგრამ ამ შემთხვევაში ის შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური ან ნახევრადკაპიტალისტური საზოგადოების პირობებში იყოს რელევანტური. ამ კლასში თუ ჩავრთავთ ჩინოვნიკებს (თანამდებობის პირებს), პოლიციელებს, მაღალ ბიუროკრატებსა და პოლიტიკოსებს, ტრადიციულ ელიტას და ლიბერალური პროფესიების მნიშვნელოვან წარმომადგენლებს, რათა შევადგინოთ ის, რასაც

მარკოვიჩი "ორგანიზაციულ ბურჟუაზიას" უწოდებს, ეს ტერმინი იმ დონეზე განზავდება, რომ მას განმარტებითი ძალმოსილება დაეკარგება.⁴⁰ ასეთივე ვითარებაა ყველგან, საშუალო კლას(ებ)სა და ინტელიგენციასთან მიმართებაში. ამ უკანასკნელს სხვადასხვაგვარად ახასიათებენ: როგორც "თავისუფლად მოტივტივეს" (მანჰაიმი), "მოდერნიზატორს" (ჯ.პ. კაუტცი) და ამომავალ "ახალ კლასს" (გულდნერი).⁴¹

სინამდვილეში ნაციონალისტური მოძრაობების სოციალური შემადგენლობა, როგორც შედარებითი განხილვიდან ჩანს, კლას-თაშორისი და ძლიერად ცვალებადია იმის მიხედვით, თუ ისტორიის რომელ მომენტს და მოძრაობის რომელ ფაზას შევხებით. არა მხოლოდ "მუშები" და "გლეხები" (ან მათგან გამომავალი სეგმენტები), არამედ ჩინოვნიკები, დაბალი სამღვდელეობა, დაბალი (ხანდახან მაღალი) არისტოკრატია, ასევე, საკუთრივ ინტელექტუალები, ვაჭრები, მენარმეები, ტექნიკური პერსონალი და ლიბერალური პროფესიების წარმომადგენლები შეგვიძლია ვიხილოთ მათ მიმდევართა შორის. ამან არ უნდა გაგვაკვირვოს. დავრწმუნდით, რა რთული, აბსტრაქტული და მრავალგანზომილებიანია ნაციონალური იდენტობის ცნება – იმდენად, რომ სხვადასხვა სოციალურ დაჯგუფებას სხვადასხვა ისტორიულ მომენტში შეიძლება გაუჩნდეს შეგრძნება, რომ მათი საჭიროებები, ინტერესები და იდეალები მოითხოვს მათ იდენტიფიკაციას აბსტრაქტულ, მაგრამ ემოციურად ძლიერ კონკრეტულ ნაციასთან.⁴²

საკითხი, შეიძლება, ძალზე ფრთხილად, მაგრამ მაინც ლეგიტიმურად დაისვას: *cui bono?* კერძოდ, ვის ინტერესებს ემსახურებოდა და ემსახურება ნაციონალური იდენტიფიკაციები ტერიტორიულსა და სამოქალაქო საფუძველზე სხვადასხვა დროს?

კიდევ ერთხელ იკვთება ის, რომ ერთი ჯგუფი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადრეულ ტერიტორიულ ნაციონალიზმში, თუმცა სხვა სოციალური ჯგუფებიც ხშირად აქტიურობენ. ამ ჯგუფს ხშირად უწოდებენ ინტელიგენციას (აქ იგი უნდა განვასხვავოთ ინტელექტუალების ბევრად უფრო მცირე ჯგუფისაგან), თუ ამ ტერმინით განვსაზღვრავთ უბრალოდ პროფესიონალებს.

სწორედ ამ პროფესიონალთა შორის (იურისტები, ექიმები, ინჟინრები, ჟურნალისტები, მასწავლებლები და სხვ.) ადრეული სამოქალაქო და ტერიტორიული ნაციონალიზმები ნახულობენ თავიანთ უპირველეს მხარდამჭერებს – თუმცა ზოგ შემთხვევაში რიგი ბიზნესმენებისა, მენეჯერებისა და მოვაჭრეებისა აგრეთვე მიხსნარაფიან იმისაკენ, რასაც ცენტრალიზებული, რეგულირებადი და ტერიტორიულად ვრცელი ბაზარი ჰპირდება მათ ახალ

სამოქალაქო ნაციაში, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ეს კაპიტალისტური წარმოების გარკვეული ხარისხით მანაცაა დამკვეთი.

ასეთი დებულების წამოყენების დროს ერთგვარი სიფრთხილე გვმართებს. პროფესიონალები ჩვეულებრივ არ დგანან სამოქალაქო ნაციის იდეოლოგიის სათავეებთან. მათ აქვთ უფრო პრაქტიკული როლი: ეს არის იდეის გავრცელება და პოლიტიკურ ინსტიტუციებში და ქმედებებში მისი რეალიზაცია. როგორც წესი, ინტელიგენციის უმეტესობა – პროფესიონალები – არც ამ ქმედებებში მონაწილეობენ. ბევრი რამაა დამოკიდებული მათი პირადი კარიერის მომავალზე. მაგრამ ამ შემთხვევაში ბევრი ხალხი არ უერთდება სოციალურ მოძრაობას, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა.⁴³

თუმცა ყოფილ კოლონიებში განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა, სახელმწიფოსა და მისი ბიუროკრატიული ინსტიტუციების დომინირება და ანტიკოლონიური ნაციონალიზმის განვითარებაში კომუნიკაციის უნარ-ჩვევების საჭიროება დამოუკიდებლობის ზღურბლთან მიახლოებისას პროფესიონალებს ლიდერთა პოზიციაში აყენებს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აფრიკის ადრეულ კანონმდებლობაში წამყვან სოციალურ კატეგორიას წარმოადგენდნენ პროფესიონალები, რომელთაც მოსდევდნენ საქმოსნები, მენეჯერები და მოვაჭრეები. აზიის და აფრიკის სახელმწიფოების ბევრი ლიდერი დამოუკიდებლობის პირველ წლებში ასევე პროფესიონალთა ფენიდან იყო გამოსული; ზოგიერთი მათგანი დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა. მათ შორის არიან კენიატა, ნკრუმა, პო ში მინი, მანლეი, სენგორი და განდი. ისინი იყვნენ იმ უფრო ფართო წრის წევრები, რომელსაც დასავლურმა და ქრისტიანულმა იდეალებმა, კოლონიურმა პოლიტიკურმა პრაქტიკამ იმედი გაუცრუა და ახლა საკუთარ ერთობასთან დაბრუნებას და საკუთარი მესიანისტური ოცნებების ასრულებას თავის ხალხთან ერთად ცდილობდა. მაგრამ მათი უმეტესობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ დაუბრუნდა თავის ხალხს. მათ დასავლეთისგან გადაიღეს სამოქალაქო და ტერიტორიული ნაციის მოდელი და ცდილობდნენ საკუთარ ერთობაზე მის მორგებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ვერ მიიღეს ნამდვილი "ეთნიკური გადანყვეტილება", რადგან ეს არ იყო ის კერძო ეთნი, რომელსაც ისინი კონკრეტულად და თავიდანვე დაუბრუნდნენ. მაშინაც კი, როცა, გარემოებათა წყალობით იძულებულნი შეიქნენ თავიანთი ძალაუფლება კოლონიური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ რომელიმე ეთნი-

კურ ერთობაზე დაეფუძნებინათ, მაინც იმისკენ მიისწრაფოდნენ, რომ ემართათ მთელი ის ტერიტორია, საიდანაც კოლონიური ხელისუფლება განედევნათ. ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ახალი ტერიტორიული ნაცია და სამოქალაქო პოლიტიკური იდენტობა, რომელიც სხვადასხვა მცირე ეთნიკურ ერთობათა იდენტობების ადგილს დაიკავებდა ან მათზე უპირატესი იქნებოდა.⁴⁴

სინამდვილეში იქ სახეზეა "შერჩევითი ნათესაობა" სამოქალაქო, ტერიტორიული ნაციის ადაპტირებულ მოდელსა და პროფესიონალების სტატუსის საჭიროებებსა და ინტერესებს (ნაკლებად, კომერციული ბურჟუაზიის) შორის. პროფესიონალთა მოთხოვნაა: "მიეცი ნიჭსა გზა ფართო", პრინციპი, რომლის თანახმადაც ადამიანის შემოსავალი მის უნარიანობას უნდა შეესაბამებოდეს, რომ სტატუსი ასახავდეს პროფესიულ ღირსებას და მის მიხედვით განისაზღვრებოდეს. ეს მოთხოვნები ყველაზე ადვილად დაკმაყოფილდება სამოქალაქო იდეოლოგიის მქონე ტერიტორიულ ნაციაში, თუმცაღა ეს უკანასკნელი შეიძლება ადგილობრივი ერთობის მრწამსისა და საჭიროებათა თარგს მოერგოს. უფლებამოვალეობათა თანასწორობა, რომელიც საერთო მოქალაქეობაში ვლინდება, მობილურობისათვის გეოგრაფიული და სოციალური ბარიერების არარსებობა, რომელიც მკვიდრი ცხოვრების ტერიტორიალიზმს ახასიათებს, საზოგადოებრივ საქმეში აქტიური მონაწილეობის მოთხოვნა და, ბოლოს, ყოველთვის მნიშვნელოვანი სეკულარული და რაციონალისტური შინაარსის მქონე სტანდარტიზებული, საზოგადო, სამოქალაქო განათლების აუცილებლობა – ნაციის სამოქალაქო-ტერიტორიული მოდელის ყველა ეს მახასიათებელი – ხელს უწყობს მიზანდასახული პროფესიონალების ინტერესებისა და სტატუსური მოთხოვნილებების რეალიზაციას.

ნაციის ტერიტორიულ-სამოქალაქო მოდელის სიცოცხლისუნარიანობის არც ერთადერთი და არც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ეს არ გახლავთ. ბოლოს და ბოლოს, ეს არის სახელმწიფოთაშორისი წესრიგისა და ამ წესრიგისათვის დამახასიათებელი სახელმწიფოს იურიდიული განსაზღვრის ძირეული ნაწიქმდარი. მაგრამ ადგილობრივი ინტელიგენციის წამყვანი როლი არ უნდა გამოგვრჩეს. ის ხელს უწყობს სახელმწიფოთაშორისი სისტემისა და მისი კომპონენტების შიშველი სტრუქტურის გამოვლენას. ამას ინტელიგენცია ახერხებს საზოგადოებრივ სფეროში სოციალური ინტეგრაციისა და კულტურული ჰომოგენურობის დაჟინებული მოთხოვნით; აგრეთვე იმითაც, რომ მას (ინტელიგენციას) ეთნიკური ნაციონალისტებისგან სრულიად განსხვავებული წარმოდგენა აქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკუ-

რი ერთობის შესახებ. რეალობა, როგორც ნესი, ამ წარმოდგენისაგან შორს არის და ხალხები, ხშირ შემთხვევაში, დღესაც ვერ ახერხებენ თავის თავის ტერიტორიულ და სამოქალაქო ერთობად გაცნობიერებას. მაგრამ თავად აქტიური მონოღება ამისაკენ – აქედან გამომდინარე, ინტეგრაციისა და ჰომოგენურობის რალაც დონის მიღწევა – ძლიერ ფაქტორად რჩება.

არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამგვარი ხატები და მონოდებები სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვაგვარ კონოტაციებს ჰპოვებს: ჰომოგენურობა, სამოქალაქო განათლება თუ ტერიტორიული თანამშრომლობა, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად აღიქვან ანგოლაში, ნიგერიასა თუ პაკისტანში. მიუხედავად ამისა, არადასავლურ სახელმწიფოში ძალიან ბევრი პროფესიონალი, ვაჭარი თუ ბიუროკრატი სამოქალაქო-ტერიტორიული ნაციონალიზმის საერთო ენას – საერთო ცნებებსა და სიმბოლოებს – ეპატრონება. ეს ენა საფუძვლად უდევს ასეთი სახელმწიფოებისა და მათი ელიტის მრავალგვარ ქმედებას სახელმწიფოთაშორის სისტემაში. იმავე ენის საშუალებით გაიაზრება ეს ქმედებები და ურთიერთობები.

მაგრამ ეს არის ნაციონალისტური იდეოლოგიისა და ენის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმა თანამედროვე მსოფლიოში. სამოქალაქო-ტერიტორიული ნაციონალიზმი მრავალი მხრიდან სხვადასხვა გამონვევის პირისპირ დგას, თუნდაც ეს იყოს მხოლოდ ნაციონალიზმისა და ნაციონალური იდენტობის საპირისპირო ფორმა. ახლა სწორედ ამ ფორმასა და მის პოლიტიკურ შედეგებს უნდა მიუხედავდეთ.

სეპარატიზმი და მულტინაციონალიზმი

ნაციონალიზმის გავლენა ნაციონალური იდენტობების აღმოცენებასა და გავრცელების არეალზე არ შემოიფარგლება ტერიტორიული ნაციების შექმნით. შესაძლოა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ბევრად უფრო მრავლისმეტყველია მისი როლი ეთნიკური ნაციების ჩამოყალიბებაში. სწორედ ეთნონაციონალიზმია ის გამოწვევა, რომელმაც ნაციონალიზმისა და ნაციების წყალობით აღმოცენებული სახელმწიფოების მსოფლიო წესრიგს ასე გაუტეხა სახელი სხვადასხვა წრეებში. იმისათვის, რომ შევაფასოთ, რამდენად საფუძვლიანია ეს თვალსაზრისი, ჯერ უფრო ახლოდან უნდა დავაკვირდეთ იმას, თუ როგორია ეთნიკური ნაციონალიზმის ზეგავლენა დღევანდლობასა და უახლოეს წარსულზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ის განსხვავება, რომელიც ნაციის ორ – სამოქალაქო-ტერიტორიულსა და ეთნიკურ-გენეალოგიურ – მოდელს შორის არსებობს; გავიხსენოთ ის განსხვავებაც, რომელიც ნაციების ჩამოყალიბების ორ განსხვავებულ გზას – ბიუროკრატიულ ინკორპორაციასა და ვერნაკულურ მობილიზაციას – შორის გამოაშკარავდა. იმ ნაციებმა, რომლებსაც არისტოკრატიული ელიტა ქმნის ლატერალური ერთობისაგან და ძლიერი სახელმწიფოს დახმარებით ახერხებს მოსახლეობის ქვედა ფენებისა და დაშორებული რეგიონების მათში ინკორპორირებას, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მძაფრი ტერიტორიული ნაციონალიზმი გამოავლინეს როგორც პოლიტიკურად დემარკირებული ტერიტორიის ფარგლებში, ისე მის საზღვრებს გარეთ, მყოფი მტრების მიმართ. ამის საპირისპიროდ, იმ ნაციებმა, რომლებიც “ქვევიდან შეიქმნა” ვერტიკალური ერთობისაგან გამოცალკევებული ინტელიგენციისა და საშუალო ფენების მიერ კულტურული რესურსების (ეთნოისტორია, ენა, ეთნიკური რელიგია, წეს-ჩვეულებები, და სხვ.) მოშველიებით, რათა დანარჩენი ფენების მობილიზაცია განეხორციელებინათ და ისინი აქტიურ “ნაციებად” გადაექციათ, ასევე წინასწარ შეიძლება ითქვას, გამოავლინეს ძლიერი ეთნიკური ნაციონალიზმი. ეს ეთნიკური ნაციონალიზმი მიმართულია როგორც ქვეყნის შიგნით, რათა “ნამდვილი” ნაცია და მისი წევრები გამოაფხიზლოს და განწმინდოს, ისე ქვეყნის გარეთ, რათა დაიცვას ის უცხო ძალთაგან შევიწროებისა და პოლიტიკური მეტოქეებისაგან. სწორედ ეს არის

ის უკანასკნელი ტიპის ნაცია და ნაციონალიზმი, რომელსაც აქტიური ნაციონალისტების დიდი უმრავლესობა უჭერს მხარს.

დემოკრატიული ეთნონაციონალიზმის (დროდადრო) განმეორება

მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული დღემდე, შეგვიძლია გამოვყოთ ეთნიკური ნაციონალიზმის რამდენიმე ტალღა. პირველია კლასიკური – ეთნიკური თვითგამორკვევის პერიოდი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ამავე საუკუნის დასასრულამდე. მისი მთავარი ცენტრებია აღმოსავლეთ ევროპა და, ცოტა მოგვიანებით, ახლო აღმოსავლეთი (Middle East). საერთოდ, თვითგამორკვევის მოძრაობების საშუალებით ხერხდება საშუალო და დაბალი ფენების ევრნაკულურ პოლიტიზებულ კულტურად მობილიზაცია. შემდეგ ეს მოძრაობა ცდილობს, გამოყოფილი ერთობა და მისი "ისტორიული" ტერიტორია ვრცელი და ტლანქი იმპერიებისაგან დაიცვას. უმთავრესად ასეთი მოძრაობები მიმართული იყო მოდერნიზებული ავტოკრატიული რეჟიმების წინააღმდეგ. ამგვარი რეჟიმები, როგორც წესი, მართავდნენ ეთნიკური ერთობებისა და ეთნიკური კატეგორიების ნარევს; მმართველები ცდილობდნენ მათ ინტეგრირებას, ზოგჯერ, დროდადრო, ჰომოგენიზებას. ამგვარად, კლასიკური ეთნიკური ნაციონალიზმი შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც დომინანტური ეთნის მმართველი ელიტის "ოფიციალური" იმპერიული ნაციონალიზმის გამომწვევ მიზეზად, ისე საპასუხო რეაქციად მასზე; ამის მაგალითები მრავლად მოიძებნება ჰაბსბურგების, რომანოვებისა და ოსმალების იმპერიებში.¹

ეთნიკური ნაციონალიზმის მეორე ტალღა აგორდა ევროპული კოლონიური იმპერიების საზღვრისმიღმა ტერიტორიებზე მეოცე საუკუნის შუა ხანების ადრეულ პერიოდში. ასეთი მოძრაობები დღესაც საფრთხეს უქმნიან აფრიკისა და აზიის პოსტკოლონიური სახელმწიფოების მშვიდობასა და სტაბილურობას. დემოკრატიული ეთნონაციონალიზმის ადრეული კვალი შეინიშნებოდა ბენგალში საუკუნეთა გასაყარზე, ქურთებთან, კარენებთან, ვეებთან, სომალში, ბა-კონგოში მეორე მსოფლიო ომამდე და მის შემდეგ. ასეთი მოძრაობები, ისევე როგორც მათი ევროპული წინამორბედები, მიზნად ისახავენ პიდაპირ გამოყოფას (კოლონიური და) პოსტკოლონიური სახელმწიფოდან, რომელსაც უცხო მტრულ ძალად აღიქვამენ (ისევე როგორც ევროპულ იმპერიებში), მიუხედავად იმისა, რომ თავად ამ იმპერიებს ავტოქთონურობის პრეტენზია აქვთ. დემოკრატიული ეთნონაციონალიზმები განსხვავებას სახელმწი-

ფოსა და ნაციას შორის უკიდურესად ამწვავებენ. მთელს აფრიკასა და აზიაში ისინი ახორციელებენ განსხვავებული ეთნიკური ერთობების მობილიზაციას დაჩაგრული, უარყოფილი, მაგრამ შეუცვლელი, კულტურული ღირებულებების სახელით, რომლებსაც გაქრობით ემუქრება ბიუროკრატიული სახელმწიფო და მოდერნიზაციის პროცესები; ისინი კი, თავის მხრივ, დომინანტურ ეთნიკსა და მის ელიტას უმაგრებენ მხარს. ბევრ სხვადასხვა ხალხში, როგორცაა თამალისი, სიქები, მოროსი, ბალუხები, პათანები, უზბეკები, ყაზახები, სომხები, აზერები (აზერბაიჯანლები), ქურთები, ქართველები, პალესტინელები, სამხრეთ სუდანელები, ერთრეელები, ტიგრები, ორომო, ლუო, განდა, ნდებელე, ოვიმბუნდუ, ბაკონგო, ლუნდა, ევე, იბო, და მრავალი სხვა, ახალი სახელმწიფოებისადმი (სადაც ისინი კოლონიალიზმის შედეგად მოხვდნენ) განწყობა თავშეკავებულობიდან აბსოლუტურ მტრობამდე მერყეობს. ეს განწყობილებები, შესაძლოა, ეთნიკური თავისუფლებისათვის ხანგრძლივ ომებშიც გადაიზარდოს და მთელი რეგიონების სტაბილურობას შეუქმნას საფრთხე.²

თვით დასავლეთშიც კი, "ევროპის ძველ ნაციებში", ეთნონაციონალიზმმა ხელახლა იჩინა თავი. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ავტონომიისა და სეპარატიზმის ეთნიკური მოძრაობების მესამე ტალღამ გადაუარა დასავლეთ ევროპას და იუგოსლავიას, რუმინეთს, პოლონეთს და საბჭოთა კავშირამდე მიაღწია. შესაძლოა, ამ კონკრეტული ტალღის ყველაზე ადრეულ გამოვლინებად ჩაითვალოს კანადაში კვებეკელების და ამერიკის შეერთებულ შტატებში "სამხრეთელი შავების", ხოლო მოგვიანებით ინდიელებისა და ესპანელების მოძრაობები. მეორე მხრივ, ევროპულმა ეთნონაციონალიზმებმა უმეტესწილად (მაგალითად, კატალონიელების, ბასკების, ბრეტონელების, შოტლანდიელების, უელსელების, ფლანდრიელების მოძრაობები) ომის წინ იჩინა თავი, ხოლო მათი კულტურული წინაპირობები ჯერ კიდევ 1880-იან წლებში შეიქმნა.³

ეს არის ის მესამე ტალღა ეთნონაციონალიზმისა, რომელმაც ბიძგი მისცა ნაციონალური იდენტობების კრიტიკულ გადაფასებას. ისტორიკოსებისა და სოციოდემოგრაფების (მაგალითად, დოიჩი და ლერნერი) ადრეული დიფუზიონისტური მოდელის მიხედვით ვერ მოხერხდა იმის ახსნა, თუ რატომ არიან მზად ვერნაკულური მობილიზაციისა და პოლიტიკური აქტივიზმისათვის რომელიმე კერძო ეთნიკური ერთობის წევრები. გარდა ამისა, ამ მეცნიერების წინასწარმეტყველება, რომ სეკულარული ტენდენციის გამო მათი დომინანტური ეთნიკური მეზობლების მიერ

განხორციელდებოდა "დაბალი" კულტურის მქონე მცირე ერთობების ასიმილაცია, 1960-იანი და 1970-იანი წლების მოვლენებმა ამკარად არ დაადასტურა.⁴

დიფუზიონისტური მოდელის ადგილი შემდგომ თითქმის მთლიანად დაიკავა დამოკიდებულების მოდელებმა. ამ მოდელებში დიდი ადგილი უჭირავს "შინაგანი კოლონიალიზმის" პროცესს, რომლის თანახმად პერიფერიული ერთობები ეკონომიკურად და პოლიტიკურად ექვემდებარებიან ძირითად ეთნის, განსაკუთრებით, ინდუსტრიალიზაციის დროს და მის შემდგომაც. მაგრამ აქაც არსებობს პრობლემები. ის მიდგომები, რომლებიც ეფუძნებიან "პერიფერიის" "ცენტრზე" დამოკიდებულების იდეას, ვერ განმარტავენ ამ უკანასკნელი ეთნონაციონალიზმის გავრცელების სფეროსა და სიხშირეს. ინდუსტრიალიზაცია ხშირად კარგა ხნით წინ უსწრებს ასეთი მოძრაობების აღმოცენებას; ამავე დროს, ეთნონაციონალიზმი, როგორც ჩანს, არ არის დაკავშირებული რაიმე სპეციფიკური ტიპის სოციო-ეკონომიკურ პირობებთან. მძლავრ ეთნონაციონალისტურ მოძრაობებს ვხვდებით ისეთ განსხვავებულ ეკონომიკურ პირობებში, როგორიც არის სლოვენია და კატალონიაში, ერთი მხრივ, და კორსიკასა და ბრეტანში, მეორეს მხრივ, უელსთან და ფლანდრიასთან ერთად, რომელთაც ეკონომიკური თვალსაზრისით საშუალო პოზიცია უჭირავთ. როგორც უოლკერ კონორმა ნათელყო, ეკონომიკურ ფაქტორებსა და ეთნონაციონალიზმის განვითარების დონეებს შორის არავითარი კორელაცია არ არსებობს.⁵

ამ მიზეზთა გამო, შედარებით დანვრილებით უნდა შევეხეთ ე.წ. დასავლურ "ნეონაციონალიზმს" ეთნიკური მობილიზაციის უფრო ფართო გლობალური მოძრაობის ფონზე, რადგან ამგვარი მოძრაობების წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე დიდწილად არის დამოკიდებული ნაციონალური იდენტობების ფორმა თუ შინაარსი მომავალში, ისევე, როგორც მსოფლიოს სახელმწიფოთა სხვადასხვა რეგიონული სისტემების სტაბილურობა.

რეალურად, ყველა ეს დემოტური ეთნონაციონალიზმი, იმისა და მიუხედავად, თუ როგორია მათი სოციალური შემადგენლობა თუ ფუნქცია, მნიშვნელოვანწილად ემსგავსება ერთმანეთს იმ კუთხით, თუ რა მიზნებს ისახავენ და რა აზრს დებენ ამ მოძრაობაში მისი მონაწილეები. ეს მსგავსება სათავეს იღებს ვერნაკულური მობილიზაციისა და კულტურული პოლიტიზაციის ძირეული პროცესიდან. ეს ის ნიშნებია, რომლითაც აღბეჭდილია დემოტური ვერტიკალური ეთნის ეთნიკურ ნაციებად გარდაქმნის გზა. ამის შედეგად, მათ მიერ წარმოქმნილი ნაციონალური იდენტობის სა-

ხეობა სრულიად განსხვავებულია სამოქალაქო-ტერიტორიული იდენტობებისაგან, რომლის შესახებაც უკანასკნელ თავში ვისაუბრეთ. დემოკრატიული ეთნონაციონალიზმი უკიდურეს საფრთხეს უქმნის დღევანდელი მსოფლიოს პლურალისტური სახელმწიფოების უმეტესობას.

ეთნიკური სეპარატიზმი ძველი იმპერიებიდან

ეთნიკური თვითგამორკვევის კლასიკური შემთხვევები ბოლო საუკუნეში იყო აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ ეთნიკური სეპარატიზმის შემთხვევები თავს იჩენდა ევროპის დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრებთან: ირლანდიაში, ნორვეგიაში, ფინეთში, ბრეტანში, კატალონიასა და ბასკების ქვეყანაში. კლასიკური და მოგვიანო ხანის ეთნიკურ ეთნონაციონალიზმებს შორის კავშირები და დამთხვევები ტიპურია – ისინი ავლენენ სეპარატისტული ეთნიკური ნაციონალიზმების სხვადასხვა "ტალღასთან" ნათესაობას და მათ საერთო კულტურული საფუძველი აქვთ.⁶

რა იყო ეს საერთო კულტურული საფუძველი? ყველა ამ მოძრაობის მიზანი აშკარა მსგავსებებს ავლენდა. ისინი გულისხმობდნენ:

1. "მაღალი" მნივნივრული კულტურის შექმნას, თუ ერთობა ამის ნაკლებობას განიცდიდა.
2. კულტურულად ჰომოგენური "ორგანული" ნაციის შექმნას.
3. "სამშობლოს" დაცვასა და – რაც სასურველად მიიჩნეოდა – ერთობისათვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.
4. აქამდე პასიური ეთნის გარდაქმნას აქტიურ ეთნოპოლიტიკურ ერთობად, "ისტორიის სუბიექტად".

ამ ამოცანების აღსრულების კულტურული საფუძველი იყო განსხვავებული "ეთნოისტორიის" არსებობა და/ან თავიდან აღმოჩენა. სადაც არ არსებობდა ამგვარი "ეთნოისტორია", იქ უნდა მომხდარიყო მისი რეკონსტრუქცია, თუნდაც "გამოგონება". ორივე შემთხვევაში ეთნოისტორიით სარგებლობა იყო არჩევითი: მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ზოგი რამის დავინყების, ისე რალაცების გახსენების თვალსაზრისით.

ეთნოისტორიას უმთავრესად სოციალური და პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა. ნაციონალისტები დაინტერესებულნი იყვნენ არა "მათი" წარსულის, როგორც ასეთის, კვლევით, არა-

მედ “მათი ხალხის” ტერიტორიული თვალსაზრისით გააზრებული წარსულის მითოლოგიის ხელახლა გათავისებით. ყოველ შემთხვევაში, ძირითადი პროცესი მიმდინარეობდა პასიური ეთნის ვერნაკულური მობილიზაციისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიზაციის, მისი პოეტური ადგილების კულტივირებისა და ოქროს ხანის მოგონების სახით.

პოეტური ადგილების კულტივირება ნიშნავს იმ საკრალური ტერიტორიის განსაზღვრას, რომელიც ისტორიულად რომელიმე კერძო ერთობას ეკუთვნოდა და მასთან იყო ასოცირებული. სწორედ ამ გაიგივების გამო და მისი წყალობით არის ის საკრალიზებული. ამგვარი წმინდა სამშობლო თავის საბრძანებელში მოიცავს პილიგრიმობისა და თაყვანისცემის ისეთ ობიექტებს, როგორცაა სიონის მთა, არარატის მთა, მერუს მთა, კროუგ პატრიკი [წმ. პატრიკის სახელთან დაკავშირებული ადგილი, მთა ირლანდიაში, სადაც წმ. პატრიკის ძეგლი დგას – მთარგმნ. შენ.], ყუმი [წმინდა ადგილი მუსლიმებისათვის ირანში – მთარგმნ. შენ.], იასნა გორა [წმინდა ადგილი პოლონეთში. აქ გაშენებულია მონასტერი, სადაც დასვენებულია წმ. ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. ითვლება, რომ ეს ხატი ლუკა მახარებლის მიერ არის შესრულებული – მთარგმნ. შენ.]. ეს არის ისტორიული კოლექტიური გადარჩენისა და გამოხსნის ადგილები, სადაც წმინდანნი და ბრძენკაცნი თავიანთ მიმდევრებს შთააგონებდნენ და სადაც ღვთაება ეცხადებოდა მის ერთობასა თუ ამ ერთობის წარმომადგენლებს. ამ წმინდა ისტორიულ ცენტრებს ეთნიკური რჩეულობის სხივი ადგა – სხივი, რომელიც მთელ მინა-წყალს (სამშობლოს) ნათელს ჰყენდა.⁷

პოეტური სივრცის კულტივირება აგრეთვე მიანიშნებს მშობლიური მინა-წყლის ბუნებრივი თვისებების ისტორიულ თვისებებზე გარდაქმნის პროცესს და, პირუკუ, ისტორიული ძეგლების ბუნებად გარდაქმნას. განხორციელდა ისეთი მდინარეების, როგორცაა ღუნაი და რაინი, ისეთი ძეგლების, როგორცაა სიონი და ოლიმპი, და ისეთი ტბების, როგორცაა ფირვალდშტეტერზე (შვეიცარიაში) და პაიპიუსი (ჩუდის ტბა), ჰუმანიზაცია და ისტორიზაცია იმის წყალობით, რომ ისინი ერთობის მითთან და მიღწევებთან გაიგივდა. პირიქით, ისტორიული ძეგლები, როგორცაა სტოუნჰენჯი, ბრეტონის დოლმენები, მეგალითები, ნანგრევებად ქცეული ტაძრები – ყველაფერი ეს რომელიმე ეთნიკური თუ რეგიონალური ლანდშაფტის ნაწილად იქცა. ისინი იქცნენ უფრო ძველი ცივილიზაციების განუყოფელ კომპონენტებად და ძეგლებად, რომლებიც უამთასვლასთან ერთად მათ ბუნებრივ გა-

რემოს შეერწყა და შეეთვისა. სწორედ ამ ბუნებრივმა და მონუ-
მენტურმა ნიშნებმა შეიძინეს ეთნიკურ ნაციონალიზმში ძლიერი
ემოციური უღერადობა, როდესაც სამშობლოში დაბრუნებულმა
ინტელიგენციამ მოინადინა ეთნოისტორიის ხელახალი აღმოჩენა
და ვერნაკულური კულტურის მეშვეობით თავისი ხალხის
მობილიზება. კომპოზიტორებისათვის, მხატვრებისა და მწერ-
ლებისათვის პოეტური ლანდშაფტების ნაციონალისტური მითი
აღვივებს ნოსტალგიისა და იდენტიფიკაციის მძაფრ გრძნობებს,
რასაც ისინი თავიანთი ხელოვნებით აღრმავებენ და ავრცელებენ.
სმეტანასა და დვორჟაკისათვის ბოჰემიაში, სიბელიუსისათვის
ფინეთში, ბარტოკისა და კოდლისათვის უნგრეთში, ბოროდი-
ნისა და მუსორგსკისათვის რუსეთში მათი ქვეყნების ლანდშაფ-
ტები, წელინადის დროთა მონაცვლეობა, ლეგენდები და მონუ-
მენტები აღძრავს ძლიერ ნაციონალისტურ ვნებებს, რომლებსაც
თავიანთი მუსიკის საშუალებით გადასცემენ ფართო საზოგადო-
ებას, მძაფრი აღქმის უნარით რომ გამოიჩინევა.⁸

ასევე მნიშვნელოვანი იყო საგმირო წარსულის გახსენება და
დღესასწაულობა. დემოტური ეთნიკური ნაციონალიზმის ამ ას-
პექტთან დაკავშირებით მაქს ვებერი გერმანიის რაიხის მიერ
ანექსირებულ ელზასელთა ფრანგული თვითშეგნების (მიუხედა-
ვად იმისა, რომ ბევრი ელზასელი გერმანულენოვანი იყო) თაო-
ბაზე შენიშნავდა: "ეს შეიძლება გაიგოს ყველა ჩამომსვლელმა,
რომელიც კოლმარის მუზეუმში გაივლის, რომელიც სავსეა ისე-
თი სიძველეებით, როგორიცაა სამფეროვანი დროშა, პომპიერი,
სამხედრო ჩაფხუტები, ლუი ფილიპეს ედიქტები და, განსაკუთ-
რებით, საფრანგეთის რევოლუციის რელიკვიები; შეიძლება, უცხ-
ოელს ეს ტრივიალურად მოეჩვენოს, მაგრამ ელზასელები ყოვე-
ლივე ამას დიდი სიფაქიზით ეკიდებიან. ერთობის ეს შეგრძნება
ჩამოყალიბდა საერთო პოლიტიკური და, ირიბად, სოციალური
გამოცდილებების საფუძველზე, რომელსაც ძალიან აფასებენ მა-
სები, როგორც ფეოდალიზმის ნგრევის სიმბოლოს. ამ მოვლე-
ნათა ამსახველი ამბები ისეთსავე ადგილს იკავებს მათ ცნობიერებაში,
როგორსაც საგმირო ლეგენდები პრიმიტიული ხალხების
ცნობიერებაში."⁹

ეს ისტორიული მეხსიერება და საგმირო ლეგენდები სინამ-
დვილემი არ შემოიფარგლება პრიმიტიული ხალხების ცნობიერებით.
მათ ვხვდებით მთელი აღმოსავლეთი ევროპისა და ახ-
ლო აღმოსავლეთის კლასიკური ნაციონალიზმის თავდაპირველი
მოზღვავეებისას – პოლონელებთან და ჩეხებთან, ფინელებთან და
სომხებთან, გერმანელებთან, თურქებსა და არაბებთან. ყველა ამ

შემთხვევაში ნაციონალისტები ხელახლა აღმოაჩენენ და ხშირად აზვიადებენ კიდევ გასული საუკუნეების საგმირო წარსულს, სახელოვან წინაპართა ცივილიზაციებს (ხშირად ისეთებსაც, რომლებიც სინამდვილეში "მათი საკუთარი" არ არის), მათი დიდი ნაციონალური გმირების ნაღვანს, მაშინაც კი, როდესაც ისინი ლეგენდის სფეროს უფრო განეკუთვნებოდნენ, ვიდრე ისტორიისას; და თუ იყვნენ კიდევ, არაფერი გაეგებოდათ იმ ნაციისა, რომელიც ასე მონდომებით ცდილობდა მათ გამოხმობას წარსულის უკუნეთიდან. ზიგფრიდი, ქუხულინი [Cuchulain - ირლანდიური ლეგენდარული გმირი, - მთარგმნ. შენ.], არტური, ლემინკაინენი [ფინური მითოლოგიის კალევალას გმირი, - მთარგმნ. შენ.], ნეველი, აგამემნონი, ძველი საგების უწინდელი გმირები ახლა ამალდნენ, როგორც ნაციონალური ღირსების ნიმუშები და განახლებული "ახალი ადამიანის" პროტოტიპები, რომელთაც ეთნიკური ნაციონალისტები ყოველ წამს განადიდებდნენ.¹⁰

ვის ემსახურებოდა ეს ხელახალი აღმოჩენები და რეკონსტრუქციები? უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ფესვებდაკარგულ ინტელიგენციას, რომელიც ცდილობდა მის მიერ აღორძინებული ეთნის "ცოცხალი წარსულის" მოძიებას, რათა მისი წევრების მობილიზაცია მოეხერხებინა და სოციალური სტატუსისა და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის მოემზადებინა ისინი. სამშობლოში დაბრუნებული ინტელიგენცია თავის პროფესიულ უნარს ახმარდა თავის მიერ ახლად შექმნილ ერთობას. ამით ის ცდილობდა, ხიდი გაედო საკუთარ თავსა და "თავის" ეთნიკურ მოსახლეობას ("თანამემამულეებს") შორის, რადგან ინტელიგენციას სსეკულარული განათლების წყალობით უკვე შეთვისებული ჰქონდა რაციონალისტური "კრიტიკული დისკურსის კულტურა".¹¹

მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ რეკონსტრუირებულ ეთნოისტორიაში დაბრუნებით მოგებულნი დარჩნენ მობილიზებული ეთნის წევრები. რადგან მათი სტატუსი მთლიანად იცვლება ვერნაკულური მობილიზაციის შედეგად არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ის აქტიურდება და აღარ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ გარედან ზენოლის პასიურ ობიექტს, არამედ იმ აზრითაც, რომ სწორედ "მათ" ხალხურ კულტურას იშველიებენ ახლა ისტორიულად მოაზროვნე ინტელექტუალები და "მაღალი" სალიტერატურო კულტურის რანგში აჰყავთ იგი. პირველად ისტორიაში ხალხის თავისუფლების ლოზუნგით გაერთიანებული მასები ხდებიან ისტორიის სუბიექტები. იმაედროულად, სწორედ მათ კულტურას უნდა გამოეხატა ნაციად გარდაქმნილი ერთობის ინდივიდუალობა და უნიკალობა, და, ამდენად, მისი *raison d'être*.¹²

ვერნაკულური მობილიზაციის პროცესში სრულიად სხვა სახის "კომუნიკაციური დამოკიდებულებები" იწრთობა. იქ, სადაც ოჯახური და ეთნიკური გზით ხდებოდა საკომუნიკაციო ღრუბულებების, სიმბოლოების მითებისა და მეხსიერების გადაცემა და ამ ტრადიციის საფუძველზე ახალი თაობების სოციალიზაცია, ბევრგან ვერნაკულური მობილიზაციის შედეგებმა თავი იჩინა მას შემდეგ, რაც დაბრუნებულმა ინტელიგენციამ შექმნა ახალი სახის "ნაციონალური" კომუნიკაციისა და სოციალიზაციის გზები, რომელთა მეშვეობით ეთნიკური ღრუბულებები, მითები და მოგონებები პოლიტიკური ნაციისა და პოლიტიკურად მობილიზებული ერთობის საფუძველი გახდა. სხვადასხვა სახის ინტელიგენციის ეგიდით გარკვეულ კლასებთან (ჩვეულებრივ ეს კლასებია ბურჟუაზია, ზოგჯერ – დაბალი არისტოკრატია, ზოგჯერ კი – მუშები) კავშირში იქმნება ახალი და განსხვავებული ნაციონალური იდენტობა, რომელიც რეკონსტრუირებულ ეთნიკურ ხალხურ კულტურას ავრცელებს ერთობის უკლებლივ ყველა კლასში. ამ იდენტობას აქვს თავისი სამოქალაქო ელემენტებიც. მისი წევრები ახლა პოლიტიკური ეთნონაციის კანონიერი მოქალაქეები არიან. ისინი, იმავედროულად, საკუთარი თავის გააზრებას ტერიტორიული ტერმინებითაც იწყებენ, მაგრამ ამ სახის ნაციონალური იდენტობის საფუძველი ჭეშმარიტად შეესატყვისება მის დემოტურ ფესვებს. ნაციონალური იდენტობა, რომელსაც ინტელექტუალები და ინტელიგენცია ქმნის ყოფილ ვერტიკალურ ეთნიებს შორის, მისწრაფის იქითკენ, რომ დაუახლოვდეს მასში მოაზრებულ ეთნიკურ კულტურასა და ეთნიკურ საზღვრებს. ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც ახორციელებს მასების მობილიზაციას, ქმნის პოლიტიკურ ნაციას, თავის წარმოდგენაში არსებული ეთნიკური ფესვების გათვალისწინებით.

სრულიად განსხვავებულია ნაციონალური იდენტობის ის ფორმა, რომელიც ერთობას ადრე არსებული დემოტური ეთნისგან მისი მობილიზაციისა და ტრანსფორმაციის გზით ქმნის. ამდენად ასეთი იდენტობა უფრო ინტენსიურიცაა და, ხშირად, უფრო საკუთარ თავში ჩაკეტილი, ვიდრე ტერიტორიულ საფუძველზე დაფუძნებული ნაციონალური იდენტობები. ბევრი ირლანდიელი ნაციონალისტის მიერ გელური კულტურის აღორძინებისადმი დიდი დაინტერესება, ან ფინელებს შორის კარელიის, მისი ბუნების, ისტორიისა და პოეზიის ხელახალი აღმოჩენით გაღვივებული მძაფრი განცდები გახლავთ დაკარგული ეთნიკური წარსულის ინტენსიური ხელახალი აღმოჩენისა და სულიერი მობილიზაციის ტიპური ნიმუში, რომელიც ახლად პოლიტიზებულ ერთობას ემ-

სახურება. ამ ერთობაში ყველა მისი წევრი ახალი ვერნაკულური კულტურის მეშვეობით ხელახლა უნდა ეზიაროს განათლებასა და კულტურას, რომელიც ხალხის ერთადერთ ავთენტურ ხმად გაისმის.¹³

“ავთენტური” ვერნაკულური კულტურითა და ისტორიით ამ ინტენსიური დაინტერესების შედეგები კარგად არის ცნობილი. აღმოსავლეთ ევროპაში და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ნაწილში ის გარდაუვლად ინვეეს შეჯიბრსა და კონფლიქტსაც კი იმ ერთობებს შორის, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე სტაბილურად, თუნდაც სირთულეებით აღსავსე ცხოვრებით, ცხოვრობდნენ. ეთნიკურად შერეულ არეალებში ძიება სამშობლოსი, სადაც ავთენტური კულტურა უნდა გამოიძებნოს და განვითარდეს, ინვეეს ანტაგონიზმის გაჩენას ან ძველი დაპირისპირებების გამწვავებას. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს სწორედ ეს არეალები იქცნენ ყველაზე ინტენსიური კონფლიქტებისა და ტერორის ასპარეზად.¹⁴

ტერორი და არასტაბილური მდგომარეობა დამძიმდა არა მარტო იმ ვნებათაღელვის გამო, რომელიც ვერნაკულური მობილიზაციის პროცესმა გამოიწვია. ამის მიზეზი ძველი იმპერიების ნელი, მაგრამ შესამჩნევი დაკნინებაც იყო, - იმპერიებისა, რომელთა შემადგენლობაშიც დემოტური ეთნიკების დიდი ნაწილი შედიოდა. ამ რეგიონებში საუკუნეების მანძილზე პოლიტიკური ლეგიტიმაციის ერთადერთი წყარო იყო იმპერიული სახელმწიფო და მისი მონარქები. ჯერ კიდევ არ არსებობდა აშკარა და მისაღები ალტერნატივა. ასეთი ალტერნატივის წყაროს შესაქმნელად ისტორიულ-კულტურული ერთობისათვის საჭირო იყო არა მარტო ახალი ტიპის პოლიტიკური იდენტობის შექმნა, არამედ ამ იდენტობის ამაღლება ისეთ უნივერსალურ პრინციპამდე, რომელიც ახალ პოლიტიკურ წესრიგს დაედებოდა საფუძვლად და რომლის მიხედვითაც ჩაითვლებოდა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება დაფუძნებულია ხალხის სუვერენულ უფლებაზე. აქედან მოდის სწორედ “საფრანგეთის რევოლუციების” არაერთგზისი გამეორების მნიშვნელობა, რომელიც ნდობას უცხადებს სუვერენული კულტურული ერთობის იდეას, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების ერთადერთ ლეგიტიმურ წყაროს. კომპაქტური ნაციის მაგალითი კი პრესტიჟული დასავლეთის შიგ შუაგულში მოიძებნა. მხოლოდ ასეთ მაგალითსა და ასეთ პრესტიჟს შეეძლო მიენიჭებინა პოლიტიკური ლეგიტიმაცია ინტელიგენციის მიერ წამოყენებული ვერნაკულური მობილიზაციის პროგრამისათვის და მორალური და კულტურული ცვლილებები პოლიტიკურ და

სოციალურ რევოლუციაში გადაეზარდა. საფრანგეთის რევოლუციის ექო ჰაბსბურგების, ოსმალებისა და რომანოვების იმპერიის ტერიტორიებზეც კი ხმამაღლა გაისმოდა მეოცე საუკუნეში.¹⁵

მაგრამ ხალხის სუვერენობის ფრანგული იდეალებისა და პრემოდერნული დემოკრატიული ეთნიკების ინტელიგენციის მიერ განხორციელებული ვერნაკულური მობილიზაციის შერწყმამ გამოიწვია "ნაციონალური იდენტობის" განსხვავებული მოდელის ჩამოყალიბება ამ ერთობებში. სახალხო მონაწილეობა და არა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, პოპულისტური ორგანიზაცია და არა დემოკრატიული პარტია, სახალხო ნაცია-სახელმწიფოს ინტერვენცია და არა უმცირესობათა და ინდივიდთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს ჩარევისაგან – ყოველივე ეს ათნლეულების მანძილზე პრემოდერნული დემოკრატიული ეთნიკის საფუძველზე ახლად ჩამოყალიბებული ეთნოპოლიტიკური ნაციების მახასიათებლებად იქცა. აფრიკისა და აზიის ახალ სახელმწიფოებში, ისევე, როგორც დასავლეთის ძველ სახელმწიფოებში, ტერიტორიული ნაციის სამოქალაქო იდეალების ეთნო-პოლიტიკური ნაციის გენეალოგიურ მიზნებთან (რომელიც, ჩვეულებრივ, ვრცელი იმპერიებიდან გამოყოფის მოძრაობას მოსდევს) შერწყმის ამგვარი მცდელობა ვერნაკულური მობილიზაციის შემდგომი აღზევებისა და სეპარატისტული ეთნოპოლიტიკური ერთობების შექმნის მოდელს აყალიბებს.

ეთნიკური სეპარატიზმი პოსტკოლონიურ სახელმწიფოებში

ეთნიკური სეპარატიზმის მოძრაობების დიდი უმრავლესობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წარმოიშვა აზიისა და აფრიკის ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოლონიალიზმიდან მათი ამოფრქვევა ორგვარი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ: პირველი ისაა, რომ სწორედ კოლონიურმა სახელმწიფომ მოაქცია ერთიანი პოლიტიკური იურისდიქციის ქვეშ ბევრი ცალკეული და ერთმანეთისაგან დაცილებული ეთნიკური ერთობები და კატეგორიები, ამ დროს გაიზარდა როგორც პოლიტიკური ცხოვრების მასშტაბი, ისე ცენტრალიზებულად განაწილებული რესურსების ირგვლივ ატეხილი კონფლიქტების შანსებიც. მეორე, დეკოლონიზაციის პროცესში, დაკნინებისა და (მინების) დაკარგვის წლებში, ეთნიკური სეპარატიზმი წარმოიქმნა იმისათვის, რომ დაპირისპირებოდა მომავალი პოსტკოლონიური წესრიგის სამოქალაქო წყობას და მის ტერიტორიულ ნაციონალურ იდენტობას.

ომის შემდგომი ეთნიკური სეპარატიზმის ძირითადი პროცესები რეალობაში ძლიერ ემსგავსება კლასიკურ ეთნიკურ ნაციონალიზმს. მაგრამ ეს პროცესი ხშირად შემჭიდროვებულია ან შებრუნებული. ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს ეთნისა და მისი მემკვიდრეობის პოლიტიზაცია, რომელსაც მოჰყვება ინტელიგენციის მიერ განხორციელებული ვერნაკულური მობილიზაცია (როგორც აღმოსავლეთ ევროპაში და ამ კონტინენტის განაპირა რეგიონებში), ხშირად ვანყდებით ამ ორი პროცესის ერთდროულ მიმდინარეობას ან მათი ჩვეულებრივი თანმიმდევრობის შეცვლას. როგორც ვნახეთ, ევროპაში ნაციონალისტური მოძრაობა წარმოიშვა მისი წინარეკულტურული "გამოღვიძებიდან" რამდენიმე ათწლეულის შემდეგ. ხოლო მისგან განსხვავებით, აზიასა და აფრიკაში ნაციონალიზმის ეს ორი სახე ხშირად ურთიერთშერწყმული და ერთდროული პროცესია. ქურთებთან, მაგალითად, პირველი კულტურული და სამწერლობო ორგანიზაციები გაჩნდა 1908 წლის ახალთურქული გადატრიალების დროს ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელსაც სათავეში ედგა თურქული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობა "ერთიანობა და პროგრესი"; ამ ორგანიზაციის წევრებს ევროპელები უწოდებენ "ახალ თურქებს" — *Young Turks*. — მთარგმნ. შენ.] გარდა იმისა, რომ ცოტა ხნით გამოდიოდა ქურთული ჟურნალი (დაარსდა 1898 წ), ქურთთა პირველი კულტურული ორგანიზაცია (*Taali we Terakii Kurdistan*, ქურთისტანის აღორძინება და პროგრესი) გაფორმდა 1908 წლის შემოდგომაზე და დაიწყო ცოცხალი კულტურული ხასიათის გაზეთის გამოშვება სტამბულში, ხოლო ახალგაზრდა ინტელექტუალებმა ჩამოაყალიბეს ქურთთა კლუბები მთავარ ქურთულ ქალაქებში. 1910 წელს დაარსებულმა პირველმა ქურთულმა პოლიტიკურმა ასოციაციამ, *Kiviya Kurd*-მა (ქურთთა იმედი), 1912 წლისათვის ლეგალური სტატუსი მიიღო. პირველმა მსოფლიო ომმა შეაფერხა ქურთთა პოლიტიკური ქმედითობა, რომელსაც თან სდევდა ქურთთა მასიური დეპორტაცია და ჟლეტა. მაგრამ ახალი პოლიტიკური ორგანიზაციები, განსაკუთრებით *Kurdistan Tali Djemiyeti* (ქურთისტანის აღორძინების საზოგადოება), აგრძელებდნენ ბრძოლას. ამგვარად, ქურთული ენის მოდერნიზაციისა და ქურთული დამწერლობის სტანდარტიზაციის კამპანია წარმოადგენს უფრო ფართო ნაციონალისტური პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ განშტოებას, რომელიც შემდგომ გაგრძელდა *pari passu* ტომებად დაყოფილი ეთნიკური ერთობის პოლიტიზაციით, სხვადასხვა პარტიზანული ომით თურქების, ერაყელებისა და ირანე-

ლების წინააღმდეგ, განსაკუთრებით, 1960-იან და 1970-იან წლებში.¹⁶

მაგალითისათვის პაკისტანის ბელუჯების შემთხვევაც გამოდგება: მიუხედავად იმისა, რომ მათ ინტელექტუალებს შეეძლოთ ხანგრძლივი ისტორიისა და მდიდარი ძველი ფოლკლორის წარმოჩენა, სავსებით აშკარაა, რომ ვერნაკულური მობილიზაციის პროცესი განვითარდა მხოლოდ ბელუჯების პოლიტიკური ნაციონალიზმის შედეგად 1947 წლის შემდგომ, როგორც მისი ერთ-ერთი განშტოება. მხოლოდ უკანასკნელ ხანს, გამოიყენეს, მაგალითად, განსხვავებული ბელუჯური ანბანი, რომელიც დაფუძნებულია არაბული ანბანის გასპარსულებული ნასტალიკის სტილზე, (პიველად ამ ანბანით შესრულებული ქრესტომათია გამოიცა კანადაში 1969 წ.), თუმცა ბევრი ბელუჯური ნაციონალისტური შრომა დაიწერა ურდუსა (ურდუ-პაკისტანის სახელმწიფო ენა და დამწერლობა) და ინგლისურ ენაზე. ამ შემთხვევაში პერიოდულმა ომებმა პაკისტანის ცენტრალურ ხელისუფლებასთან გააღვივა ბელუჯური ნაციონალური თვითშეგნება, რამაც მიიღო საყოველთაო ხასიათი; მათ გამოიწვიეს, აგრეთვე, ტომობრივ განსხვავებათა წაშლა; ურბანიზაციისა და განათლების შედეგად თანდათანობით წარმოიქმნა განათლებული კლასი, რომელმაც ახალი ნაციონალისტური მოძრაობის წინამძღოლობა ითავა.¹⁷

სხვა შემთხვევებშიც, რისი მაგალითიცაა პალესტინელები და ერთრეელები ვერნაკულური მობილიზაციის პროცესმა უპირველეს ყოვლისა უნდა გამოამზეუროს ეთნიკური წარსული, რაც საჭიროა ანმყო მიზნების განსახორციელებლად და შემდეგ პოლიტიზებული საერთო კულტურიდან ეთნიკური ერთობის გრძნობისა და ერთიანი და განსხვავებული თვითშეგნების ჩამოსაყალიბებლად. პალესტინის შემთხვევაში ეს ნიშნავს ფართო არაბული იდენტობისაგან განსხვავებული ინდივიდუალური პალესტინური კულტურის აქცენტირებას. ერთრეის შემთხვევაში კუტურული ერთობა საერთო ბედ-იღბლის მქონე რეგიონული ერთობის პოლიტიკური ბრძოლიდან უნდა გამოძერწილიყო. ორსავე შემთხვევაში სწორედ სამხედრო და პოლიტიკური ბრძოლაა ის სასტიკი გამოცდა, რომლის საშუალებითაც ვერნაკულური მობილიზაცია ხორციელდება. თუმცა გარკვეულწილად აქაც საერთო კულტურული სიმბოლიზმი იგულისხმება.¹⁸

სეპარატისტული ეთნონაციონალისტური მოძრაობები საიდნაც უნდა იღებდნენ ისინი დასაბამს, მიისწრაფიან ავტონომიის მოპოვებისა თუ იმ სახელმწიფოებიდან გამოყოფისაკენ, რომელთა საზღვრები და *raison d'être* კოლონიური სისტემის ნაწილია. მა-

თი უკმაყოფილების უპირველესი წყაროა თავად პოსტკოლონიური სახელმწიფოს პლურალური ხასიათი და მყიფე ლეგიტიმაცია. უმეტეს შემთხვევაში აჯანყების კატალიზატორად ეკონომიკური სირთულეები გვევლინება – როდესაც ახალი სახელმწიფო ვერ ახერხებს თავისი დაპირებების შესრულებას ანდა უპირატესობას ანიჭებს ზოგიერთ ეთნიკურ ერთობას თუ კატეგორიას, რაც სხვების ხარჯზე ხორციელდება. პოსტკოლონიური სახელმწიფოს ასეთი მდგომარეობა ქმნის იმ ნოყიერ ნიადაგს, რომელზედაც ესა თუ ის ეთნიკური ერთობა თავის გადასარჩენად ამ სახელმწიფოდან გამოყოფისკენ მიილტვის. სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების მნიშვნელოვანი ძალაუფლების პირობებში ახალ სახელმწიფოში არა მარტო ეთნიკური დაპირისპირება მწვავედება პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, არამედ გამარჯვებაც და დამარცხებაც ბევრად უფრო მძიმე შედეგებისა და უსიამოვნების მომტანია, ვიდრე დასავლეთის უფრო განვითარებულ და კონსოლიდირებულ ქვეყნებში. ვინაიდან სოციალური კლასები ნაკლებად განვითარებულია, ეთნიკური კავშირები კი – უფრო გამოკვეთილი, განსაკუთრებით, ურბანული დაპირისპირების პირობებში, ლიდერებისა და პარტიების პოლიტიკური ელექტორატი, დიდნილად, მოიცავს ერთ ან მეტ ეთნიკურ ერთობასა თუ კატეგორიას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პარტიის ლოზუნგებითა და პროგრამებით. ეთნიკური ნიშნით განსაზღვრული ელექტორატის მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება იწვევს შიდაეთნიკური საზღვრების გამაგრებას და ხელს უწყობს ეთნისა და ეთნიკური კატეგორიების ცნობიერების ჩამოყალიბებას. მეტიც, ამ დაპირისპირების დროს განცდილმა მარცხმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის მეორდება, შეიძლება დამარცხებულ ერთობაში დღის წესრიგში დააყენოს გამოყოფის საკითხი. ეს უფრო მოსალოდნელია, თუ ამ ერთობის ლიდერები გაითავისებენ ნეგატიურ სტერეოტიპებს. ან ეს ხდება იქ, როგორც ბიაფრანის [ბიაფრანის სამოქალაქო ომი ეწოდება 1967-1970 წწ. ნიგერიის სამოქალაქო ომს, რომლის დროსაც გამოიკვეთა მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის გამოყოფისა და ბიაფრანის რესპუბლიკის შექმნის მცდელობა – მთარგმნ. შენ.] შემთხვევაში, სადაც ამგვარი სტერეოტიპები ტერორისა და მასობრივი ყლუტის პირობების შექმნას უწყობენ ხელს. ახალი სახელმწიფოების ლიდერები აქტიურ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ზომებს იღებენ იმისათვის, რომ ეთნიკური საზღვრები მოშალონ, რასაც ნიგერიის მთავრობა ახორციელებს 1975 წლიდან. სხვა შემთხვევებში სახელმწიფოთა ლიდერები იმისათვის ემზადებიან, რომ

დომინანტურმა ეთნიკურმა ეთნიკური ოპოზიცია ძალისმიერად დათრგუნოს. ნებისმიერ შემთხვევაში ახალ მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში არსებობს ეთნიკური არასტაბილურობის წარმოქმნის ლატენტიური ტენდენციები, რასაც მუდმივად უნდა გაუწიონ ანგარიში.¹⁹

რა თქმა უნდა, არსებობს მჭიდრო კავშირი, შესაძლოა, დიალექტიკურიც კი, სამოქალაქო ტერიტორიული ნაციონალური იდენტობის შექმნის მცდელობასა და იმ მოძრაობებს შორის, რომელთა მიზანია "ტერიტორიული ნაციიდან" ერთი რომელიმე ეთნიკური ერთობის ან კატეგორიის განცალკევება და მისი "ეთნიკური ნაციის" ქარგაზე მოჭრა. რაც უფრო მეტად ცდილობენ ახალი სახელმწიფოების მმართველები პოლიეთნიკური მოზაიკიდან ინტეგრირებული ტერიტორიული ნაციის შექმნას, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ამ სახელმწიფოს შიგნით ეთნიკური უთანხმოება ჩამოვარდეს ან გამოყოფის პროცესი დაიწყოს. ეს ხდება მაშინ და იქ, სადაც კოლონიალიზმისა და ნაციონალიზმის ნიაღში ამოიზრდება დაბრუნებული ინტელიგენცია, რომელიც ხელახლა აღმოაჩენს თავის ეთნიკურ წარსულს და მის კულტურულ მემკვიდრეობას.

სადაც ამგვარი წარსულის აღმოჩენა აღარ არის შესაძლებელი, ან სადაც არ არსებობს ისეთი ინტელიგენცია, რომელიც ამ წარსულს აღმოაჩენს, ვერც კოლონიალიზმი და ვერც გამაერთიანებელი ტერიტორიული ნაციონალიზმი ვერ მოახერხებს ეთნიკური შუღლის გაღვივებას, სეპარატისტულ მოძრაობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამის მაგალითია ბევრი მცირე ეთნიკური კატეგორია აფრიკის სუბსაჰარის რეგიონში. აქ შეიძლება ვისაუბროთ "ნაციონალიზმის მარცხზე" იმ თვალსაზრისით, რომ ეთნიკური ნაციონალიზმის მოძრაობა აქ არასდროს ყოფილა ნიადაგს მონყვეტილი. მიუხედავად კოლონიური მმართველობისა, დასავლური კაპიტალიზმის შემოჭრისა და სხვა ნაციონალიზმების თვალსაჩინო მაგალითებისა. განსახილველ შემთხვევებში აუცილებელი "შინაგანი" პირობები – სეკულარულ ინტელექტუალთა ფენა, ინტელიგენციის უფრო ფართო ფენა და ეთნიკური წარსული, რომლის აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა – უბრალოდ არ არსებობდა.²⁰

ეს არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ ბევრ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ეთნიკური ერთობების ან მთელი რეგიონის (სადაც ეს ერთობა მკვიდრობს) რელატიურ ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. ჰოროვიცს თავის არგუმენტაციაში სიმძიმის ცენტრი სწორედ ამ განვითარებად ურთიერ-

თობებზე გადააქვს. იგი ამტკიცებს, რომ ეთნიკური სეპარატიზმის მოძრაობები ყველაზე სწრაფად და ხშირად წარმოიქმნება ჩამორჩენილი რეგიონების ჩამორჩენილ ეთნიკურ ჯგუფებში, როგორცაა სამხრეთი სუდანი, ქურთისტანი, კარენი და შანი ბირმაში, და პაკისტანის ბენგალები. ერთი მხრივ, ისინი ბევრს ვერაფერს მიაღწევენ ახალ სახელმწიფოებში ჩართვის მათეული პროექტით, რომელიც გულისხმობს ინტეგრირებული ტერიტორიული ნაციების შექმნას. მეორეს მხრივ, განვითარებულ ეთნიკურ ჯგუფებს ჩამორჩენილ რეგიონებში არც მაინცდამაინც სურთ გამოყოფა. ისინი ამას ესწრაფიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი სახელმწიფოების სხვა რეგიონებში ხორციელდება პოპულაციის ექსპორტირება, რის შედეგადაც მათი პოზიცია ზედმეტად ზარალდება და სახელმწიფოში დარჩენის საზღაური მეტისმეტად იზრდება. განვითარებულ რეგიონებში დანინაურებულ ჯგუფებს შორის, როგორებიც არიან იორუბა, ბაგანდა და სიკხები, გამოყოფა სასურველია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გამოყოფის ეკონომიკური საფასური დაბალია. საერთოდ, საზოგადოებისათვის ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელია დაუნაწევრებელ სახელმწიფოში დარჩენა. განვითარებულ რეგიონებში არსებული ჩამორჩენილი ეთნიკური ჯგუფები გაცილებით უფრო ადვილად წყვეტენ გამოყოფის საკითხს, თუმცა მათ რეგიონის შიგნით იშვიათად უჭირავთ ნამყვანი პოზიცია. გამოყოფის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღების მოლოდინი იშვიათად ექვემდებარება საკმარის პოლიტიკურ კონტროლს. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია სამხრეთ კატანგა [კონგოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ოლქი - მთარგმნ. შენ.]. საერთოდ, ეკონომიკური ინტერესები შეხამებულია (კომბინირებულია) ჯგუფის ძლიერ სურვილთან, წარმოაჩინოს ეთნიკური სეპარატიზმი-საკენ მიმავალი გზები, მაგრამ ეს ჯგუფი უმეტესწილად აზვიადებს მოსალოდნელ ეკონომიკურ სარგებელს.²¹

ჭოროვიცის მიერ ჩამოყალიბებული მოდელი მხოლოდ სახელმძღვანელო სქემადაა გააზრებული. მაგრამ აქ თავს იჩენს ძალზე ბევრი შუალედური და ცვალებადი ფაქტორი (ეთნიკური დისკრიმინაციის სიმკაცრე, სახელმწიფო სამოქალაქო სამსახური, რეგიონებში მიგრაციის ხარისხი და სხვა) და ამიტომ ჭირს გამოყოფის (სეცესიის) მოქმედების არეალისა და დროის ზუსტად განსაზღვრა შესაბამისი ეთნიკური ჯგუფებისა და რეგიონების განვითარების შედარებითი დონის მიხედვით. თუმცა ავტორმა შეძლო კარგად ეჩვენებინა, რომ სეცესიის მოძრაობაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩამორჩენილ ეთნიკურ ჯგუფებს ჩამორჩენილ რეგიონ-

ნებში. თავად ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ ახლად შექმნილ სახელმწიფოებში სეცესიური მოძრაობისა და ჯგუფების თუ რეგიონების პოზიციათა შეფარდებითი მდგომარეობის ურთიერთკავშირში განხილვა ძალზე სასარგებლოა.

ამ ტიპის სქემის პრობლემები ორგვარია. ჯერ ერთი, პრობლემატურია ისეთი ტერმინების, მიკერება რომელიმე ჯგუფსა თუ რეგიონზე, როგორცაა “განვითარებული” და “ჩამორჩენილი”. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს ინდიკატორების სხვადასხვა კომბინაცია, ცვალებადი შეფასებები და ცვალებადი სტერეოტიპები. ერთრეაქციების და ბიაფრანის შემთხვევა ნათელიყოფს, რომ მთელი ჯგუფისათვის ამგვარი ტერმინების მისადაგება ან მათზე დამყარებული ჰიპოთეზების საფუძველზე გარკვეული დასკვნების გაკეთება რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ბალტიისპირა სახელმწიფოების უკანასკნელი ხანის მოვლენები ასევე ეჭვს ბადებს იმ წინასწარმეტყველებათა მართებულობაზე, თითქოს “დანიანურებულ” რეგიონებში “დანიანურებული” ჯგუფები სეცესიის ნაკლებად მოსურნენი არიან. მეორე, როგორც ზემოხსენებული შემთხვევებიდან ჩანს, ამგვარ სქემაში საჭიროა სრულიად სხვადასხვაგვარი ფაქტორების გათვალისწინება, რაც ბევრად უფრო კომპლექსურს გახდის მას და გაართულებს მის გამოყენებას. მხედველობაში მაქვს ისეთი ფაქტორები, როგორცაა პოლიტიკური რეპრესიების ხარისხი (ჰოროვიცი უშვებს ამგვარი ფაქტორის არსებობას ბასკების შემთხვევაში), დემოკრატიული თავისუფლება, კულტურული და პოლიტიკური მობილიზაციის შესაძლებლობები და ინტელიგენციის არსებობა/არარსებობა. ასევე გასათვალისწინებელია ხელსაყრელი, თუნდაც ძალზე ახლო ეთნიკური წარსულის არსებობა. კოლონიალიზმის შემდგომი ხანისათვის და ახალი, ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფოების პირობებში გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორებიც, როგორცაა წარსულში ეთნიკური ანტაგონიზმების არსებობა.²²

მაგრამ, ალბათ, ახალი ეთნიკური ნაციის შექმნაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ახალი სახელმწიფოს აპარატის მაკონტროლებელი ელიტა და მისი ძალმოსილება თუ ნება, წინააღმდეგობა გაუწიოს ეთნიკური სეცესიის მოძრაობას თუნდაც მნიშვნელოვანი ძალის გამოყენებით. რეალურად მეორე მსოფლიო ომის დროს ეთნიკურმა სეპარატიზმმა აქა-იქ თუ მიაღწია დასახულ მიზანს. ახალი სახელმწიფოების უმეტესობა შეიქმნა დეკოლონიზაციის და არა სეცესიის პროცესის შედეგად. გამონაკლისები – ბანგლადეში და სინგაპური – განსაკუთრებული გარემოებების პროდუქ-

ტი იყო. სინგაპურის სეპარატიზმი, თავისი თითქმის მთლიანად ჩინური მოსახლეობის თანამონანილეობით, შეთანხმებული პროცესი იყო, მაშინ როცა ბანგლადეში იყო რეგიონული ხელისუფლების უჩვეულო გეოპოლიტიკური კონსტელაციის შედეგი. სხვა ყველა შემთხვევაში, კერძოდ, ბიაფრაში, ერიტრეაში, ქურთისტანში, კალისტანსა და თამილნადში, არც შეთანხმებული პროცესი ყოფილა და არც უჩვეულო გეოპოლიტიკული კონსტელაციები მოქმედებდა. მართალია, თითოეულ ამ (და სხვა) შემთხვევაში ეთნიკურ სეპარატიზმს, დროებით მაინც, გარეშე ძალის იმედი ჰქონდა, მაგრამ გარეშე ძალის იმედით ვერც ერთი მათგანი ვერ იქონიებდა ზემოქმედებას სახელმწიფოზე, რომლის მმართველი კლასი დომინანტური ეთნის წარმომადგენელი იყო, ასევე ვერ აიძულებდა მას, მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო და ეთნიკური ავტონომიის თუნდაც ნაწილი გაენირა. ამას მოსდევდა პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც შეიძლება მრავალი ფორმით ყოფილიყო გამოხატული, დაწყებული ჩუმი უთანხმოებით და, დამთავრებული გამოყოფისათვის გაჩაღებული ღია და ხანგრძლივი ომით. ასეთებია კონფლიქტები ეთიოპიაში, ანგოლასა და შრი-ლანკაში, სადაც ახლო მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია რაიმე სამშვიდობო გადაწყვეტილების მიღება.²³

რას მოასწავებს ეს არასტაბილურობა ეთნონაციონალური იდენტობის შექმნის თვალსაზრისით პოსტკოლონიური სახელმწიფოების კონტექსტში? აზიანებს თუ აძლიერებს ამ სახელმწიფოების ინტეგრაციული და ხანდახან დისკრიმინაციული ზენოლა ვერნაკულური მობილიზაციისა და კულტურული პოლიტიზაციის (რომლებიც არიან ეთნის ეთნოპოლიტიკურ ნაციაში გადაზრდის ნიშნულები) პროცესს? ძნელია კატეგორიული იყო ასეთ დროს. ერთი რამ ცხადია, – გაერთიანების პროცესის ზენოლა შიგნიდან აფეთქებს სტრუქტურებს და აზიანებს ბევრ, შედარებით მცირე, ეთნიკურ კატეგორიას, რომელსაც სამწერლობო ტრადიცია არ გააჩნია, როგორც ციმბირში და აფრიკაში, ან რომლებმაც ნაწილობრივ დაკარგეს იგი, როგორც ზოგან ლათინურ ამერიკაში. ამ შემთხვევებში ის ეთნიკური ჯგუფები, რომლებმაც ვერ შეძლეს “მაღალი” სამწერლობო კულტურის შექმნა და სპეციალისტების საკომუნიკაციო გარემოს ჩამოყალიბება, აღმოჩნდნენ ნაკლებ რეზისტენტულები კულტურული ინტეგრაციისადმი პოსტკოლონიურ სახელმწიფოებში. ამგვარ კატეგორიებს, შესაძლოა, იმავე მიზეზების გამო, ასევე აკლიათ პოლიტიკური ნება და სამხედრო რესურსი, რომ დაუპირისპირდნენ აკულტურაციასა და ინტეგრაციას.²⁴

მეორე მხრივ, იქ, სადაც არსებობდა ცოცხალი კულტურული და სამწერლობო ტრადიცია, რომლის ადაპტირება შესაძლებელი იყო ახალ პირობებთან, პოსტ-კოლონიური სახელმწიფოს გამაერთიანებელი ზენოლა, რომელიც ხშირად კოლონიალიზმის გამთიშავი პოლიტიკის თანამდევია, აძლიერებდა ეთნიკური მობილიზაციისა და პოლიტიზაციის პროცესებს. მზარდი კონფლიქტი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეთნიკური იდენტობის შეგნების კრისტალიზაციას იმ ერთობებში, რომლებიც ადრე, შესაძლოა, მხოლოდ ლინგვისტური და ეთნორეგიონული კატეგორიები იყვნენ და ახლაც დაყოფილნი არიან რელიგიური თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით, როგორც ერთრეელებისა და სამხრეთ სუდანის შემთხვევაში. ისეთი კარგად ცნობილი ეთნიკური ჯგუფებიც კი, როგორებიც არიან ქურთები და იბო, ნაკლებად იყვნენ გაერთიანებული და შეკავშირებული მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდამდე. პირველნი (ქურთები) დაყოფილი იყვნენ (და დღემდე არიან) მთიელ ტომებად, რომლებიც ხშირად დაობდნენ ერთმანეთში; ხოლო მეორენი (იბო), არაიბოსთან და არაქრისტიანებთან მოშულარნი – სოფლებად თუ უბნებად, სანამ არ გაერთიანდნენ ბრიტანული კოლონიალიზმის მიერ შემოტანილი ცვლილებებისა და 1960 წლის შემდგომი პერიოდის მწვავე ეთნიკური დაპირისპირების შედეგად. ეს არის კონფლიქტები სახელმწიფოსთან და სხვა ერთობებთან. მას შემდეგ, რაც ქურთები და იბო ჩაერთნენ ამ კონფლიქტებში, მათ წევრებს განუვითარდათ უფრო ფართო თვითშეგნება და საერთო ისტორიისა და ბედ-იბლების გაცნობიერების უნარი. პოსტკოლონიური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელმა ადგილობრივმა არასტაბილურობამ გააჩაღა რეგიონული და ეთნიკური კონფლიქტები, რამაც წლების შემდგომ დასაბამი მისცა ეთნიკური იდენტობის ზრდასა და სეპარატისტული ეთნონაციონალისტური მისწრაფებების გამძაფრებას.²⁵

ამიტომ ხშირად ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ მოძალადე პოსტკოლონიური სახელმწიფოს შექმნას და მისი მრავალეთნიკური საზოგადოების "ტერიტორიულ ნაციად" გაერთიანების მცდელობას ერთნაირად შესაძლებელია მოჰყვეს როგორც ეთნოციდი, ისე ეთნიკური მობილიზაცია. ასეთი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ხელისუფლება ცდილობს შეეგუოს და დააკმაყოფილოს უმცირესობაში მყოფი ეთნიკების და რეგიონული ეთნიკური კატეგორიების ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები. სადაც ამ ბალანსის შენარჩუნება ვეღარ ხერხდება, სადაც ეთნიკები ერთმანეთისადმი იმდენად გაუცხოებულან, რომ უკვე ტერორზე

გადადიან და აჯანყებას აწყობენ, მათი ეთნიკური ნაციონალიზმი შეიძლება ახალი ნაციონალური იდენტობისაკენ გადადგმულ ნაბიჯად იქცეს. რადგან კონფლიქტის დროს ერთობის უამრავი ნერი ახალ პოლიტიკურ ვერნაკულურ კულტურაში ერთდება და ხარისხობრივად ახალი ტიპის აქტიურ მონაწილეთა საზოგადოებას ქმნის, თავად ეს მოძრაობა ახალი საზოგადოებისა და ახალი კულტურის პროტოტიპად და მომასწავებლად იქცევა. მისი ყოველი უჯრედი, სკოლა, პარტიზანული ჯგუფი, სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული ასოციაცია, თვითდახმარების ჯგუფები, ქალთა საზოგადოებები, მშრომელთა კავშირები, ისევე, როგორც მათი სიმღერები, დროშები, ტანისამოსი, პოეზია, სპორტი, ჰუმანიტარული დარგები, ხელოსნობა – ყველაფერი ეს მოასწავებს და ქმნის მომავალი ეთნიკური ნაციისა და მისი პოლიტიკური იდენტობის ბირთვის. ეს ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა სრული გამოყოფა არ ხერხდება და ერთობა ვერ ქმნის დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამ დროს ეს მოძრაობა საფუძველს უყრის დემოკრატიული ეთნიკური პროტონაციის შექმნას, რადგანაც ნაცია არ უნდა გაფაიგივოთ სახელმწიფოსთან მაშინაც კი, როცა ის მისწრაფის ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო.²⁶

სეპარატიზმი და ავტონომიზმი ინდუსტრიულ საზოგადოებაში

დემოკრატიული ეთნიკური ნაციონალიზმის მესამე ტალღა, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ინდუსტრიულ საზოგადოებას ეჯახებოდა. ეს ახალი ფენომენია: ნაციონალიზმის განახლება იმ ქვეყნებში, რომლებმაც ნაციონალიზმი გამოსცადეს მეორე მსოფლიო ომამდე და ფიქრობდნენ, რომ მათ ეს სენი უკვე მოიხადეს. განსხვავება განვითარებადი საზოგადოებებისა და სახელმწიფოების ეთნიკურ ნაციონალიზმებს შორის სრულიად აშკარაა. პირველ შემთხვევაში ვადასტურებთ პირდაპირ მიმართულებას, რომელიც ტერიტორიული ნაციის შექმნისაკენ სვლა აღვიძებს რეაქტიულ ეთნიკურ სეპარატიზმს, ინდუსტრიული საზოგადოებების შემთხვევაში კი შევდივართ ნაციონალიზმის დრამის მეორე ციკლში, რომელიც ხელახლა თამაშდება უკვე დაფერფლილ ნაციონალურ სიძულვილზე. ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა და პერესტოიკის დროინდელ საბჭოთა კავშირში ინტერვენციონისტულ სახელმწიფოებში ააღდა მის ეთნიკურ უმცირესობათა შორის დამოუკიდებლობისაკენ და გამოყოფისაკენ მიმართული ის მისწრაფებები, რომლებიც ადრე მოთოკილი ან დათრგუნული

იყო. რა გასაკვირია, რომ ნაციონალისტური გრძნობების აზვირთების ბევრი დამკვირვებელი იყო გაოცებული.²⁷

რა არის ამ განახლების ახლებური მახასიათებლები? პირველი; ისინი მეტწილად არა სეპარატისტული, არამედ ავტონომისტული ხასიათის მატარებლები არიან: მის მიმდევართა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ავტონომიას და ამავე დროს იმ სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამხედრო სივრცეში დარჩენას, რომელშიც იყვნენ ჩართულნი ზოგჯერ საუკუნეებით უფრო ადრე. ამ განზოგადებაშიც არის გამონაკლისები. ამ მოძრაობის უფრო რადიკალურმა ფრთამ, როგორიცაა ETA (ბასკების ნაციონალისტურ-ტერორისტული ორგანიზაცია) ბასკებთან და SNP შოტლანდიელებთან, აირჩია სრული დამოუკიდებლობა ესპანეთისა და ბრიტანეთისაგან. რამდენიმე მოძრაობამ გამოხატა თავისი სეპარატისტული მისწრაფებები, როგორც "საიუდისმა" ლიტვაში. მაგრამ საბოლოო ჯამში ეთნიკურ მოძრაობათა უმეტესობა ინდუსტრიულ საზოგადოებებში სეპარატიზმთან შედარებით ავტონომიას ანიჭებდა უპირატესობას.²⁸

მეორე: ის მოძრაობები, რომლებიც ეთნიკური ავტონომიისათვის ილწვიან, აცნობიერებენ, შესაძლოა, ნებით, რომ არსებობს ორმაგი იდენტობის – კულტურულ-ნაციონალურისა და პოლიტიკურ-ნაციონალურის – შესაძლებლობა, ან მათი თვალთახედვით, სახელმწიფოს ტერიტორიული ნაციონალური იდენტობის ფარგლებში ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების ალბათობა. ასეთია ბრეტონის ნაცია საფრანგეთის ფარგლებში, კატალონიის ნაცია – ესპანეთში და ა. შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი აცნობიერებენ ისტორიული მეხსიერებისა და პოლიტიკური გრძნობების ორბუნებოვნებას, რაც ადვილად არ გაითიშება, თავი რომ გავანებოთ იმ ეკონომიკურ სარგებლობას, რომელიც მოაქვს სახელმწიფოს ფარგლებში მათ დარჩენას. მაგალითად, ეს საკითხი ანორედ ასე გაიაზრებოდა შოტლანდიაში 1970-იან წლებში მიმდინარე დებატების დროს, როდესაც იხილებოდა შოტლანდიისათვის ძალაუფლების გადაცემის საკითხი.²⁹

მესამე: ინდუსტრიულ საზოგადოებებში ეთნიკური ავტონომიისაკენ მიმართული მოძრაობები ვითარდება კარგად განვითარებულ სახელმწიფოებში, სადაც ცხოვრების გაცილებით უფრო მაღალი დონეა, ვიდრე განვითარებადი სახელმწიფოების უმეტეს ნაწილში. ეს მოძრაობები, შესაძლოა, ვითარდება შედარებით ჩამორჩენილ ჯგუფებს შორის ნაკლებად დანიანაურებულ რეგიონებში, მაგრამ ამ რეგიონებში არ არის ისეთი სიღარიბე, როგორსაც

განვითარებად საზოგადოებებში ვანყდებით. ბრეტონელები და ბრეტონი ვერ შეედრება სამხრეთ სუდანს. მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში ორივე – ეთნიც და ის რეგიონიც, რომელიც მას უკავია, უფრო დანიინაურებულია, ვიდრე დომინანტური ჯგუფი და ცენტრი; ბასკები და კატალონიელები, სლოვენები და ხორვატები ეკონომიკურად უფრო განვითარებულნი არიან, ვიდრე კასტილიელები და სერბები. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში განვითარებული მსოფლიოს სახელმწიფოები ნაკლებად არასტაბილური და უჩვეულოა, მისი ეკონომიკური ბაზისი კი – გაცილებით უფრო განვითარებული, ვიდრე განვითარებად სახელმწიფოებში.³⁰

მეოთხე: ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ ნაწილობრივი გამონაკლისით, ინდუსტრიული საზოგადოებების ეთნიკური ავტონომიისათვის წარმართული მოძრაობები მიმართული იყო მოდერნული "ნაცია-სახელმწიფოების" – მაშასადამე, ისეთი სახელმწიფოების – წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ თავს მიიჩნევდნენ "ნაციად", მიუხედავად იმისა, რომ, ნაციონალიზმის მკაცრი განმარტების მიხედვით, ეს სახელმწიფოები იყვნენ ნაციონალური ჰიბრიდები, ერთგვარი ნაზავი ეტატისტე-სა და ნაციონალისტური პრინციპების. ნაწილობრივი გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არის საბჭოთა კავშირი, რომელიც წარმოადგენს ერების (ნაციების) ფედერაციას; ის თითქმის ზუსტად ინარჩუნებს ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებს და ამ ერებს აკავებს საზოგადოების მბრძანებლური სტრუქტურის ხარჯზე, რომელიც რუსულ ნაციონალურ უპირატესობაზე დამყარებული. ასე რომ, ეთნიკურ ნაციონალიზმს საბჭოთა კავშირში დღეს ორმაგი ასპექტი აქვს: მოძრაობა საბჭოთა კავშირისაგან ეთნიკური ავტონომიის მოსაპოვებლად, როგორც დასავლეთში, და უფრო სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც უარს ამბობს რუსულ იმპერიალისტურ ბატონობაზე და ფაქტობრივად წარმოადგენს რეაქციას იმპერიალისტური მიერთების ტრადიციაზე. ამ შემთხვევაში ეთნიკური ნაციონალიზმი საბჭოთა კავშირში უფრო ახლოს დგას მეცხრამეტე საუკუნის კლასიკურ ნაციონალიზმთან, ვიდრე დასავლურ "ნეონაციონალიზმებთან", რომლებიც ისევე ეწინააღმდეგებიან "ნაცია-სახელმწიფოს" მიერ მათ უგულებელყოფას, როგორც მის ბიუროკრატიულ ჩარევას.³¹

კიდევ რამდენიმე ფუნდამენტური ნიშნით გვანან ერთმანეთს ეს მოძრაობები: ინდუსტრიულ საზოგადოებებში ეთნიკური ნაციონალიზმის განახლება, მეცხრამეტე საუკუნის ეთნიკური ნაციონალიზმის ადრეული ტალღები ევროპაში და მეოცე საუკუნეში განვითარებული სეპარატიზმი აფრიკასა და აზიაში. ჯერ ერთი,

ყველა ეს პროცესი წარმოადგენს "დამორჩილებული ხალხის" მოძრაობას დომინანტური ეთნის, უცხო სახელმწიფოსა და მისი მმართველი ელიტის წინააღმდეგ. მათ ახასიათებთ სახალხო მობილიზაციისაკენ მიმართული მოძრაობა, თუ ყოველთვის საქმით არა, ყოველ შემთხვევაში რიტორიკისა და ლოზუნგების დონეზე მაინც. ისინი მიმართულნი არიან სტატუს ქუო-ს წინააღმდეგ – მრავალეთნიკურ სახელმწიფოში ძალაუფლების არსებული დანაწილების, ამ სახელმწიფოს მიერ გარკვეული ეთნიკური კატეგორიების სისტემატური გამოთიშვისა და განდევნის, მათი კოლექტიური კულტურისა და წეს-ჩვეულებების უარყოფის წინააღმდეგ. ამ ნიშნების მიხედვით ეს პროცესები მკვეთრად განსხვავდება დომინანტური ეთნიკების ტერიტორიული ნაციონალიზმებისა და მათი ბიუროკრატიული სახელმწიფოებისაგან.³²

მეორე ნიშანი: ყველა ეს სახალხო (დემოკრატიული) მოძრაობა გულისხმობს ვერნაკულური მობილიზაციისა და კულტურული პოლიტიზაციის პროცესს. ყველა გაგიჟებით მიელტვის ახალი ტიპის ინდივიდის – კულტურულად განსხვავებული ეთნიკური ნაციის – შექმნას ახალი ტიპის საზოგადოებაში. ეს ლტოლვა გულისხმობს დაბრუნებას იმ გაიდვალეზულ ხატთან, თუ "რანი ვიყავით", რომელიც მომავალი ნაციის მაგალითად და წინამძღვრად უნდა იქცეს. ეთნიკურ წარსულთან დაბრუნებით ერთობა მოიპოვებს შემეცნებით ჩარჩოს, რუკასა და ადგილმდებარეობას თავისი ჯერ ბოლომდე გაურკვეველი მისწრაფებებისათვის. აქედან გამომდინარე, "ჩვენი წარსული" გახდება ახალი თაობისათვის არა მხოლოდ მისი წინაპრების სიქველის, არამედ მისი ამჟამინდელი მოვალეობების მასწავლებელიც. ის გაულებს ერთობას კარს მისი ჭეშმარიტი ბუნების, ნამდვილი გამოცდილებისა და დაფარული მისიის შესაცნობად. წარსულიდან ერთობა ამოატივტივებს თავის შინაგან ზნეობას, რომელიც ამ ერთობის განსაკუთრებულ ხასიათს განსაზღვრავს. ამგვარად, ყველა ამ დემოკრატიული ეთნიკური ნაციონალიზმის მამოძრავებელი ძალა საკუთარი ერთობის ხელახალი აღმოჩენაა (მაშინაც კი, როცა ის მეტწილად საკუთარი "მე"-ს "გამოგონებას" გულისხმობს). ასეთი აღმოჩენა ლანდშაფტისა და ისტორიის, დრომოჭმული წეს-ჩვეულებების, რიტუალებისა და ენის გაცოცხლების გზით ხორციელდება. არ არის საკმარისი მხოლოდ მასების მობილიზება; ამ მობილიზაციის შესანარჩუნებლად, "მასების" "ნაციებად" გარდასაქმნელად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი (მასის) "ვერნაკულარიზაცია" და ამის მეშვეობით მათთვის უნიკალური იდენტობისა და დანიშნულების მინიჭება.³³

მესამე: ყველა ამ მოძრაობაში (ინდუსტრიულ საზოგადოებებში ეთნიკური ნაციონალიზმის განახლება, მეცხრამეტე საუკუნის ეთნიკური ნაციონალიზმის ადრეული მოზღვავება ევროპაში და მეოცე საუკუნეში განვითარებული სეპარატიზმი აფრიკასა და აზიაში) ინტელექტუალები და ინტელიგენცია მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ამ როლის მასშტაბი და კონკრეტული ხასიათი, როგორც დავინახეთ, იცვლება კონტექსტის მიხედვით; სხვადასხვა საზოგადოებაში და სხვადასხვა დროს ტერმინის "ინტელიგენცია" მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს, თუმცა ეს ცვლილებაც გარკვეული ჩარჩოებით არის შემოსაზღვრული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოვყოთ, ინტელექტუალებისა და პროფესიული ჯგუფების მნიშვნელოვანი გავლენა, ზოგჯერ ლიდერობაც კი ერთობისა თუ კატეგორიის ფართო ფენების როგორც ვერნაკულური მობილიზაციის, ისე კულტურული პოლიტიზაციის პროცესში. ინტელექტუალები და პროფესიონალები არა მხოლოდ აცოცხლებენ ნუს-ჩვეულებებსა და ენებს, არამედ აღმოაჩენენ ისტორიას, ხელახლა აფუძნებენ ცერემონიებსა და ტრადიციებს; ისინი ასევე ამ ქმედებებს და ხელახალ აღმოჩენებს ისეთ ნაციონალურ პოლიტიკურ შინაარსს ანიჭებენ, როგორც მანამდე მათ არ გააჩნდათ. სრულიად აშკარად გამოიკვეთება განათლების, ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის სფეროში მომუშავე ინტელექტუალების როლი ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა ეპოსის ხელახალი აღმოჩენა (მაგალითად, ედა და კალევალა), სპორტული თამაშობებისა (სირბილი ბარიერების გადალახვით – ირლანდიაში) თუ ხალხური სიმღერის (ბრეტანში) აღორძინება. იმავე ფუნქციას ასრულებს ინტელიგენცია ინდუსტრიულ საზოგადოებაში დემოკრატიული ეთნიკური ნაციონალიზმის ბოლო აზვირთებისას.³⁴

ამიტომ ნაციონალიზმის განახლება ინდუსტრიულ საზოგადოებაში არ უნდა განვიხილოთ, როგორც რალაც თვისობრივად ახალი მოვლენა და *sui generis*, არამედ როგორც დემოკრატიული ვერნაკულური მობილიზაციის ერთიანი პროცესის ახალი ფაზა, – პროცესისა, რომელმაც, მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, მსოფლიოს ბევრგან გადაუქროლა. შესაძლოა, ის უფრო ადრეული ხანიდანაც დავინყოთ, თუ მასში მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისისა და შუა ხანების ინგლისისა და პოლანდიის პურიტანულ მოძრაობებსაც ვიგულისხმებთ.³⁵

ყველა ამ მოძრაობას შორის არსებული მსგავსება ასევე ისტორიული ხასიათისაა. მართლაც, "უკანასკნელი ხანების" დასავლეთის არაერთი მოძრაობა ეთნიკური ავტონომიისათვის სინამ-

დვილემი სულაც არ არის ბოლოდროინდელი. ისინი უბრალოდ 1960-იან წლებში განიცდიდნენ აღმავლობას. მაგრამ ეს აღმავლობა დამყარებულია უფრო ადრე გაკვალულ იდეალებზე, რომლებიც 1939 წლამდე ჩამოყალიბდნენ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – უელსი, შოტლანდია, კატალონია, ევზკადი, ბრეტანი – 1914 წლამდე. ყველა ამ შემთხვევაში კულტურული რენესანსი, ლიტერატურული, ლინგვისტური და ისტორიული, წინ უსწრებდა ეთნიკური ავტონომიის მოთხოვნით მიმდინარე პოლიტიკური მოძრაობის ფორმირებას.³⁶

არაფერია სინამდვილეში გასაკვირი ეთნიკურ ნაციონალიზმთა ამ აღმავლობაში, რასაც დასაბამი მიეცა ადრე ჩამოყალიბებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოთა უმცირესობებს შორის, ისევე, როგორც არაფერია გასაოცარი ნაციონალიზმის შემდგომ აღორძინებაში აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ სახელმწიფოებში. თითოეულ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უარყოფილ ან დათრგუნულ იდენტობათა შეგრძნებებთან. ყოველ მათგანში სწორედ ცენტრალიზებული სახელმწიფო იქცევა ბრალდების ობიექტად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს არა აქვს საშუალება სწორად იმოქმედოს; ნაზად უგულებელყოფამ შეიძლება ისევე გამოიწვიოს კონფლიქტი, როგორც უხეში ფორმით ინტერვენციამ³⁷. ალბათ უფრო გონივრული იქნება, რომ სახელმწიფოს როლი გავიაზროთ, როგორც როლი უკვე არსებული პირობებისა და განწყობილებების ძლიერი კატალიზატორისა, რომელიც ყველგან შეიძლება მოიძებნოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ეთნიკური მღელვარების დროს. უფრო ზუსტად, სახელმწიფო პოლიტიკას შეუძლია მნიშვნელოვნად გაამწვავოს (ისევე, როგორც გაახანგრძლივოს და უფრო ინტენსიური გახადოს) დაფარული განწყობილებები და პირობები, განსაკუთრებით, მაშინ, როცა სახელმწიფოს მოქმედება ეთნიკურად მიკერძოებულ ხასიათს ატარებს, რაც არც ისე იშვიათია არამხოლოდ განვითარებად სახელმწიფოებში.³⁸

მაშ, სად უნდა ვეძებოთ ამ პირობებისა და განწყობილებების მიზეზი, რომლებიც ასე ხშირად კვებავენ ეთნიკური ავტონომიისა და სეპარატიზმის მოძრაობებს? ცხადია, რომ პასუხი ასე ფართოდ დასმულ კითხვაზე განსხვავებული იქნება განსახილველი შემთხვევის პერიოდისა თუ არეალის მიხედვით. მაგრამ, ვფიქრობ, შეგვიძლია გამოვყოთ გარკვეული განმეორებადი ფაქტორები, რომლებიც ერთდროულად ქმნიან გარკვეულ პირობებს და, იმავდროულად, ხელს უწყობენ იმ განწყობილებების გაღვივებას,

საფუძვლად რომ უდევს ეთნიკური ნაციონალიზმის გავრცელებასა და განახლებას მთელს მსოფლიოში. საბოლოოდ, უნდა შევხვით სწორედ ამ ფაქტორებს და "ნაციონალური იდენტობის" პერსპექტივებს მომავალ საუკუნეში.

ნაციონალური იდენტობის მიღმა?

ყველა იმ კოლექტიურ იდენტობათა შორის, რომელთაც დღეს მთელი კაცობრიობა იზიარებს, ნაციონალური იდენტობა ალბათ ყველაზე არსებითი და ტყევადია. ნაციონალიზმმა, როგორც იდეოლოგიამ, დედამიწის ყოველ კუთხე-კუნჭულში შეაღწია. მსოფლიო, უპირველეს ყოვლისა, დაყოფილია "ნაცია-სახელმწიფოებად" – ნაციად ყოფნის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოებად; ნაციონალური იდენტობა კი ყველგან საფუძვლად უდევს ხალხების სუვერენობისა და დემოკრატიისათვის პერიოდულ ბრძოლას. თუმცა ზოგჯერ ნაციონალური იდენტობა ასაზრდოებს კიდევ ყოვლისმომცველ ტირანიას. კოლექტიური იდენტობის სხვა ტიპები – კლასის, გენდერის, რასის, რელიგიის – შეიძლება ითავსებდნენ ნაციონალურ იდენტობას ან ერწყმოდნენ მას, მაგრამ მის მოსპობას კი ვერ ახერხებენ, თუმცა შეუძლიათ შეცვალონ ნაციონალური იდენტობის მიმართულეობა. მთავრობებსა და სახელმწიფოებს მხოლოდ დროებით შესწევთ უნარი ლაგამი ამოსდონ ნაციონალური განწყობილებების გამოვლინებებს, მაგრამ, როგორც წესი, ეს მათ ძვირად უჯდებათ და, საბოლოო ჯამში, ამით ვერაფერს იმკიან, რადგან ის ძალები, რომლებსაც ნაციონალური ერთგულების გრძნობა ეფუძნება, როგორც მტკიცდება, უფრო მყარია, ვიდრე ნებისმიერი საშუალება, რომლითაც შეიძლება მასთან დაპირისპირება.

რატომ გახდა ნაციონალური იდენტობა და ნაციონალიზმი ასეთი არსებითი მოდერნულ მსოფლიოში? პირველ რიგში, იმიტომ, რომ ის ყველგანაა. თუ მართლაც არსებობს რამე გლობალური ფენომენი, ეს ნაცია და ნაციონალიზმია. ძნელად მოიძებნება ისეთი ადგილი მსოფლიოში, რომელსაც არ შეხებოდეს ეთნიკური და ნაციონალური კონფლიქტები ან არ გამოეცადოს ისეთი მოძრაობის აღმავლობა, რომელიც თავისი რჩეული ხალხისთვის ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის იღწვის. ნაციებად დანაწილებული მსოფლიოს ნაციონალისტური ოცნება აიტაცეს ხალხებმა მთელს დედამიწაზე. ამ ოცნების თანახმად, თითოეული ნაცია ჰომოგენური, ერთიანი და თავისუფალია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ძალიან შორია ამგვარი ოცნების რეალიზაცია, მან გააღვივა სახალხო წინააღმდეგობანი, მცდელობანი და კონფლიქტები. მართალია, მსოფლიო ჯერ კიდევ არ შედგე-

ბა მხოლოდ ჰომოგენური ნაციებისაგან, მაგრამ ნაციონალიზმის გლობალიზაცია მაინც ჯიუტი ფაქტია, ისეთი რეალობაა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს კულტურულ მსოფლალქმას და პოლიტიკურ მიზნებს.¹

მაგრამ ნაციონალური იდენტობა არა მხოლოდ გლობალური მოვლენაა, არამედ ყოველსომაცველიც. მართალია, ზოგ სიტუაციაში ნაციონალიზმი თითქოს უფრო მნიშვნელოვანი ჩანს, სხვაგან – ნაკლებად, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზმით გაყენებულია როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე მთელი ერთობების ცხოვრება მათი მოღვაწეობის უმეტეს სფეროში. კულტურის სფეროში ნაციონალური იდენტობა ვლინდება შეხედულებების, მითების, ღირებულებების, მოგონებების, ისევე, როგორც ენის, სამართლის დანესებულებებისა და დღესასწაულების, მთელ სპექტრში. სოციალური თვალსაზრისით, ნაციონალურ ნიჟადაგზე შექმნილი კავშირი ქმნის ყველაზე უფრო ტყეად ერთობას, საყოველთაოდ მიღებულ საზღვარს, რომლის ფარგლებშიაც ჩვეულებრივ, ხორციელდება სოციალური ურთიერთობები. ამავე დროს, ეს არის საზღვარი, რომელიც გამოყოფს ერთობას "გარეშეთაგან". ნაცია ასევე არის მორალური ეკონომიკის ძირითადი ერთეული, როგორც ტერიტორიული, ისე რესურსებისა და უნარ-ჩვევების თვალსაზრისით.

პოლიტიკური ენით რომ ვილაპარაკოთ, ნაციონალური იდენტობა დღეს განსაზღვრავს არა მარტო რეჟიმის პირად შემადგენლობას, არამედ ის, აგრეთვე, ახორციელებს მის ლეგიტიმაციას, ზემოქმედებს პოლიტიკის მიზნებსა და ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე. ეს უკანასკნელი კი თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას ანესრიგებს. დაბოლოს, ნაცია და ნაციონალური იდენტობა, რაკი ის მოქალაქეების ძირეულ პოლიტიკურ ქვეშეურდომობას მართავს, თითოეულ რეგიონში, კონტინენტზე, და საბოლოოდ, მთელს მსოფლიოში "ნაციათაშორისი" ლეგიტიმურობისა და სახელმწიფოთა სისტემის კანონიერების ერთადერთ აღიარებულ წყაროდ გვევლინება. სახელმწიფოთა ერთობაში არსებული ამგვარი ნესრიგის სანინდარია სწორედ ის ნორმა, რომლის თანახმადაც ნაცია არის პოლიტიკული ლოიალობისა და ქმედების ერთადერთი საზომი.

მესამე, "ნაციასა" და "ნაციონალურ იდენტობას" ახასიათებს ამკარა სირთულე და სხვადასხვაგვარობა. როგორც პირველ თავში დავინახეთ, ნაციონალური იდენტობა არის აბსტრაქტული და მრავალგანზომილებიანი კონსტრუქცია, რომელიც ადამიანის ცხოვრების მრავალ სფეროსთან არის დაკავშირებული და გუ-

ლისხმობს მრავალგზის ადგილმონაცვლეობასა და კომბინაციას. დღეს ისტორიკოსები "ნაციონალიზმის" სფეროს შეზღუდვისაკენ იხრებიან, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს წინა თაობის მეცნიერების მიერ ამ მოვლენის გაზვიადების ტენდენციაზე რეაქციას. მაგრამ ნაცია და ნაციონალიზმი არ უნდა ჩავთვალოთ "ზარმაცი ისტორიკოსის" კონცეპტუალურ თავშესაფრად, ხოლო მათი ქამელეონისებური ბუნება და სხვა საკითხებთან თუ იდეოლოგიებთან თანაარსებობის და სხვადასხვა კატეგორიაში გადასვლის უნარი სათანადოდ უნდა შეფასდეს. ჩინურ კომუნიზმს თავდაპირველად აღიქვამდნენ, როგორც დასავლური მარქსიზმის წმინდა ნაირსახეობას, სანამ არ გააცნობიერეს, თუ რაოდენ დავალებულია მათს მოძრაობა ჩინური ნაციონალიზმისაგან როგორც დოქტრინის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. დღეს მათიზმის სწორედ ნაციონალურ კომპონენტს უსვამენ ხაზს. ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ მთავრად მათ თავისი მარქსიზმი ჩინელი გლეხობის ნაციონალურ შეხედულებებსა და მის სულისკვეთებას იპონელთა შემოჭრის წინააღმდეგ 1937 წელს. ამის საპირისპიროდ, აღმოსავლეთ ევროპის ანტიკომუნისტური მოძრაობა 1989 წელს თავდაპირველად ისე აღიქვას, როგორც დასავლური სტილის მოძრაობა პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზმისათვის, მაგრამ შემდგომ ცხადი გახდა, თუ რაოდენ ძლიერი იყო სახალხო მობილიზაციის ნაციონალისტური განზომილებები.²

ხშირად უგულებელყოფილია ის ფაქტორი, რომ ნაციონალური მისწრაფებები მიდრეკილია სხვა არანაციონალურ ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებთან შერწყმისაკენ და რომ მოძრაობა ხშირად ამ კომბინაციის შედეგად იკრებს ძალ-ღონეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაციონალიზმი იკვებება სხვა "რაციონალური" პრობლემებითა და ინტერესებით, როგორც ზოგჯერ ასკვნიან. უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა, რომ უარყოფილი, დათრგუნული ან მარგინალიზებული ეთნიკური ერთობები თუ კატეგორიები თავის ნაციონალურ სიდუხჭირესა და მისწრაფებებს უკავშირებენ სხვა არანაციონალურ მისწრაფებებსა და გასაჭირს. ამგვარად, ხშირად აღმოჩნდება, რომ დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში მოცემული პოპულაციისათვის ნიშანდობლივია ინტერესების ერთიანობა. ამ ნაკრებს ანალიტიკური მიზნით ვყოფთ კატეგორიებად, როგორც "ნაციონალურსა" და "არანაციონალურს", რათა გავმიჯნოთ "ნაციონალური ფაქტორი".³

სუპრანაციონალიზმი: ფედერალური
და რეგიონული იდენტობები?

კუახლოვებით მესამე ათასწლეულს და ყველგან არსებული, განმეორებადი და რთული შემადგენლობის ნაციონალური იდენტობა და ნაციონალიზმი ძლიერ და ფეთქებად ძალად რჩება. მაგრამ არის თუ არა ის იმდენად ძლიერი, რომ გლობალური ურთიერთდამოკიდებულები მზარდ ტენდენციებს დაუპირისპირდეს? შესაძლებელია თუ არა ვინინასწარმეტყველოთ "ნაციონალიზმის შეცვლა" სხვა იდეოლოგიითა თუ მოძრაობით?

უდავოდ, სწორედ ეს იყო ლიბერალებისა და სოციალისტების ოცნება, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, დღემდე. კონტიდან და მილიდან დაწყებული, მოდერნიზაციის თეორეტიკოსებით დამთავრებული, ევოლუციონისტური თვალთახედვიდან იკვეთებოდა როგორც ნაციის სტატუსის მოპოვების, ისე მისი უგულებელყოფის პერსპექტივა, რადგან კაცობრიობა თანდათან უფრო ვრცელი, მრავალფეროვანი და რესურსებით უფრო მდიდარი ერთეულების შემცველი ხდებოდა. ოჯახური, ლოკალური და რელიგიური ცხოვრების კულტის ეროზიას სახელმწიფოსათვის საშუალება უნდა მიეცა, რომ გლობალური მასშტაბით კაცობრიობის პროგრესის მესაჭედ ეგრძნო თავი საზოგადოებისა და კულტურის სფეროში. ხოლო მარქსისტების წარმოსახვაში სახელმწიფო უნდა "დაშრეტილიყო", ნაციებისა და ნაციონალიზმის "საზღვრები კი ნაშლილიყო". თუმცა ნაციონალურ კულტურებს შეიძლება გაეგრძელებინათ არსებობა, ისინი პროლეტარული ღირებულებებით განზავდებოდა და მხოლოდ ფორმით იქნებოდა ნაციონალური.⁴

ამ იმედების გასამყარებლად, ლიბერალებსა და სოციალისტებს, რომელთა შორის მრავალი მეცნიერია, საბუთების ორი წყება მოჰყავთ. ემპირიულ საბუთებს იმეფიებენ მრავალეროვან სახელმწიფოებში ჩატარებული სხვადასხვა ექსპერიმენტიდან, ასევე სხვადასხვა სახის რეგიონული ფედერაციიდან. თეორიული მხარდაჭერა კი მოიძებნა იმ ახალი ტრანსნაციონალური ძალებსა და ტექნოლოგიების შედეგებზე დაყრდნობით, რომლებიც ასე გამრავლდნენ "პოსტნაციონალურ" მსოფლიოში. მოდით, თანმიმდევრულად განვიხილოთ ეს ორი რიგის არგუმენტები.

შეგვიძლია დავინყოთ არაერთგზის აღნიშნული ფაქტიდან, რომ დღეს სახელმწიფოთა უმეტესობა ეთნიკურად ჰეტეროგენულია და პლურალური. ზოგიერთისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ტიპის ნაცია ქმნადობის პროცესშია და ის გულისხმობს "მრავალეროვან

ნაციას"; სხვებისთვის კი იგივე ფაქტი იმის მომასწავებელია, რომ ერთი ნაციის ადგილი შესაძლოა მეორემ დაიკავოს. ცხადია, ამ თვალსაზრისთაგან ვინ რომელს აირჩევს, იმაზეა დამოკიდებული, თუ ნაციის რომელ დეფინიციას მიიღებს ესა თუ ის ავტორი ან, თუნდაც, როგორ ესმის მას ნაციის "ჰომოგენურობა". ნაციის ცნება მხოლოდ ნაციონალისტების მიერ შექმნილ კონსტრუქციადაც რომ მივიჩნიოთ (უკვე წარმოვაჩინე, რომ ნაციონალისტები კერძო ეთნოისტორიებით იფარგლებოდნენ), მაინც გაუგებარი რჩება, თუ რატომ ჰქონდა "ნაციის ჰომოგენურობის" მოთხოვნას ერთნაირი მნიშვნელობა ყველა ნაციონალისტისათვის. ის, რასაც ყველა ნაციონალისტი მოითხოვდა, იყო ავტონომია, ერთობა და იდენტობა. მაგრამ არც ერთობას (სოციალური, ტერიტორიული და პოლიტიკური ერთიანობის მნიშვნელობით), არც იდენტობას (განსხვავებულობისა და ისტორიული ინდივიდუალობის თვალსაზრისით) არ მოსდევს შედეგად სრული კულტურული ჰომოგენიზაცია. შევიცარიელებმა არა მარტო პოლიტიკურ ერთიანობას მიაღწიეს, მათ იმავდროულად შეინარჩუნეს ისტორიული ინდივიდუალობის მკაფიო შეგნება. მათი ლინგვისტური, რელიგიური და კანტონალური დაყოფის მიუხედავად, შევიცარიელები შეენინაღმდეგნენ კულტურულ ჰომოგენიზაციას. თუმცა ამკარა იყო ნაციონალური იდენტობის მკვეთრი განწყობა, რომელიც თავისი მნიშვნელობით შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს უტოლდებოდა. შევიცარია არ არის გამონაკლისი ამ საკითხში. როგორც გერმანიაში, ისე იტალიაში დაშვებული იყო რეგიონალიზმის აყვავება, ხშირად, ძლიერი ადგილობრივი დანესებულებებით; მაგრამ არც ერთხელ არ დაკნინებულა ნაციონალური იდენტობის შეგნება და არ შეზღუდულა ნაციონალური განწყობილებების პერიოდული აზვირთება.⁵

ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ ზოგიერთი რომანტიკული ნაციონალისტი სრული კულტურული ჰომოგენურობისაკენ მოუწოდებდა, სხვანი იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ საერთო ნეს-ჩვეულებებით, დანესებულებებით, საერთო მინა-წყლით გამოხატული ძირეული ღირებულებების, მითების, სიმბოლოებისა და ტრადიციების გარშემო ერთიანდებოდნენ და იდენტიფიცირდებოდნენ. სამაგიეროდ, ეს პროცესი, როგორც უკვე დავინახეთ, მრავალეთნიკური სიმრავლისაგან "ტერიტორიული ნაციის" შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა, რისკენაც მესამე მსოფლიოს ნაციონალური ელიტა მიილტვოდა.

მაგრამ თუ ნაციას არ სჭირდება კულტურული ჰომოგენურობა, შეიძლება კი არსებობდეს ის საერთოდ, ანუ, არსებობდეს

ნაცია, რომელიც მოიცავს და აერთიანებს სხვა ნაციებს? რამდენად ცვალებადი ხასიათის (მყიფე) შეიძლება იყოს ნაციის ცნება? აუცილებელია თუ არა ნაციის არსებობისათვის, რომ ის შეელოს თავის ძირეულ თავისებურებებს, ფუნდამენტურ მახასიათებლებს, კერძოდ, საერთო კულტურასა და ისტორიას?

ასეთ დროს მყის იუგოსლავიის მაგალითი გვიდგება თვალწინ. იუგოსლავია აიგო ორი ცნების საფუძველზე: ნაციების ფედერაცია და საერთო კულტურულ-ისტორიული გამოცდილება. ამ უკანასკნელს ზოგჯერ "ილირიანიზმსაც" უწოდებდნენ. მაგრამ როგორც ზოგჯერ მისი იდეოლოგებიც აღიარებდნენ, სამხრეთ სლავებს უფრო ენების ნათესაობა და გეოგრაფიული სიახლოვე აკავშირებდა ერთმანეთთან, ვიდრე პოლიტიკური ისტორია. შესაძლოა, მათი კიდევ ერთი დამაკავშირებელი რგოლი სხვადასხვა ძალების მიერ განხორციელებული უცხოური ოკუპაციაც იყოს. მეორეს მხრივ, სლოვენების, ხორვატების, სერბების, მაკედონელებისა და მონტენეგრიელების განსხვავებული ისტორია და რელიგია შესაძლებელს ხდის, იუგოსლავიამ წარმოადგინოს "ამაღლებული ნაციის" მოდელი ნაციების ფედერაციის ფორმით, რომელიც იქნებ სხვებმაც და სხვაგანაც გადაიღონ უფრო ფართო მასშტაბით.⁶

სამწუხაროდ, სადღეისოდ იუგოსლავიის ისტორია არ იძლევა ამ ან სხვა რომელიმე ქვეყნის ამგვარი ფედერაციული მოწყობის შესაძლებლობას. კომუნისტური პარტიის ნაციონალურ პარტიებად გახლეჩა, ნაციების კონსტიტუციური მოწყობა და მათი ცენტრალიზაცია, ეკონომიკური განაწილება და, განსაკუთრებით, ეროვნული ანტაგონიზმის ისტორია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გამწვავდა – ყველაფერი ეს შიგნიდან აფეთქებდა იუგოსლავიის სუსტ სახელმწიფოებრივ ერთობას, ჯერ ტიტოს მმართველობის დროს, ახლა კი მისი შთამომავლების პერიოდში. ხორვატულმა აფეთქებამ, კონფლიქტებმა კოსოვოში და პაექრობამ სლოვენიათან გამოავლინა, რომ ფედერაციის შემადგენლობაში მყოფი ცალკეული ერების განწყობანი უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე საერთოიუგოსლავიური ზე-ნაციონალური დანესებულებები და სენტიმენტები.⁷

მსგავსი კომპონენტები და გამოცდილება, თუმცა ბევრად უფრო დიდი მასშტაბისა, ნიშანდობლივია საბჭოთა კავშირის ისტორიისთვისაც. საბჭოთა კავშირი შეიქმნა თავისი წინამორბედი ქვეყნის – რუსეთის ცარისტული იმპერიის ნანგრევებზე, ფაქტობრივად, მისი საზღვრების ფარგლებში. რევოლუციურმა კომუნისტურმა სახელმწიფომ საჭიროდ ჩათვალა მნიშვნელოვან

დათმობებზე წასულიყო ნაციონალური საკითხის გადანყვეტაში როგორც კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის, ისე კონსტიტუციური მონყობის, თვალსაზრისით. ლენინის გადანყვეტილების მიხედვით, რომელიც თეორიულად მაინც, თუ პრაქტიკულად არა, აღიარებდა ერთა თვითგამორკვევისა და გამოყოფის უფლებას, ხელისუფლებამ საბჭოთა სახელმწიფო აღიარა ნაციონალურ რესპუბლიკათა ფედერაციად. თითოეული რესპუბლიკა საკუთარ ენასა და კულტურას ეფუძნებოდა. ამავ დროს საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი მოსახლეობა დაყო კატეგორიებად – გარკვეულ ეთნიებად, შერჩია, დაყო და გამოიგონა კიდევ მათთვის შესაფერისი ენები; ყველა ეს ეთნიები ჩამოაყალიბა იერარქიულ სისტემად, ეთნო-ნაციონალური ზომა-წონისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით. ასე, მაგალითად, მცირე ჯგუფები, როგორებიც არიან უდმურტები ან ევენკები, კლასიფიცირებულ იქნენ ხალხებად, ხოლო ქართველები და უზბეკები ჩათვალნენ ნაციებად, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი სუვერენული ტერიტორიული რესპუბლიკა, პარტიული ორგანიზაცია, ენა და კულტურა, ჰყავდათ თავიანთი ადმინისტრაცია. ამ გზით შენარჩუნდა ეთნიკურობის კულტურული და ტერიტორიული ბაზა, განხორციელდა მათი კონსტიტუციურად დაცვა, ოლონდ, პოლიტიკური და ეკონომიკური გადანყვეტილებები გადაეცა პოლიტიკურ ცენტრს.⁸

საბჭოთა კავშირი, ამგვარად, *პერესტროიკის* ხანამდეც კი ორ დონეზე მოქმედებდა. სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დონეზე არსებობდა ძლიერი ცენტრალიზაცია. მოსკოვის პარტიას ნაციონალურ რესპუბლიკებსა და მათ პარტიულ ორგანოებზე ძალაუფლების სადავეები ეპყრა, მაგრამ კულტურის, განათლებისა და სოციალური დაცვის სფეროებში ცალკეულ რესპუბლიკებს საკმაო ავტონომიური უფლებები ჰქონდათ. ამ გარემოებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ადმინისტრაციული რესურსი თითოეულ რესპუბლიკაში წარმოდგებოდა ამ რესპუბლიკის დომინანტური ეთნიდან (*კორენიზაცია*). ეს პოლიტიკა დაიწყო უკვე 1920-იანი წლებიდან, მაგრამ *პერესტროიკისა* და *გლასნოსტის* დროს მნიშვნელოვნად დაქვეითდა. ამის შედეგი იყო პოტენციური კონფლიქტების გაღვივება, რაც გამოიწვია კომპეტენციათა სფეროების განტოტებამ და ნაციონალური და საბჭოური განწყობილებების გამძაფრებამ. მაგრამ ძლიერი პარტიული კონტროლის მოხსნამდე ნაციონალობის პრობლემა თითქოს არც იდგა. ის დროდადრო იფეთქებდა ხოლმე მღელვარებებისა და რეპრესიული ზომების გატარებისას, რაც შემდგომ ინვევდა რუსული დასახლებებისა

და რუსული ენის მნიშვნელობის, როგორც *lingua franca*-ს, ზრდის პოლიტიკის განმტკიცებას. არარუსული მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა, ქვეყნის სამხრეთ საზღვრებთან მუსლიმური არასტაბილურობის საფრთხის მატება, რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის რესურსებისა და თანამდებობების განაწილება, უთანხმოებათა ნაციონალისტური განზომილებანი, ამბივალენტური ეთნიკური ინტელიგენციის სახით წარმოდგენილი განათლების სისტემის შედეგები და, უწინარეს ყოვლისა, ნაციონალური შერწყმის (*სლიანიე*) იდეალის სამომავლოდ გადადება თუ ნაციონალური კოოპერაციის (*სბლიჟენიე*) სადღეისოდ სათუო აღბათობა – ყველა ეს მოვლენა საფუძველს ქმნიდა იმისათვის, რომ “ნაციონალური საკითხის” ფეთქებადი პოტენციალი ძლიერი შემფოთების მიზეზი გამხდარიყო სტალინის სიკვდილის შემდგომ დეკადებში.⁹

გლასნოსტისა და პერესტროიკის ხანაში გორბაჩოვის მმართველობის დროს გამოიკვეთა ფარული ეთნიკური დაპირისპირებები. ეთნონაციონალიზმმა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში, კავკასიასა და შუა აზიაში მასობრივი მხარდაჭერა პოვა, ხოლო რუსული ეთნონაციონალიზმი მართლმადიდებლურ რელიგიურ აღმავლობას უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა. აქედან საზრდობდა მისი როგორც მორალური და ესთეტიკური შთაგონება, ისე ეთნოისტორიის დიდი ნაწილი. დიდწილად, ეს ყოველივე მომდინარეობს თვით საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურრიდან, პარტიული ორგანიზაციიდან და ლენინის ისტორიული კომპრომისიდან, რაც მან აღმოსავლეთ ევროპის ეთნონაციონალიზმის მოზღვაებას დაუხვედრა; ამას თან ახლდა დიდრუსული მრავალფეროვნება, რომელსაც ასე კიცხავდა ლენინი. მართალია, ფედერალური პრინციპის გზით მოხდა ნაციონალური განწყობილებებისა და კულტურის ინსტიტუციონალიზაცია, მაგრამ იმავე პრინციპმა ხელი შეუწყო აქტიური ნაციონალიზმის აღორძინებას ყველგან, სადაც ეს განწყობილებები და კულტურები, მათი ნევრების თვალსაზრისით, საფრთხეს განიცდიდა მეზობლებისა თუ ცენტრის მხრიდან. იმის გამო, რომ ნამდვილი სახალხო ხმა კარგა ხანს გამოთიშული იყო პოლიტიკური ორგანიზაციის სფეროდან, დაგროვილი უკმაყოფილება და განწყობილებები ნაციისა და ეთნიკური ერთობის სასარგებლოდ წარიმართა. ამის შედეგად შედარებით ღია პოლიტიკური მონაწილეობის ნახალისებამ გააღვივა თვითგამორკვევით აღძრული კმაყოფილება, რომელიც იყო როგორც ნაციონალური, ისე დემოკრატიული შინაარსის შემცველი. კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა ის, რომ ისევე, როგორც სხვა კომუნისტურ სახელმწიფოებში, აქაც ეთნიკური მიჯაჭვულობა და

ნაციონალისტური განწყობილებები უფრო მყარი და ელასტიური აღმოჩნდა, ვიდრე მარქსისტული იდეოლოგია და პარტიები.¹⁰

საბჭოთა გამოცდილება თვალნათლივ აჩვენებს, რომ შესაძლებელია რევოლუციურმა "გამოგონილმა ტრადიციებმაც" მორთონ და გამოაწროთონ (ხშირად ორივე) ნაციონალური კულტურული და პოლიტიკური იდენტობა და შეეხონ ხალხის სიღრმისეულ ფესვებს.

სასარგებლოდ მიმაჩნია ამერიკული გამოცდილების გათვალისწინება ხსენებულ კონტექსტში. აქაც ნაციონალურ მისწრაფებებს კონტინენტური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მათ უნდა ემოქმედათ მრავალეთნიკურ გარემოში. შეერთებულ შტატებში ის, რასაც ახლა ხშირად უწოდებენ "ნეოეთნიკურობას", თუმცა ხშირად საციცოცხლო მნიშვნელობისაა, მაგრამ იმავდროულად სიმბოლურსა და ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს. საბჭოთა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ამერიკის ეთნიკური ერთობები და კატეგორიები მკვეთრადაა გამიჯნული ნებისმიერი ტერიტორიული განზომილებისაგან. ამის ნაცვლად ისინი ტრანსფორმირებულნი არიან მასიური მობილიზაციის ძალზე ეფექტიან საშუალებებად. ისინი ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავლენიან ჯგუფებად იქცნენ ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეთნიკური მისწრაფებები მეტწილად "კოლექტიურია" იმ თვალსაზრისით, რომ არსებობს მაკონტროლებელი ხმის საჭიროება ეთნიკებისათვის ქალაქებსა და რაიონებში. შავების (აფრიკული წარმოშობის ამერიკელები), ჩიკანოსა (მექსიკელი ამერიკელები) და ადგილობრივი ამერიკელებისაგან (ინდიელები) განცალკევებულად, "ნაციონალისტური" მიზნები და სიმბოლოები განკუთვნილი იყო საერთოამერიკული პოლიტიკური ერთობისა და კულტურისათვის.¹¹

რას წარმოადგენს ეს ერთობა და კულტურა და შეძლო თუ არა მან ნაციამდე და ნაციონალიზმამდე ამაღლება, როგორც ამას საბჭოთა ადამიანი და საბჭოთა ერთობა ცდილობდა? საერთოამერიკული იდენტობისა და კულტურის შინაარსი ცხადად ავლენს მის ეთნიკურ ფესვებს თავდაპირველი დასახლებების ანგლო-ამერიკულ პროტესტანტულ ტრადიციებში. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან კოლონიების დომინანტური მითი და კულტურა შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც "წინაპრების ადგილობრივი კულტი" ("vernacular ancestralism"), რომელიც მიმართულია წარსულისაკენ, გაამერიკელებული წინაპრებისაკენ, რომლებიც უპირისპირდებიან "ბრიტანელ ბოროტ დედინაცვალს" და თავს აცხა-

დებენ ახალ იერუსალიმში მყოფ “რჩეულ ხალხად”, რომელსაც განსაკუთრებული მისია აკისრია.¹²

პურიტანული რჩეულობის ეს ანგლო-ამერიკული მითი გამყარდა რევოლუციის, კონსტიტუციისა და დამფუძნებელი მამების საგმირო წარსულის სეკულარული, რომანულ ყაიდაზე შეთხზული მითებით. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ევროპელ იმიგრანტთა დიდი ნაკადის შემოჭრას მოჰყვა ახალი ნაციის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება. ეს იმიგრანტული ნაკადიც იმავე, შესაძლოა, ოდნავ სახეცვლილ, კულტურულ მოდელს ემყარებოდა, რომელიც დაფუძნებული იყო ანგლო-ამერიკული ენისა და კულტურის უზენაესობაზე და რომელიც იმიგრანტებისაგან მასში ინტეგრირებას მოითხოვდა. მაგრამ “ეთნიკურობის შეცვლას” არ გამოუწვევია მისი ნაციამდე ამაღლება (ეთნიკურ ნაციონალიზმს გულისხმობს. მთარგმნ.). მოხდა სრულიად საპირისპირო რამ: შეერთებული შტატები ტერიტორიულ-ნაციონალური ტიპის პოლიტიკური ერთობისა და ტერიტორიული ნაციონალიზმის სიმტკიცის უპირველეს მაგალითად იქცა. ამ თვალსაზრისით ის უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა კავშირი, რომლის მცდელობანი, გამოენართო “ტერიტორიული ნაცია”, განწირული იყო იმისათვის, რომ უკიდურესობაში (*in extremis*) გადაეარდნითყო: გაიღვიძა იმ დიდრუსულმა ნაციონალიზმმა, რომლის გადალახვასაც ცდილობდა საბჭოთა კავშირი. ჯერ კიდევ მანამდე, სამოქალაქო ომისა და “ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის” პერიოდში, ნაციონალიზმის ენა და სიმბოლოები ლენინსა და სტალინს უნდა გამოეყენებინათ “მასების” მობილიზაციისათვის. ეს მობილიზაცია საჭირო იყო იმისათვის, რომ ხალხს შესაბამისი მსხვერპლი გაეღო სოციალისტური და ზენაციონალური საზოგადოების ასაშენებლად. ასე რომ, როდესაც საბჭოთა ექსპერიმენტმა, ნაციონალური იდენტობის ძალებისა და ნაციონალიზმთან ისტორიული კომპრომისის გამო, კრახი განიცადა, ამერიკის შეერთებული შტატები, გარკვეული ჭოჭმანის შემდეგ, შეეცადა, სრული აკულტურაციის მდგომარეობისათვის მიეღწია ანგლო-ამერიკული კულტურის, პროვიდენციული მითისა და თავისი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთობის საფუძველზე.¹³

ვერც საბჭოთა კავშირმა და ვერც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ შეძლეს ნაციაზე თუ ნაციონალიზმზე მაღლა დამდგარიყენენ. შედეგად, კოსმოპოლიტებმა ამ ბოლო ხანებში თავიანთი იმედები მიმართეს სხვა უფრო “რეგიონულ” სახელმწიფოთა დაჯგუფებებისაკენ. ასეთებია: სკანდინავიური კოოპერაციის ექსპერიმენტი თუ შიდააფრიკული,

შიდაარაბული, შიდალათინურამერიკული რეგიონული ბლოკები. შესაძლოა, რეგიონული კოოპერაციის ამ ექსპერიმენტთაგან ყველაზე იმედის მომცემია ევროპული ერთობის მიმართულებით მოძრაობა. ეს მოძრაობა დაფუძნებულია რომის 1956 წლის ხელშეკრულებაზე, რომელსაც ექვსმა დასავლეთევროპულმა ქვეყანამ მოაწერა ხელი. მანამდე 1950 წლის "ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება" კოოპერაციის ასევე წარმატებული მცდელობა იყო, თუმცა შედარებით უფრო შეზღუდულ ფარგლებში განხორციელდა. როგორც ხშირად აღნიშნავენ, ამ გაერთიანებებმა უმტყუნეს ევროპაში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ფუნქციურ საფუძვლებს და ევროპული გაერთიანების მზარდ და ინსტიტუციურ მდგომარეობას, რომელიც დროდადრო ინტერესთა კონფლიქტების გამო პერიოდულ კრიზისებს განიცდიდა. ასევე, ხშირად ხაზი ესმებოდა ხსენებული გაერთიანების ეკონომიკურ შინაარსს, ასე რომ, მკვეთრი გამყოფი ხაზი გაივლო "საბაჟო კავშირსა" და "პოლიტიკურ გაერთიანებას" შორის. მოგონება ადრეული *Zollverein*-ისა ("საბაჟო კავშირის" გერმანული სახელწოდება), რომელიც ნაციონალურ გაერთიანებას წინამძღოლობდა, მაინც აღძრავდა ეჭვს ამგვარი "საზღვრების" თაობაზე. იქნებ ის უფრო მეტს ფარავდა, ვიდრე აშუქებდა?¹⁴

ევროპული გაერთიანების ბევრი მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობდა, პოლიტიკური მოტივით დანაყებული, სამხედროთი დამთავრებულნი: ომის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, უარყოფა; უკანასკნელი დროის ევროპის ისტორიის, როგორც სამოქალაქო ომების უაზრო სასაკლავოს, გააზრება – სასაკლავოსი, რომელიც აღვირა ხსნილი ნაციონალიზმის ბნელ ძალებს გაემართათ და რომელმაც კულმინაციას მიაღწია ნაციონალურ ჰოლოკოსტში. ამგვარი გააზრებით "ევროპული ერთობა" წარმოგვიდგება პოლიტიკური მიზნის გამარჯვებად ნაციონალურ ვნებებსა და ეგოისტურ ინტერესებზე. ეკონომიკური განზომილება ამ შემთხვევაში საშუალება უფროა, ვიდრე შინაარსი თუ მიზანი. სწორედ ამ თვალსაზრისს უპირისპირდებოდა დე გოლი თავისი კონცეფციით *Europe des patries* ურალიდან ატლანტის ოკეანემდე (ბრიტანეთის გამოკლებით) და ამავე მოსაზრებით გაჩაღდა 1948 წ. ჰააგაში დაფუძნებული ევროპული მოძრაობა, ევროპული პარლამენტის, კომისიისა და ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად.¹⁵

საბჭოთა პერესტროიკის გავლენით აღმოსავლეთ ევროპის გახსნის შემდეგ და, შესაძლოა, ამის გამოც, აღმოჩნდა ეს ორი პოლიტიკური მიმდინარეობა იმ დებატების შუაგულში, "ევროპასთან" დაკავშირებით რომ გაემართათ. ევროპული კავშირის, რო-

გორც ურთიერთდაკავშირებული ნაცია-სახელმწიფოების საბაჟო კავშირის, მომხრეთათვის ნაციონალური იდენტობა თანამედროვე პოლიტიკური და კულტურული ერთობის ბუნებრივ ფორმად რჩება. მათთვის ნაცია-სახელმწიფო არის ყველაზე სასარგებლო და შეკრული პოლიტიკური ერთეულის სახეობა, ხოლო ზომიერი, "ჯანსაღი" ნაციონალიზმი – სოლიდარობისა და კოლექტიური კეთილდღეობის მიღწევის ერთადერთი საშუალება. ევროპული "პატრიების" (*patries*) ეკონომიკური ასოციაცია თითოეულ მათგანს ან ხსენებული მიზნების განხორციელების საშუალებას მისცემს, ან არადა, მას ჩალის ფასი აქვს. ხოლო იმათთვის, ვინც ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკურ ერთობას მოითხოვს, კოლექტიური იდენტობის ნაციონალური ტიპი აღარ არის სიცოცხლისუნარიანი და სასურველი. მათი აზრით, ნაცია-სახელმწიფოს სწრაფად გასდის ყავლი და ნაციონალიზმი, რომელმაც კაცობრიობა საბოლოო კატასტროფის ზღვარზე მიიყვანა, უნდა წაიშალოს ადამიანთა ცნობიერებიდან ან, უკიდურეს შემთხვევაში, მოხერხდეს უვნებელყოფა. არასტაბილურობამ აღმოსავლეთში შეიძლება მხოლოდ ევროპის პოლიტიკური გაერთიანება დააჩქაროს და უფრო აუცილებელი გახადოს.

მაგრამ რა ტიპის ერთობა თუ კულტურა შეიძლება შექმნას საერთოევროპულმა პროექტმა? მოგვიანებით დავუბრუნდები ევროპის კულტურის საკითხს, თუმცა ის გადახლართულია ერთობის (*community*) პრობლემასთან. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ევროპული პოლიტიკური ერთობა? როგორც "ზესახელმწიფო"? რაღაც სრულიად განსხვავებული და თავისთავადი (*sui generis*)? მოდით, ეს საკითხები სათითაოდ განვიხილოთ.

1. ძალზე მცირეა იმის ალბათობა, რომ ევროპა ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, სანამ თითოეული ევროპული სახელმწიფო თავის სამხედრო ძალებს, არსენალს და საკუთარ ტერიტორიაზე ძალაუფლების გავრცელების მონოპოლიურ უფლებას თავის (ევროპული ზესახელმწიფოს) კონტროლს არ დაუქვემდებარებს და სანამ ამგვარ თვითუარყოფას ხალხი არ გაითავისებს. მაგრამ ჯერჯერობით, არა ევროპული ერთობა, [1993 წლის ნოემბერში, მასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ევროპულმა ეკონომიკურმა ერთობამ შეიცვალა სახელწოდება და გადაიქცა ევროპულ ერთობად. – მთარგმნ. შენ.], არამედ ნატო და ვარშავის პაქტი ზღუდავს ძალის ლეგიტიმურ გამოყენებას ამ კონტინენტის ორივე ნახევარზე. ევროპული ერთობის ინსტიტუტები საგანგებოდ გამოირიცხავს

- ნებისმიერი სახის სამხედრო ორგანოებსა თუ იურისდიქციას. თუმცა სინამდვილეში, რაკი თითოეულ ევროპულ სახელმწიფოს აქვს საიმისო სამხედრო ძალა, რომ გარეშე საფრთხეს წინააღმდეგობა გაუწიოს, ან პოლიტიკური გადატრიალების საშიშროებისაგან დაიცვას თავი, მისი სუვერენობა საბოლოო ჯამში გარანტირებულია. ასეთ ვითარებაში ევროპული "ზესახელმწიფოს" ჩამოყალიბება, პოლიტიკური თვალსაზრისით, შეუძლებლად გვესახება.
2. ასევე ნაკლებად მოსალოდნელია ევროპული "ზენაციის" არსებობა, სანამ თითოეული ევროპული ნაციის მოსახლეობის უმეტესობა არ განიმსჭვალება ნამდვილი ევროპული ცნობიერებით. (ასეთი იდენტობა შეიძლება შენარჩუნებულ ნაციონალურ განწყობილებებთან და ცნობიერებასთან თანაარსებობდეს, მაგრამ მაშინ უკვე არსებულ ნაციონალურ ლოიალობას ლოიალობის უფრო ფართო განწყობა უნდა შეემატოს).
 3. მაგრამ აქ ერთი დილემა წამოიჭრება: ხომ არ გავხდებით ასეთ შემთხვევაში უფრო ფართო "სუპერნაციის" შექმნის მოწმენი ევროპაში? ან ხომ არ ჩამოყალიბდება კიდევ უფრო ძლიერი ნაციონალიზმი? – ასეთი მოლოდინი და შიში მართლაც არსებობს.¹⁶
 4. ჯერჯერობით ცალკეულ ევროპულ ნაციებში ნაციონალიზმისა და ნაციონალური იდენტობის დაკნინების ნიშანწყალიც არ შეინიშნება, ისევე როგორც არ იკვეთება ნამდვილად ევროპული პოლიტიკური ნაციონალიზმის ზრდის ტენდენცია, მიუხედავად უფრო გავლენიანი ევროპული პარლამენტის წევრთა მისწრაფებებისა. მაგრამ კულტურულ დონეზე არსებობს უფრო ფართო პანევროპული განწყობილების ნიშნები. ამ უკანასკნელს მოგვიანებით დავუბრუნდები.
 5. თუ მომავალი ევროპული პროექტი არც "ზესახელმწიფოა" და არც "ზენაცია", არის ეს პოლიტიკური ასოციაციის ახალი ფორმა, რომელიც არის *sui generis*? შეგვიძლია, ასეთ შემთხვევაში ვილაპარაკოთ ძალთა "კონდომინიუმზე" (ერთობლივ სუვერენიტეტზე)? ანუ, იქნება ეს ნებაყოფლობითი თანხმობა, რომ გარკვეული ძალაუფლება გადაეცეს ცენტრალური დანესებულებების ერთობლიობას, ორმაგი იურისდიქციით, რომელიც უფლებამოსილი იქნება, მიიღოს ყველასთვის სავალდებულო გადაწყვეტილებები კარგად განსაზღვრულ სფეროთა ჩარჩოებში?

თუ ასეა, მაშინ შეუძლია ასეთ ერთობლივ სუვერენიტეტს იქონიოს არსებითი გავლენა ევროპულ მოდელზე, რომელიც ინდივიდუალურ ნაციონალურ იდენტობებს ეფუძნება?

6. ძნელია ამ კითხვებზე დარწმუნებით პასუხის გაცემა. ასეთი სახის ერთობლივი სუვერენიტეტი, ახალი ევროპის პოლიტიკური მოდელის შესახებ თუ ვილაპარაკებთ, შეიძლება თანაარსებობდეს ინდივიდუალურ ნაციონალურ იდენტობებთან ევროპის ფარგლებში. შესაძლოა, მან გააძლიეროს კიდევ ისინი, რადგან ის კონფლიქტები, რომლებიც, ერთობლივი სუვერენიტეტის წყალობით, სავარაუდოდ, მოგვარდება, მაგრამ მთლიანად ვერ აღმოიფხვრება, საფიქრებელია, შეძლებს არსებული ნაციონალური განწყობილებებისა და ცნობიერების აქცენტირებას. ასევე კულტურული ურთიერთგანაყოფიერება, სავარაუდოდ, მძლავრ იმპულსს მისცემს ნაციონალური კულტურისა და ნაციონალური იდენტობის განახლებას. მეორე მხრივ, იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება ერთობლივი სუვერენიტეტის წამყვანი ძალა, შესაძლოა, დამატებით ვიხილოთ ევროპული ლოიალობისა და განწყობილების ახალი წრე რეგიონული გაერთიანებებისა და სამხედრო ბლოკების (power blocks) პოლიცენტრულ მსოფლიოში. მაგრამ ეს, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ამაღლდება საგანგებოდ "ევროპული" მემკვიდრეობის ცნობიერება და რამდენად მოხერხდება "ევროპული მითოლოგიის" გათავისება.

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა: შეუძლია თუ არა ევროპულ ექსპერიმენტს სხვა არეალისა და სხვა გაერთიანებების ნიმუშად იქცეს? ცხადია, ახალი "ევროპის" სპეციფიკური ინსტიტუციონალური მოწყობა ვერ გადაინერგება სხვა კონტინენტებზე იმგვარად, როგორც ეს ბედკრული "ვესტმინსტერის მოდელის" შემთხვევაში მოხდა. მაგრამ ევროპული ერთობა შეიძლება კარგ მაგალითად გამოდგეს, თუ, ან როდესაც, სადმე საამისო პირობები მომნიშნდება. როგორც შემდგომ ვეცდები დავასაბუთო, ეს მომნიშვნება პარადოქსულია, მაგრამ შეიძლება დამოკიდებული იყოს გარკვეულ კულტურულ მდგომარეობაზე, კერძოდ, გარკვეული ტიპის ნაციონალიზმზე.

ახალი ტრანსნაციონალური ძალები

ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება, რას მოასწავებს ევროპული პროექტი, ან დიდი მასშტაბის მრავალეთნიკურმა სახელმწიფოებმა და რეგიონულმა დაჯგუფებებმა რამდენად გაიდგა ფესვი; მაშ, კიდევ სად უნდა ვეძებოთ ის გლობალური ურთიერთდამოკიდებულება, რომელსაც შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს კოსმოპოლიტურ კულტურას, ნაციონალურ საზღვრებს რომ სცილდება? ამ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ იმ ტრანსნაციონალურ ძალებს მოვეხმობთ, რომლებიც ასე გამოიკვეთა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ: რეგიონული სამხედრო ბლოკები, ტრანსნაციონალური ეკონომიკური კორპორაციები და მსოფლიო ტელეკომუნიკაციების სისტემები. მოდით, განვიხილოთ თითოეული მათგანი რიგ-რიგობით.

მეორე მსოფლიო ომი მოესწრო იმ სამხედრო დაპირისპირებას, რომელმაც უპრეცედენტო მასშტაბით იჩინა თავი. ჯერ ორი დიდი ბლოკი, კომუნისტური და კაპიტალისტური, დაუპირისპირდა ერთმანეთს ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში. მათ სხვადასხვა სატელიტი სახელმწიფოები და რეგიონები მოაქციეს თავის ორბიტაში. ამან თანდათან გაამრავლა შედარებით უფრო სუსტი და ნაკლებად შეკრული რეგიონული ბლოკები ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, ისინი დამოკიდებული შეიქნენ ორ მთავარ ინდუსტრიალიზებულ სამხედრო ბლოკზე. 1970-იან და 1980-იან წლებში ეს პოლარულობა შესუსტდა ჯერ ორი ძირითადი ბლოკის წევრების – დასავლეთ გერმანიის, იაპონიის, ჩინეთის – ეკონომიკური და პოლიტიკური წონის გამო. ხოლო მოგვიანებით ეს პროცესი განაპირობა ევროპული ეკონომიკური კავშირისაკენ სვლის დაჩქარებამ და პერესტოიკის გავლენამ როგორც საბჭოთა კავშირზე, ისე აღმოსავლეთ ევროპაზე. სამხედრო ბლოკებმა განაგრძეს არსებობა, მაგრამ მათი შემაკავშირებელი იდეოლოგია, ნაციონალური თვალსაზრისით, გაიმიჯნა ერთმანეთისაგან, ზოგ შემთხვევაში კი, საერთოდ, წაერთვა მობილიზაციის უნარი, რაც ოდესღაც ჰქონდა. ამკარად უარი ვთქვით ბიპოლარულობაზე და ვარჩიეთ პოლიცენტრული, ცვალებადი გეოპოლიტიკური კონფიგურაცია, რომელშიც "ნაციონალ-სახელმწიფოს" შეუძლია იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი. ამ შემთხვევაშიც ნაციის როლი ამკარად გამოიკვეთება.¹⁷

ტრანსნაციონალური კორპორაციების ძალმოსილება ბოლოდროინდელი ცნობილი ფენომენია. უზარმაზარი ბიუჯეტე-

ბის, დახვეწილი ტექნოლოგიებისა და რამდენიმე კონტინენტისათვის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების ნყალობით ეს კორპორაციები აკუმულაციისა და კონტროლის მნიშვნელოვან ფორმაცვალებად იარაღად იქცნენ. მათ არაერთგზის შეძლეს იმ მთავრობების იგნორირება, რომელთა ბიუჯეტი და ტექნიკური აღჭურვის დონე მათთან დაპირისპირებულ კორპორაციებს გაცილებით ჩამორჩება. მათ შეძლეს ასევე ემოქმედათ ქვეყნებს შიგნით და სამუშაო ძალა თავიანთი კვალიფიციური პერსონალის შესავსებად გამოეყენებინათ მესამე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ასეთი ქმედებები მათ კულტურულ განსხვავებათა იგნორირებისა და სასურველი ბაზრების უსაფრთხოების დაცვის საშუალებას აძლევს. რეზულტატი არის შრომის ინტერნაციონალური დანაწილება, რაშიაც ჩართულები არიან განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნები. ეს ხშირად ხდება სწორედ ტრანსნაციონალური კორპორაციების მსოფლიოს კაპიტალისტური ეკონომიკის მრავალმხრივ ეკონომიკურ იერარქიაში მოქმედების შედეგად.

დაბოლოს, დღევანდელ მსოფლიოში, შესაძლოა, ყველაზე გავრცელებულ ტრანსნაციონალურ ძალად იქცა სწრაფად მზარდი მასიური ტელეკომუნიკაციის სისტემების მოცულობა და სიმძლავრე და კომპიუტერული საინფორმაციო ქსელის ვრცელი ექსპანსია. ასეთი სისტემების საზღვრები და სირთულე შეუძლებელს ხდის საინფორმაციო ქსელის შეზღუდვას ყველაზე დიდი ნაციონალური ერთეულის ფარგლებშიც კი. იმავდროულად, ის ქმნის ნაციონალური კულტურის რეგიონულ კულტურასთან შერწყმის და გლობალური კულტურის ჩამოყალიბების მატერიალურ ბაზისს. ახლა უკვე შესაძლებელია გლობალური საინფორმაციო კომპლექსისა და გამოსახულებების გავრცელება ისე, რომ მან შთანთქმას შედარებით უფრო ლოკალური საინფორმაციო ქსელი და ის ნაციონალური მესიჯები, რომელთაც ეს ქსელი ავითარებს. ტელესაკომუნიკაციო სისტემები და კომპიუტერიზებული საინფორმაციო ქსელი ვრცელი სამხედრო ბლოკებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების კონტროლქვეშ შესაძლოა ახალი კულტურული იმპერიალიზმის მნიშვნელოვან იარაღად იქცეს.

ახალ ტრანსნაციონალურ ძალებს დავსძენთ მასიურ სახალხო მოძრაობებსა და გარემოს დაბინძურებისა და დაავადებათა გლობალური თუ მსოფლიო მასშტაბით გავრცელების მნიშვნელობის ზრდას. ეს ყველაფერი ორი პარალელური არგუმენტის სახით გამოიხატება. პირველი, განვითარებული ინდუსტრიული კაპიტალიზმი წარმოშობს გიგანტურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ერთეულებს, რომლებისთვისაც "ნაცია-სახელმწიფო" მოძ-

ველებული ცნებაა. ამ გიგანტურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ერთეულებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება უზარმაზარი ტრანსნაციონალური კორპორაცია. ეს არის მრავალმხრივ განვითარებული კაპიტალის ინტენსიური ოპერაციებით და რთული ტექნოლოგიებით აღჭურვილი ერთეული, რომელსაც შეუძლია კომპლექსური კომპიუტერიზირებული ქსელისა და გამოსახულებითი ინფორმაციის წარმართვა სხვადასხვა სპეციალიზაციის მიმართულებით და, იმავდროულად, მაღალეფექტიან დონეზე. მეორე არგუმენტის თანახმად, ნაციას შეცვლის "პოსტინდუსტრიული" საზოგადოებისაკენ მოძრაობა. რაკი ნაციები ინდუსტრიული მსოფლიოსა და მისი ტექნოლოგიური და საბაზრო მოთხოვნების ფუნქციონალური ნაწილია, კომპიუტერიზებულ ცოდნაზე და კომუნიკაციურ სისტემებზე დამყარებული "მომსახურების საზოგადოება" (service society) სცდება ნაციონალურ ჩარჩოებს და დედამიწის ყოველ კუნჭულში აღწევს. მხოლოდ კონტინენტურ კულტურებსა და, საბოლოოდ, ერთადერთ მსოფლიო კულტურას შეუძლია დააკმაყოფილოს პოსტინდუსტრიულ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების (knowledge-based society) მოთხოვნები.¹⁸

ყოველ ამ დებულებას თუ დაკვირვებას, რომელსაც ეს დებულება ემყარება, შეიძლება სტანდარტული პასუხი გავცეთ: ჩვენ ყველაზე მძლავრი პოლიტიკური და სამხედრო ბლოკების რღვევის მონმენი შევიქენით; თანაც, ეს რღვევა უეცარი და შეუქცევადი გახლდათ. უკვე მანამდე (სანამ ეს რღვევა განხორციელდებოდა) მათი იდეოლოგია როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, მიყურდა, გახევდა და, ცვლილებებისა და ახალი მოთხოვნების შესაბამისად, გადასხვაფერდა. ეს ახალი მოთხოვნები შეიძლება ყოფილიყო ისეთი, როგორიცაა ფემინიზმი, ეთნიკური და ეკოლოგიური მოძრაობები. ამ უკანასკნელებმა შექმნეს კოლექტიური ქმედებისა და ორგანიზაციის ახალი საკვანძო პუნქტები; მათ შთანთქეს ბევრი იმ ადამიანის სულიერი და პოლიტიკური ენერგია, რომელთათვისაც კაპიტალიზმისა და კომუნიზმის ლოზუნგები უაზრო გახდა. ამგვარად, ასეთი ბლოკების სიცოცხლისუნარიანობა უკვე საეჭვო შეიქნა.¹⁹

გამოიკვეთა არა მარტო ახალი მოძრაობები, არამედ გადასხვაფერებული (სხვა ფორმულირებით ჩამოყალიბებული) ძველი მოძრაობებიც; ასეთია, მაგალითად, "ნეონაციონალიზმი", რომელიც მე-ნ თავში განვიხილეთ. ეს განახლება კარგად ეთანხმება რიჩმონდის თეზისს იმის შესახებ, რომ მცირემასშტაბიანი საკომუნიკაციო ქსელის მოცულობის ზრდა ხელს უწყობს ლინგვისტური და ეთნიკური ნაციონალიზმის გავრცელებას პოსტინდუსტრიულ

ხანაში. უმცირესობათა ან "პერიფერიული" ეთნიკური ნაციონალიზმების ამგვარმა აღორძინებამ ადვილად შეიძლება ბიძგი მისცეს უმრავლესობის ეთნის ნაციონალიზმის განახლებას – იმ ერთობის ნაციონალიზმისა, რომელიც დომინანტურია მოცემულ სახელმწიფოში; მაგალითად, ასეთებია სერბები, ჩეხები, გერმანელები, პოლონელები და რუსები. ხშირად ეს ხდება რეაქციული და გამათავისულებელი პროცესის გზით. საბოლოო შედეგი შეიძლება იყოს უკვე მოძველებულად მიჩნეული "სახელმწიფონაციების" გაძლიერება და მათთვის ახალი სასიცოცხლო ძალების შემატება.²⁰

იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროსთან დაკავშირებით. მესამე მსოფლიოს ფარგლებში მოქცეული "ნაცია-სახელმწიფოებისა" და, ასევე, მესამე მსოფლიოსა და დასავლურ ნაცია-სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ეკონომიკური კონკურენციისაგან სრულიად დამოუკიდებლად, როგორც ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული განვითარების შედეგად შეიძლება, სხვა თუ არაფერი, აქცენტმა გადაინაცვლოს ნაციონალურ განსხვავებებსა და განწყობილებებზე. როდესაც პოპულაციები იშლება და ემიგრირებას იწყებს, როდესაც ომს მოჰყვება ხალხის მასიური განადგურება ან დევნილთა ნაკადის შემოჭრა, საიმიგრაციო პოლიტიკის, ნაციონალიზმითა კანონებისა და პირდაპირი გაფრთხილებების საშუალებით აღიმართება ბარიერები ნაციათა შორის. ამგვარადვე, ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენა ნინალმდეგობრივია. მათ შეუძლიათ ნედლეულის, ინვესტიციების, ოპერაციების საშუალებით მსოფლიოს შეკავშირება, მაგრამ მათ ასევე შეუძლიათ ნაციონალური ოპოზიციის (ან პარტნიორობის) წარმოქმნა იქ, სადაც ხელისუფლება საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რომ ივაჭროს და წამოაყენოს თავისი პირობები. თუმცა სავსებით ვერ გავიზიარებთ უორენის Warren) განცხადებას იმის თაობაზე, რომ პოლიტიკურმა დამოუკიდებლობამ მესამე მსოფლიოს ქვეყნებს მისცა რეალური პოლიტიკური იარაღი დიდი კაპიტალისტური კორპორაციების წინააღმდეგ. მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებლობამ მესამე მსოფლიოს სახელმწიფოების უფრო დაჟინებულ და გამოცდილ მეთაურებს საშუალება მისცა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა ზესახელმწიფოები (superpowers) და ტრანსნაციონალური კორპორაციები და ამის საშუალებით თავისთვის უფრო ხელსაყრელი პირობების მოპოვების შანსები გაეზარდა. მაგრამ ჩვენი მიზნისათვის უფრო მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა ხელს უწყობს ნაციონალური იდენტობის თვითმეგნე-

ბის გაღვივებას იმ მიზნით, რომ გარეგან წნეხს დაუპირისპირდეს და მსგავსი პოლიტიკურად "ქმნადი ერთობების" საერთაშორისო იერარქიაში ახალ "ნაცია-სახელმწიფოს" თავისი ადგილი მოუძებნოს. პარადოქსულია, მაგრამ ამ ტრანსნაციონალურმა ეკონომიკურმა ძალებმა შესაძლოა კი არ განდევნოს, როგორც თითქოს მოსალოდნელი იყო, არამედ გააძლიეროს კიდევ ნაციები და ნაციონალისტური განწყობანი.²¹

კოსმოპოლიტიზმი და გლობალური კულტურა?

სწორედ კულტურის სფეროში ინვეეს ყველაზე დიდ ეჭვს თეორეტიკოსთა დებულებები განვითარებული კაპიტალიზმის ან პოსტინდუსტრიალიზმის შესახებ. ნუთუ ეს მართლაც რთული და მასიური ტელეკომუნიკაცია და კომპიუტერული საინფორმაციო სისტემაა, რომელიც აზავეებს ნაციონალურ კულტურებს ან ჩრდილავს მათ ახალი კოსმოპოლიტიური კულტურით? და მაინც, რა უნდა იყოს ამ გლობალური კულტურის შინაარსი?

ასეთ შეკითხვებზე პასუხი, დიდნილად, სპეკულატიური ხასიათისაა, თუმცა პოსტმოდერნული კულტურების დასავლური გამოცდილება ამ მნიშვნელოვანი საკითხების გასაღებს წარმოადგენს. უფრო ფართოდ რომ მიმოვიხილოთ, უკანასკნელი ხანის კულტურის განვითარება დასავლეთში წარმოდგენილია, როგორც დაბლაგვებული (streamline) მოდერნიზმისა და პოსტმოდერნული მოტივების, თემებისა და სხვადასხვა სტილის კომბინაცია. ეს არის, ძირითადად, ეკლექტიკური კულტურა. ერთი მხრივ, ნაგველკა სტანდარტიზირებულმა მასიური წარმოების ნაკადმა – ავეჯითა და შენობებით დაწყებული, ტელეფილმებითა და გასართობით დამთავრებული, – რომელიც თავის შინაარსს ადრეული ხალხური ხელოვნებითა თუ ნაციონალური მოტივებით და სტილით ამდიდრებს და თავის ნიმუშს თავდაპირველი კონტექსტისაგან განკერძოებული, ესთეტიკისაგან დაცლილი სახითა და მოულოდნელი ან სატირული განწყობით წარმოგვიდგენს. 1920-იანი წლებიდან – სტრავენსკიდან და პულენკიდან, დღემდე – პოკნიმდე თუ კიტაჯიმდე (თანამედროვე პოპარტის წარმომადგენლები. – მთარგმნ. შენ.), ეს არის სხვადასხვა პაროდირებული სტილისა და თემების ნაერთი, რომელიც წარმოიქმნა პოსტმოდერნული, თუნდაც ფსევდოკლასიკური, მასკულტურის მხარდასაჭერად.²²

ამგვარად, გლობალური კულტურა შეიძლება ანალიტიკურად განცალკევებული (დისკრეტული) ელემენტებისაგან შედგებოდეს. ესენია: ეფექტურად მონოდებული მასიური მოხმარების საქონე-

ლი; ხალხური ან ეთნიკური სტილისა და მოტივების სიჭრელე, მონყვეტილი თავის ჩვეულებრივ კონტექსტს; რამდენიმე ზოგადი იდეოლოგიური დისკურსი "ადამიანთა უფლებებსა და ღირებულებებზე"; ასევე, კომუნიკაციისა და შეფასების სტანდარტიზებული რაოდენობრივი "სამეცნიერო" ენა; ყველაფერი ეს ახალი ინფორმაციითა და ტელეკომუნიკაციური სისტემით და მათი კომპიუტერიზებული ტექნოლოგიებით არის გამაგრებული.

ეს პოსტმოდერნული გლობალური კულტურა განსხვავებული იქნებოდა ყველა სხვა წინარე კულტურათაგან არა მარტო ყოვლისმომცველობით, არამედ თვითმეგნებისა და თვითპაროდულობის განცდის ხარისხითაც. მართლაც, თუკი ვინმეუნებთ, რომ იმ ცალკეული დისკურსებისა და ენის პირობითობათა მიღმა, რომლებთანაც ყოველი ადამიანია გადაჯაჭვული, არანაირი ადგილი არ არის "მე"-სთვის და არც არავითარი თვალსაზრისი არ არსებობს იმის თაობაზე, თუ სად არის ათვლის წერტილი, თუ "ცენტრი", ახალი კოსმოპოლიტიზმი, არსებითად, ეკლექტურია და მოძრავი. მისი ფორმა მუდმივად იცვლება. ამდენად, ის შეიძლება მხოლოდ ძალზე ზოგადად "ალინეროს".

ადრინდელი კულტურული იმპერიალიზმებისაგან განსხვავებით, რომლებიც ეთნიკური წარმომავლობის დროსა და სივრცეში იყო ფესვგადგმული, ახალი გლობალური კულტურა უნივერსალურია და დროის განზომილების გარეშე დგას. რადგან ეკლექტურია, ის სრულიად ინდიფერენტულია დროსა და სივრცესთან მიმართებაში, დენადია და უფორმო. თუმც ამჟამად ის დასავლეთში უფრო განვითარებულია, ვიდრე დედამიწის რომელიმე სხვა კუთხეში, პოსტმოდერნული კოსმოპოლიტიური კულტურა მასმედიისა და ტელეკომუნიკაციის საშუალებით მთელ მსოფლიოსაა მოდებული. ის არის აქ და ახლა და, იმავდროულად, ყველგან. ის არც ისტორიითა და არც ისტორიებით არ ამყობს. ის ხალხური მოტივები, რომელსაც იყენებს ეს კულტურა, ზედაპირულია და ანმყოსა და მომავალზე ორიენტირებული "სამეცნიერო" და ტექნოლოგიური კულტურის დეკორაციის ხასიათს ატარებს.

ის, აგრეთვე, საფუძველშივე ხელოვნური კულტურაა. მისი წარევი ჭირვეულია და ირონიული; მისი შედეგები საგულდაგულოდ არის გამოთვლილი; მას ნაკლები ემოციური თანაზიარობა ახასიათებს იმასთან მიმართებაში, რასაც თავად გვიქადის. ის ხელოსნობასა ჰგავს და ზედაპირულია; ახალი კოსმოპოლიტიზმი ძირითადად დაინტერესებულია საშუალებებით, ღირებულებითი დილემების გარდაქმნით ტექნიკურ პრობლემებად, და ამ

პრობლემების წმინდა ტექნოლოგიური საშუალებებით გადაჭრას ლამობს.. ამ თვალსაზრისით ის მართლაც ტექნოლოგიური ხასიათისაა: მასში კომუნიკაციისა და ინფორმაციის ურთიერთგადამკვეთი სისტემები ქმნიან ურთიერთდამოკიდებულების ქსელს, გამოხატულს უნივერსალური რაოდენობრივი და სამეცნიერო დისკურსის საშუალებით, რასაც ახორციელებს ტექნიკური ინტელიგენცია. ამ ინტელიგენციის ტექნიკური დისკურსის კულტურამ შეცვალა ჰუმანიტარული ინტელექტუალების უწინდელი წმინდა კრიტიკული დისკურსი.²³

ცოტა არ იყოს, საეჭვოა, რომ ვერ მოხერხდეს ამგვარი გლობალური ტექნიკური კულტურის განმასხვავებელი ნიშან-თვისებების ამოცნობა; ეგ კია, რომ დღესდღეობით ის საკმაოდ არათანაბრადაა გავრცელებული ჩვენს პლანეტაზე. მაგრამ უნერია კი ამგვარ კოსმოპოლიტურ კულტურას ხანგრძლივად არსებობა და აყვავება? შეუძლია მას ფესვი გაიდგას მსოფლიოს ხალხებში?

და კვლავ, წარსული ამ შემთხვევაში წინამძღოლად არ გამოვადგება. წარსულში არსებობდა არა მარტო ერთი კულტურა, არამედ – კულტურები, რომელთაც ახასიათებდათ განკერძოებულობა, გამომსახველობა და ისტორიული თავისთავადობა. ყველაზე მეტად იმპერიული და ფართოდ გავრცელებული კულტურაც კი დაკავშირებული იყო მისი წარმოშობის ადგილთან და დროსთან – იქნებოდა ეს რომი, ბიზანტია თუ მექა. ხოლო მათი წარმოსახვა და იდენტობის შეგნება დაფუძნებული იყო კონკრეტულ ისტორიულ ტრადიციებზე, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში სახალხო რეზონანსი ჰქონდათ ისევე, როგორც კეისრისა და მეფის სახე-ხატებს რომსა და რუსეთში. შეიძლება ტრადიციების გამოგონებაც და სახეების შექმნაც, მაგრამ ეს ტრადიციები და სახეები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან სიცოცხლისუნარიანი, თუ მათ ხალხი აიტაცებს და მიიღებს. ხალხში რეზონანსის მოპოვება კი მათ იმ შემთხვევაში შეეძლებათ, თუ ჰარმონიულად შეერწყმიან კოლექტიურ მეხსიერებას და ხელს შეუწყობენ მისი უწყვეტობის განცდას. ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა მონუმენტები, მათი მოსაგონარი ცერემონიები, გმირების ძეგლები, იუბილეებისა და სადღესასწაულო დღეების აღნიშვნა – ყველაფერი ეს, რაგინდ ახლებური სახით მოგვანოდონ, თავის მნიშვნელობასა და ემოციურ ძალას კოლექტიური წარსულის შეგრძნებიდან თუ აღქმიდან იკრებს.²⁴

ამჟამად მოდერნულ მსოფლიოში ის, რაც კოლექტიურ წარსულად აღიქმება და შეიმეცნება, ისევ და ისევ, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკურ და ნაციონალისტურ ხასიათს ატარებს. ასევე, იდენ-

ტობები, სახეები და კულტურები ჯიუტად ეთნიკურ ან ნაციონალურ სიმრავლეებად რჩება. ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან მეხსიერებას ცენტრალური ადგილი უჭირავს იდენტობათა და კულტურათა გამონართობაში. სწორედ ამიტომ პოსტმოდერნულ კოსმოპოლიტიზმში ძირითადი მოტივები, იდეები და სტილი ხალხური ან ნაციონალური წარმოშობისაა. დღევანდლამდე არ არსებობს სხვა კოლექტიური წარსული (არაეთნიკური და არანაციონალური), გარდა ხელოვნური ნეოკლასიციზმისა (რომელიც თუმცა ჩუმად, მაგრამ მაინც ანტიკური ხანის წინაპრებს არის მიყურადებელი). არ არსებობს გლობალური "იდენტობა, რომელიც იქმნება"; გლობალური კულტურა შეიძლება იყოს მხოლოდ კონსტრუქცია მეხსიერების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაიშლება მის შემადგენელ ნაციონალურ ელემენტებად. მაგრამ კულტურა მეხსიერების გარეშე ლოგიკური წინააღმდეგობაა. ამგვარი გლობალური კულტურის შექმნის ნებისმიერი ცდა მხოლოდ და მხოლოდ ხაზს გაუსვამს იმას, თუ როგორ გადარცევის სახალხო მეხსიერებათა და იდენტობათა სიმრავლე, რათა ეს გიგანტური სუროგატი (*bricolage*) შეექმნათ.

ბოლოს, მივადევით ადამიანის "კონსტრუქციის" და "დეკონსტრუქციის" საზღვრებს, რადგან გლობალური კულტურის პროექტის მიღმა დგას კულტურის, როგორც ადამიანის წარმოსახვისა და შემოქმედების, პრინციპი, რომლის "ტექსტი" უნდა "წავიკითხოთ" და რომლის აგებულებაც უნდა გავიაზროთ. ასევე, როგორც ნაციას შეიძლება ვუნოდოთ მმართველებისა და ინტელიგენციის მიერ აშენებული "წარმოსახვითი საზოგადოება", გლობალური კულტურაც, როგორც წარსულთა ნარევი, რომელიც მეცნიერებასა და ტელეკომუნიკაციას ეფუძნება, არის კაცობრიობის ყველაზე თამამი და ყოველისმომცველი წარმოსახვითი ქმედება. ასე რომ, ის ტექსტები, რომელთაც ასეთი კოსმოპოლიტიზმი აუცილებლად ქმნის, ამ კულტურის მოზაიკის სატირიზებული ელემენტებია და ისინი სხვა არაფერია, თუ არ ისევ ის მითები, მეხსიერება, ღირებულებები, სიმბოლოები და ტრადიციები, რომლებიც ნაციისა და ეთნიკური ერთობის (ყველასი ერთად და თითოეულის ცალ-ცალკე) კულტურებსა და დისკურსებს აყალიბებს. ეს ის ნაციები და ეთნიები, რომლებიც ჩვენს დისკურსებს ისტორიულ საზღვრებს უდებს. მათ ეთნონაციონალურ ფორმებში შეღწევა და მისი დებულებების ეჭვის ქვეშ დაყენება სრულიადაც არ იწვევს მათი ძალის შიგნიდან აფეთქებასა და ნაციონალური დისკურსების სამფლობელოს მოშლას. სახელმწიფო ხელისუფლებისა და კულტურული კომუნიკაციის რეალობებით დასაზღ-

ვრული ეთნიკური და ნაციონალური დისკურსები და მათი ტექსტები გარკვეულ ფარგლებს უწესებს ადამიანის წარმოსახვით კონსტრუქციებს, რადგან სწორედ ეთნოისტორიის *longue duree*-მ მოამარაგა და მოანესრიგა თვით ის ენები და კულტურები, რომლებშიც კოლექტიური და ინდივიდუალური "მე" და მისი დისკურსი ჩამოყალიბდა და რომელიც დღესაც აგრძელებს ადამიანების შეკავშირებასა და გათიშვას. არ არის საკმარისი გლობალური ერთობის წარმოსახვა; პოლიტიკური გაერთიანებების ახალი და უფრო ფართო ფორმები და კულტურულ ერთობათა სხვადასხვა ტიპები ჯერ უნდა აღმოცენდნენ. ეს არის თანდათანობითი მოძრაობა, გათიშული და, მნიშვნელოვანწილად, დაუგეგმავი.²⁵

"ეთნოისტორიების" გამოყენება

ამგვარად, მე წარმოვაჩინე მთელი რიგი მიზეზები იმისა, თუ რატომ ვერ ხერხდება ნაციებისა და ნაციონალიზმის ხანძრის ჩაქრობა და რატომ არის ნაკლებ სავარაუდო მათი შეცვლა გლობალური კულტურის მშენებლობით, თუნდაც ეს იყოს ისეთი ეკლექტიკური და ტექნიკური კულტურა, როგორიცაა "პოსტმოდერნიზმი". ეს სრულიად კანონზომიერი არარეალურობა კი ახალი "პოსტნაციონალური" სტილისა და ენების გაჩენის იმედს გვიღვივებს.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის ნაკლებსავარაუდო ნაციონალიზმის "დათრგუნვა": დედამიწის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ისევ ისე მისდევს თავის ეთნიკურ სტილსა და ნაციონალურ დისკურსებს. ძალიან ადვილია ამის ფაქტებით დადასტურება. პოლიტიკური კონფლიქტების, სახალხო პროტესტებისა და სახელმწიფოებრივი პროექტებისათვის მეტწილად ნიშანდობლივია ნაციონალური განზომილება, რასაც ემატება ის, რომ ისინი ნაციონალური განწყობილებებისა და ცნობიერების სპეციფიკური ფორმით არიან გამოხატულნი. ნაციონალიზმი სრულიად აშკარად გამოიკვეთება ყველაზე მწვავე და გადაუჭრელ კონფლიქტებსა და პროტესტებში, თუნდაც ის გადახლართული იყოს სხვა საკითხებთან, - ისეთებთან, როგორიცაა გენდერის, კლასის, რასისა და რეგიონის პრობლემები.

საკითხი მდგომარეობს შემდეგში: რატომ რჩება დღემდე ნაციონალური იდენტობა, როგორც ამ თავის დასაწყისში ავლინებთ, ასეთ საყოველთაო, მრავალსახოვან და დაუძლეველ მოვლენად? ვნახეთ, როგორ წარმოიშვნენ ნაციები და როგორ მოედო მთელ

დედამინას ნაციონალიზმი. ახლა კი ვიკითხოთ: რა ისეთი ფუნქცია აკისრია ნაციონალურ იდენტობას, რასაც ან სრულებით ვერ ჩრდილავს ან სწორი გეზით ვერ წარმართავს იდენტობის სხვა არაერთი სახეობა?

შესაძლოა, მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია-თაგანია დავინყებისათვის განწირული პიროვნებისათვის პასუხის გაცემა. სეკულარულ საუკუნეში "ნაციასთან" თავის გაიგივება სიცოცხლის სასრულობის გადალახვისა და უკვდავების მოპოვების ყველაზე საიმედო გზაა. პარტიასაც კი (იგულისხმება ალბათ პოლიტიკური ან კომუნისტური პარტია, რადგან დიდი ასოთა: the Party – მთარგმნ. შენ.) არ ძალუძს მყარი დაპირების მოცემა, ისიც ბოლოს ნაციას უბრუნდება, რადგან ხანმოკლე რევოლუციური ისტორია აქვს, ნაციას კი შეუძლია იამაყოს შორეული წარსულით მაშინაც კი, როდესაც იგი მეტწილად რეკონსტრუირებული ან გამოგონილია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მას შეუძლია საგმირო წარსულის მსგავსი დიდებული მომავლის დასახვა. ამ თვალსაზრისით, მას ხელენიფება ხალხის დამუხტვა იმ საერთო მიზნის განსახორციელებლად, რომელსაც მომავალი თაობები აღასრულებენ. მაგრამ ეს "ჩვენი" შეილების თაობაა; ისინი "ჩვენია" როგორც ბიოლოგიური, ისე სულიერი თვალსაზრისით. არც ერთ პარტიასა თუ კლასს არ გააჩნია ასეთი დაპირების მოცემის უნარი. ასე რომ, ჩვენს შთამომავლობაში განხორციელებული მარადიული ცხოვრების იმედი გენეტიკურად დადასტურდება. ჩვენი შთამომავლების მეხსიერებაში ასე შეგვიძლია დავიმკვიდროთ ჩვენთვის სასურველი ადგილი. და განა ეს არ მოგვეცემს სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის გაგრძელების იმედს – იმედს, რომელიც სეკულარულმა აზროვნებამ თითქოს დაანგრია? ამგვარად, ნაციონალური იდენტობის უპირველესი ფუნქციაა შექმნას ღირსმნიშვნელოვანი "ისტორიისა და დანიშნულების საზოგადოება", რათა იხსნას თითოეული ადამიანი სამუდამო დავინყებისაგან და აღადგინოს კოლექტიური რწმენა.²⁶

ნაციასთან გაიგივება ნიშნავს თავის გაიგივებას იმაზე მეტ-თან, ვიდრე საერთო საქმე ან კოლექტიურობაა. ეს ნიშნავს პიროვნული განახლებისა და ღირსების მოპოვების შესაძლებლობას ნაციაში და ნაციონალური განახლების საშუალებით. ეს იგივეა, რომ გახდეს ნევრი იმ დიდი პოლიტიკური "ოჯახისა", რომელიც ყველა მის შემადგენლობაში მყოფ ოჯახს აღუდგენს დასაბამიდან მინიჭებულ უფლებასა და წარსულში ნაბოძებ წარჩინებულის სტატუსს, და რომელშიც ახლა თითოეული მათგანი უფლებააყრილი და შეგინებულია. ნაციონალიზმი გვირდება "სტატუსის

შებრუნებას”, სადაც უკანასკნელი გახდება პირველი და სამყარო საბოლოოდ აღიარებს რჩეულ ერს და მის წმინდა ღირებულებებს. აი, აქ არის ეთნოისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია. ნაცია ამ არა მარტო უნდა იამაყოს თავისი დიდი წარსულით, რომელზედაც დაფუძნებულია უკვდავების იმედი, არამედ უნდა ამოიცნოს კიდეც ეს დიდებული წარსული, წმინდანებისა და გმირების ოქროს ხანა, რათა მნიშვნელობა მიანიჭოს თავის დანაპირებს აღდგენისა და ღირსების დაბრუნების თაობაზე. ასე რომ, რაც უფრო სრული და მდიდარია ეს ეთნოისტორია, მით უფრო სარწმუნოა მისი განაცხადი და უფრო ღრმად ეხება იგი ნაციის წევრების გულის სიმებს. ერთობის ეთნოისტორიის სიძველის შეგნება – იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა შინაარსის შემცველია იგი, – ნაციონალისტების კარგა ხნის ნააზრევის თანახმად მათ ნაციონალური ღირსების კრიტერიუმია; ეს ის ღერძია, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სწრაფვა ნაციონალური აღორძინებისაკენ. სწორედ ამიტომ ფინელი ინტელექტუალები, როგორებიც არიან ლონროტი (ფოლკლორისტი და ფილოლოგი, რომელმაც შექმნა ფინური ნაციონალური ეპოსი – *კალევალა* ხალხური ლირიკული ლექსებისა და მოკლე ბალადების საფუძველზე 1835 წ. და განაგრცო 1849 წ. – მთარგმ. შენ.) და შნელმანი (შნელმანი (1806-1881) – ფინელი ნაციონალისტი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ფინური ენის ნაციონალურ ენად ჩამოყალიბების საქმეს. მთარგმნ.), გალენ-კალელა (აკსელი გალენ-კალელა (1865-1931) – ფინელი მხატვარი, ცნობილია *კალევალას* ილუსტრაციებით. მთარგმნ.) და სიბელიუსი (სიბელიუსი (1865-1957) – ფინელი კომპოზიტორი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფინელი ხალხის ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში. – მთარგმნ. შენ.) გრძნობდნენ, რომ კარელიის გლეხების ბალადებისაგან შექმნილი *კალევალას* სახით მათ უნდა აღედგინათ ფინეთის მივიწყებული წარსული, გარდა სულ გმირთა მამულის შორეული ოქროს ხანა, და ნამდვილ ისტორიად წარმოედგინად იგი. ამის საშუალებით თითოეული მათგანი და მათთან ერთად ყველა ფინელი შეძლებდა ხელახლა ჩასწვდომოდა თავისი ერთობის ცოცხალ წარსულს და აღედგინა თავისი კოლექტიური ღირსება; შეძლებდა საკუთარი თავი თაობათა ერთიან ჯაჭვში ჩაება და ამ გზით მიეღწია უკვდავებისათვის. მხოლოდ “ფინეთის” ზოგადი კონსტრუქციის საფარქვეშ შეეძლო მათ საკუთარი არსებობის განახლება, მაგრამ ეს კონსტრუქცია თავის შინაარსსა და სახალხო აღიარებას იძენდა მხოლოდ იმ პირობით, თუ ის ფინელებისათვის გაიგივდებოდა ბევრად უფრო

ხანგრძლივ ეთნოისტორიასთან, რომელიც სამუდამო დავინყები-საგან იხსნიდა მათ.²⁷

ნაციონალური იდენტობის მესამე ფუნქცია ის გახლავთ, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ძმობის იდეალის რეალიზაციას. თვით ეს იდეალი გულისხმობს მჭიდრო კავშირის არსებობას ოჯახს, ეთნიკურ ერთობასა და ნაციას შორის, თუნდაც იდეოლოგიურ დონეზე. ეთნი და ნაცია ამ იდეალის ჭრილში გამოიყურებიან, როგორც უბრალოდ დიდი ოჯახი, ბევრი ურთიერთდაკავშირებული ოჯახის ჯამი, სადაც ყველანი ერთმანეთის დები და ძმები არიან. ნაციონალისტები ამას უმატებენ ცერემონიებსა და რიტუალებს, რათა უფრო გამოაცოცხლონ და გააძლიერონ ეს იდეა. ალუმების, მოსაგონარი ცერემონიების, საგანგებო დღეების აღნიშვნის, დაღუპულთა მემორიალების, ფიცის დადების, ფულის ნიშნების, დროშების, გმირთა სადიდებლებისა და ისტორიული მოვლენების აღსანიშნავი ძეგლების საშუალებით ისინი ახსენებენ თავიანთ თანამოქალაქეებს კულტურული კავშირისა და პოლიტიკური ნათესაობის შესახებ და ხელახლა ამკვიდრებენ იდენტობისა და ერთიანობის შეგნებას.

ბევრი თვალსაზრისით ამ რიტუალურსა და სიმბოლურ ასპექტს ნაციონალური იდენტობის წარმატებისა და შენარჩუნების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, – ეს არის სფერო, სადაც ინდივიდუალური იდენტობა ყველაზე მჭიდროდ უახლოვდება კოლექტიურ იდენტობას. ამგვარი ურთიერთდაახლოების არაერთი მიზეზი არსებობს. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ესთეტიკური მოსაზრებების მნიშვნელობა – სილამაზის, მრავალფეროვნების, სიქველის, პათოსის შეგრძნებებს ბადებს მაღალი ხელოვნებით შერჩეული ფორმების, მოცულობების, ხმების, რითმების შეხამება. ეს ის საშუალებებია, რომლითაც ხელოვნებას შეუძლია ნაციის გამორჩეული "სულის" გამოლევინება. უდავოა, რომ ამდენი პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი, მოქანდაკე და ბევრი სხვა ხელოვანი სწორედ ამიტომ ხედავს ნაციონალური იდენტობის იდეაში იმ ძალას, რომელიც ესოდენ დიდ გამოძახილს პოევებს მის სულსა თუ ხელოვნებაში. მაგრამ უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის დღეს ნაციონალიზმის სიმბოლური და რიტუალური ასპექტები ასე უშუალოდ დაკავშირებული ინდივიდუალური იდენტობის შეგნებასთან, იმაში მდგომარეობს, რომ ის ბიძგს აძლევს ეთნიკური კავშირების გაცხოველებასა და ეთნიკური იდენტიფიკაციის გაცნობიერებას; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ამ დროს იწყება "მამათა" და წარსულ თაობათა გახსენება. ნაციონალიზმის ეს მისწრაფება წინაპართა პატივის-

ცემისაკენ მოგვაგონებს იმ რელიგიებს, როგორც არის, მაგალითად, შინტოიზმი, სადაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარდაცვლილებთან ერთობის განცდას და წინაპართა კულტს. როგორც ეს რელიგიები, ნაცია და მისი მოსაგონარი დღესასწაულები ერთად შეკრებენ ყველა ოჯახს, რომელმაც ომში ან სხვა ნაციონალური უბედურების ჟამს დაკარგა ნათესავები და ახლობლები, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საერთო წინაპარი. ეს გახსენება თითქოს მათი მაგალითით შთააგონებს საზოგადოებას მოვალეობისა და თავგანწირვის პათოსს და უნერგავს წინაპართა გმირულ სულისკვეთებას.²⁸

ამგვარად, მოდერნულ მსოფლიოში ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალიზმის ფუნქციები შემდეგია: ხსნა სამუდამო დავინწყებისაგან შთამომავლობის წყალობით; ოქროს ხანის აღორძინების მეშვეობით კოლექტიური ღირსების აღდგენა; სიმბოლოების, წესებისა და ცერემონიების მოშველიებით წინაპრებსა და გმირულად დაცემულ თანამოქალაქეებთან ერთობის შეგნების გაღვივება და ამის საშუალებით საზოგადოებაში ძმობის იდეის ქადაგება. ძირითადად, სწორედ ამიტომ არის ესოდენ მტკიცე და ყოველგვარი ბედუკულმართობის ამტანი ნაციონალური იდენტობა და ნაციონალიზმი.

არის კიდევ სხვა ისტორიული და გეოპოლიტიკური მიზეზებიც. ისტორიულად ნაცია-სახელმწიფომ გაამართლა თავისი არსებობა. მან, ჯერ კიდევ საფრანგეთისა და ბრიტანეთის პეგემონობის დროიდან, წარმოაჩინა თავისი ეფექტიანობა ომისა და მშვიდობიანობის დროს. ის გახდა უნივერსალური მოდელი, თუმცა მას უფრო ხშირად გარეგნული ნიშნებით ჰბაძავდნენ და არა შინაგანი არსით. ასევე, გერმანიისა და იაპონიის წარმატებამ აჩვენა ეთნიკური ნაციონალიზმისა და ნაციონალური იდენტობის "ეთნიკური" მოდელის სიმყარე და ეფექტიანობა. ჰერდერისა და ფიხტესეული ცნებების გავრცელება გერმანული მოდელის ძლიერი გავლენის ერთ-ერთი მაგალითია. რაკი ბევრი ეთნი დემოკრტიური ბუნებისაა, ნაციის ეს ეთნიკური მოდელი კიდევ უფრო წარმატებულად წარმოჩინდება. ძნელად თუ მოიძებნება დედამიწის ზურგზე ისეთი ადგილი, სრულიად თავისუფალი რომ იყოს ძალისმიერი ეთნიკური ნაციონალიზმისაგან.

ეთნიკურ ძალადობას, მართალია, აქვს სხვადასხვა მიზეზი, მაგრამ მათგან უმთავრესი მაინც "ეთნოისტორიის" არათანაბარი განაწილებაა. ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან თითოეული ნაციის ისტორიული მიხსიერების ბუნება, სიღრმე და სიმდიდრე. ზოგიერთ ერთობას აქვს ხანგრძლივი, კარგად დასაბუთებული და

ძლიერ შთამბეჭდავი ეთნოისტორია, სხვებს ერთობლივ საქმეთა ძალზე მწირი ისტორიული ჩანაწერები მოეპოვებათ; ამათგან კი უმეტესობა შედარებით გვიანდელი ხანისაა. არიან ისეთებიც – ძირითადად ეთნიკური კატეგორიები, – ვისთვისაც მხოლოდ ბოლოდროინდელი ჩაგვრისა და ბრძოლის ისტორია და, შესაძლოა, მოცემულ არეალში გავრცელებული შედარებით ადრეული კულტურის ფრაგმენტებია სავსებით ხელმისაწვდომი. ადრეული მოდერნული ხანის აღმოსავლეთ ევროპაში, მაგალითად, გვხვდება ისეთი გამორჩეული ეთნიები, როგორიცაა პოლონელები, უნგრელები და ხორვატები და მათი ისტორიული სახელმწიფოები, რომლებიც ხანგრძლივი და მდიდარი ისტორიით ამაყობენ. გვხვდება, ასევე, ჩამორჩენილი ეთნიკური ერთობები, როგორიცაა სერბები, რუმინელები (ვლახელები და მოლდაველები) და ბულგარელები, რომელთა შუა საუკუნეების ისტორია ხელახლა უნდა ამოტივტივებულყო, რომ არცთუ ისე შორეულ, ოსმალთა ბატონობის, პერიოდს გადასწვდომოდა. და კიდევ, გვხვდება მაკედონიელებისა და რუთენიელების ეთნიკურად შერეული რეგიონები და კატეგორიები, რომელთა მოგონებანი, მეტწილად, ბოლოდროინდელია და რომლებიც, სლოვაკებთან ერთად, იძულებულნი არიან, გენეალოგიური წარმომავლობისა და ჩრდილში მყოფი გმირი წინაპრების კვალი ძალზე შორეულ წარსულში ეძებონ.²⁹

ამყამად მდიდარი ეთნოისტორია შეიძლება კულტურული ძალაუფლების მნიშვნელოვან წყაროდ და კულტურული პოლიტიზაციის ცენტრად იქცეს. ის ერთობები, რომლებსაც შეუძლიათ ასეთი ისტორიით იამაყონ, იმათზე უპირატესნი არიან, ვისი ისტორიაც შეზღუდულია და საეჭვო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ინტელექტუალები ორმაგი ამოცანის წინაშე დგანან: მათ უნდა აღმოაჩინონ ერთობის საკმაოდ დიდი მოცულობის ისტორია, რათა დაანახვონ საკუთარი ნაციის წევრებს თავიანთი ბრწყინვალე წარსული; ამასთანავე, მათ უნდა დაამტკიცონ ამ წარსულის უტყუარობა (ავთენტურობა) ისე, რომ ერთობის გარეთ მდგომი სკეპტიკურად განწყობილი ადამიანებიც დაარწმუნონ მის ღირსებაში. ნაციონალისტი ინტელექტუალები პირველი ამოცანით უფრო არიან დაინტერესებულნი. როგორც კულტურულად, ისე პოლიტიკურად, წარსულის მოგონებების ნამდვილ შინაარსს ნაკლები მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვიდრე ამ ისტორიის სიმდიდრეს, მრავალფეროვნებასა და დრამატულობას (ესთეტიკური მახასიათებლები); ან, თუნდაც, როგორც ერთგულების, კეთილშობილებისა და თავგანწირვის მაგალითს (ზნეობრივი მახასიათებლები). ინტელექტუალთა მიერ ამოტივტივებულ მოგონებათა სწორედ

ეს მახასიათებლები იწვევენ მათ თანამედროვეებში მიბადვისა და "დიადი საქმეების" კეთების სურვილს.

საზოგადოდ, სწორედ პატარა, უჩინარ ერთობებსა და კატეგორიებს სჭირდებათ, ხანგრძლივი და მდიდარი ეთნოისტორიის უქონლობა "კულტურული ომით" ანაზღაურონ; ამ "ომში" ფილოლოგები, არქეოლოგები, ანთროპოლოგები და სხვა "სამეცნიერო" დისციპლინები დაუსაბუთებელი გენეალოგიების კვალს ეძებენ იმისათვის, რომ პოპულაციას ღრმად გაუდგან ფესვი მათ მშობლიურ მიწაში, რათა მათი გამორჩეულობისა და კულტურის ნიშნები დაადასტურონ და უფრო ადრეული ცივილიზაციების ანექსია განახორციელონ. ასე, მაგალითად, ერაყმა მიისაკუთრა შუმერელებისა და ბაბილონელების გაცილებით უფრო ადრეული ცივილიზაციები, რადგან ეს ცივილიზაციები თავის დროზე ყვაოდა შუამდინარეთში; ხოლო თურქებმა პრეტენზია განაცხადეს ძვ. წ. II ათასწლეულის ხეთური იმპერიის მემკვიდრეობაზე; ბერძნები და ბულგარელები ერთმანეთში კამათობენ იმის შესახებ, თუ რომელი მათგანის წინაპრების დანატოვარია ძველი მაკედონიის სამეფოს სამარხები. ამ დროს ებრაელები და პალესტინელები ნაბლუსისა და სამარიის ტერიტორიებისათვის იბრძვიან, უნგრელები და რუმინელები კი – ტრანსილვანიის შერეული რეგიონებისათვის.³⁰

უფრო ზოგადად, კულტურული მეტოქეობა, რომელსაც ეთნოისტორიის არათანაბარმა განაწილებამ შეუწყო ხელი, შემდგომში გადაიზარდა ვერნაკულური მობილიზაციისა და კულტურული პოლიტიზაციის ფართოდ გავრცელებულ პროცესში, რომელიც წინა თავებში განვიხილეთ. სხვა წარმატებული ეთნონაციონალიზმის მაგალითები, მასთან ერთად, კულტურულად უფრო დანიანურებული მეზობლების შიში, ხელს უწყობს ეთნიკური მოძრაობებისა და ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობასა და გავრცელებას მთელს დედამიწაზე, ფიჯიდან და შრი-ლანკიდან დანყებული, აფრიკის რქითა და კარიბის კუნძულებით დამთავრებული. თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ დიდია იმ ეთნიკური ერთობებისა თუ კატეგორიების რიცხვი, რომლებიც თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ეთნოისტორიის ამოტივტივების გზით შეკავშირდნენ, ეთნიებისა და ნაციების კულტურული ომის დასრულებისა და ნაციონალიზმის დაძლევის ალბათობა კიდევ უფრო ნაკლებ მოსალოდნელი ხდება.

გეოპოლიტიკა და ნაციონალური კაპიტალიზმი

ნაციონალური იდენტობის ყველგანმყოფობისა და გამძლეობის კულტურულ და ფსიქოლოგიურ მიზეზებს უნდა დაერთოს ასევე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური საფუძველი, რომლის კომბინირებული ეფექტი არსებული ეთნიკური და ნაციონალური განსხვავებების გამოკვეთასა და მათი გავლენის გლობალიზაციაში ვლინდება. ხშირად გამოითქმის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში ნაციონალიზმი მოძველებულად, ხოლო კაპიტალიზმი, ეროვნული საზღვრების გადალახვის წყალობით, უკვე ერთიანი, შეკავშირებული მსოფლიოს შემოქმედად ცხადდება. ზოგჯერ ასეთი შეხედულება დაწყვილებულია მარქსისტულ დებულებასთან, რომლის თანახმადაც ნაციები და ნაციონალიზმი არის კაპიტალიზმის ადრეული საფეხურის პროდუქტი (და საშუალება). თუმცა ტრანსნაციონალური კორპორაციების მსოფლიოსა და შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ნაციები და ნაციონალიზმები ჯერჯერობით ძველებურად იფურჩქნებიან. უეჭველია, გულმოდგინე გაანალიზებისას არ ივარგებს ნაციებისა და ნაციონალიზმის ისეთ ფენომენებად წარმოჩენა, რომლებიც დამოკიდებულნი არიან წარმოების კაპიტალისტურ წესში მიმდინარე ცვლილებებზე.

სინამდვილეში ორი ტრაექტორია – კაპიტალის ზრდა და ნაციის წარმოშობა – უმჯობესია, ცალ-ცალკე განვიხილოთ, თუმცა კი ისინი ხშირად თანხვედებიან ერთმანეთს სპეციფიკურ ისტორიულ ვითარებაში. კაპიტალიზმმა საბანკო კაპიტალის განვითარების ადრეული ფაზა ჩრდილოეთ იტალიასა და ფლანდრიაში გაიარა; მალე ამის შემდგომ ის სავაჭრო კაპიტალის განვითარების ფაზაში შევიდა და, იმ დიდი როლის გამო, რომელიც მას, მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ჩრდილო-დასავლეთ ევროპის რამდენიმე “ბირთვი” სახელმწიფოს შეჯიბრში ჰქონდა დაკისრებული, წამყვანი ადგილიც მოიპოვა. მეთვრამეტე საუკუნიდან მან მოიცვა დასავლეთი და ცენტრალური ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე, პერიფერიის სახით, – აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სანაპირო ზოლები და ანკლავები. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნეში ინდუსტრიულმა რევოლუციამ კაპიტალიზმს მსოფლიო ბატონობა მოუპოვა. ამასობაში მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ ევროპის იმავე ტერიტორიაზე პირველი მოდერნული (რაციონალიზებული, პროფესიონალი ბიუროკრატით მართული) სახელმწიფოები წარმოიშვა. ამ სახელმწიფოთა წარმოშობა კი, როგორც

დავინახეთ, მანამდე არსებული ეთნიკური ერთობების საფუძველზე განხორციელდა საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, პოლანდიისა და შვედეთის ცენტრალურ უბნებზე. სწორედ აქ, ამ რეგიონებში, "ეთნიკური სახელმწიფოების" (თუმცა არაჰომოგენური) საფუძველზე აღმოცენდა პირველი მოდერნული ნაციები. მალე, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, იგივე გამოიკვეთა ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ნაცია უკვე პოლიტიკურ ნორმად იქცა.

მართლაც, მსგავსება შეინიშნება როგორც ნაციის, ისე კაპიტალის აღმავლობის პერიოდიზაციაში – აღმავლობისა, რომელიც მსოფლიო ჰეგემონიას გაუტოლდა. და ეს არ არის შემთხვევითი. ფაქტი ისაა, რომ ბურჟუაზიული კაპიტალიზმის ახალი ძალები ხშირად მოქმედებდნენ დაპირისპირებული და საომარ მდგომარეობაში მყოფი ეთნიკური ერთობებისა და სახელმწიფოების უწინდელ ფარგლებში. პირველი ვაჭრის, შედეგ კი ინდუსტრიული კაპიტალიზმის, შემოსვლამ გააძლიერა და გააფართოვა ეს დაპირისპირება. ომმა, თავის მხრივ, როგორც სახელმწიფო, ისე დომინანტური ეთნიკური პოპულაცია ერთ კომპაქტურ, ტერიტორიულ და კანონიერად გაერთიანებულ ნაციად შეაკავშირა. აქედან გამომდინარე, კაპიტალიზმის ექსპანსიის შედეგი სწორედ არსებული შიდასახელმწიფოებრივი სისტემის განმტკიცება იყო ევროპაში; ხოლო ომებმა და დაპირისპირებებმა ხელი შეუწყო ნაციონალური განწყობილებებისა და სახელმწიფოს დომინანტური ეთნის კრისტალიზაციას.³¹

ზოგიერთ შემთხვევაში ძალზე მჭიდრო კავშირი შეიძლება დავინახოთ კაპიტალის გავრცელებასა და კონკრეტულ ნაციათა წარმოქმნას შორის. იმ პირობებში, როცა საეკონომიკური ინტერესების დაპირისპირებამ გაამწვავა ნაციონალური განსხვავებულობის შეგნება და ნაციონალურ კონფლიქტს ეკონომიკური შინაარსი დაუდო სარჩულად, ბურჟუაზიაში ნაციონალური განწყობილებების წარმოქმნამ გაამძაფრა საზღვარგარეთ კოლონიების დაარსებისაკენ სწრაფვა და სახელმწიფოების კონკურენცია ამ მიმართულებით. რადგან კაპიტალი წარმოადგენს მოდერნული სახელმწიფოების ეკონომიკურ იარაღს, შესაბამისად, ეთნიკური საფუძველის მქონე სახელმწიფოების წყობა და ლოიალობა ხშირად განსაზღვრავს ვაჭრობის მიმართულებას, ხოლო ვაჭრობასა და (მოგვიანებით) მენარმეებს კონკურენციისაკენ უბიძგებს.

კაპიტალიზმის წვლილი ნაციის წარმოქმნაში, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ კაპიტალიზმმა სახელმწიფოში

ჩამოაყალიბა ისეთი კლასები, როგორცაა ბურჟუაზია, მუშები და პროფესიონალები, რომელთაც ხელენიფებათ ლიდერობა და თავიანთი ინტერესების დაცვა დაპირისპირებული ნაციებისა და სახელმწიფოების წინაშე; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს კლასები ამას ახორციელებდნენ უწინდელი ეთნიკური ერთობისა და სახელმწიფო სისტემის ფარგლებში.

კაპიტალიზმი ქმნის ახალ კლასობრივ სტრუქტურას, რომელიც ხშირად ზედ დაედება ძველ აგრარულ სისტემას. ეს კლასები ახალგაზრდა ნაციას ამარაგებენ პროფესიული უნარით აღჭურვილი ადამიანების რესურსითა და მრავალდარგოვანი ეკონომიკით. მაგრამ ნაცია არ უნდა გაეიგოთ, როგორც ახალი კლასების "პროდუქტი". მეტიც, სხვადასხვა კლასები შეიძლება განვიხილოთ, როგორც უკვე არსებული ვერტიკალური ან ლატერალური ეთნოსაგან ნაციის ფორმირების აგენტები (შემოქმედი ძალები); ხოლო ეთნიკურ კატეგორიებში ინტელიგენცია არის ის ძალა, რომელიც მეზობელი ეთნიების მაგალითის საფუძველზე ახალი ეთნიკური ერთობის შექმნაში აქტიურად მონაწილეობს.

ისტორიული პერიოდების თანმიმდევრული მონაცვლეობისას, საზოგადოებრივი კლასები და ფენები წამყვან ადგილს იჭერენ ძველი ეთნიკური ერთობის მოდერნულ ნაციად გარდაქმნის საქმეში. ადრეულ მოდერნულ დასავლეთში მონარქი და არისტოკრატია, უფრო გვიან კი, წვრილი თავად-აზნაურობა, ბიუროკრატული ინკორპორაციის მთავარ მოქმედ ძალებს წარმოადგენდნენ – ბიუროკრატული ინკორპორაციისა, რომელიც, ეკლესიასთან ერთად, დაბალ კლასებსა და გვერდითა ერთობებს "ნაციონალურ სახელმწიფოში" აერთიანებდა. ეს იყო ხანგრძლივი და ნელი, არათანმიმდევრული პროცესი, რომლის დასაბამიც ინგლისსა და საფრანგეთში შეიძლება ჯერ კიდევ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებშიც კი ვეძიოთ. მოგვიანებით, დიასპორის ეთნიკურმა ერთობებმა, როგორებიც არიან კატალონიელები, გერმანელები, სომხები, ებრაელები, ხელი შეუწყვეს ადრეული საეაჭრო კაპიტალიზმის გავრცელებას; ხოლო ადგილობრივი ვაჭრები და სხვა მოვაჭრე კლასები საფრანგეთში, ესპანეთში, ინგლისში, ჰოლანდიასა და შვედეთში სამეფო ხელისუფლებას ხელს უწყობდნენ ბიუროკრატული ინკორპორაციის განხორციელებაში. ხშირად ეს ხდებოდა არისტოკრატული და კლერიკალური ინტერესების საზიანოდ და მათთან კონფლიქტის პირობებში.

აღმოსავლეთ ევროპაში, მეორე მხრივ, პოლონეთისა და უნგრეთის გარდა, არისტოკრატისა და წვრილი თავად-აზნაურობის როლი თავის თავზე აიღო პროფესიონალთა და ინტელექტუ-

აღსანიშნავია მცირე ფენამ. ზოგჯერ, როგორც საბერძნეთსა და ციბირში, პროფესიონალებთან და ინტელექტუალებთან ერთად, ამ ფუნქციას ვაჭართა კლასიც ასრულებს, თუმცა ამ უკანასკნელს ძალზე უსუსურად უმაგრებს ზურგს ჯერ კიდევ მოუმძლავრებული კომერციული ფენა. მეტწილად, იქ, სადაც გამომუშავებულ ხელფასზე მცხოვრები ელემენტი პოპულაციის მხოლოდ უმცირეს ნაწილს შეადგენს, ჯერ კიდევ ადრეა კაპიტალიზმის შეღწევაზე ლაპარაკი. ევროპის გარეთ – მცირე გამოწვევის გარდა, როგორცაა ინდოეთი და სამხრეთ აფრიკა – როგორც ტერიტორიული, ისე ეთნიკური ნაციონალიზმი წინ უსწრებდა წარმოების კაპიტალისტური წესისა და კაპიტალისტური ურთიერთობების შეღწევას; თუმცა სანაპირო ზოლზე ვაჭრობა ხშირად თამაშობდა კატალიზატორის როლს და ხელს უწყობდა განათლებული ურბანული კლასის აღმოცენებას მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. მაგრამ აქაც კაპიტალისტური გავლენის პარამეტრებს განსაზღვრავდა ევროპული კოლონალიზმის პოლიტიკური და ადმინისტრაციული წყობა და ის ტერიტორიული საზღვრები, რომლებიც სტრატეგიისა და პრესტიჟის მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი.³²

თუ კაპიტალიზმს *per se* (თავისთავად) შეიძლება მხოლოდ ის მიენეროს, რომ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ნაციებისა და ნაციონალიზმის აღმოცენებაში, იგივეს ვერ ვიტყვით ბიუროკრატიულ სახელმწიფოსა და რეგიონულ სახელმწიფოთაშორის სისტემებზე. თუ ბიუროკრატიული სახელმწიფო და რეგიონული სახელმწიფოთაშორისი სისტემა გადამწყვეტი იყო კაპიტალიზმის აღმოცენებისათვის, ის ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლდათ ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალიზმის გავრცელებისათვის; ზოგჯერ ეს ხორციელდებოდა ომის მეშვეობით (რომელსაც ის თავად წარმოქმნიდა), ზოგჯერ კი – სხვადასხვა ეთნიკურ პოპულაციასა და კლასებზე ზემოქმედების წყალობით. ამგვარი ზემოქმედება ხშირად კონფლიქტის საშიშროებას შეიცავდა, რადგან სახელმწიფოს ცენტრალიზაცია ინვესტირებდა პროტესტსა და ოპოზიციის ამოქმედებას, ზოგჯერ კი – რევოლუციასაც. ამ შემთხვევაში ხშირად გადამწყვეტი იყო განზე გამდგარ ინტელექტუალთა როლი. მხოლოდ მათ შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ “ნამდვილი” ნაციონალური ერთობის იდეა – ერთობისა, რომელიც შეცვლიდა ელიტის დესპოტიზმს და სახელმწიფოს აბსოლუტიზმს. იმავდროულად, მათ შეეძლოთ მიმდევართა მოზიდვა საშუალო კლასის განათლებული “პუბლიკიდან”, განსაკუთრებით

კი სჭირდებოდათ პროფესიონალები, რომლებსაც სახელმწიფო ამზადებდა და თავისი მიზნებისათვის წრთენიდა.³³

როგორც შედეგი, სუვერენული ბიუროკრატიული სახელმწიფო სულ უფრო აქტიურად ცდილობდა ტერიტორიული და პოლიტიკური ერთობებისა და ეკონომიკური და სამხედრო ძალებისათვის საზღვრის დანესებას. მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ეს იქცა ნაციონალისტური პრინციპების ეგიდის ქვეშ პოლიტიკური გაერთიანების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმად მსოფლიოს უდიდეს ნაწილში. სახელმწიფო, როგორც ნაციონალური იდენტობის დარაჯი, თავისი ლეგიტიმურობის პრინციპს ნაციაში ხედავდა და იქითკენ ისწრაფოდა, რომ მის ხორცმესხმად და გამოხატულებად ქვეუღიყო, რადგან "ნაცია-სახელმწიფოთა" მსოფლიოში მხოლოდ იმ ნაციებს შეეძლოთ უსაფრთხოდ და დამოუკიდებლად ეგრძნოთ თავი, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფო ჰქონდათ. ამ გზით სახელმწიფო და ნაცია საბედისწეროდ აირია ერთმანეთში.

მართალია, ამ არევამ ბევრგან კონფლიქტი გამოიწვია და უბედურება მოიტანა, მაგრამ, ამავე დროს, გააძლიერა ორივე – ნაციაცა და სახელმწიფოც. მათმა სიმბიოზმა უკვე შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ნაციონალური იდენტობის ადგილსამყოფელსა და ნაციონალიზმის იდეალებს იგი დამცავ ზოლად გარშემოერთყა. ამან ისეთი მყარი ხასიათი მიიღო, როგორსაც ინატრებდა ყოველი ნაციონალისტი და დაიტირებდა ყოველი კოსმოპოლიტი. ამავე დროს, ამან გაამყარა სახელმწიფოსა და მისი ბიუროკრატიული აპარატის ლეგიტიმურობა. რეჟიმები, რომლებიც ნაციონალისტურ განწყობას გონიერულად იყენებენ, მზარდი უკმაყოფილების მიუხედავად, კარგა ხნით იგრძელებენ მმართველობის პერიოდს. სახელმწიფო და ნაცია (ხშირად არასწორად მათ "ნაცია-სახელმწიფოს" [ერსახელმწიფოს] უწოდებენ), ერთად მიიწვევენ წინ ტრიუმფალური სვლით, როგორც ხშირად არასწორად სახელდებული "ინტერნაციონალური" ერთობის მხოლოდობითი შემადგენელი ნაწილები.³⁴

დღეს მსოფლიო დაყოფილია "ნაცია-სახელმწიფოებად", რომლებიც ერთიანდებიან რეგიონულ სახელმწიფოთაშორის სისტემებად. ეს სისტემები და მათ შემადგენლობაში მყოფი, ერთმანეთთან სუსტად გადაჯაჭვული, სახელმწიფოები ცდილობენ, თავიანთ მოქალაქეთა შორის გააღვივონ სოლიდარობისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის შეგნება. ამავე დროს ისინი იცავენ ნაცია-სახელმწიფოს სუვერენულ იურისდიქციას მათსავე საზღვრებში. დარღვევების მიუხედავად (ჩეხოსლოვაკია,

გრენადა, პანამა), საერთაშორისო საზოგადოებრიობა, როგორც წესი, უარყოფს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში გარედან ჩარევას იმ საფუძველზე, რომ ამგვარი საშინაო საქმეები მოქალაქეთა უფლებების სფეროს განეკუთვნება და ნაციის "ხალხის ნებას" ექვემდებარება. ამ თვალსაზრისით *etatis me* (სახელმწიფო კონტროლი მთარგმნ.) აძლიერებს ნაციას და მის მორალურ საზღვრებს. სულ უფრო და უფრო ხშირად ასევე იქცევიან სხვადასხვა რეგიონული სახელმწიფოთაშორისი სისტემები. ამ სისტემებისათვის ერთადერთი კოლექტიური მოქმედი პირი ნაცია-სახელმწიფოებია – სახელმწიფოები, რომლებიც ლეგიტიმაციას იღებენ, როგორც ნაციონალური ნებისა და ნაციონალური იდენტობის მკაფიო გამოხატულებები. ლეგიტიმურობა რომ შეიძინოს, ნაცია-სახელმწიფომ უნდა აჩვენოს, რომ მისი მოქალაქეები მკვეთრად განსხვავდებიან "უცხოელებისაგან" და, იმაედროულად, შეძლებისდაგვარად შინაგანად გაუმიჯნავნი არიან ერთმანეთისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, "ნაცია-სახელმწიფოებისაგან" შედგენილ მსოფლიოში ლეგიტიმაცია მოითხოვს გარკვეული დოზით შინაგან ჰომოგენურობას; ასეთ პირობებში გეოპოლიტიკური დემარკაცია სხვა განმასხვავებლებზე უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

მაგრამ თუ გეოპოლიტიკურმა საჭიროებებმა შესაძლოა გააძლიეროს ეთნიკურად შედარებით ჰომოგენური სახელმწიფოები, ასევე შეიძლება ბიძგი მისცეს ეთნიკურად პლურალური სახელმწიფოს შიგნიდან აფეთქებასაც. თავად სოლიდარობის, ურთიერთვალდებულებისა და ჰომოგენურობის მოთხოვნა, რომელსაც სახელმწიფოთაშორისი სიტემა წამოაყენებს, ხშირად იწვევს ეთნიკურ წინააღმდეგობას. ეს წინააღმდეგობა იმდენად ძლიერია, რამდენადაც ცდილობენ მის დათრგუნვას, სისტემის სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე. ბევრ რეგიონში ეთნი და ეთნიკური კატეგორიები ამ სისტემებზე უფრო ადრე ჩამოყალიბდა. უკვე არსებული ეთნიკური მოზაიკისა თუ ხალიჩის გადაფარვა კომპაქტური, რაციონალური და ბიუროკრატიული სახელმწიფოს სისტემით განწირულია, თუ ამგვარი სახელმწიფო ვერ მოახერხებს არსებულ ეთნიკურ რუკასთან შეგუებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება წარმოიშვას მძიმე არასტაბილური ვითარება და ღრმა ეთნიკური კონფლიქტები. ინტერვენციონალისტური ბიუროკრატიული სახელმწიფო მუდამ ამჟღავნებს ტენდენციას, ბიძგი მისცეს წინეხის ქვეშ აღმოჩენილი კლასებისა თუ რეგიონების პროტესტს. ამგვარ პროტესტს სათავეში ექცევიან გაუცხოებული ინტელექტუალები და ძნელი არ არის იმის შემჩნევა,

თუ როგორ აღდგებიან შევიწროებული ეთნიკური ერთობები და კატეგორიები ახალი ტიპის სახელმწიფოსა და სახელმწიფოთაშორისი სისტემის ჰომოგენიზაციის მოთხოვნების წინააღმდეგ. და როდესაც უკვე დაწყებულია კონფლიქტი ცენტრალიზაციისაკენ მიმართულ ტერიტორიულ "ნაცია-სახელმწიფოსა" და ეთნიკურ ერთობებს შორის, მოდერნული სახელმწიფოს გეოპოლიტიკის პირობებში შესაძლებელია ორი ან მეტი ნაციონალიზმის მოთხოვნები მუდმივად არსებობის რეჟიმში გადავიდეს და შეიქმნას, შესაძლოა, ფარულად მიმდინარე, მაგრამ, გადაუწყვეტელი კონფლიქტის, პირობები.³⁵

ამგვარად, დღესდღეობით გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა დავასკვნათ, რომ ფართო რეგიონულ სისტემებად გაერთიანებული სახელმწიფოების პოლიტიკური კონფიგურაცია თავისთავად იწვევს ყველგან ნაციის ძალაუფლების მობილიზაციას და ნაციონალიზმის ხანძრის გაღვივებას. ამიტომ ვერც ერთ რეგიონულ გაერთიანებასა თუ "ნაცია-სახელმწიფო-თაგან" შემდგარ "სუპრანაციონალურ" ბლოკს ვერ განვიხილავთ, როგორც ნაციონალიზმისა და ნაციის შემცველს; ასეთი სახელმწიფოთაშორისი დაჯგუფებები, იქნება ეს ლიგა, გაერთიანება თუ ორგანიზაცია, მხოლოდ ხელს უწყობს ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალისტური განწყობილებების შენარჩუნებას და ზოგჯერ მათ აალებასაც კი. ამგვარსავე შედეგებს იწვევს ახალი ინტერნაციონალური კაპიტალიზმის მიერ ახალი კლასების ჩამოყალიბება.

ნაციონალიზმი ნაციებს მიღმა?

დღესდღეობით ნაციონალური იდენტობა არის კოლექტიური იდენტიფიკაციის მთავარი ფორმა. როგორც უნდა უყურებდნენ მას ცალკეული ადამიანები, დღესდღეობით ნაციონალური იდენტობა წარმოადგენს კულტურისა და იდენტობისათვის უმთავრეს კრიტერიუმს, მმართველობის ერთადერთ პრინციპს და სოციალური და ეკონომიკური აქტივობის მთავარ ორიენტირს. ნაციისა და ნაციონალიზმის მოთხოვნა გლობალურია: არ არსებობს დედამიწის ზურგზე ისეთი მხარე, რომლისთვისაც სრულიად უცხო ოყოს ეთნიკური პროტესტი თუ ნაციონალისტური ამბოხებები. აქებენ თუ აძაგებენ, ნაციის მიჯნა ჯერ არავის გადაულახავს, მხოლოდ ნაციონალიზმს კი არ დაუკარგავს ის ძალა და მნიშვნელობა, ხალხში ვნებათაღელვას რომ აღვივებს.

აქ არაფერია შემთხვევითი ან ახალი. მას ფესვი გაუდგამს ეთნიკური ნათესაობისა თუ სენტრიმენტების ხანგრძლივ ისტორიაში, რომელიც ჩვენს მოდერნულ მსოფლიოზე ბევრად უფრო ძველია. ეს ეთნიკური კავშირი თუ გრძნობა-განწყობა მოულოდნელად და მკვეთრად გამოაცოცხლეს მოდერნულმა ბიუროკრატიულმა სახელმწიფოებრივმა სისტემებმა, კაპიტალისტურმა კლასობრივმა სტრუქტურებმა. საკაცობრიო სწრაფვამ უკვდავებისა და ღირსებისაკენ ამ სეკულარული საუკუნის ისტორიისა და ბედისწერის ერთობაში. ეთნიკური წარსულის ხელახალი აღმოჩენისა და ძველი ოქროს ხანის კოლექტიური აღორძინების დაპირებებით ნაციონალურმა იდენტობამ და ნაციონალიზმმა წარმატებით მოახერხა ეთნიკური ერთობების – ისევე, როგორც კლასების, რეგიონების, სხვადასხვა სქესისა და რელიგიის წარმომადგენლების – გამოლვიძება და შთაგონება, რათა მათ, როგორც "ნაციებს", თავიანთი უფლებების შესახებ ხმამაღლა განეცხადებინათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ თავი მიაჩნიათ კულტურულად და ისტორიულად მსგავსი მოქალაქეების ტერიტორიულ ერთობებად, თავიანთი კუთვნილი ადგილი რომ აქვთ მსოფლიოში – მსოფლიოში, რომელიც შედგება თავისუფალი და თანაბარუფლებიანი ნაციებისაგან. აქ არის იდენტობაც და ძალაც, რომელსაც ყველაზე ძლიერმა სახელმწიფომაც კი უნდა გაუწიოს ანგარიში. ეს ის ძალაა, რომელმაც უკვე განსაზღვრა და, ალბათ, სავარაუდო მომავალშიც უნდა განსაზღვროს მსოფლიო წესრიგი.

ბევრისთვის ეს ძალზე მკაცრი დასკვნაა, რადგან ის არ გეთავაზობს რაიმე ისეთ გზას, რომელიც გამოგვიყვანდა ნაციონალიზმის სამყაროდან. ის არც ნაციისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას გვთავაზობს და, აქედან გამომდინარე, არც ნაციონალიზმის არსებობით განპირობებული ბევრი მძიმე კონფლიქტის დაძლევის შესაძლებლობას. კონფლიქტები ნაცია-სახელმწიფოთა შორის, სახელმწიფოსა და მის შემადგენლობაში მყოფ ეთნიებს შორის, სავარაუდოდ, გაგრძელდება და ამან, შესაძლოა უფრო ფართო ხასიათიც მიიღოს, რადგან ის ეთნიკური ერთობები და კატეგორიები, რომლებიც დღეს მძინარე მდგომარეობაში არიან, ხვალ ალბათ ამოქმედდებიან და დაირაზმებიან. მსოფლიო უსაფრთხოებისა და მსოფლიო კულტურის კუთხით თუ მივეუდგებით, ასეთი დასკვნა არანაირ გამოსავალს არ გვთავაზობს ენდემური დაყოფის, უნდობლობისა და ომის მოსალოდნელი მდგომარეობიდან.

მაგრამ რამდენად გამართლებულია ასეთი მკაცრი და შეუზღუდველი ვერდიქტის გამოტანა? განა სულ ცოტა ხნის წინ ჩვენმა განცხადებებმა ახალი მსოფლიო ძალების (ტრანსნაციონალური კორპორაციები, ტელესაკომუნიკაციო სისტემები) მნიშვნელობის შესახებ სრულიად სხვა მიმართულებები არ დასახა? მართლა, ასეთი ნეგატიური იყო ჩვენი დისკუსია ზოგიერთი სახელმწიფოს ბოლოდროინდელ ფედერალურ სისტემასა თუ ევროპულ პროექტზე? თუკი კოსმოპოლიტთა უგუნურ ოცნებებს არაფრად ჩავაგდე-
დებთ და მეხსიერებადაკარგულ გლობალურ კულტურას ნაკლებ-სარწმუნოდ მივიჩნევთ, განა შეიძლება აღარ გვქონდეს ჯანსაღი მოლოდინი იმისა, რომ ჩვენი კოლექტიური იდენტობები თანდა-თან ხელახლა გამოიკვეთება რეგიონულ დონეზე? ვგონებ, არ-სებობს საფუძველი ასეთი თავშეკავებული იმედის გამოსათქმე-ლად, უფრო კულტურის, ვიდრე პოლიტიკის, სფეროში და, ისიც, როგორღაც პარადოქსულად.

ჩემ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მთავარი ამოცანა იყო, მეჩვენებინა, თუ როგორ ურთიერთქმედებდნენ ის ძალები, რომლებიც აყალიბებდნენ არა მარტო მოდერნულ კოლექტიურ იდენტობებს (განსაკუთრებით, ეთნიკურ კავშირებსა და ეთნოისტორიას), არამედ სახელმწიფოებსა და კლასებსაც და, ამავე დროს, გვთავაზობდნენ იმ ხერხებსაც, რომელთა მეშვე-ობით ადამიანები (ჩვეულებრივ, ნაციონალისტური ინტელიგენ-ცია) ცდილობდნენ თავისი შემკვიდრეობის, როგორც "ძველი-ა-ხალი" ნაციონალური იდენტობების, აღდგენასა და გადაკეთებას. ეს დუალიზმი აგრძელებს ბოლოდროინდელი თვალთახედვისა და მცდელობების იმგვარად წარმოჩინებას, რომ ნაციონალური იდენტობა რაღაც "ნაციაზე აღმატებული" ფენომენის ყალიბში მოექცეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციის საზღვრების გადალახ-ვის სერიოზული მცდელობა მის (ნაციის) საფუძველშივე უნდა დაიწყოს და, მისივე პრინციპებიდან გამომდინარე, უფრო შორს წავიდეს ამ მიმართულებით. ნაციის პრინციპები კი იგივე ნაცი-ონალიზმის პრინციპებია. გამოდის, რომ ნაციის გადალახვა მხო-ლოდ ნაციონალიზმის ერთგვარი ნაირსახეობის მეშვეობით არის შესაძლებელი – ნაციონალიზმისა, რომელიც, რაც უნდა პარა-დოქსული იყოს, იმ კომპაქტურ ნაციაზე უფრო ფართო მნიშვნე-ლობისა იქნება, თავადვე რომ მიელტვოდა.

არსებობს ნაციონალიზმის ფორმა, რომელიც "ნორმალურ" კომპაქტურ ნაციაზე უფრო მრავლისმომცველი და მასშტაბუ-რია. მე ვგულისხმობ "პანნაციონალიზმებს". პანნაციონალიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოძრაობა, რომელიც მიზ-

ნად ისახავს რამდენიმე, როგორც ნესი, მოსაზღვრე, სახელმწიფოს ერთ კულტურულ და პოლიტიკურ ერთობად გათლიანებას საერთო კულტურული მახასიათებლების საფუძველზე, ან "კულტურათა ოჯახის" შექმნას. იუგოსლავიზმი იყო პანნაციონალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი მაგალითი. მალე მას მოჰყვა მთელი რიგი ირედენტისტული მოძრაობებისა (პანგერმანიზმი, პანბულგარიზმი, პანიტალიანიზმი და სხვ.), რომლებიც ისწრაფოდნენ, მოეცვათ სხვადასხვა სახელმწიფოებში შემავალი გარკვეული, ეთნიკურად მსგავსი, დაჯგუფებები; უფრო ვრცელი "პან" მოძრაობები კი (ასეთებია პანთურქიზმი, არაბიზმი, აფრიკანიზმი, ლათინური ამერიკანიზმი და სხვ.), მიზნად ისახავენ ან სერიოზული პოლიტიკური გაერთიანების შექმნას ან შედარებით უფრო სუსტი პოლიტიკური კავშირების ჩამოყალიბებას საერთო კოლონიური გამოცდილებისა და კულტურის საფუძველზე.

არც ერთი ეს მოძრაობა პოლიტიკურად წარმატებული არ ყოფილა (გამონაკლისი იყო მცირემასშტაბიანი ირედენტისტული მოძრაობები, მეტნაკლებობით). მაგრამ მათი მნიშვნელობა სხვაგვარი ხასიათისა იყო. პანსლავიზმმა არამცთუ ერთიან ტერიტორიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, არამედ სლავების ერთიან პოლიტიკურ ერთობად ფორმირებაც ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, მან ნამდვილად ბიძგი მისცა კულტურულ რენესანსს სლავურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებში და გაღვივა სხვადასხვაგვარი იდეები და განწყობანი, ისევე როგორც ხელი შეუწყო მწერლებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა შეხვედრებს ფართო კულტურულ არეალში.³⁶

პანარაბიზმი არასოდეს ყოფილა ისე ძლიერი, რომ თავიდან აეცილებინა შინაომები, თავი რომ დაეანებოთ ზოგადადარებული პოლიტიკური ერთიანობის თვითშეგნების ჩამოყალიბებას. თუმცა პანარაბიზმმა შეძლო რამდენიმე არაბთაშორისი პროექტის ინსპირირება, რასაც ფართო კულტურული და ფილანტროპული ხასიათის შედეგები მოჰყვა. ასევე, პანთურქიზმმა, თუმცა დამანგრეველი სამხედრო მარცხი განიცადა, მაინც შეძლო თავის წიაღში ეშვა თურქთა კულტურული რენესანსი როგორც თავად თურქეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ; ხელახლა აღედრა თურქული ენებისა და ისტორიისადმი ინტერესი და დაემყარებინა კავშირი თურქულენოვან ხალხებს შორის.³⁷

პანნაციონალიზმების მნიშვნელობა მდგომარეობს მათ უნარში, გაანეიტრალოს გავრცელებული ეთნიკური ნაციონალიზმების გამთიშველი ტენდენციები ან თუნდაც მხოლოდ ალტერნატივა შესთავაზოს მათ. მართალია, პანაფრიკანიზმმა ვერ შეუშალა ხე-

ლი უმცირესობათა ეთნიკური ნაციონალიზმების მთელ წყებას, წამოყენებინათ თავიანთი მოთხოვნები ახალ პოსტკოლონიურ სახელმწიფოებში, მაგრამ, სამაგიეროდ, სიამაყით აღავსო ისინი წარსულში აფრიკელთა მიღწევების გამო და მყარი საერთოაფრიკული თვითშეგნება გააღვივა მათში. აქედან გამომდინარე, მისი მნიშვნელობა განისაზღვრება არა იმდენად მისივე მეშვეობით შექმნილი აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის (Organization of African Unity) პოლიტიკურ მცდელობათა გათვალისწინებით, რამდენადაც იმით, თუ რა ფუნქცია აკისრია მას საერთო აფრიკული წარსულისა და "კულტურათა ოჯახის" ხელახალი აღმოჩენის გზით შავი აფრიკელების ჰორიზონტის გაფართოებასა და მათი ღირსების აღდგენაში - ღირსებისა, რომელიც ესოდენ ხშირად ილახებოდა მათი კოლონიური პატრონების მიერ.³⁸

აქ მნიშვნელოვანია "კულტურათა ოჯახის" ცნება. თუ პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება არის ნებელობითი, ქმნადი და ინსტიტუციონალიზებული პროცესი, "კულტურული არეალი", რომელიც შეიცავს მონათესავე კულტურათა ოჯახებს, როგორც წესი, არის ხანგრძლივი პროცესების ნაყოფი და, მეტწილად, მოულოდნელი, გაუაზრებელი და არამიზანმიმართული; თუ პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებები დაგეგმილი და ორგანიზებულია, კულტურათა ოჯახები და კულტურული არეალები ჩანასახოვანი და არაინსტიტუციონალიზებულია. მიუხედავად ამისა, ისინი არანაკლებ რეალური და მყარია იმათთვის, ვინც მათ ორბიტაში იმყოფება. ისლამურ, ამერიკულ და საბჭოთა რუსულ იდენტობებსა და კულტურებს აქვთ გარკვეული მიმზიდველობა მათი წევრებისათვის იმ პოლიტიკური და სოციალური დანესებულებების მიღმა, მათ ოფიციალურ რუპორს რომ წარმოადგენს.

ამ მიმზიდველობის ერთ-ერთი მიზეზი არის *lingua franca*-ს ხელახალი წარმოქმნა. განვითარებულ შუა საუკუნეებში ლათინურმა და არაბულმა ენებმა მიაღწიეს ნამდვილად ტრანსტერიტორიულ და ტრანსკულტურულ გაქანებას. მაგრამ ამ შემთხვევებშიც არსებობდა კორპორაციული იდენტობა - შუა საუკუნეების სასულიერო წოდება და ულემა - ტრანსტერიტორიული ფუნქციით, რომელსაც ეს *lingua franca* მოემსახურებოდა. დღეს, როდესაც არაერთი "მდარე" კულტურა გადაიქცა ლიტერატურული "დახვეწილობით" გამორჩეულ კულტურად თავისი მასიური, სტანდარტიზებული სახალხო განათლებით, ნაციონალურმა ენებმა დაიკავე ადრეული *lingua franca*-ს ადგილი, მაგრამ არასრულად - კომუნიკაციისა და გაცვლის გაადვილებისათვის გარკვეული პრესტიჟული

ენების ფართო არეალში გავრცელებამ ხელი შეუწყო ძალდაუტანებელი კულტურული სიახლოვის განცდას კულტურული არეალის ფარგლებში და ზოგჯერ მის ფარგლებს გარეთაც. ინგლისურის ღირსმნიშვნელოვნება ჩრდილო ამერიკაში, ესპანურისა – ლათინურ ამერიკაში, არაბულისა – ახლო აღმოსავლეთში და რუსულისა – საბჭოთა კავშირში, მართალია, არც შეუცვლელია და არც უპრობლემო, მაგრამ, სამაგიეროდ, არსებულ კომპაქტურ ნაციონალურ იდენტობებზე უფრო ფართო და მასშტაბური იდენტობების ხელახლა შექმნის საშუალებას იძლევა (თუ და როცა ამ პროცესის სხვა ხელშემწყობი პირობებიც არსებობს).³⁹

მეორე მიზეზი არის საერთო რეგიონული პრობლემების ახლებური გააზრება, განსაკუთრებით, ეკოლოგიურ სფეროში. გეოპოლიტიკურმა ადგილმდებარეობამ და ტერიტორიულმა სიახლოვემ, რაც შესამჩნევი გახდა მასმედიის საშუალებით, ხელი შეუწყო იმ საფრთხის გაცნობიერებას, რომელიც ნაციონალურ საზღვრებს სცილდება, თუმცა საერთოა რეგიონსა თუ კულტურულ არეალში შემავალი ყველა ნაციისათვის. ხშირად ეკოლოგიური კატასტროფის გავლენა კიდევ უფრო ფართოა: ჩერნობილის, ზაპელის (დასავლეთ აფრიკის ის რეგიონი, სადაც მძვინვარებს გვალვა და შიმშილი. მოიცავს ქვეყნებს: მავრიტანია, მალი, ნიგერი, ჩადი, სუდანი და სხვა – მთარგმ. შენ.) შიმშილობა თუ ბრაზილიური ტროპიკული ტყეების გაიშვიათება ადამიანის ცნობიერების ისეთ სიღრმეებს სწვდება, რომელიც სცდება იმ კულტურულ არეალს, თავადვე მყისიერად კვალი რომ დააჩნია. სხვა შემთხვევებში პრობლემები რეგიონულია (ხმელთაშუა ზღვის დაბინძურება, კალიფორნიის მიწისძვრები, ბენგალის წყალდიდობები), და ისინი ხელს უწყობენ მოსახლეობაში თვითშეგნების გაღვივებასა და მის კულტურულ გათვითცნობიერებას რეგიონის ზოგად საჭიროებათა თაობაზე.

კულტურულ არეალთა და კულტურათა ოჯახების მზარდი მიზიდულობის მესამე მიზეზი არის სოციალური და პოლიტიკური ზნე-ჩვეულებებისა თუ ინსტიტუციების ნათესაობა, ძირითადი პოლიტიკური ღირებულებების ჩათვლით. ზოგიერთ რეგიონში სამხედრო დიქტატურა, თავისი სამოქალაქო უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლებების დაბალი დონით, იქცა ნორმად, რომელიც ააშკარავებს არა მარტო ეკონომიკური განვითარების ხარისხს, არამედ გააზრებულ პოლიტიკურ კულტურას, რომელიც პოლიტიკური ღირებულებების ერთობლიობაზეა დაფუძნებული. სხვა რეგიონებში მობილიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესებს შეუძლია წარხოცოს არსებული ავტორიტარული ერ-

თპარტიული რეჟიმები. ამიტომ, სანამ ეკონომიკურ განმარტებებს შემოგვთავაზებენ, გარკვეულ კავშირში მყოფი ისტორიული გამოცდილება და პოლიტიკური კულტურა სათანადოდ უნდა შეფასდეს.

ეს არის ზოგიერთი იმ ისტორიულ პროცესთაგანი, რომლებმაც შექმნეს ევროპული პროექტის კონტექსტი ევროპის დასავლურ ნახევარში. თუმცა ევროპული კოოპერაციის ნება ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა თავისი შინაარსით და პოლიტიკური – თავისი ფორმით, მაგრამ, რა თქმა უნდა, მას საფუძველი შეუქმნეს უფრო ფართო კულტურულმა ამბიციებმა და ტრადიციებმა. შეიძლება არც არსებობდეს ერთი *lingua franca* (ასე რომ, ფრანგულსა და ინგლისურს თავისუფლად შეუძლია მისი ფუნქციები იტვირთოს), მაგრამ როგორც საერთო ეკოლოგიური საფრთხის გაცნობიერება, ისე პოლიტიკური ჩვევებისა და ინსტიტუციების ნათესაობა განსხვავებულ კულტურათა არეალში მონათესავე ევროპული კულტურის ცნობიერებისათვის საყრდენის ფუნქციას ასრულებს. ცხადია, ასეთი არეალის საზღვრების დადგენა რთული საქმეა. თავიდან ის განსაზღვრული იყო ნეგატიური პრინციპით – ცივი ომის კარნახით. მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიტიკურმა ცვლილებებმა აღმოსავლეთ ევროპაშიც შეაღწია, საზღვრები უფრო გაიხსნა და უფრო ცვალებადი გახდა. გაერთიანების მოტივმა ოდნავ შეიცვალა მიმართულება პოლიტიკური ფედერაციისაკენ, რომელსაც პანევროპელები ანიჭებენ უპირატესობას. მაგრამ უცვლელი რჩება რწმენა ევროპული კულტურული მოდელისა თუ მოდელებისა.

ევროპული კულტურის ამ მოდელებმა – რომაულმა სამართალმემკვიდრეობამ, იუდეო-ქრისტიანულმა ეთიკამ, რენესანსულმა ჰუმანიზმმა და ინდივიდუალიზმმა, განმანათლებლობის რაციონალიზმმა და მეცნიერებამ, კლასიციზმმა და რომანტიზმმა ხელოვნებაში, ყველაზე მეტად კი – სამოქალაქო უფლებებისა და დემოკრატიის ტრადიციებმა, რომლებიც წარმოიშვნენ სხვადასხვა დროს ამ კონტინენტის სხვადასხვა ადგილას, შექმნეს საერთო ევროპული კულტურული მემკვიდრეობა და ჩამოაყალიბეს უნიკალური კულტურული გარემო. ეს კულტურული მემკვიდრეობა სცდება ნაციონალურ საზღვრებს იმის ნყალობით, რომ საერთო მოტივებითა და ტრადიციებით სახვადასხვა ნაციონალურ კულტურებს ერთმანეთთან აკავშირებს. ამ გზით საუკუნეების განმავლობაში თანდათან იქმნება კულტურათა ყოვლისმომცველი ოჯახი, მიუხედავად მრავალგზისი მონყვეტისა თავისივე წილიდან. ეს არ არის დაგეგმილი "ერთობა მრავალფეროვნებაში",

რომელიც ესოდენ ეოცნებება ოფიციალურ ევროპეიზმს; ეს არის კულტურული ამბიციების, ფორმებისა და ტრადიციების მდიდარი რუდემენტული მელანჟი (*melange*), კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც დასაბამს აძლევს სიამტკბილობას ევროპის ხალხთა შორის. სწორედ აქ უფრო მეტად, ვიდრე შუა საუკუნეების საქრისტიანოს მითოლოგიასა (მიმდინარე ეკუმენური მცდელობების მიუხედავად) თუ რაინზე დაფუძნებულ წმინდა რომის იმპერიაში (სტრასბურგის ადგილმდებარეობის მიუხედავად) უნდა ვეძებოთ კულტურული პანევროპული ნაციონალიზმის საფუძველი, რომელმაც, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, შესაძლოა, ნაციის საზღვრები გადაგვალახინოს.⁴⁰

ამგვარად, ამჟამად, რომ რაც უნდა შექმნას ევროპულმა პან-ნაციონალიზმმა, ეს არ იქნება ევროპის ზენაცია (*super-nation*) – ისეთივე, როგორც ყველა სხვა ნაცია, ოღონდ უფრო მკვეთრად გამოკვეთილი. ის არ ემგვანება არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლის ეთნიკურ ერთობებს ბოლომდე ვერ გაუცნობიერებიათ თავიანთი განკერძოებული ისტორიული სამშობლო; ის არც საბჭოთა კავშირს დაემგვანება, რომლის ნაციონალური რესპუბლიკები და უმცირესობები, შესაძლოა, ძალზე სუსტი კულტურულ-ნათესაური ჯაჭვებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, თუ არ ჩავთვლით საბჭოურ ისტორიულ გამოცდილებას. ახალი ევროპა ვერც ბრიტანეთისა თუ ბელგიის მოდელს მიუახლოვდება; ეს შესაძლებელია მხოლოდ ერთი ეთნის ან ნაციის დანარჩენებზე გაბატონების ხარჯზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც სრულიად ამჟამად იკვეთება უფრო დიდი კულტურული და ისტორიული კავშირის არსებობა. თუ ევროპული პოლიტიკური ერთობა შეიქმნება და ხალხი მას გაითავისებს, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ ის დაეფუძნება საერთოევროპულ კულტურულ მემკვიდრეობას, მისი შემოქმედი კი იქნება პანევროპული ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც შეძლებს საერთოევროპული მითების, სიმბოლოების, ღირებულებებისა და მებსიერების ჩამოყალიბებას ამ საერთო მემკვიდრეობიდან ისე, რომ ისინი არ დაუპირისპირდნენ და შეეჯახონ ჯერ კიდევ ძლიერსა და ენერგიულ ნაციონალურ კულტურებს. მხოლოდ ამ გზით შეძლებს პანნაციონალიზმი ახალი ტიპის კოლექტიური იდენტობის შექმნას, რომელიც დაჩრდილავს, მაგრამ არ გააქრობს, ინდივიდუალურ ნაციებს.

დასკვნა

დღესდღეობით ნათლად იკვეთება, რომ ნაციის გადალახვისა და ნაციონალიზმის დაძლევის შანსი ჯერჯერობით ძალზე მცირეა. საკმარისი არ არის იმის აღნიშვნა, რომ მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ძალების ტრანსნაციონალური გავლენა იზრდება და რომ ისინი მართლაც ქმნიან სხვადასხვა ხასიათის გლობალური მასშტაბის ურთიერთდამოკიდებულებებს.

კოსმოპოლიტიზმის ზრდა თავისთავად არ იწვევს ნაციონალიზმის რღვევას; რეგიონული კულტურული არეალების წარმოქმნა არ ამცირებს ნაციონალური იდენტობების ზეგავლენის სფეროებს. როგორც თავიდანვე აღვნიშნე, ადამიანებს აქვთ მრავალგვარი კოლექტიური იდენტიფიკაცია, რომლის მასშტაბი და ინტენსიურობა დამოკიდებულია დროსა და სივრცეზე. არავინ უშლის ინდივიდებს ფლანდრიასთან, ბელგიასა და ევროპასთან ერთდროულ იდენტიფიცირებასა და ერთგულების გამოხატვას შესაფერის კონტექსტში. შესაძლებელია, ადამიანი ერთდროულად გრძნობდეს თავს იორუბად, ნიგერიელად და აფრიკელად ლოიალობისა და კუთვნილების კონცენტრულ წრეებში. ყოველივე ეს, ფაქტობრივად, სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელია მრავლობითი კავშირურთიერთობებისა და იდენტობების სამყაროში.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამგვარი კავშირები და იდენტობები მთლიანად არჩევითია და სიტუაციით განპირობებული; ან კიდევ იმას, რომ ზოგი მათგანი უფრო დიდ გავლენას არ განიცდის ან უფრო ძლიერად არ ზემოქმედებს სხვაზე. ამ წიგნის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ის, რაც მე ნაციონალურ იდენტობად წარმოვარჩინე, დღესდღეობით უფრო ძლიერი და ქმედითია, ვიდრე ყველა სხვა კოლექტიური კულტურული იდენტობა, ზემოხსენებულ მიზეზთა გამო, როგორიცაა კოლექტიური უკვდავებისა და ღირსების მოთხოვნილება, ეთნოისტორიის ძალმოსილება, ახალი კლასობრივი სტრუქტურების როლი და სახელმწიფოთაშორისი სისტემების ბატონობა მოდერნულ მსოფლიოში, ამ ტიპის კოლექტიური იდენტობა სავარაუდოდ კიდევ დიდხანს შეძლებს ბატონობას იმ გრძნობებზე კაცობრიობის ერთგულების გამოხატველად რომ გვევლინებიან, – მაშინაც კი, როცა კოლექტიური იდენტობის სხვა, უფრო დიდი მასშტაბის, მაგრამ უფრო სუსტი, ფორმები წარმოიშვება ნაციონალური იდენტობის მიღმა. ფაქტობრივად, როგორც ევროპის მაგალითი გვიჩვენებს, კონტინენტური იდენტობების შესაქმნელად გაჩაღებულმა ფართო-

მასშტაბიანმა კულტურულმა პანნაციონალისტურმა მოძრაობამ რეალურად შეიძლება გამოაფხიზლოს და გააძლიეროს ამ კულტურული არეალის ფარგლებში მყოფი ეთნიკების და ნაციების სპეციფიკური ნაციონალიზმი. "კულტურათა ოჯახის" ცალკეული წევრები თითქოს ძალას იკრებენ თავიანთი ნათესაური კავშირებიდან. იმიგრაციის, დროებითი მუშახელისა თუ ლტოლვილების გადაადგილების შედეგად შედარებით უფრო ჰომოგენური კულტურების შერევამ ადგილობრივ ხალხებსა თუ კულტურებში შეიძლება ძლიერი ეთნიკური რეაქცია გამოიწვიოს.

კაცობრიობის ნაციებად დაყოფა და ნაციონალური იდენტობის გაუტეხავი სიცოცხლისუნარიანობა მთელს მსოფლიოში ერთდროულად საფრთხესაც შეიცავს და იმედსაც გვისახავს. საფრთხე საკმაოდ გამოკვეთილია: მსოფლიო უსაფრთხოების არამყარი სისტემის დესტაბილიზაცია, ეთნიკური კონფლიქტების საყოველთაო გავრცელება და გამწვავება, "მოუნელებელი" უმცირესობების დევნა ნაციონალური ჰომოგენურობის გაძლიერების მიზნით, ტერორის დაკანონება, ისეთი მასშტაბის ეთნოციდი და გენოციდი, როგორც ადრეულ ეპოქებში სრულიად წარმოუდგენელი იყო. თავად ნაციონალიზმი შეიძლება არც იყოს პასუხისმგებელი ენდემურ არასტაბილურობაზე, კონფლიქტსა და ტერორზე ჩვენს საუკუნეში, მაგრამ უპირველეს მიზეზთა შორის მის არსებობას ან თანაარსებობას იმდენად ხშირი ხასიათი აქვს, რომ ვერც ყურადღების მიღმა დავტოვებთ მას და ვერც ამ პასუხისმგებლობას მოვხსნით.

ამავე დროს, ნაციებისა და ნაციონალური იდენტობების მსოფლიო უიმედო როდია. ნაციონალიზმი ალბათ არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევების გამო, ტირანული რეჟიმების რეფორმირებისა და დემოკრატიზაციის დროს რომ იჩინა თავი, მაგრამ ხშირად ის თანამდევი მოტივი, დაჩაგრული ხალხის სიამაყის წყარო და "დემოკრატიათან" და "ცივილიზაციასთან" ზიარებისა თუ კვლავ ზიარების აღიარებული ფორმაა. ნაციონალიზმი წარმოადგენს დღესდღეობით პოლიტიკური სოლიდარობის გამომხატველ ერთადერთ მსოფლმხედველობასა და რაციონალურ თვალსაზრისს – იმას, რაც სახალხო თანხმობას განაგებს და ბიძგს აძლევს საყოველთაო ერთუზიაზმს. ყველა სხვა მსოფლხედვა, ყველა სხვა რაციონალური ახსნა მკრთალდება და უფერულდება, რადგან არ გვთავაზობს რჩეულობის, ისტორიის განუმეორებლობისა და განსაკუთრებული ბედ-იღბლის განცდას. ეს ის დაპირებებია, რომელსაც მეტწილად ნაციონალიზმი აღასრულებს და ის რეალური მიზეზია, რის გამოც ამდენი ადამიანი თავს ნაციასთან

აიგივებს. სანამ ამ მოთხოვნილებების შესრულებას რომელიმე სხვა იდენტობა იკისრებს, ნაცია თავისი ნაციონალიზმით, უგულებელყოფილი თუ აღიარებული, დათრგუნული თუ გალალბული, საკუთარი ისტორიის განმადიდებელი, თავისი ოქროს ხანისა და წმინდა ადგილების მეხოტბე, მომავალ საუკუნეშიც იტვირთებს კაცობრიობის ფუნდამენტური, კულტურული და პოლიტიკური იდენტობის ფუნქციას.

შენიშვნები

1 ნაციონალური და სხვა იდეოლოგიები

1. Sophocles (1947, 55), თარგმანი გიორგი ხომერიკისა.
2. Sophocles (1947, 71-124).
3. Sophocles (1947, 66, 74, 79, 117-121).
4. როგორც წესი, კლასობრივს ან ნაციონალურს. გავიხსენოთ, რომ ფემინისტური მოძრაობები ერთიანდებოდნენ სოციალისტურ და/ან ნაციონალისტურ მოძრაობებთან.
5. ვანდეას აჯანყების შესახებ იხ. Tilly (1963); ეთნო-რეგიონული მოძრაობების შესახებ მოდერნულ დასავლეთში იხ. Hechter and Levi (1979).
6. თიერს État-ის შიგა დაყოფა განხილულია ნაშრომში Cobban (1965); არანაციონალისტური მუშათა სიციალისტური რევოლუციების იმეიათობაზე საუბრობს Kautsky (1962, Introduction); მაგრამ შეად. Breuilly (1982, თავი 15) საწინააღმდეგო მოსაზრების გასაცნობად.
7. მაზდაკისტური სექტანტური რევოლუციური მოძრაობის შესახებ იხ. Frye (1966, 249-50). იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს სოციალურ ფენებს, კლასებსა და სხვადასხვა სახის რელიგიურ გამოცდილებას შორის, იხ. Weber (1965, თავი 8).
8. იხ. M. Spiro: 'Religion: Problems of definition and explanation', ნიგნში Banton (1966).
9. დრუზების შესახებ იხ. Hitti (1928, განსაკუთრებით 12) and H.Z. (J.W.) Hirschberg: "The Druses" ნიგნში Arberry (1969).
10. ამ არგუმენტის შესახებ იხ. ფუნდამენტური ნაშრომი Armstrong (1982, განსაკუთრებით, თავები 3,7).
11. რელიგიის მიერ ეთნიკურობის გამძაფრების ღირსშესანიშნავი მაგალითია ბირმული ბუდიზმის როლი, რომლის შესახებ იხ. Sarkisyanz (1964); იხ. აგრეთვე de Silva (1981) სინჰალური მაგალითისათვის. ანგლო-საქსების შერევის შესახებ საინტერესო არგუმენტი აქვს გამოთქმული P. Wormald-ს: "The emergence of Anglo-Saxon Kingdoms", ნიგნში L. Smith (1984).
12. არგუმენტისთვის იხ. Finley (1986, თავი 7) აქვე მოცემულია მაინეკეს შეხედულება; შეადარე Fondation Hardt (1962).

13. ნაციის ადრეული დასავლური დეფინიციის შესახებ იხ. Kemilainen (1964).
14. ადრეული ჰოლანდიის მაგალითი იხ. Schama (1987, თავი 1); "ნაციონალური ტერიტორიის" სხვადასხვა მნიშვნელობის შესახებ იხ. A.D.Smith (1981b).
15. Schama (1987, თავი 2); ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საფრანგეთში უწყვეტი რეგიონალიზმის შესახებ იხ. E.Weber (1979).
16. ამ "პოლიტიკურ კულტურათა" შესახებ იხ. მაგალითად, Almond and Pye (1965).
17. Naim (1977, თავები 2,9) ხაზს უსვამს ამ "კლასთაშორის", სახალხო როლს. შეადარე აგრეთვე Gellner and Ionescu (1970).
18. ამგვარი ლინგვისტური აღორძინების შესახებ იხ. Fishman (1968); და ჩრდილოეთის ზოგიერთ ქვეყანაში მომხდარი აღორძინების შესახებ, ირლანდიისა და ნორვეგიის ჩათვლით, იხ. Mitchison (1980).
19. რევოლუციის ხანის ფრანგულ ლინგვისტურ ნაციონალიზმზე იხ. Lartichaux (1977); ფრანგთა წარმომავლობის საპირისპირო მითების შესახებ იხ. Poliakov (1974, თავი 2).
20. ნაციისა და ნაციონალიზმის დეფინიციის პრობლემის შესახებ მრავალრიცხოვანი შეხედულებებიდან ზოგიერთი იხ. Deutch (1966, თავი 1), Ruslow (1967, თავი 1), A.D. Smith (1971, თავი 7), Connor (1978).
21. მაგალითად, იხ. Tivey (1980).
22. Connor (1972) ამ გამოთვლის თაობაზე; იხ. აგრეთვე Wiberg (1983).
23. ნაციონალიზმის ეკონომიკურ ასპექტებზე იხ. Johnson (1968) და Mayall (1984).
24. ამ ასპექტს ხაზს უსვამს Gellner (1983).
25. Klausner (1960) გვთავაზობს ამ შედეგის საინტერესო მაგალითს.
26. იხილე კედურის (Kedourie 1960) ცნობილი კრიტიკა. ნაციონალური „მე“-ს ემპირიული მრავლობითობის დემონსტრაცია მოდერნულ აფრიკაში მოცემული აქვს Neuberg-ს (1986, თავი 3).
27. Kedourie (1960) and (1971, შესავალი).

2 ნაციონალური იდენტობის ეთნიკური საფუძველი

1. ნაციონალისტური ხსნის დრამა კრიტიკულად დახატულია Kedourie (1960) და Breuille (1982)-ის მიერ.

2. ამ საპირისპირო მიდგომათა შესახებ უფრო დანერჩილებითი დისკუსია იხ. Paul Brass-ის წიგნში Taylor and Yapp (1979) და A.D. Smith (1986a, თავი 1).
3. თურქთა შესახებ იხ. B. Lewis (1968, განსაკუთრებით, თავი 10); სლოვაკების შესახებ Paul and Brass-ის ესე (1985).
4. უფრო სრული მსჯელობა იხ. Horowitz (1985, თავები 1-2) და A.D. Smith (1986a, თავი 2).
5. ამ განსხვავების შესახებ იხ. Van den Berghe (1967).
6. მაგალითად, იხ. საკითხის განხილვა წიგნებში: Dobzhansky (1962), Banton and Harwood (1975) და Rex (1986).
7. Horowitz (1985, თავი 2); შდრ. Schernerhom (1970, თავი 1).
8. რომის მაგალითის შესახებ იხ. Tudor (1972, თავი 3); შვედური მითების შესახებ იხ. Steinberg (1976).
9. მიწასთან კავშირის მნიშვნელობის შესახებ განხილვა იხ. Armstrong (1982, თავი 2).
10. ამის შესახებ იხ. Gellner (1973); ამ მარკერების "სასაზღვრო მექანიზმად" სიმბოლური გამოყენების შესახებ, რაც ეთნიკურ ჯგუფებს გააცალკევებს, იხ. Barth (1969, შესავალი).
11. რასაც უნდა დავუმატოთ, რომ ეთნიკურ ტრადიციებსა და მათ მცველებს, ისევე როგორც კულტურულ ნიშნებს, რომლითაც ისინი გამოიხატება (ენა, ჩვეულებები, სტილი, და სხვ.) შეიძლება კარგა ხნით ჰქონდეთ ძალზე ძლიერი ზეგავლენა. ყოველივე ამის შესახებ იხ. Armstrong (1982, ბევრგან).
12. Horowitz (1985, 64-74).
13. იხ. Alty (1982); და Finley (1986, თავი 7).
14. ეთნიკურობის კონცენტრული წრეების კონცეპტის შესახებ აფრიკის კონტექსტში დიდი ხნის წინათ მიუთითა Coleman (1958, Appendix); შდრ. Anderson, von der Mehden and Young (1967).
15. ამის შესახებ იხ. Horowitz (1985, 51-4, 66-82); A.D. Smith (1984b).
16. პრიმორდიალისტური და ინსტრუმენტალისტური ან მობილიზაციონისტური მიდგომის სინთეზის ცდა იხ. McKay (1982).
17. ამის შესახებ იხ. Cambridge History of Iran (1983, Vol.III, თავი 1).
18. ადრეული ხანის სომხეთის ისტორიის შესახებ იხ. Lang (1980); აგრეთვე, Armstrong (1982, თავი 7).
19. Weber (1968, Vol. I, Part 2, თავი 5, "Ethnic Groups").
20. დასავლური მაგალითებისათვის იხ. Tilly (1975, Introduction); სხვა წინამოდერნული ხანის მაგალითებისათვის იხ. Mann (1986).
21. იხ. Tilly (1975, განსაკუთრებით, ესეები Tilly and Finer ავტორობით); შდრ. A.D. Smith (1981c) პირველი მსოფლიო ომის შესახებ იხ. Marwick (1974).

22. მეტი დეტალებისათვის იხ. Armstrong (1982, თავები 3, 7) და A.D. Smith (1986a თავები 2-5).
23. მოკლე გადმოცემისათვის იხ. Woodhouse (1984, 36-8); შდრ. Ostrogorski (1956, 93-4, 192-4); ელინური მითის შესახებ იხ. Campbell and Sherrard (1968, თავი 1).
24. ამ ალორძინების შესახებ იხ. Baynes and Moss (1969, Introduction) და Armstrong (1982, 174-81); და, უფრო ზოგადად, Sherrard (1959).
25. ეს არგუმენტი ეკუთვნის Carras (1983).
26. ნაციისტების მიერ ბოშების ამოუღების შესახებ იხ. Kenrick and Puxon (1972); ბევრად უფრო საკამათო თურქეთის ქმედებებისათვის 1915 წელს იხ. Nalbandian (1963).
27. ზოგადად გენოციდის შესახებ იხ. Kuper (1981) და Horowitz (1982).
28. რაზეც იხ. Moscati (1973, Part II, especially 168-9); სხვა პუნიკური ქალაქები დაინდეს და ამდენად პუნიკური კულტურა გადარჩა.
29. იხ. Roux (1964, 301-4); და უფრო ზოგადად ელამისა და ელამური კულტურის შესახებ იხ. Cambridge Ancient History (1971, Vol. 1, Part 2, თავი 23).
30. იხ. Saggs (1984, 117-21); Roux (1964, 374).
31. როგორც აშურული ხელოვნება გვიჩვენებს, აშურთა საქმიანობისა და კულტის მიზანი იყო არა იმდენად კულტურა ან საზოგადოება, არამედ თავად აშურის სახელმწიფო. იხ. ლივერანის (Liverani) ესეე ნიგნში Larsen (1979). აშურის სავარაუდო დაცემისა და განადგურების მიზეზების შესახებ იხ. Roux (1964, 278, 290); და დისკუსია A.D. Smith (1986a, 100-4).
32. ბაბილონურ აჯანყებებზე იხ. J.M. Cook (1983, 55-6, 100); შდრ. Oates (1979).
33. ვერბლოვსკის (Werblowski) ესეე ნიგნში Ben-Sasson and Ettinger (1971); შდრ. Selzer (1980) and Yerushalmi (1983).
34. Armstrong (1976) და (1982, თავი 7).
35. სამარიელთა შესახებ უკანასკნელ ხანებში იხ. Strizower (1962, თავი 5); ეთიოპიის ფალაშას შესახებ იხ. Kessler (1985).
36. ფარაონების რელიგიის შესახებ იხ. Grimal (1968, 211-41).
37. მართლმადიდებლობის მაგალითის შესახებ იხ. Amakis (1963).
38. მეორე სჯულისა და წინასწარმეტყველთა მოძრაობების შესახებ იხ. Seltzer (1980, 77-111); მიშნას პერიოდის შესახებ იხ. Neusner (1981). მოდერნული ხანის რელიგიური რეფორმის შესახებ იხ. Meyer (1967).
39. რის შესახებაც იხ. Frazee (1969) და Kitromilides (1979).
40. იხ. Tcherikover (1970) და Hengel (1980).

41. იხ. Cambridge History of Iran (1983, Vol. III 1, თავი 3, და III 2, თავი 27) და Frye (1966, თავი 6).
42. მაგ. იხ. Saunders (1978); და დღევანდელი ირანის შესახებ Keddie (1981).
43. Exodus 19: 5-6; Deuteronomy 7:6-13.
44. დაიწყო საკითხის შესწავლა ნიგნში O'Brien (1988); შდრ. Armstrong (1982).
45. იმპერიაში რელიგიისა და სამღვდელოების როლის შესახებ იხ. Coulborn and Stayer (1962) და Eisenstadt (1963); მათ ეთნიკურ როლზე იხ. Armstrong (1982, თავები 3,7) და A.D. Smith (1986a, განსაკუთრებით, თავები 3,5).
46. Armstrong (1982, თავი 7).
47. ამ რეგნა-ს შესახებ იხ. Reynolds (1984, თავი 8).
48. ამ პროცესების ზოგადი მონახაზის შესახებ იხ. Selon-Watson (1977, თავი 2); და შემდეგი თავი უფრო სრული განხილვისათვის.
49. ლათინურ ამერიკაში ნაციონალიზმის ზოგადი მიმოხილვისათვის იხ. Masur (1966); და საფუძვლიანი ანალიზი ნიგნში Anderson (1983, თავი 3).
50. მოდელის როლს აქ ასრულებს არა იმდენად იუგოსლავია, რამდენადაც შვეიცარია ან ბრიტანეთი, თუმცა იმ საჭირო დროის მონაკვეთის გამოკლებით, ამ ორი ნაციის განკარგულებაში რომ იყო, ოღონდ იმ ნაციონალისტური იდეოლოგიის რესურსებით, რომელიც ჰქონდათ შვეიცარიელებსა და ბრიტანელებს ნაციონალური ფორმირების ბოლო საფეხურებზე. საკითხს უფრო სრულად განვიხილავთ ქვემოთ, მეოთხე თავში. სუბსაპარის ზოგადი სურათის შესახებ იხ. Rotberg (1967) და Horowitz (1985).

3 ნაციების აღმოცენება

1. იხ. Reiss (1955) გერმანული რომანტიკული რწმენის შესახებ თანდაყოლილ "ნაციონალურ სულში" (Volkseele); უფრო ადრეული მკვლევარების შესახებ, რომლებიც ნაციის საკითხებში "პერენიალისტურ" თვალთახედვას ეყრდნობოდნენ, იხ. Walek-Czerniecki (1929).
2. "მოდერნისტული" მიდგომის კარგი მაგალითია Kedourie (1960) და Breuilley (1982); მათი კრიტიკა იხ. A.D. Smith (1988a).
3. იხ. Gellner (1983, თავი 2).
4. შუმერულ ქალაქ-სახელმწიფოებში დემოკრატიის შესახებ

- ადრეული ცნობები იხ. Roux (1964, 105); ადრეული შვეიცარული კანტონების შესახებ იხ. Kohh (1957). შეკითხვამ: როდის იყო/ არის ნაცია? მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მიიპყრო ყრადღება; იხ. Connor (1990).
5. იხ. მაგალითად, Frankfort (1954, ch.4) და David (1982).
 6. ამ საკანონმდებლო და საგანმანათლებლო განსხვავებაზე კლასებს შორის ძველ ეგვიპტეში იხ. Beyer (1959); ძველი ეგვიპტური რელიგიის დაქვეითების შესახებ იხ. Grimal (1968, 211-41).
 7. იხ. Moscati (1962, 110) ამ წარწერისათვის. შდრ. Pritchard (1958, 173-5). ადრეული ეგვიპტური განწყობილებების შესახებ იხ. Trigger ეტ ალ. (1983, 188-202).
 8. დორიულ-იონიური დიქტომიის შესახებ იხ. Alty (1982); ხოლო მისი კულტურული განშტოებების შესახებ იხ. Huxley (1966) და Burn (1960, განსაკუთრებით, 6-7, 48-50, 98-100, 210-14).
 9. პანელინური განწყობილებების შესახებ იხ. ესსეები ავტორებისა H. Schwabl და H. Ditter წიგნში Fondation Hardt (1962), და ესსე, რომლის ავტორია Andrewes წიგნში Lloyd-Jones (1965); ქალაქთაშორის და სოციალურ კონფლიქტებზე პოლისის შიგნით იხ. Forrest (1966) და Burn (1978, თავები 9-10).
 10. ელინიზაციის კრიზისის შესახებ იხ. Tcherikover (1970); პროფეტული და სამღვდლო მოძრაობა ძვ. წ. მე-7 ს-ის იუდეაში იხ. Seltzer (1980, chs. 2-3); აგრეთვე Zeitlin (1984).
 11. ზილოტების ამ კონცეფციების შესახებ იხ. Brandon (1967, თავი 2) და Maccoby (1974); ბრანდონის თეზისის შეფასებისათვის იხ. Zeitlin (1988, თავი 10).
 12. ასეთ რელიგიურ ნაციონალიზმებზე იხ. მაგალითები წიგნში D.E. Smith (1974).
 13. მეორე ტადრისა და მიშნას პერიოდის ზოგიერთი ებრაული კონცეფციის შესახებ იხილეთ ესსე ვერბლოვსკის (Werblowski) ავტორობით წიგნებში Ben-Sasson and Etlinger (1971) და Neusner (1981); პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის შესახებ გვიანრომაული ხანის და თალმუდურ იუდეაში იხ. Avi-Yonah (1976) და, განსაკუთრებით, Alon (1980, Vol. I. თავები 1, 4, 7-8).
 14. განსაკუთრებით, სომხების, ეთიოპელების, ებრაელების, ბიზანტიელი ბერძნების, მართლმადიდებელი რუსების, კათოლიკე პოლონელების, ირლანდიელების, უელსელების, ინგლისელებისა და ფრანგებისათვის.
 15. ამ ადრეული შუა საუკუნეების რეგნა-ს შესახებ იხ. Reynolds (1983) და Wallace-Hadrill (1985).
 16. პოლონეთისა და რუსეთის შესახებ ზოგადად იხ. Seton-Watson

- (1977, თავები 2-3); პოლონეთის შესახებ იხ. Davis (1982) და რუსეთის შესახებ იხ. Pipes (1977); შდრ. აგრეთვე Portal (1969).
17. ზოგიერთ ადრეულ გამოხატულებას ვხვდებით მეთექვსმეტე საუკუნეში, რომლის შესახებაც იხ. Marcu (1976); მაგრამ კრიტიკა იხილე ნიგნში Breuilly (1982, Introduction). შუა საუკუნეების ნაციონალიზმზე კამათის შესახებ იხ. Tipton (1972) და Reynolds (1984, თავი 8).
 18. არბროთის დეკლარაციის შესახებ იხ. Duncan (1970); შვეიცარულ Eidgenossenschaft-სა და რუთლის ფიცზე იხ. Thurer (1970).
 19. ნორმანებისა და მათი მითების შესახებ იხ. Davis (1976) და უფრო ზოგადად Reynolds (1984, თავი 8).
 20. ლატერალურსა და ვერტიკალურ ეთნიებს შორის განსხვავება უფრო სრულად განხილულია ნიგნში: A.D. Smith (1986a, თავი 4); ადრეული ხანის ისრაელის კონფედერაციაზე იხ. Zeitlin (1984; თავები 3-5).
